

ჰუმანიტარულ და პედაგოგიურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი  
**Foundation For Development of Art and Pedagogical Sciences**

**ISSN 1987-7323**

**სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი**

**ენა და კულტურა**

**№25**

**Language and Culture**

**Scientific Peer Reviewed Journal**

ქუთაისი 2021 Kutaisi

მთავარი რედაქტორი: მანანა მიქაძე, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

პასუხისმგებელი რედაქტორი: თამარ ლომთაძე, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

**სარედაქციო კოლეგია:** ა. არაბული, ე. არუტუნია, ვ. ასათიანი, ც. ახვლედიანი, მ. ახმადი, ა. ბერდიჩევსკი, ნ. გელდიაშვილი, რ. ენოხი, ნ. კაკაურიძე, თ. მახარობლიძე, მ. მეგრელიშვილი, ნ. ჟანპეისოვა, ა. ჟდანოვიჩი, გ. სანიკიძე, შ. ფაზიევი, მ. უგრეხელიძე, ტ. ხოლუმენკო.

მთარგმნელთა საბჭოს ხელმძღვანელი: ნ. კვირიკაძე

ჟურნალის სამუშაო ენებია: ქართული, რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური

ავტორის პოზიცია შეიძლება არ დაემთხვეს სარედაქციო კოლეგიის მეცნიერულ აზრს.

Chief Editor: **Manana Mikadze**, Doctor of pedagogical sciences, full professor  
Responsible Editor: **Tamar Lomtadze**, Doctor of Philology, full professor

#### **Editorial board:**

Arabuli A., Arutuniani E., Asatiani V., Akhvlediani Ts., Akhmadi M., Berdichevski A., Geldiashvili N., Enokhi R., Kakauridze N., Faziev Sh., Makharoblidze T., Megrelishvili M., Janpeisova N., Jdanovich A., Sanikidze G., Ugrehelidze M., Skolumenko T.

**Head of the Board of Translators:** Kvirikadze N.

Languages of scientific journal: Georgian, Russian, English, German, Franch, Spanish.  
Possition of authors may be out of the possition of Editorial Board.

<https://enadakultura.com>  
[www.enadakultura.blogspot.com](http://www.enadakultura.blogspot.com)

**ჟურნალის სარედაქციო კოლეგია:**

- არაბული ავთანდილ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.
- არუტუნიანი ედუარდ** – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ერევანი, სომხეთი.
- ასათიანი ვალერი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- ახვლედიანი ციური** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- ახმადი მამედი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ტ. მორადესის სახელობის თეირანის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თეირანი, ირანი.
- ბერდიჩევსკი ალენ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბურგენლანდის საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა ინსტიტუტი, ავსტრია.
- გელდიაშვილი ნუნუ** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი, საქართველო.
- ენუქაშვილი რუბენ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, იერუსალიმისა და არიელის უნივერსიტეტების პროფესორი, იერუსალიმი, ისრაელი
- კაკაურიძე ნანული** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- ლომთაძე თამარ** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო
- მახაროზიძე თამარ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- მეგრელიშვილი მადონა** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- მიქაძე მანანა** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- ჟანპეისოვა ნაზია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ს. ბაიმევის სახელობის აკტიუბინსკის უნივერსიტეტი, ალმა-ატა, ყაზახეთი.
- ჟდანოვიჩი ანასტასია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მინსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მინსკი, ბელორუსია.
- სანიკიძე გუბაზ** – ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო.
- უგრეხელიძე მინდია** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სტრასბურგი, ევროპის უნივერსიტეტი, საფრანგეთი.
- ვაზიევი მოხრუდ** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ტაშკენტი, უზბეკეთი
- ხოლუმენკო ტიმოთე** – ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ხარკოვის საერო პედაგოგიური უნივერსიტეტი, უკრაინა.

**Editorial Board :**

- Arabuli Avtandil** - Doctor of Linguistics. Professor. Arn. Chikobava Institute of Linguistics. Georgia.
- Arutunian Eduard** - Doctor of Philisophy sciences. Professor. Yerevan State University. Armenia.
- Akhvlediani Tsiuri** - Doctor of Linguistics. Professor. Tbilisi Javakhishvili State University. Georgia.
- Akhmadi Mamed** - Doctor of Linguistics. Professor. Teiran T. Moradesi State University. Iran.
- Asatiani Valeri** - Doctor of Art. Professor. Tbilisi I.Jfvkhisvili State University.
- Berdichevsky Alen** - Doctor of Linguistics. Professor. Burgeland International Economic Institute. Austria.
- Geldiashvili Nunu** - Doctor of Linguistics. Professor. Telavi State University. Georgia.
- Enokhi Reuven** - Doctor of Linguistic. Ierushalaim and Arieli state universities, Izrail.

- Fayziev Shohrud** - Doctor of Science in Law. Associate Professor. Chief editor at Tadqiqot.uz., Tashkent, Uzbekistan  
**Janpeisova Nazia** - Doctor of Art. Professor. S. Baishevi Actiubin National university. Kazakstan.  
**Jdanovich Anastasia** - Doctor of Linguistics. Professor. Minsk State University. Belorussia.  
**Kakauridze Nanuli** -Doctor of Art. Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.  
**Kholumenko T.** - Doctor of Psychological sciences. Professor. Kharkov National Pedagogical University. Ukrain.  
**Lomtadze Tamar** - Doctor of Linguistics. Accot.- Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.  
**Makharoblidze Tamar** - Doctor of Linguistics. Professor. Iliia State University. Georgia.  
**Megrelishvili Madona** - Doctor of Linguistics. Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.  
**Mikadze Manana** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.  
**Sanikidze Gubazi** - Doctor of Historical sciences. Professor. Tbilisi. Georgia.  
**Sikharulidze Gomari** -Doctor of Art. Professor. Tbilisi Shota Rustaveli Institute of theatre and cinema. Georgia.  
**Ugrekhelidze Mindia** - Doctor of Law. Professor. Tbilisii. Georgia.

### ჟურნალის ექსპერტ-რეცენზენტთა საბჭო:

- ავანესიანი გრანტ** – ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ერევანი, სომხეთი.  
**აიდუკოვიჩი იან** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბელგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სერბია.  
**ანისიმოვა დარია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, მოსკოვის სლავისტიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სწავლული მდივანი, რუსეთი.  
**არველაძე ანა** – ხელოვნებათმცოდნეობის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.  
**არსლან ხ.** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სტამბულის ოკანის უნივერსიტეტი, სტამბული, თურქეთი.  
**აფანასიადი მარია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ფრაკის დემოკრიტეს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. კომოტინი, საბერძნეთი.  
**ბალანჩივაძე რეზო** – ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.  
**ბარხალოვი გ.** – ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, ბაქოს სლავისტიკის უნივერსიტეტი, ბაქო, აზერბაიჯანი.  
**ბახტაძე დალი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.  
**ბენიძე ვენედი** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო  
**ბუნიაკოვა ე.** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქ. ალბის სალენტოს უნივერსიტეტი, ალბა, იტალია.  
**გავრილინა მარია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საერო უნივერსიტეტი, ლატვია  
**განკევიჩი ვიქტორ** – ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვ. ვერნადსკის სახელობის საერო უნივერსიტეტი, კიევი, უკრაინა.  
**გერსამია რუსუდან** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, ილიაუნი, თბილისი, საქართველო  
**გოგოლაშვილი გიორგი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.  
**გომეხეთელიანი ირინა** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო.  
**გუსევა ოლგა** – პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, სტამბულის ფატიხის უნივერსიტეტი, სტამბული, თურქეთი.  
**დიომიდოვა ანა** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვილნიუსის უნივერსიტეტი, ვილნიუსი, ლიტვა.  
**დროზდოვა-დიესი ტ.** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მადრიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მადრიდი, ესპანეთი.

- დუმილოვი ევგენი** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რუსეთის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, როსტოვი, რუსეთი.
- ეკმბეევა ლ.** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ალ ჰარაბის სახელობის საერო უნივერსიტეტი, ალმა-ატა, ყაზახეთი.
- ვასილევა ნელი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვარნის ნ. ვანცაროვის სახელობის სამხედრო-საზღვაო ინსტიტუტი, ვარნა, ბულგარეთი.
- ზვიადაძე ნათია** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- თავდგირიძე ლელა** – პედაგოგიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, შოთა რისთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო.
- თუმანიშვილი ხათუნა** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- იზბულე ვ.** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რიგის პრაქტიკული ფსიქოლოგიის უმაღლესი სკოლა, რიგა, ლატვია.
- ატია იუსუფ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აშს, კოლუმბიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
- კაიცუნი რობერტ** – ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი, ერევნის ვ. ბრიუსოვის სახელობის სახელმწიფო ენათმეცნიერების უნივერსიტეტი, ერევანი, სომხეთი.
- კარტოზია ალექსანდრე** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- კვირიკაძე ნინო** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- კირვალიძე ნინო** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- კიროვა ლ.** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქ. ტირნის წმინდა კირილისა და მეთოდეს სახელობის უნივერსიტეტი, ტირნა, ბულგარეთი.
- კობეშავიძე მარინე** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- კოვტუნი ალექსანდრე** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვილნიუსის ვიტაუტას დიდის სახელობის უნივერსიტეტი, ვილნიუსი, ლიტვა.
- კორენოვსკა ლ.** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კრაკოვის პედაგოგიური უნივერსიტეტი, კრაკოვი, პოლონეთი.
- კოროტკაია სვეტლანა** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მინსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მინსკი, ბელორუსია.
- კოჭლოშვილი ნინო** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი, საქართველო.
- ლევცივი ალექსანდრე** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კიევის ტ. შევჩენკოს სახელობის საერო უნივერსიტეტი, კიევი, უკრაინა.
- ლეშაკი ოლეგ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ი. კონოვსკის სახელობის ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ქ. კელცე, პოლონეთი.
- ლორთქიფანიძე რუსუდან** – ხელოვნების დოქტორი, პროფესორი, სამუსიკო კოლეჯი ქუთაისი, საქართველო.
- მამადოვი აზად** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აზერბაიჯანის ენათმეცნიერების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, აზერბაიჯანი.
- მარგველაშვილი ვლადიმერ** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი საქართველო.
- მალააკელიძე ნათელა** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- მახმუდოვა გ.** – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ბაქოს სამუსიკო აკადემია, ბაქო, აზერბაიჯანი.
- მუჯირი სოფიო** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- ნადარეიშვილი აკაკი** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო.

- ნიკოლეიშვილი სოფიო** – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, მისური კოლუმბიის უნივერსიტეტი, აშშ; მადრიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ესპანეთი.
- პეტროსიანი ემმა** – ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ერევანი, სომხეთი.
- პილიშვილი ს.** – ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ხმელნიცის სახელობის საერო უნივერსიტეტი, კიევი, უკრაინა.
- ჟოლნეროვიჩი პეტრე** – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, მინსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მინსკი, ბელორუსია.
- როვენკო ალექსანდრე** – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ოდესის სახელმწიფო კონსერვატორია, ოდესა, უკრაინა.
- სვანიძე რამაზ** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- სიგუა სოსო** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.
- სიმიანი ტიგრან** – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ერევანი, სომხეთი.
- სირბილაძე მარინა** – ფსიქოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- სიჭინავა ნელი** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- სტარიჩენოვი ვასილ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მ. ტანკას სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, მინსკი, ბელორუსია.
- ტოკარევი გრიგოლ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ლ. ტოლსტოის სახელობის ტულის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, ტულა, უკრაინა.
- ფაღავა მამია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო.
- ქაცარავა მარინა** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, სრული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
- ღარიბაშვილი მანანა** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი, საქართველო.
- ყუფარაძე გიორგი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- შაიკენოვა ს.** – იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ალმა-ატის კასპისპირეთის საზოგადოებრივი უნივერსიტეტი, ალმა-ატა, ყაზახეთი.
- შენგელია ვაჟა** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.
- შიოშვილი ირმა** – ფილოსოფიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი, საქართველო.
- ჩერნოვატი ლ.** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ხარკოვის საერო უნივერსიტეტი, უკრაინა.
- ჩიხლაძე ნინო** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- ჭუმბურიძე იოსებ** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო.
- ხაჭაპურიძე რამაზ** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
- ხეჩინაშვილი გიორგი** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო.
- ხეჩინაშვილი თამარ** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო.

### Expert Review Board of the Journal:

**Avanesian Grant** - Doctor of pshiqology. Professor. Yerevan. Armenia .

**Aidukovich Ian** - Doctor of Linguistics. Professor. Belgradi State University. Serbia.

- Anisimova Daria** - Doctor of Linguistics. Dositel. Moscow Academy of Sciences, Institute of Slavistic. Russia.
- Arveladze Ann** - Doctor of Art. accoss. - Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University.
- Arslan Kh.** - Doctor of Art. Professor. Stambuli State University. Turkey.
- Aphanasiadi Maria** - Doctor of Art. Professor. Frakia Democrite State University. Greece.
- Balanchivadze Rezo** - Doctor of Philosophy sciences. Professor. Tbilisi State University of Art. Georgia.
- Barkhalovi G.** - Doctor of Philosophy sciences. Professor. Baku State University of Slavistics. Azerbaidjan.
- Bakhtadze Dali** - Doctor of Linguistics. Professor. I.Chavchavadze State University. Tbilisi. Georgia
- Benidze Venedi** - Doctor of Law. Professor. Tbilisii. Georgia.
- Buniakova E.** - Doctor of Linguistics. Professor. Alba, Salento State University. Italy.
- Chernovati L.** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Kharkovi National University. Ukrain.
- Chikhladze Nino** - Doctor of Law. Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Chumburidze Josef** - Doctor of Art. Professor. Tbilisi. Georgia.
- Garibashvili Manana** - Doctor of Linguistics. Professor. Telavi State University. Georgia.
- Gavrilina Maria** - Doctor of Art. Professor. State University. Latvia.
- Gankevish Victor** - Doctor of Historical sciences. Vernadsky National University. Ukrain.
- Gersamia Rusudan** - Doctor of Linguistics. Accot.- Professor. Tbilisi. Georgia.
- Gogolashvili George** - Doctor of Linguistics. Professor. Arn. Chikobava Institute of Linguistics. Georgia.
- Goshkheteliani Iran** - Doctor of Linguistics. Professor. Batumi State University. Georgia.
- Guseva Olga** - Kandidat of Pedagogical sciences. Dotcent. Stambuli Fatikh University. Turkey.
- Diomidova Ann** - Doctor of Linguistics. Professor. Vilnius State University. Litvua.
- Drozdova-Dies T.** - Doctor of Art. Professor. Madridi State University, Spain.
- Dumilovi Evgeni** - Doctor of Law. Professor. Russia.
- Ekshembeeva L.** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Al Harabi National University. Kazakhstan.
- Vasilieva Neli** - Doctor of Linguistic sciences. Professor. Varna Vantsarova State Army and Flot Institute. Bulgaria.
- Izbule V.** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Riga Psicolological Institute. Latvia.
- Jolnerovich Petr** - Doctor of Art. Professor. Minsk State University. Belorussia.
- Kaitsuni Robert** - Doctor of Philosophy sciences. Professor. Yerevan Briusov State Linguistic University. Armenia.
- Kartozia Aleksandre** - Doctor of Art. Professor. Tbilisi Ivane Javakhishvili State University. Georgia.
- Katsarava Marina** - Doctor of Linguistics. full- Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Kvirikadze Nino** - Doctor of Art. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Kirvalidze Nino** - Doctor of Linguistics. Professor. Tbilisi. Illia State University. Georgia.
- Kirova L.** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Tirna St. Kiril and Mefodi State University. Bulgaria.
- Khechinashvili George** - Doctor of medicine. Professor. Tbilisi. Georgia.
- Khechinashvili Tamar** - Doctor of medicine. Professor. Tbilisi. Georgia.
- Kobeshavidze Marine** - Doctor of Linguistics. Assist. Professor. Tbilisi Iv. Javakhishvili State University. Georgia.
- Kochloshvili Nino** - Doctor of Art. Professor. Telavi State University. Georgia.
- Kovtuni Aleksandr** - Doctor of Linguistics. Professor. Vilnius Vitautas Grait National University. Litva.
- Korenovska L.** - Doctor of Art. Professor. Krakov State Pedagogical University. Poland.
- Korotkaia Svetlana** - Doctor of Linguistics. Professor. Minsk State University. Belorussia.
- Kuparardze Giorgi** - Doctor of Linguistics. Professor. Tbilisi Javakhishvili State University. Georgia.
- Levitsky Aleksandr** - Doctor of Art. Professor. Kievi T. Shevchenko National University. Ukrain.
- Leshak O.** - Doctor of Linguistics. Professor. Konovsky Humanitarian University. Keltse. Poland.
- Lortkipanidze Rusudan** - Doctor of Art. Professor. Kutaisi Musical college. Georgia.
- Margvelashvili Vladimer** - Doctor of medicine. Professor. Javakhishvili State University. Tbilisi. Georgia.
- Maglakelidze Natela** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Tbilisi Chavchavadze State University. Georgia.
- Makhmudova G.** - Doctor of Art. Baku musical academy. Azerbaidjan.
- Mudjiri Sophia** - Doctor of Linguistics. Assist.- Professor. Tbilisi Iv. Javakhishvili State University. Georgia.
- Nadareishvili Akaki** - Doctor of medicine. Professor. Tbilisi. Georgia.
- Nikoleishvili Sophia** - Doctor of Philosophy. Misuri-Columbia University. USA.
- Pagava Mamia** - Doctor of Linguistics. Professor. Shota Rustaveli State University. Batumi. Georgia.

- Petrosiani Emma** - Doctor of Historical sciences. Professor. Armenia.
- Pilishek S.** - Doctor of Psychology. Docent. Khmelnsky National University. Ukrain.
- Rovenko Aleksandr** - Doctor of Art. Odessa State Conservatory. Ukrain.
- Sigua Soso** - Doctor of Art. Professor. Tbilisi Shota Rustaveli Institute of Literature. Georgia.
- Simiani Tigran** - Doctor of Art. Docent. Yerevan State University. Armenia.
- Sirbiladze Marina** - Doctor of Psychological sciences. Assos.- Professor. Akaki Tseretely State University. Georgia.
- Sitchinava Neli** - Doctor of Linguistics. Accoc. Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Khachapuridze Ramaz** - Doctor of Linguistics. Accociate Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Shaikenova S.** - Doctor of Law. Docent. Alma-ata University. Kazakstan.
- Shengelia Vaja** - Doctor of Linguistics. Professor. Arn. Chikobava Institute of Linguistics. Georgia.
- Shioshvili Irma** - Doctor of Philosophy. Professor. Telavi State University. Georgia.
- Starichenko Vasil** - Doctor of Art. Professor. Tanka State Pedagogical University. Minsk. Belorussia.
- Tavdgiridze Lela** - Doctor of Pedagogical Sciences. Professor. Shota Rustaveli State University. Batumi. Georgia.
- Tumanishvili Khatuna** - Doctor of Linguistics. Accos.- Professor. Tbilisi Iv. Javakhishvili State University. Georgia.
- Attia Youseif** - Doctor of Linguistics. Accos.- Professor. USA, Kolumbis University
- Zviadadze Natia** - Doctor of Linguistic. Assist.- Professor. Akaki Tseretely State University. Georgia.



ენათმეცნიერება Linguistic

## პიროვნების მახასიათებელი ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური ასპექტები თანამედროვე ფრანგული და ინგლისური ენების იდიომატურ გამონათქვამებში

ციური ახვლედიანი, გიორგი ყუფარაძე, ქეთევან გაბუნია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

email:[tsiuriakhvlediani@yahoo.com](mailto:tsiuriakhvlediani@yahoo.com); [kuparadze.george@gmail.com](mailto:kuparadze.george@gmail.com); [keti\\_gabunia@yahoo.com](mailto:keti_gabunia@yahoo.com)

იდიომები რჩებიან თავისებურ, ენის ლექსიკური შედგენილობის სპეციფიურ ერთეულებად, რომლებიც განსხვავდებიან სიტყვებისაგან. სიტყვის გამოყენება იდიომატურ ერთეულში – სპეციფიური გამოყენებაა. მოცემული ერთეულების ცალკე გაფორმება ქმნის განსაკუთრებულ (სიტყვისაგან განსხვავებულ) შესაძლებლობებს მისი ემოციონალურ-ექსპრესიული მიზნით გამოყენებისათვის. იდიომატური გამონათქვამები არის სტაბილური კომბინაციები, რომლებიც ამშვენებს მეტყველებას. მათ აქვთ ლექსიკური მნიშვნელობა, განსაზღვრავენ ფენომენებს, თვისებებს, მდგომარეობებს და ნიშნებს. მათ უწოდებენ ისეთ მონაცვლეობებს, რომლებიც თავისუფლად იყოფა ნაწილებად. უფრო მეტიც, ეს ელემენტები დამოუკიდებელია და გარკვეული მნიშვნელობა აქვთ.

იდიომატური გამონათქვამები წარმოდგენილი არიან ისეთი სიტყვათა ჯგუფების სახით, რომლებიც ხშირად წინასწარ განუსაზღვრელია სტრუქტურისა და განსაკუთრებით მნიშვნელობის მიხედვით.

ჩვენი კვლევის მასალა შერჩეულია ფრანგული და ინგლისური განმარტებითი და ფრაზეოლოგიური ლექსიკონებიდან.

ფრაზეოლოგიური ერთეულები ასახავენ სინამდვილის არა იმ ფრაგმენტს, რომლებიც დასახელებულია სიტყვა-კომპონენტებით, არამედ გვაძლევენ ინფორმაციას იმ სამყაროზე,

რომელიც მიიღება მეორადი ნომინაციის შედეგად. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა და იდიომატიზირებული ლექსიკის უმაღლეს ფუნქციას წარმოადგენს ექსპრესიულობა. ფრაზეოლოგიზმები, ძირითადად, ემსახურებიან ენის ემოციურ სფეროს.

როგორც ფრანგული და ინგლისური, ასევე სხვა ენების იდიომატურ ერთეულთა წარმოშობის წყაროები მრავალფეროვანია. მათი ხატები მიღებულია ხალხთა მატერიალური, კულტურული და საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროსაგან. მათში ასახულია ხალხთა ისტორია, ყოფა და კულტურა, მათი სულიერებისა და აზროვნების სახეობები. ფრაზეოლოგიზმები ითვლებიან ენის ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკის ერთ-ერთ ყველაზე მეტად ნათელ გამოვლინებლებად.

იდიომები დადებითი შეფასებით (ანუ ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც აღნიშნავენ ადამიანსა და მის დადებით მახასიათებელ მხარეებს) გამოიყენებიან ჩვეულებრივ გამონათქვამებში, წარმოადგენენ რა სხვა ადამიანის აღწერას ან დახასიათებას. ადამიანის მახასიათებელი იდიომები, უმეტესად, ისტორიულად განპირობებულნი არიან. უმეტესად ეს იდიომები ატარებენ პიროვნების ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ასპექტთა ნეგატიურ შეფასებას.

**საკვანძო სიტყვები:** იდიომები, ფრაზეოლოგია, ხატები, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები

იდიომატური გამონათქვამები განიხილებიან ისეთ ლინგვისტურ ერთეულებად, რომლებიც წარმოდგენილნი არიან ისეთი სიტყვათა ჯგუფების სახით, რომლებიც ხშირად წინასწარ განუსაზღვრელია სტრუქტურის მიხედვით და განსაკუთრებით მნიშვნელობის მიხედვით. იდიომატური გამონათქვამი, ხშირად ფრაზეოლოგიზმად წოდებული, შედგება საკუთარ აზრს მოკლებული არადამოუკიდებელი ერთეულებისაგან. ფრაზეოლოგიური სემანტიკის სპეციფიკა განისაზღვრება იმ ფაქტით, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულები ასახავენ სინამდვილის არა იმ ფრაგმენტს, რომლებიც დასახელებულია სიტყვა-კომპონენტებით, არამედ გვაძლევენ ინფორმაციას იმ სამყაროზე, რომელიც მიიღება მეორადი ნომინაციის შედეგად.

სემანტიკურად მრავალფეროვანი იდიომატური გამონათქვამები ხშირად გამოიყენებიან როგორც წერით, ასევე სასაუბრო მეტყველებაში. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა და იდიომატიზირებული ლექსიკის უმაღლეს ფუნქციას წარმოადგენს ექსპრესიულობა. ფრაზეოლოგიზმები, ძირითადად, ემსახურებიან ენის ემოციურ სფეროს. ემოციური შეფასება გვიჩვენებს გრძნობით ურთიერთობას აღსაწერი ობიექტისადმი, რომლის შინაარსს წარმოადგენს ის განცდა, რომელიც წარმოიქმნება ხატობრივი წარმოდგენის შედეგად, მისი დამახასიათებელი ასოციაციებით.

როგორც ფრანგული და ინგლისური, ასევე სხვა ენების იდიომატურ ერთეულთა წარმოშობის წყაროები მრავალფეროვანია. მათი ხატები მიღებულია ხალხთა მატერიალური, კულტურული და საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროსაგან. მათში ასახულია ხალხთა ისტორია, ყოფა და კულტურა, მათი სულიერებისა და აზროვნების სახეობები. ფრაზეოლოგიზმები ითვლებიან ენის ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკის ერთ-ერთ ყველაზე მეტად ნათელ გამოვლინებლებად.

იდიომები დადებითი შეფასებით (ანუ ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც აღნიშნავენ ადამიანსა და მის დადებით მახასიათებელ მხარეებს) გამოიყენებიან ჩვეულებრივ გამონათქვამებში, წარმოადგენენ რა სხვა ადამიანის აღწერას ან დახასიათებას. ადამიანის მახასიათებელი იდიომები, უმეტესად, ისტორიულად განპირობებულნი არიან. ჩვენი კვლევის მასალა შერჩეულია ფრანგული და ინგლისური განმარტებითი და ფრაზეოლოგიური ლექსიკონებიდან.

ფრანგული და ინგლისური ენების იდიომები შექმნილია სხვადასხვა ხერხებით:

- მათ კომპონენტებში შემავალი მნიშვნელობების ლექსიკური შესუსტება: **bête à manger du foin; hay-eating animal (fool, stupid)** (სიტყვა-სიტყვით: თივის მჭამელი ცხოველი) - სულელი, ჩერჩეტი; **il ment comme il respire; lying comes as easily/naturally to him as breathing** - მატყუარა ადამიანი; **laid à faire peur; to be scared out of one's wits** - სასიკვდილო ცოდვასავით საშიში;

- ხატოვანი შედარება: **sage comme une image; to be wise, sensible; as good as gold** - მშვიდი, წყნარი, ძალიან ბრძენი (სიტყვა-სიტყვით: ბრძენი, როგორც სურათი); **être sourd comme un pot; deaf as a pot; completely deaf** - (სიტყვა-სიტყვით: ყრუ როგორც ქოთან) - სავსებით ყრუ;

- მეტაფორული გადააზრება: **un chat écorché; (look like) a stray (starved) cat** - გატყავებული კატა; **une bonne tête - a good head, (serious, smart person)**, გონიერი, სერიოზული ადამიანი; **une mauvaise langue; malicious, spiteful, vicious, evil, sharp tongue, gossip (gatemouth, tell-tale, zoot snoot, ear\_duster -jargon)** - ბორბოტი ენა, ჭორიკანა; **une tête chaude; a quick-tempered, easily excited, impetuous person; hotspur, irascible man, pepper\_box, pepperbox, spitfire, tartar, tatar, violent man, wildcat, crabapple** - ფიცხი ადამიანი; **barbe grise; grey beard ( an old man)** - მოხუცი; **fine bouche; gourmet, foodie** - გურმანი; **blouson noir; ruffian, rowdy, kids, punk** - ხულიგანი; **poil de carotte; rufescine, red-headed** (სასაუბრო ენაში) - წითური; **poivre et sel; canescent, greyish; grizzly** (სასაუბრო ენაში) - ჭადრაგარეული;

- მეტონიმური გადააზრება: **avoir de l'oreille; to have an ear for music, to have a tuneful ear** - მუსიკალური სმენის ქონა;

- ელიფსისი: **fait à peindre; perfect, big fat (phras. unit)** - ძალიან ლამაზი; **pas si bête; I'm not such a fool! tell it to the marines!** - სულელები არა ვართ! იპოვეს რა სულელი!

არქაიზმები: **brave comme un lapin; entirely beautified (dressed, embellished)** – ძირ-ფესვიანად მოკაზმული.

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა განსაკუთრებულ კატეგორიას შეადგენენ ისეთი გამონათქვამები, რომლებიც შეიცავენ ყვავილთა ელფერების გამომხატველ ზედსართავებს. განვიხილოთ ძირითად ყვავილთა ზოგიერთი თავისებურება:

- **შავი**. ზედსართავი „შავი“ – **noir; black**, ახასიათებს რა ადამიანს, უმეტესად მიუთითებს მის უარყოფით თვისებებზე, ემოციებსა და ქცევებზე და გადმოსცემს პესიმისტურ ხედვებს გარემოზე, მაგალითად: **broyer du noir; mope (to be depressed and mournful); (to have dark, shadow thoughts)** – შავბნელი ფიქრების ქონა, **regarder d'un œil noir; gimlet-eye**; – გამაცამტვერებელი ხედვით ყურება, **voir tout en noir ან avoir des idées noires; have a morbid outlook on life** – ყველაფრის შავად ხედვა, **prendre une situation en noir; to have a negative attitude towards the situation** – სიტუაციისადმი ნეგატიური დამოკიდებულება.

- **თეთრი**. შავი ფერისაგან განსხვავებით, თეთრი ფერი გამოხატავს პოზიტიურ მოვლენებს და დადებით შეფასებას აძლევს გარემოს: მაგალითად, **voir la vie en blanc; see life in white** - ოპტიმისტურად ყოფნა, **être connu comme le loup blanc; to be naked like a white wolf (known to one and all) to be famous; well-known** – ძალიან ცნობილად ყოფნა, **manger son pain blanc; eat your white bread (to be/feel very happy at a definite period of life)** – ცხოვრების ძალიან ბედნიერ პერიოდში ყოფნა. ასევე, თეთრი ფერი ხაზს უსვამს საგნის ფერის თავისებურებას, მაგალითად: **être blanc comme un cachet d'aspirine; stay, remain white (not tanned/ sunburned)** - იყო ნათელი, არამზემოკიდებული, არაგარუჯული, **être blanc comme un linge; as white as a sheet** – იყო ტილოსავით ფერმკრთალი. წარმოადგენს რა სისუფთავის სიმბოლოს, თეთრი მიუთითებს შინაგან სიწმინდეზეც - **être blanc comme neige; as white as snow (If something or someone is as white as snow, they are perfect or completely uncorrupted and honest, innocent.)** – იყო უდანაშაულო.

**შავი და თეთრი ფერები** გვხვდება ისეთი იდიომატური გამონათქვამების შემადგენლობაშიც, რომლებიც ეფუძნებიან მეტონიმას: **homme en noir; woman in black (a judge)** (ადამიანი შავებში) - მოსამართლე, **un col blanc; a white collar job** (თეთრი საყელო) - მომსახურე ადამიანი, **une canne blanche; a white cane (long cane, guide cane, identification cane (ID cane = symbol cane); support cane, kiddie cane, green cane** (თეთრი ხელის ჯოხი) - ბრმა, **une gueule noire; a black face (miner, collier, pitman)** (შავი სახე) - მეშახტე, **les blouses blanches; doctors and nurses – people in white coats** – სამედიცინო პერსონალი, **les pieds noirs; blackfeet nation** (შავი ფეხები) - ჩრდილო აფრიკიდან შემოსულნი.

-**წითელი.** წითელი ფერი წარმოადგენს ძირითად ჰერალდიკურ ფერს. 1832 წელს, საფრანგეთში, წითელი ფერის დროშა გამოიყენეს რევოლუციური მოძრაობის ემბლემად და მას შემდეგ წითელი გახდა თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლო: **bonnet rouge; Liberty cap = Phrygian cap** – წითელი ქუდი (იაკობინელების შესახებ), **chemises rouges; Redshirts**, also called **Red coats or Garibaldi** – წითელი პერანგები (გარიბალდელების შესახებ).

-**ყვითელი.** ფრანგულ და ინგლისურ ფრაზეოლოგიაში, ყვითელი ფერი ასოცირდება, უპირველეს ყოვლისა, ღვარჭლინობასთან: **les gants jaunes; bloaters, popinjays (gentlemen; dandy; showy fellow, man of dress)**

– კოხტაპრუწები, ფრანტები; **jaune comme un citron; yellow like a lemon** – ლიმონივით ყვითელი; **être jaune comme du safran; suffer from jaundice; yellowness** – ყვითელი ფერის ანუ სიყვითლით დაავადებული. ამასთანავე, ყვითელი ფერი უარყოფით შეფასებასაც ატარებს, გამოხატავს რა უარყოფით ადამიანურ ემოციებს: **colère jaune; furious truculence; rage** – მძვინვარე მრისხანება, ძლიერი გაბრაზება.

-**ცისფერი.** ფრანგულ და ინგლისურ ფრაზეოლოგიურ ლექსიკაში, ცისფერი ფერი წარმოშობის უპირატესობის სიმბოლოა: **sang bleu; blue blood** – ცისფერი სისხლი; ასევე გამოხატავს არარეალურს: **rêve bleu; blue dream** – ცისფერი ოცნება. რაც შეეხება ადამიანის გარეგნობის აღწერას, ცისფერი ან ლურჯი ფერი ხშირად გამოიყენება ფერმკრთალი ადამიანის სახის გამოსახატავად: **être bleu; turn/become blue (from cold; from rage)** – გალურჯება (სიცივისაგან, ბრა-ზისაგან), **se faire un bleu; to bruise** – ცემით დალურჯება, **avoir des bleus à l'âme; to cut to the heart** – გულის დაკოდვა.

ყვავილებთან დაკავშირებით, **ზაცი ცისფერი** გამოხატავს იდუმალ, თავდაჭერილ, მოკრძალებულ სინაზეს და იდიომი **être fleur bleue; credulous, ingenuous, guileness** გამოხატავს “გრძნობიანობას”, ზოგჯერ კი – “გულუბრყვილობას”. ასევე, ცისფერი შეიძლება ასოცირდებოდეს ნაღვლიანობასა და მწუხარებასთან: **avoir des bleus; lugubriousness; mope** – სევდიანობა, **les diables bleus; hip, melancholia** – მწუხარება, მელანქოლია.

-**მწვანე.** საანალიზოდ შერჩეულ ენებში, მწვანე ფერი შეიძლება ატარებდეს როგორც მოუმწიფებლობის, ასევე სიკეთის მნიშვნელობას: **un vieillard encore vert; aged, old** – ჭარმაგი მოხუცი, **une verte vieillisse; green old age; live to a venerable age** – მხნე სიბერე, **il est encore vert; he feels still strong** – ის ჯერ კიდევ ძლიერადაა.

საინტერესოა ბოსტნეულისა და ხილის სახელწოდებების შემცველი იდიომატური გამონათქვამებიც; ფრანგულ ენაში, უმეტესად სასაუბრო ენაში, ისინი დიდი რაოდენობითაა. ეს გამონათქვამები გამოიყენებიან ადამიანის ფიზიკური გარეგნობის აღსაწერად (**avoir les yeux en amande; to have almond eyes** – ნუშისებრი თვალების ქონა), ხასიათისა და ჭკუა-გონების განსა-

საზღვრად (**être bonne pomme; to be to naive** – გულუბრყვილო) ან ტანსაცმლის აღსაწერად (**porter un chapeau melon; to wear a melon-shape hat** – სიტყვა-სიტყვით: ნესვის ფორმიანი ქუდის ტარება).

ადამიანის დასახასიათებლად, ბოსტნეულისა და ხილის სახელწოდებებიდან, ყველაზე ხშირად გამოიყენება კომბოსტო - **un chou – cabbage: une tête de chou; cabbagehead** – კომბოსტოს-თავიანი, მოსულელი; **avoir des oreilles en feuille de chou; lop-eared, jug-eared, nincompoop** – ყურპანტურა, დოყლაპია; **être bête comme chou; idiot** - იდიოტი; **être dans les choux; be in the cabbages** – გასაჭირში ყოფნა; **bête comme un chou; dumb as a cabbage** – ყვეფი, გამოჩერჩეტებული; **chou de ses parents; pester power** (*Children growing up in rich families are often spoiled*) – მშობლებისგან განებივრებული, ნებიერი.

ფრანგული სიტყვა **une pomme** ინგლისური ეკვივალენტი **an apple** – “ვაშლი” ასევე ხშირად გვხვდება ფრაზეოლოგიური ერთეულების შემადგენლობაში, მაგალითად: **être haut comme trois pommes; high as three apples** (*The expression is often used for kids that are quite small for their age.*) – ძალიან დაბალი, ერთი გოჯა (ძირითადად ამბობენ ბავშვებზე); **être bonne poire ou bonne pomme; to be to naive** – ძალიან გულუბრყვილო; **bonne pomme; dupe, nincompoop** – დოყლაპია, ჩერჩეტი; **pomme à l'eau; dunderhead** – შტერი; **la reine des pommes; muzzy** – გამოთავყვანებული.

იდიომატურ გამონათქვამებში, ასევე ხშირად გვხვდება “მსხალი” - **une poire; a pear**. მაგალითად: **poire blette; a dullard, booby, clod** - შეზღუდული ადამიანი; **une poire molle; a quitter, a duffer (a clumsy person)** – ჩვარი, უნებისყოფო ადამიანი; **poire pierreuse; (a soft pear) a person suffering from gallstones, (floozy, street-girl, heriot)** – 1. ავადმყოფი, დატანჯული კენჭებით ღვიძლში, 2. მეძავი, როსკიპი; **être poire; to make a fool of smb** – გაბრიყვებული; **quelle bonne poire! What a face! What a mug! What a puss!** – რა მაგარი სიფათია!

ამგვარად, ბოსტნეულისა და ხილის სახელწოდებათა შემცველი, ზემოჩამოთვლილი იდიომატური გამონათქვამებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უმეტესად ეს იდიომები ატარებენ პიროვნების ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ასპექტთა ნეგატიურ შეფასებას.

#### ლიტერატურა:

Гак В.Г. Беседы о французском слове. Москва, 2010.

Назарян А.Г. Фразеология современного французского языка. Москва, 1989.

Farr, William E. The Reservation Blackfeet: A Photographic History of Cultural Survival. Foreword by James Welch. Seattle: University of Washington Press, 1984.

Knappe, Gabriele, Idioms and Fixed Expressions in English Language Study before 1800. Peter Lang, 2004

გვარჯალაძე...გვარჯალაძეი, მიქელაძე კ., „ფრანგული ანდაზები და ხატოვანი თქმანი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.1981

სახოკია თ., „ქართული ანდაზები“, თბილისი. 1967

*Dictionnaires and Websites:*

<https://www.collinsdictionary.com>

<https://www.linguee.com>

<https://mwc.en-academic.com>

<https://idioms.thefreedictionary.com>

Dictionnaire d'expressions idiomatiques. URL:[http://www.cnrtl.fr/dictionnaires/expressions\\_idiomatiques/concepts.php](http://www.cnrtl.fr/dictionnaires/expressions_idiomatiques/concepts.php).

Les expressions françaises décortiquées. URL: [http://www.expressio.fr/toutes\\_les\\_expressions.php](http://www.expressio.fr/toutes_les_expressions.php).

**Tsiuri Akhvlediani, Giorgi Kuparadze, Ketevan Gabunia**

**Characteristic Psychological and Physiological Aspects of Personality in Idiomatic Expressions of Modern French and English**

**Abstract**

Idioms remain a peculiar composition of specific lexical units, which differ from the words. The use of a word in an idiomatic unit is only its specific case. The particular colouring of the given units creates special (different from the word) possibilities for its appliance for emotional-expressive purpose.

Idiomatic expressions are firm combinations that adorn speech. These inseparable structures, which have lexical meaning, define phenomena, features, states, and signs. They are called alternations that are freely divided into constituent parts. Moreover, these elements are independent and have some meaningful significance. Idiomatic expressions are considered to be such linguistic units that are represented as groups of words and are not often predetermined by structure and by meaning in particular.

Research materials have been selected and taken from the French and English explanatory (monolingual) and phraseological dictionaries.

The specificity of phraseological semantics is determined by the fact that phraseological units reflect not the fragment of reality named by the word-components, but give us information about the world obtained as a result of the secondary nomination. The highest function of phraseological units and idiomatic vocabulary is expressiveness. Phraseologisms mainly serve the emotional sphere of language.

The origins of idiomatic units in both French and English, as well as in other languages, are varied. Their images have been derived from various spheres of material, cultural and socio-economic life of Nations. They (the units) reflect the history, existence and culture, their spirituality and the way of thinking.

Phraseologisms are considered to be one of the most striking manifestations of the national-cultural specificity of a language.

Idioms with a positive evaluation (i.e. phraseologisms that refer to a person and his/her positive characteristics) are used in ordinary expressions to describe what another person is. Idioms implying a personality are mostly historically conditioned.

To sum up, from the above idiomatic expressions, we can conclude that most of these units carry a negative connotation of the physiological and psychological aspects of a person.

**Key words:** idioms, , phraseology, icons, Physiological and psychological aspects

რეცენზენტი: პროფესორი მ. მეგრელიშვილი



ენათმეცნიერება Linguistic

რიტმი ცხოვრებაში, რიტმი ენაში

რუსუდან გვილავა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

email: [rusudang@gmail.com](mailto:rusudang@gmail.com)

წინამდებარე სტატიაში განხილულია რიტმი, როგორც ჩვენი ცხოვრების თანმხლები ფენომენი. რიტმულობა გულისხმობს ერთი და იმავე მოქმედების, მოვლენის თანაბარ დროში გამეორებას ან მოხდენას. ნაშრომში გაანალიზებულია ინგლისური ენის გაბმული მეტყველება რიტმთან მიმართებაში. ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი რიტმი უცილობლად გულისხმობს ტექსტის დაყოფას რიტმულ (ტონალურ) ჯგუფებად, რომელთა გამოყოფა ეფუძნება მახვილიან და უმახვილო მარცვალთა დაჯგუფების პრინციპს, რომლის მიხედვითაც უმახვილო მარცვლები მიეზიან მახვილიან მარცვლებს და რიტმულ ერთეულებს ქმნის. ეს რიტმული ერთეულები ერთი და იმავე დროის მონაკვეთში წარმოითქმის. ნაშრომში პირველად არის პარალელი გავლებული ინგლისური ენის ზეპირი მეტყველებისათვის დამახასიათებელ რიტმულ ერთეულებსა და მუსიკალური ნაწარმოების ტაქტებს შორის. ხაზგასმულია ინგლისური ზეპირმეტყველების მუსიკალურობა.

**საკვანძო სიტყვები:** რიტმი, რიტმულ-ტონალური ჯგუფები, მახვილი

ზოგადად, რიტმი მოძრაობის, ანუ სიცოცხლის გამომხატველია. მთელი სამყარო გარკვეულ, უწყვეტ რიტმში არსებობს; რიტმულად მოძრაობენ ციური სხეულები და რიტმულად მონაცვლეობენ წელიწადის დრონი, თვეები, კვირები, დღეები, საათები, წუთები და წამები, მათ შორის დღე და ღამეც (სინათლე და სიბნელე). ყოველივეს თავისი დრო აქვს და ყველაფერს თავისი ჟამი ამ ცისქვეშეთში.

1. ჟამი შობისა და ჟამი სიკვდილისა;
2. ჟამი დანერგვისა და ჟამი დანერგულის აღმოფხვრისა;

3. ჟამი მოკვდინებისა და ჟამი განკურნებისა;
4. ჟამი ნგრევისა და ჟამი შენებისა;
5. ჟამი ტირილისა და ჟამი სიცილისა;
6. ჟამი გლოვისა და ჟამი ღხინისა;
7. ჟამი ქვათა მიმოფანტვისა და ჟამი მათი შეგროვებისა;
8. ჟამი მიჯნურთა პაემანისა და ჟამი მათი გაყრისა; (ეკლ. 3; 1-5).

ბერძნულად „რიტმი“ (rhythmos) სიმწყობრეს, თანაზომიერებას ნიშნავს. რიტმულობა გულისხმობს ერთი და იმავე მოქმედების, მოვლენის თანაბარ დროში გამეორებას ან მოხდენას. შეიძლება ითქვას, რომ რიტმულობა ჩვენი ცხოვრების თანმდევია. რიტმი ყველგან გვხვდება. რიტმის გარეშე განსაკუთრებით წარმოუდგენელია მუსიკა, სიმღერა, ცეკვა და პოეზია.

რიტმულად წიკწიკებს კედელზე საათი, რიტმულად მიფრინავენ ჰაერში ფრინველები (ალბათ დაკვირვებისათვის ფრინველთა გადაფრენას შემოდგომაზე), რიტმულია ჩვენი გულის ფეთქვა, ჰაერის ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა, რიტმულად დაცურავენ წყალში თევზები, ცხოველები და ადამიანებიც, რიტმულად ისმის მატარებლის ბორბლების ხმა ლიანდაგზე, წყაროში რიტმულად მორაკრაკებს წყალი, რიტმულად ეცემა წვიმის წვეთები ზედაპირს, თოვლის ფიფქები რიტმულად მოფარფატებენ ციდან, რიტმულად კაკანებენ ქვემეხები, რიტმულად ეხეთქება ნაპირს ზღვის ტალღები, რიტმულად მუშაობს საქსოვი დაზგა, რიტმულია მოძრაობები სპორტის ბევრ სახეობაში, რიტმულია ჯარისკაცების მარშით სვლა, რიტმულად უსვამს მენავე ნიჩბებს, რიტმულად ხერხავს და აპრიალებს („ასალაშინებს“) ხის მასალას დურგალი, რიტმულ ხმას გამოსცემს წისქვილის ბორბალი, რიტმულად ვლეჩავთ კბილებით საჭმელს, ბევრი ადამიანი ჩაის და ყავას რიტმულად სვამს და სუჰსაც რიტმულად მიირთმევს და ზოგიერთი ძილშიც რიტმულად ხვრინავს, ავადმყოფიც რიტმულად კვნესის, მამალიც კი რიტმულად ყივის, ბატიც რიტმულად სისინებს, შაშვი რიტმულად გალობს, კოდალა რიტმულად უკაკუნებს ხეს, რიტმულად თხრის თხუნელა ხვრელს, გველიც რიტმული მოძრაობით მისრიალებს მიწაზე, ქარიც რიტმულად უბერავს, ფოთლების შრიალიც რიტმულია, ჩემი პატარა ძაღლი ჯინოც კი რიტმულად ყეფს. როგორც ხედავთ, უსასრულოდ შეიძლება მაგალითების დასახელება. მაგრამ, მოდით, აქ შევჩერდეთ.

რიტმის განხილვისას ერთი საინტერესო აზრი გამიჩნდა. ხმაბადვითი სიტყვები განა რიტმთან არ ასოცირდებიან? ჰოდა, მეც შევუდექი მათ შეგროვებას და დღემდე ქართულ ენაში 90 ასეთი სიტყვა აღმოვაჩინე. აქ დავასახელებ მხოლოდ რამდენიმე მათგანს: წიკწიკი, გუგუნი, პიპინი, ჩუხჩუხი, ყიყინი, ღულუნი, დაფდაფი, წკავწკავი, კაკანი, ბრახაბრუხი, ზიგზაგი, ფაციფუცი, ჭახაჭუხი და მრავალი სხვა.

ინგლისური ენის მაგალითები: ding-dong, beep-beep, cluck-cluck, moo-moo, bang-bang, shoo-shoo, baa-baa, puff-puff, cuckoo, murmur, tick-tock, chit-chat, tic-tac, rip-rap, flip-flop და სხვა.

ჩვენი აზრით, შეიძლება ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ: რიტმი ჩვენი და საერთოდ ჩვენი სამყაროს განუყოფელი ნაწილია. რიტმი ტონალობაა, რიტმი მუსიკაა, ჰარმონიაა. ეტყობა, ბუნება-საც და ადამიანსაც ახასიათებს ლტოლვა თანაზომიერებისაკენ, ჰარმონიულობისაკენ და ჩვენ მას ვაწყდებით ჩვენი არსებობის ყოველ წუთს და ყოველ წამს. ალბათ არაა გასაკვირი, რატომ გვიტაცებს აგრერიგად მუსიკა, ცეკვა, სიმღერა და პოეზია. ალბათ იმიტომაც, რომ მათში მუსიკალურობაა, რიტმია, ჰარმონიაა. ალბათ გაგიგიათ, რომ გალაკტიონ ტაბიძეს ბეთჰოვენს ადარებენ. რატომ? იმიტომ რომ მისი ბევრი ლექსი მართლაც რომ მუსიკაა, ჰარმონიაა. ალბათ, ისიც გემახსოვრებათ, რომ ბევრი ადამიანი წინააღმდეგი იყო გალაკტიონის ლექსზე „ქარი ქრის“ სიმღერა დაეწერათ. არგუმენტი ასეთი იყო: ეს ლექსი ხომ თავად სიმღერააო. თუმც, მშვენიერი სიმღერა შეიქმნა ამ ლექსზე.

ახლა კი, გადავინაცვლოთ ენაში, კერძოდ, ინგლისურში. განვიხილოთ ინგლისური ენა რიტმთან მიმართებაში. არსებითია ერთი ასპექტის გათვალისწინება: ზეპირი ტექსტის მთლიანობას ქმნის ორი აუცილებელი კატეგორია - გაბმულობა (იგივე მთლიანობა) და თანაზომიერ ერთეულთა თანმიმდევრობა.

ინგლისური ენის ზეპირი მეტყველება მართლაც გამორჩეულია თავისი რიტმულობით, და ეს განპირობებულია ინგლისურში ნეიტრალური (schwa) ხმოვანი ბგერის / ə / არსებობით. ინგლისური ენის ხმოვანი ბგერა/ ə / - ე. წ. ნეიტრალური ხმოვანი (shwa) უნიკალური ფონემაა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ, მისი არსებობა განაპირობებს იმ ფაქტს, რომ ინგლისური ენა მახვილსაზღვრულია და რომ ინგლისური ზეპირი მეტყველება საოცრად რიტმულია.

თითქმის ყველა ინგლისური მრავალმარცვლოვანი სიტყვა შეიცავს ნეიტრალურ ხმოვანს /ə/ schwa. მაგალითად, სიტყვებში conference /'kɒnfərəns/, dangerous /'deɪndʒərəs/, comfortable /'kɒmfətəbl/ პირველი მარცვალი მახვილიანია და მასში ხმოვანი სრული ფორმით წარმოითქმის, ხოლო მეორე და მესამე მარცვალში ხმოვანი ბგერები უმახვილო პოზიციაშია და ამიტომ ისინი ნეიტრალური /ə/ ხმოვნითაა წარმოდგენილი. შედეგი ასეთია: უმახვილო პოზიციებში ხდება ხმოვანთა ნეიტრალიზაცია, მათი დასუსტება/რედუცირება და გარდაქმნა ნეიტრალურ /ə/ ხმოვნად. როგორც წესი, ინგლისურ ენაში უმახვილო პოზიციაში მყოფი ყველა ხმოვანი ტენდენციას იჩენს გადაიქცეს ნეიტრალურ schwa /ə/ ხმოვნად. მოვიტანოთ სხვა მაგალითებიც: 'salad, 'pilot, 'bonus, basin, to'night, 'mother, 'cushion, 'personal, 'comfortable, 'chocolate, 'different, 'interesting, 'vegetables su'ppose, to'morrow, pe'r'haps, co'llection, 'history, 'frightening. მოცემულ

მაგალითებში ყველა ხაზგასმული უმახვილო პოზიციაში მყოფი ხმოვანი ზეპირ დისკურსში განიცდის ნეიტრალიზაციას და წარმოგვიდგება ნეიტრალური ხმოვნის სახით.

ჩვენ მიერ ზემოთ მოცემულ მაგალითებში სიტყვები ცალკე, იზოლირებულად იყო წარმოდგენილი. მაგრამ მოგეხსენებათ, რომ ზეპირი მეტყველებისას გაბმულ მეტყველებაში სიტყვები გვხვდება კონტექსტში ანუ სხვა სიტყვებთან ურთიერთ-მეზობლობაში. ამ დროს სიტყვები ერთმანეთს ეჯახება, რაც იწვევს გარკვეულ ცვლილებებს, გარკვეულ ფონეტიკურ პროცესებს და ეს ხდება ძირითადად სიტყვათგასაყარზე - სიტყვის ბოლოს და მომდევნო სიტყვის დასაწყისში და სიტყვის შიგნითაც, განსაკუთრებით უმახვილო პოზიციაში. ხშირად ძალიან დიდია სხვაობა ცალკე წარმოთქმულ სიტყვებსა და მათ კონტექსტში, სწრაფ გაბმულ მეტყველებაში წარმოთქმისას. გაბმული მეტყველება (Connected speech) გულისხმობს ლინგვისტურ ერთეულთა უწყვეტ თანმიმდევრობას, თუმცა იგი არ არის უბრალოდ ერთიმეორის მიმდევრობით დალაგებული სიტყვათა რიგი, რადგანაც მასში შემავალი თითოეული სეგმენტი განსაზღვრულ ფონეტიკურ გარემოში ექცევა და ეს სეგმენტები ურთიერთ-ზემოქმედებას განიცდის. ხშირ შემთხვევაში, განსაკუთრებით სწრაფი მეტყველებისას (allegro speech) ხდება ზოგიერთი სეგმენტის (ბგერის ან მარცვლის) სრულიად გაქრობა. მაგალითად: The cushion is comfortable. - [ðə'kuʃniz ɪkəmftəbl]. Let us have some vegetables tonight. - ['letsəvsəm ɪvedʒtəblztnait]. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზეპირმეტყველებაში ნეიტრალური schwa /ə/ ბგერა ინგლისურ ხმოვან ბგერათა შორის ყველაზე უფრო ხშირად ხმარებადია.

როგორც ცნობილია, ინგლისურ მართლწერასა და წარმოთქმაში თანხვედრა არ გვაქვს. ინგლისური ენის წერით მეტყველებაში სიტყვათა შორის გვაქვს ინტერვალები. მაგალითად, What is her name? Do you know? მაგრამ ზეპირი მეტყველებისას ჩვენ გვეძლევა ბგერათა ნაკადი, სადაც ბგერებს შორის საზღვრები მკვეთრად გამოხატული არაა და სიტყვათა შორის ინტერვალებიც გამქრალია. /wʌtsəneɪm/, /dʒənəu/. ერთი აზრობრივი ჯგუფის შიგნით სიტყვები ერთმანეთს მიბმულია და ხშირად იგი ერთ გრძელ სიტყვად აღიქმება. ამიტომაც ხშირად ძნელდება ერთი სიტყვის დასასრულისა და მომდევნო სიტყვის დასაწყისის გარჩევა.

ავიღოთ ასეთი მაგალითები:

1. I'll ask a cup of tea. 'alaskə ɪkʌpət i:
2. I miss you / ə ɪmɪʃu:/;
3. What do you want to do? /'wɒdʒju ɪwʌnədu:/;
4. I saw a good girl. /'aɪsɔrə ɪgʊdəl /
5. Where do they go? /'wɛdðeɪ ɪgəu/
6. We must leave now. / wɪms 'li:v ɪnəu/

ძალზედ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ინგლისურში მხოლოდ ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელი სიტყვები, ანუ სიტყვები, რომლებიც გადმოსცემენ ინფორმაციას, წარმოითქმება მახვილით, ხოლო დამხმარე სიტყვები, იგივე გრამატიკული მნიშვნელობის მატარებელი სიტყვები: არტიკლები, კავშირები, წინდებულები, ნაწილაკები, ზოგიერთი ნაცვალსახელი, დამხმარე, მაკავშირებელი და მოდალური ზმნები და სხვები (ასეთ სიტყვათა რიცხვი ინგლისურ ენაში 50 - მდეა) უმახვილოა და მიეზმის მახვილიან მარცვლებს და და მასთან ერთად ქმნის რიტმულ ერთეულებს.

ამდენად, ინგლისურისათვის დამახასიათებელი რიტმი უცილობლად გულისხმობს ტექსტის დაყოფას რიტმულ (ტონალურ) ჯგუფებად, რომელთა გამოყოფა ეფუძნება მახვილიან და უმახვილო მარცვალთა დაჯგუფების პრინციპს, რომლის მიხედვითაც უმახვილო მარცვლები მიეზმიან მახვილიან მარცვლებს და რიტმულ ერთეულებს ქმნიან. ეს რიტმული ერთეულები ერთი და იმავე დროის მონაკვეთში წარმოითქმის. შეიძლება ერთ რიტმულ ერთეულში გაერთიანდეს რამოდენიმე სიტყვა და მეორე რიტმულ ერთეულში კი მხოლოდ ერთი სიტყვა იყოს. ორივეში მახვილიანი მარცვალი მხოლოდ ერთია და ორივე რიტმული ერთეულის წარმოითქმის დრო თანაბარია. რაც უფრო მეტია უმახვილო მარცვალი, მით უფრო სწრაფად ხდება მათი წარმოთქმა. მახვილიანი მარცვლები დროის დაახლოებით თანაბარ ინტერვალებში გვხვდება. სიტყვის შეკუმშვა/შეკვეცა, ბგერის ამოვარდნა, ბგერათა შერწყმა, ბგერის ჩართვა/ჩასმა სიტყვათგასაყარზე - ეს სწრაფი ზეპირი დისკურსის მახასიათებელი ფონეტიკური პროცესებია. ამჟამად ჩვენი მიზანი არ არის მათი განხილვა. ინგლისურ ენაში რიტმი მახვილისა და დროის ურთიერთობის შედეგია, ერთი და იმავე ინტერვალის შენარჩუნებაა მახვილიან მარცვლებს შორის.

განა იგივე პრინციპი არ გვხვდება მუსიკალური ნაწარმოების ტაქტებად დაყოფისას? ალბათ შეამჩნევდით, რომ ნებისმიერი მუსიკალური ნაწარმოების სანოტო ჩანაწერში ვერტიკალური ხაზი განსაზღვრული პერიოდულობით გვხვდება. ყოველი ტაქტი ერთმანეთის მიმდევრობით მწკრივდება და ტაქტები ერთმანეთისგან ეგრეთ წოდებული ტაქტის ხაზებით გამოიყოფა. სწორედ ამ ხაზებს უწოდებენ ტაქტის ხაზს, ხოლო მოკლე მონაკვეთს – ტაქტს. კემბრიჯის ენციკლოპედიაში ტაქტს ასეთი განსაზღვრება აქვს: „ ტაქტი არის მუსიკალური ნაწარმოების შემადგენელი ერთერთი მცირე ნაწილი, რომელიც ხასიათდება თანაბარი გრძლიობითა და დარტყმის (beat) განსაზღვრული ოდენობით“. (The Cambridge Encyclopedia).



ზემოთ მოცემულ სანოტო ჩანაწერს თუ დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ ტაქტების შიგნით ხან ერთი მუსიკალური ბგერაა (ერთი მთელი ნოტი), ხან ორი მუსიკალური ბგერაა (2 ნახევარ ნოტი), ხან მეოთხედი ნოტებია, ხანაც მერვედები. მაგრამ ამ მუსიკალურ ბგერათა სხვადასხვა რაოდენობის შემცველი ტაქტები დროის თანაბარ ინტერვალში პროდუცირდებიან (დაკვირვებას თუ სიმღერისას). რიტმი სხვადასხვა გრძლიობის ბგერებისა და პაუზების მონაცვლეობაა. პულსი თანაბარი დარტყმების ფეთქვაა. როგორც ვხედავთ, მუსიკაშიც თანაბარი ტაქტების მონაცვლეობა ქმნის რიტმს.

თუ მუსიკალურ ნაწარმოებსა და ინგლისურ ტექსტს (ზეპირი მეტყველებისას) შევადარებთ ერთმანეთს, ბევრ სხვა მსგავსებასაც აღმოვაჩინებთ. მაგალითად, ავიღოთ ინგლისური ენის ინტონაცია, როცა რიტმული ერთეულები ხან აღმავალი, ხან დაღმავალი და ხანაც აღმავალ-დაღმავალი ან დაღმავალ-აღმავალი ტონით გამოითქმის. ტონის ცვალებადობა (მელოდიკური სიგნალები) ეხმარება მსმენელს გაიგოს მოსაუბრის გამონათქვამის მნიშვნელობა, ემოცია, გამოყოფს მნიშვნელოვანი ან ახალი ინფორმაცია. ხშირად წინადადებაში ზოგიერთ სიტყვას ლოგიკური მახვილი მოუდის. წინადადებაში ლოგიკური მახვილი სხვა არაფერია, თუ არა მუსიკალური „ფორტე“. ეს ყველაფერი ინგლისური ენის მელოდიურობაზე, მის მუსიკალურ ბუნებაზე მეტყველებს. მგონი ეჭვი არ გვრჩება იმისათვის, რომ ინგლისური ენა რიტმულ, მელოდიურ, მუსიკალურ ენად მივიჩნიოთ.

სწორედ ეს რიტმულობა, ეს ჰარმონიულობა, ეს მუსიკალურობა აქცევს ინგლისურ ენას ულამაზეს, ტკბილსასმენ ენად.

### ლიტერატურა

1. Graham Carolyn, 1986, Small Talk, More Jazz Chants, Oxford University Press
2. Kelly Gerald, 2001, How to Teach Pronunciation, Longman
3. Tkemaladze Rusudan. 1999, The English Phonetics Handbook, Tbilisi
4. The Cambridge Encyclopedia of the English Language, 2003, Cambridge University Press

**Rhythm in Life, Rhythm in Language****Abstract**

The present article deals with rhythm which is an essential phenomenon of our life. Being rhythmical means repetition of similar actions in the same period of time. The work gives analyses of the English language in oral connected speech in the relationship with rhythm. English is a rhythmical language. The English connected speech is divided into rhythmical groups and the division is based on alternation of stressed and unstressed syllables where unstressed syllables are attached to the stressed syllable thus forming a rhythmical group. Each rhythmic unit is pronounced in equal time.

For the first time similarities are identified between the English rhythmical units and the musical bars in a piece of music.

**Key words:** rhythm რიტმი, rhythmical-tonal groups, sword

რეცენზენტი: პროფესორი ო. გუსევა

ენათმეცნიერება Linguistic

## არგუმენტირება, როგორც დისკურსული პრაქტიკა (დიდაქტიკური და ლინგვისტური კონცეპტები)

გურანდა გობიანი

ქუთაისის უნივერსიტეტი

მირანდა გობიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: [gobianiguranda78@gmail.com](mailto:gobianiguranda78@gmail.com); [gobianimiranda@hotmail.com](mailto:gobianimiranda@hotmail.com)

არგუმენტირების კომპეტენცია, წერილობითი ან ზეპირი არგუმენტირების უნარი უმნიშვნელოვანესია აკადემიური და არაკადემიური კომუნიკაციის პროცესში. აღნიშნული კომპეტენციის ამაღლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს განათლების მიღების პროცესში, რაც, საბოლოო ჯამში, ორიენტირებულია ზოგადი, ინტერკულტურული კომუნიკაციისა და სწავლა-სწავლების სტრატეგიული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე. არგუმენტირებული ტექსტის შექმნის კომპეტენცია კომპლექსურია და სხვადასხვა განზომილებას მოიცავს, რაც გულისხმობს არგუმენტის შერჩევას, აგებას, დაჯგუფებას, არგუმენტირებული მსჯელობის სწორად წარმართვას. მასში შემავალი სხვადასხვა კონცეპტებისა და პერსპექტივების სისტემატიზირება იძლევა შესაძლებლობას არგუმენტები დაიყოს ორ დიდ ჯგუფად: მოსაუბრეზე ორიენტირებული და ინტერაქციაზე ორიენტირებული.

არგუმენტირებული განხილვები და ორგანიზებული სადისკუსიო პროცესები წარმოქმნის დისკურსს, რომელიც გათანაბრებულია საზოგადოებრიობის ცნებასთან. დისკურსის ანალიზის პერსპექტივებიდან არგუმენტირება დისკურსული პრაქტიკაა, ანუ იგი რეალიზდება სპეციფიკურ კონტექსტში (კონტექსტუალიზაცია), წარმოიშობა ინტერაქტიულად, ვითარდება, მოდელირდება და ინტერაქციაში მონაწილეთა მიერ ხდება მისი, როგორც არგუმენტირების აღქმა. არგუმენტირების კომპეტენცია უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ აკადემიური წერის



პრინციპებით შექმნილი ნებისმიერი ტიპის ტექსტის ფორმულირებისთვის, არამედ მსჯელობის პროცესში მონაწილე ე. წ. „მოსაუბრე სუბიექტების“ ანუ საზოგადოებრივი აქტორების ინტერაქციის სტრუქტურირებისთვის. არგუმენტირების სტრატეგიული უნარი, როგორც დისკურსული პრაქტიკა, კონკრეტულ სოციუმში, კონკრეტულ დისკურსულ არეალში ამკვიდრებს ყველასათვის სავალდებულო და მნიშვნელოვან ცოდნას და აყალიბებს აზროვნების მყარ სისტემას, რომელიც საბოლოო ჯამში წარმართავს არგუმენტირებულ განხილვებსა და ორგანიზებული სადისკუსიო პროცესებს.

**საკვანძო სიტყვები:** არგუმენტირების კომპეტენცია, დისკურსული პრაქტიკა, კონტექსტუალიზაცია, ინტერაქცია, კონცეპტები

არგუმენტირების კომპეტენცია, წერილობითი ან ზეპირი არგუმენტირების უნარი უმნიშვნელოვანესია აკადემიური და არაკადემიური კომუნიკაციის პროცესში, როგორც პირად, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ნებისმიერი მსჯელობითი ტექსტი თავის თავში გულისხმობს ავტორის პოზიციის ჩვენება/დემონსტრირებას, საკითხის დასმას, მის განვრცობასა და დასაბუთებას. ეს უკანასკნელი აუცილებელი კომპონენტია სხვადასხვა აკადემიურ თუ სოციალურ გარემოში აზრის, დამოკიდებულების, პოზიციის დამაჯერებლობის, მიმღებლობისა და სარწმუნოებისათვის, საკუთარი ინტერესების წარმოჩენისა და საზოგადოებრივ დისკურსებში მონაწილეობის მიღებისათვის. სწორედ ამიტომ არგუმენტირების კომპეტენციის ამალგება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს განათლების მიღების პროცესში, რაც, საბოლოო ჯამში, ორიენტირებულია ზოგადი, ინტერკულტურული კომუნიკაციისა და სწავლა-სწავლების სტრატეგიული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე.

არგუმენტირებული ტექსტის შექმნის კომპეტენცია კომპლექსურია და სხვადასხვა განზომილებას მოიცავს. ადამიანს გარდა საკუთარი პოზიციის ჩვენებისა, უნდა შესწევდეს უნარი გაიაზროს პრობლემა სადავო საკითხებისა და მკითხველის პერსპექტივების გათვალისწინებით, შეაფასოს საპირისპირო პოზიციები, მოახდინოს სხვათა იდეების კრიტიკული ანალიზი და ლოგიკური თანმიმდევრულობის დაცვით ნათლად და ეფექტურად წარმოადგინოს სათქმელი. არგუმენტირების პროცესი ასევე გულისხმობს იდეების გენერაციისა და პარაგრაფების/აზონების კონსტრუირების ტექნიკას, ტექსტის ადრესატზე ორიენტირებას, სიტუაციური კონტექსტის გააზრებას და ტექსტის მიკრო და მაკრო, შიდა და გარე (კომპოზიციური) სტრუქტურის განსაზღვრას [მროცეკ/შნაიდერ/ტეტლინგ PDF გვ. 2].

არგუმენტირების კომპეტენცია შეიძლება გაგებულ იქნეს რეცეპტიულ (კითხვა, მოსმენა) და პროდუქტიულ უნარ-ჩვევად, როგორც წერითი ასევე ზეპირი არგუმენტირების დროს,

რომელიც „ეხმარება ადამიანს იდეების განვითარება-ორგანიზებასა და შეხედულებების დამაჯერებლობის შეფასებაში, ლოგიკური თანმიმდევრულობის დაცვასა და სათქმელის ნათლად და ეფექტურად წარმოდგენაში - ყველა ეს უნარი ღირებულია აკადემიური წერის ნებისმიერი ჟანრისათვის“ [წულაძე, 2006:8]. არგუმენტაციის კომპეტენცია გულისხმობს არგუმენტის შერჩევას, აგებას, დაჯგუფებას, არგუმენტირებული მსჯელობის სწორად წარმართვას. მტკიცებულებად მხოლოდ ის არგუმენტი გამოდგება, რომელიც კონკრეტულ წყაროზე დაყრდნობით წარმართულ არგუმენტირებულ მსჯელობას ეყრდნობა, არის მიზნის ადეკვატური, ნათელი, კონკრეტული, სუბიექტივიზმისგან, ემოციური დამოკიდებულებისგან დაცლილი და არ ასახავს გრძობას, რწმენას, გემოვნებას, რომელთა შემოწმების ობიექტური მექანიზმები, ფაქტობრივად, არ არსებობს. კეთილსინდისიერება, ობიექტურობა (ინტერსუბიექტურობა), ორიგინალობა, აზრობრივი და ენობრივი სიცხადე, ვალიდურობა, გადამოწმებადობა/გამჭვირვალობა, რაც მეცნიერულობის, აკადემიურობის განმსაზღვრელი უმთავრესი კრიტერიუმებია, მიიღწევა საკუთარი თავის კონტროლით და ყველაზე კრიტიკული მკითხველის/მსმენელისადმი მაღალი პასუხისმგებლობით, რაც ყველაზე უკეთ ჩანს არგუმენტირებული მსჯელობის პროცესში.

არგუმენტირება, დასაბუთება, მსჯელობა, ახსნა-განმარტება - ენობრივი ფენომენებია, რომლებიც ნებისმიერ თეორიულ კოტექსტში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ენობრივი მეცნიერული მოდელირების თვალსაზრისით.

არგუმენტირების მეცნიერულ კვლევას დიდი ტრადიცია აქვს, იგი ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდის დროს იქცა ადამიანთა ინტერესის სფეროდ. ბერძნებისა და რომაელებისათვის არგუმენტი იყო დებატების გადაწყვეტისა და ჭეშმარიტების დადგენის გზა. მისადმი მეცნიერული ინტერესი განსაზღვრა იმ ფაქტმა, რომ მეცნიერულ თეორიებში, ფსიქოლოგიაში, ლოგიკაში, რიტორიკაში და ა.შ. განვითარდა არგუმენტების სხვადასხვა კონცეპტები და პერსპექტივები. ამ კონცეპტების სისტემატიზირებას თუ შევეცდებით იგი შესაძლებელია დაიყოს ორ დიდ ჯგუფად: მოსაუბრეზე ორიენტირებული (რიტორიკული, ლოგიკურ-ფორმალური) და ინტერაქციაზე ორიენტირებული (მონაწილეობა, ქმედება) (მორეკ, ჰელერ, ქვესტფოჰ, 2017:13)<sup>1</sup>.

მოსაუბრეზე ორიენტირებული არგუმენტების თეორია კონცენტრირებულია მონოლოგზე და ხშირად მოდელირებულია როგორც საქმიან-ლოგიკური წინადადებების ბმული. აქ არგუმენტაციის ძირითადი სტრუქტურა არგუმენტისა და თეზისის ერთობაა. ეს გაერთიანება ხდება, მაგალითად, წესების, კანონების, ნორმების, აღიარებული ფაქტების, გამოცდილების და ა.შ. საშუალებით. ამ შემთხვევაში კომუნიკაცია არის სუბიექტის ინფორმატიული კავშირი ამა თუ იმ

<sup>1</sup> აქაც და შემდგომ თარგმანი ჩვენია (გ.გ., მ.გ.)

ობიექტთან, რომლის დროსაც სუბიექტი გადასცემს რაღაც ინფორმაციას (ცოდნას, იდეებს, შეტყობინებებს, ბრძანებებს და ა.შ.), ობიექტი მიიღებს, გაიგებს, გაიაზრებს და შესაბამისად მოიქცევა. სუბიექტისთვის ობიექტი არის პასიური. ამ მოდელს ლინგვისტური პრაგმატიკის კვლევები ნაკლებად გამოსადეგად მიიჩნევენ ყოველდღიურ სამეტყველო რეალობაში, რადგან არგუმენტის სრულყოფილება, უმეტესად, ყოველდღიურ, კონტექსტუალურ, ფაქტობრივ მასშტაბებზე გადის.

რაც შეეხება ინტერაქციაზე ორიენტირებულ არგუმენტების თეორიას, იგი არგუმენტირებას ემპირიულად იკვლევს, აქ ფოკუსშია საკითხი, თუ როგორ ხერხდება საუბრის დროს არგუმენტირება და როგორ ხდება არგუმენტირების ავთენტური პროცესის აღწერა [მორეკ, ჰელერ, ქვესტფოჰ, 2017:15-16]. ამ შემთხვევაში ინფორმაცია ცირკულირებს სუბიექტსა და სუბიექტს შორის, რადგან ინფორმაციის გამგზავნი მიმღებში ხედავს არა პასიურ ობიექტს, არამედ პარტნიორ სუბიექტს, რადგან ორივე ერთნაირად აქტიურია და ინფორმაცია არ მცირდება, პირიქით, იზრდება, მრავლდება, მდიდრდება, ფართოვდება გამგზავნიდან მიმღებამდე.

არგუმენტირებული განხილვები და ორგანიზებული სადისკუსიო პროცესები წარმოქმნის დისკურსს, რომელიც გათანაბრებულია საზოგადოებრიობის ცნებასთან. დისკურსის ანალიზის პერსპექტივებიდან არგუმენტირება დისკურსული პრაქტიკაა, ანუ იგი რეალიზდება სპეციფიკურ კონტექსტში (კონტექსტუალიზდება), წარმოიშვება ინტერაქტიულად, ვითარდება, მოდელირდება და ინტერაქციაში მონაწილეთა მიერ ხდება მისი, როგორც არგუმენტირების აღქმა [გარფინკელ, 1967:33-34]. დისკურსები განსაზღვრავენ რეალობას, რომელშიც ვცხოვრობთ და პირიქით, ჩვენი რეალობა განაპირობებს დისკურსების ფორმირებას. დისკურსები აყალიბებენ კონკრეტულ სოციუმს და ახდენენ მის ტრანსფორმაციას. ისინი ასევე ქმნიან სოციალურად თვითმყოფად სტრუქტურებს, სოციალურ ურთიერთობებს, ცოდნის სისტემებს და დისკურსულ ფორმაციებს. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ენობრივი გამოხატვის კონვენციების ქსელს და დაკავშირებულია სოციალურ ინსტიტუციებთან [კელერ, 2007: 44-45]. არგუმენტირების პროცესში მონაწილეებს თანაბარი საუბრის უფლება აქვთ, პროპონენტიც და ოპონენტიც შეიძლება ფლობდეს და იყენებდეს არგუმენტირების თანაბარ საშუალებებს (დასაბუთება, დათანხმება, შეკითხვა, დაპირისპირება), რაც ქმნის და განსაზღვრავს არგუმენტაციის მსვლელობას. აქედან გამომდინარე, არგუმენტირება ქმნის დისკურსულ პრაქტიკას, რომლის საშუალებითაც ინტერაქციაში მონაწილეები საზოგადოებისთვის რელევანტურ პრობლემებს განიხილავენ და ამისათვის იყენებენ სხვადასხვა კომუნიკაციური ჟანრებისთვის დამახასიათებელ რესურსებს, ფორმებს, მეთოდებს (მრგვალი მაგიდა, დისკუსია, დებატები, გონებრივი იერიში, როლური თამაშები, სიტუაციური ანალიზი და ასე შემდეგ). კულტურულ სოციოლოგიაში კომუნიკაციური ჟანრის

ცნება აღნიშნავს საუბრისა და ქცევის მყარად ქცეულ ფორმას, რომელიც განსხვავდება სპონტანურად წარმოებული კომუნიკაციის ფორმისაგან. სოციოლოგიაში ჟანრი დაწერილი და დაუწერელი (ასევე არასიტყვიერი) ტექსტის ტიპია, რომელიც თავისი არქიტექტონიკით არაფორმალურ წესებსა და ლიტერატურულ პირობითობას მისდევს [ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში, 2016 წელი სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი <http://dictionary.css.ge/>].

თვალსაჩინოებითვის განვიხილოთ ჰაუზენროდრფის და ქვესტჰოფის არგუმენტირების აღწერის მოდელი (ჰაუზენროდრფ / ქვესტჰოფ, 1996:4-5), რომელიც მოიცავს აღწერის სამ დონეს: სამუშაო, საშუალება, ფორმა.

არგუმენტირების აღწერის მოდელი

აღწერის დონე	ფოკუსი და საგანი
სამუშაო	ინტერაქციის ჯგუფი: ერთობლივად შემუშავებული ინტერაქტიული სტრუქტურა
საშუალება	ამხსნელი/რეციპიენტი, პროპონენტი/ოპონენტი, გლობალურ სემანტიკური ტექსტის სტრუქტურები და ქმედებებზე ორიენტირებული სვლა
ფორმა	ენობრივი რეალიზება: პროსოდული (ვერსიფიკაციული), ლექსიკური, მორფოსინტაქსური, სხეულის ენა და ა.შ.

„სამუშაოს“ დონეში მოიაზრება მეტაფორა „კონვერზაციული მუშაობა“, საურთიერთო, კომუნიკაციური საუბარი, რომელიც გაიგივებულია „დისკუსიის“ ცნებასთან და გულისხმობს ინტერაქციის მონაწილე სუბიექტებს შორის აზრების გაცვლა-გამოცვლას. ამ დონეზე აღნიშნულ მოდელში აღწერილია კონტექსტისაგან თავისუფალი საუბრის სტრუქტურა, ზოგადად საუბარი ორ ან რამდენიმე პირს შორის, რომლებიც სხვადასხვა სახით და ფორმით შედიან ერთმანეთთან ურთიერთობაში: საუბარი ლექტორსა და სტუდენტს შორის, სტუდენტებს შორის, კოლეგებს შორის, დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის, მომხმარებელსა და გამყიდველს შორის, მეგობრებს შორის, მეზობლებს შორის და ა.შ. განსხვავებულია საუბრის სურვილი, მიზანი, მოტივაცია. კონვერზაციული, იგივე ინტერაქტიული მუშაობა/სწავლება თავის თავში გულისხმობს კომუნიკაციური კომპეტენციის უნარის განვითარებას, რომელშიც მოიზარება როგორც პრაგმატული კომპეტენცია, ასევე სტრატეგიული კომპეტენცია და არგუმენტირების კომპეტენცია. ინტერაქციის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ჯგუფის წევრების მხრიდან საუბრის რელევანტური სახეებისა და ფორმების შერჩევას, რაც განსაზღვრავს ინტერაქტიულ

სტრუქტურას და განაპირობებს საქმიანობის („სამუშაოს“) წარმართვას მოცემული მიზნის მისაღწევად.

არგუმენტირების აღწერის ზემოხსენებული მოდელის მიხედვით, ამ პროცესის მიმდინარეობა დამოკიდებულია ჯგუფში ჩართული მხარეების მხრიდან ინტერაქციის განხორციელების „საშუალებებზე“, ეს შეიძლება იყოს: ამხსნელი/რეციპიენტი(მიმღები), პროპონენტი/-ოპონენტი, გლობალურ სემანტიკური ტექსტის სტრუქტურები და ქმედებებზე ორიენტირებული სვლა, სადაც შეიძლება გამოვიყენოთ როგორც მოსაუბრეზე ორიენტირებული არგუმენტირების მეთოდი, ისე ინტერაქციაზე ორიენტირებული არგუმენტირების მეთოდი, სადაც საკმარისი არაა მხოლოდ კონკრეტული სადავო თუ არასადავო საკითხის წამოჭრა ან საინტერესო საკითხის წამოწევა, არამედ გასაგები, ნათელი ენა, კორექტულობა, პუნქტუაცია და ორთოგრაფია.

ფორმის ანალიზი ფოკუსირებულია ინტერაქციაში მონაწილეთა ენობრივი საშუალებების ფორმებზე, რაც დიალოგში ჩართული მონაწილე სუბიექტების მხრიდან, გარდა შინაარსობრივი მხარისა, ენობრივი ფორმების დახვეწა-სრულყოფაზე ზრუნვასაც გულისხმობს. ქმედითი და სათანადო კომუნიკაციის მახასიათებლად მიიჩნევა ენობრივი, სოციო-ლინგვისტური და გადმოცემის უნარები. ეს უკანასკნელი აუცილებელია დისკურსისა და წერილობითი ტექსტების კონკრეტულ საკომუნიკაციო მიზნებზე მორგებისათვის. არგუმენტაცია და კრიტიკული გააზრება, პირველ რიგში, გულისხმობს კონკრეტულ ინტერაქციულ ჯგუფში, სოციალურად მისაღები ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის საყოველთაოდ აღიარებული პირობების ცოდნასა და კრიტიკული გააზრებას. როგორც საშუალებები, ასევე ფორმები კავშირში არიან რომელიმე ჟანრის ინტერაქციულ როლთან.

არგუმენტირებულ ტექსტში ნარატიული და დესკრიფციული ტექტებისაგან გასხვავებით საქმე ეხება მიზეზებს, მიზეზობრიობას ვიწრო გაგებით და ფართო გაგებით პირობითობას, ფინალურობას და შედეგობრიობას [იხ.ზოტა 2005, გვ. 150]. არგუმენტაცია არის თანმიმდევრული პროცესი საკითხის დასმით, დასაბუთებითა და შეჯამებით. არგუმენტირება იწყება თეზისით, რომელიც გამყარებულია რაიმე მტკიცებულებით/ მტკიცებულებებით. შეიძლება მას მოსდევდეს ასევე საპირისპირო თეზისი/თეზისები, რასაც მოყვება მოკლე შეჯამება. ლინგვისტური არგუმენტირება უნდა იყოს დასკვნითი და არაწინააღმდეგობრივი. მომდევნო სამი გრაფიკით გთავაზობთ რომტაინის მიერ შემოთავაზებულ არგუმენტაციის შესაძლო პროცესებს [რომტაინ, 2011]

#### პროცესი 1

თეზისი
მტკიცებულება
შეჯამება

## პროცესი 2

თეზისი
მტკიცებულება/ ამ მტკიცებულების საწინააღმდეგო მტკიცებულება
შეჯამება

## პროცესი 3

თეზისი
საწინააღმდეგო მტკიცებულება
შეჯამება

თეზისის დადასტურებისა თუ უარყოფისთვის არსებობს ორი შესაძლებლობა: 1) ემპირიული მტკიცებულება, მაგ., მაგალითები, ექსპერიმენტის შედეგები, წყაროები და ა.შ. 2) მცდელობა, თეზისის სისწორე ან მცდარობა დადასტურდეს თეორიული არგუმენტებით. ორივე შემთხვევაში ვარგისიანია ზემოთ მოცემული არგუმენტების პროცესი.

ტოულმინი არგუმენტების სტუქტურას შემდეგი მაგალითებით აღწერს:

პირველ მაგალითში საკამათო საკითხი/თეზისი შემდეგნაირად არის ფორმულირებული:

„იოახიმ ლოვი ნაციონალურ გუნდს წარმატებას მოუტანს.“

ეს მოსაზრება შემდეგი არგუმენტითაა მხარდაჭერილი: „ლოვი არის კარგი ტრენერი“, რასაც მოჰყვება ლოგიკური მოლოდინია, ლოგიკური თანმიმდევრულობა: „კარგ ტრენერს გუნდი წარმატებისკენ მიჰყავს“. არგუმენტი შესაძლებელია სხვა ფაქტებით ან ფაქტორებით გამყარდეს, მაგ.: „როცა ის იყო ლისმანის ასისტენტი, გერმანიის გუნდი ნახევარ ფინალამდე მივიდა.“

ლოგიკური თანმიმდევრულობა: „ამიტომ ის, როგორც ტრენერი, გუნდს მეტ წარმატებას მოუტანს“.

მეორე მაგალითში საკამათო საკითხია: „მზის ენერჯის გამოყენება კლიმატის დაცვას ემსახურება“

მოსაზრება შეიძლება გავამყაროთ შემდეგი არგუმენტით: „მზის ენერჯია არ გამოყოფს CO<sub>2</sub>“. ლოგიკური თანმიმდევრულობა: „თუ არ გამოყოფს CO<sub>2</sub>, მაშინ კლიმატი დაცულია“

არგუმენტის დამატებითი მხარდაჭერი პოზიცია: „მზის პანელები კონვენციონალური ენერჯის მწარმოებელი დანადგარებისაგან განსხვავებით უფრო გამძლეა“

ლოგიკური თანმიმდევრულობა: ამიტომ მზის ენერჯია ემსახურება კლიმატის დაცვას.

[იხ. ტოულმინ 1975, გვ 89-91].

როშტაინი გვთავაზობს ასევე არგუმენტირებული წერის პროცესში საკუთარი თეზისების პრეზენტაციის დროს რა უნდა იყოს გათვალისწინებული:

- ენობრივად როგორ ჩამოყალიბდეს თეზისი?
- შესაძლებელია თუ არა ამ თეზისის მტიცებულებებით გამყარება?
- არსებობს თუ არა საპირისპირო მტიცებულება?
- გათვალისწინებულია თუ არა ემპირიული შესაძლებლობები თეზისის

დასადასტურებლად ან უარსაყოფად ?

• სამეცნიერო ნაშრომი აჩვენებს თუ არა ნათელ, მკითხველისათვის გასაგებ არგუმენტების გზას?

- დასახელებული არგუმენტი არის თუ არა სადაო? [როშტაინი, 2011 : 62-63].

რაც შეეხება არგუმენტების თანმიმდევრულობას, როგორც აკადემიური წერის სპეციალისტები აღნიშნავენ, არ არსებობს რაიმე მკაცრი წესი, თუმცა არსებობს გარკვეული რეკომენდაციები, რაც ეფუძნება ანალიტიკური წერის საერთაშორისო გამოცდილებას. მაგალითად, ღია წულაძე სახელმძღვანელოში „აკადემიური წერა“ გვთავაზობს არგუმენტების წარდგენის შემდეგ თანმიმდევრობას:

- სიძლიერით მეორე ადგილზე მდგომი არგუმენტი;
- ნაკლებად ძლიერი არგუმენტი;
- ნაკლებად ძლიერი არგუმენტი;
- ყველაზე ძლიერი არგუმენტი;

ამგვარ თანმიმდევრულობას ავტორი მკითხველზე შთაბეჭდილების მოხდენის კარგ საშუალებად და პრაქტიკად მიიჩნევს. მისი აზრით ერთი მხრივ: „ადამიანებს პირველი და ბოლო პუნქტები ყველაზე უკეთ ამახსოვრდებათ, მეორე მხრივ, კი ყველაზე ძლიერი არგუმენტით დაშთაბეჭდვის შემთხვევაში, მკითხველს ვაფიქრებინებთ, რომ არათუ იდეები ამოგვეწურა, არამედ შეგვწევს უნარი კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი წარმოვადგინოთ“ [წულაძე, 2006:18]. თუმცა, როგორც აღნიშნა, არგუმენტების თანმიმდევრულობა და, ზოგადად, არგუმენტირებული მსჯელობის (როგორც მონოლოგზე ისე ინტერაქციაზე ორიენტირებული) სტრუქტურა მორგებული უნდა იყოს კონკრეტულ სიტუაციაზე, გარემოზე, აუდიტორიაზე და შეესაბამებოდეს კონტექსტს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ არგუმენტი/არგუმენტირების კომპეტენცია, მასში შემავალი კონცეპტები და პერსპექტივები ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია არა მხოლოდ აკადემიური წერის პრინციპებით შექმნილი ნებისმიერი ტიპის ტექსტის ფორმულირებისთვის, არამედ მსჯელობის პროცესში მონაწილე ე. წ. „მოსაუბრე სუბიექტე-

ბის“ ანუ საზოგადოებრივი აქტორების ინტერაქციის სტრუქტურებისთვის. არგუმენტების სტრატეგიული უნარი, როგორც დისკურსული პრაქტიკა, კონკრეტულ სოციუმში, კონკრეტულ დისკურსულ არეალში ამკვიდრებს ყველასათვის სავალდებულ და მნიშვნელოვან ცოდნას და აყალიბებს აზროვნების მყარ სისტემას, რომელიც საბოლოო ჯამში წარმართავს არგუმენტებულ განხილვებსა და ორგანიზებულ სადისკუსიო პროცესებს, რაც ქმნის სოციოკულტურულ სინამდვილეს და საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად აქცევს.

### ლიტერატურა:

1. გარფინკელ, ჰარალდ - Garfinkel, Harold: Studies in ethnomethodology. Englewood Cliffs, N.J.: Prentice-Hall, 1967
2. გოჩიტაშვილი გ, შაბაშვილი გ, შარაშენიზე ნ., - აკადემიური წერა (მეორე გამოცემა). გამომცემლობა „საიმედო“. თბილისი. 2013. 261 გვ.
3. ზიტე, ჰორსტ -Sitta, Horst: Sachtexte im Deutschunterricht? Wozu? Welche? Ein Plädoyer für stärkere Berücksichtigung argumentativer Texte im gymnasialen Deutschunterricht. In: Martin Fix / Roland Jost (Hg): Sachtexte im Deutschunterricht. Baltmannsweiler, Hohengehren 2005, S 150-159.
4. კელერი, რაინერ - Keller 2007: Keller, R. Diskursforschung. Eine Einführung für SozialwissenschaftlerInnen. 3., aktual. Aufl. Wiesbaden: Verlag für Sozialwissenschaften.
5. მარიონ მორეკ, ვივიენ ჰელერ, უტა ქვესტჰოფ - Mariam Morrek, vivien Heller, Uta Quasthoff: Erklären und argumentieren. Modellierung und empirische Befunde zu Struktur und Varianzen. In: Iris Meißner, Eva Lia Wyss (Hg): Bergunden – Erklären – argumentieren. Tübingen 2017
6. მროცეკ-ბეკერ, მიხაელ/ შნაიდე, ფრანკ/ტეტლინგ, კლაუზ - Becker-Mrotzek, Michael/ Schneider, Frank/ Tetling, Klaus: Argumentierendes Schreiben – lehren und lernen. Vorschläge für einen systematischen Kompetenzaufbau in den Stufen 5 bis 8. In: Fachliche Unterrichtsentwicklung Deutsch | Einführung. [https://dev-schulentwicklung.qua-lis.de/cms/upload/netzwerk\\_NfUE/deutsch/argumentieren\\_einfuehrung\\_kurz.pdf](https://dev-schulentwicklung.qua-lis.de/cms/upload/netzwerk_NfUE/deutsch/argumentieren_einfuehrung_kurz.pdf) (10.03.2021)
7. როშტაინ ბიორნ - Rothstein, Björn: Wissenschaftliches Arbeiten für Linguisten (Narr Studienbücher). Narr Verlag, Tübingen 2011
8. ტოულმინ, სტეფან -Toulmin, Stephen: Der Gebrauch von Argumenten. Weinheim. Beltz Athenäum 1996
9. ჰაუზენროფ, ჰეიკე/ უტო ქვეშტჰოფ - Hausendorf, Heiko/ Uta Quasthoff: Sprachentwicklung und Interaktion. Eine linguistische Studie zum Erwerb von Diskursfähigkeiten. Opladen: Westdeutsche Verlag 1996



- 10.წულაძე ლია, - აკადემიური წერა (ინტესიური სემინარი სოციალური მეცნიერებების მაგისტრანტებისთვის). გამომცემლობა „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი“. თბილისი. 2006. 76 გვ.

**Guranda Gobiani, Miranda Gobiani**

### **Argumentation as a discourse practice**

#### **(Didactic and Linguistic concepts)**

#### **Abstract**

Argumentative competence, written or oral argumentation skills are essential in the process of academic non-academic communication. Raising this competence is of particular importance in the education process, which ultimately focuses on promoting the development of general, intercultural communication and strategic learning skills.

The competence to create an argumentative text is complex and includes different dimensions, which means the selection, construction, grouping of arguments, the proper conduct of argumentative reasoning. The systematization of the various concepts and respectives contained in it allows the arguments to be divided into two groups: speaker-oriented and interaction-oriented.

Argumentative discussions and organized discussions processes generate discourse that is equated with the notion of community. Argumentation from the perspective of discourse analysis is a discourse practice, which is realized in a specific context (contextualized), arises interactively, develops, models and is perceived by the participants in the interaction as argumentation.

Strategic reasoning skills, as a discourse practice, instill in everyone in a particular society, in a particular discourse area, mandatory and important knowledge for all and form a solid system of thinking that ultimately leads to reasoned discussions processes.

**Key words:** Argumentation competence, discourse practice, contextualization, interaction, concepts

რეცენზენტი: პროფესორი თ. ლომთაძე

ენათმეცნიერება Linguistic

არქეოლინგვისტიკა

თამარ მახარობლიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

tamar.makharoblidze@iliauni.edu.ge

არქეოლინგვისტიკა არის ენათმეცნიერების ახალი დარგი, რომელიც ქმნის სამყაროს უძველეს სურათს. მაგალითისთვის ავიღოთ მტკვარ-არაქსის უძველესი კულტურა (4000-2000 წელი ქრისტეშობამდე). არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურეს, რომ ეს კულტურა საკმაოდ გავლენიანი გახლდათ და მისი მიგრაციების არქეოლოგიური ვექტორები აღინიშნება როგორც სამხრეთით, ასევე დასავლეთითა და ჩრდილოეთის მიმართულებითაც. რეალურად, ეს გულისხმობს იმ მოვლენას, რომ ამ კულტურიდან ხდება არტეფაქტების გავრცელება აღნიშნული ვექტორების მიხედვით. საყოფაცხოვრებო და საკულტო ნივთები და, საერთოდ, ნებისმიერი არტეფაქტი როგორც ასეთი, მიგრირებს თავისი სახელწოდებით. ეს კი ნიშნავს შემდეგს, რომ ამა თუ იმ კულტურის მიგრაციები იწვევს ენობრივ (კერძოდ, ლექსიკურ) მიგრაციებს. როდესაც ადგილობრივ არქეოლოგიურ კულტურებზე ვსაუბრობთ, აღსანიშნავია, რომ კავკასიის უძველეს მოსახლეობას ძირითადად ადგილობრივი ეთნიკური ჯგუფები შეადგენდა. ამ კულტურათა ჩამოყალიბებისა და მის დაწინაურებაში მნიშვნელოვანი როლი ქართველურენოვან ტომებს ეკავათ.

უძველესი კულტურების მიგრაციები თავისთავად მოიაზრებს საყოფაცხოვრებო და საკულტო ნივთების მიგრირებას თავისი სახელწოდებებით. ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება დიდი ხანია გამოიყენებს სიტყვების რეკონსტრუქციისათვის თავის მეთოდებს და იგივე მეთოდები გამოიყენება არქეოლინგვისტიკის შემთხვევაშიც, სხვაობა იმაშია, რომ არქეოლინგვისტიკა სისტემურად მიჰყვება არქეოლოგიურ ვექტორებს და სიტყვის რეკონსტრუქციისათვის გამოიყენებს უფრო ფართო ლექსიკურ-სემანტიკურ და კულტურულ ფონს. კვლევის ლინგვისტური ვექტორები უნდა გაუყვეს არქეოლოგიურ ვექტორებს. მიგრირებული ნივთი თავისი სახელწოდებით ანუ სიტყვით არის წარმოდგენილი სხვა კულტურაში და

ცხადია, აქ მოვლენათა კომპლექსური ერთობლიობა უნდა გახდეს განხილვის საგანი სიტყვის რეკონსტრუქციისას. ახალ კულტურაში ნივთმა შეიძლება განიცადოს როგორც ფუნქციური, ასევე ენობრივი ცვლილებები. ეს მოსალოდნელიცაა, რადგანაც ყველა ენა და კულტურა თავისთავზე ირგებს ნებისმიერი ტიპის ნასესხობებს - ენობრივსა თუ ყოფითს.

დიდი გამოწვევაა არქეოლოგიური და ლინგვისტური ვექტორების პარალელური დამუშავება და არქეოლინგვისტური ლექსიკონების შექმნა. ამ დარგს შეიძლება ეწოდოს არქეოლოგიური ლინგვისტიკა ან არქეოლინგვისტიკა. იგი შეისწავლის მსოფლიოს უძველეს ენობრივ სურათს. ეს გულისხმობს ინტერდისციპლინარულ კვლევებს, რომელიც მოითხოვს ისტორიის, არქეოლოგიისა და ენათმეცნიერების მაღალი პროფესიული დონის სპეციალისტების თანამშრომლობას, რის საფუძველზეც შეიძლება გამოვლინდეს უძველესი სიტყვა-ძირები და აღდგეს მთელი მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონების ეთნოლინგვისტური და ლინგვოკულტუროლოგიური მოდელების უძველესი სახეები.

**საკვანძო სიტყვები:** არქეოლინგვისტიკა, მტკვარ-არაქსის კულტურა, კულტურათა მიგრაცია

არქეოლინგვისტიკა არის ენათმეცნიერების ახალი დარგი, რომელიც ქმნის სამყაროს უძველეს სურათს. მაგალითისთვის ავიღოთ მტკვარ-არაქსის უძველესი კულტურა (4000-2000 წელი ქრისტეშობამდე). არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურეს, რომ ეს კულტურა საკმაოდ გავლენიანი გახლდათ და მისი მიგრაციების არქეოლოგიური ვექტორები აღინიშნება როგორც სამხრეთით, ასევე დასავლეთითა და ჩრდილოეთის მიმართულებითაც. რეალურად, ეს გულისხმობს იმ მოვლენას, რომ ამ კულტურიდან ხდება არტეფაქტების გავრცელება აღნიშნული ვექტორების მიხედვით. არტეფაქტები დღეს ზოგადი სახელწოდებაა ამა თუ იმ პერიოდის არქეოლოგიური ნივთისა. ხშირად, როდესაც ნივთის ფუნქცია განუსაზღვრელია, არქეოლოგები მას „საკულტო ნივთს“ უწოდებენ. ნებისმიერ ნივთს კი, ცხადია, თავისი ფუნქცია და სახელწოდება ჰქონდა კონკრეტულად. საყოფაცხოვრებო და საკულტო ნივთები და საერთოდ, ნებისმიერი არტეფაქტი როგორც ასეთი, მიგრირებს თავისი სახელწოდებით. ეს კი ნიშნავს, რომ ამა თუ იმ კულტურის მიგრაციები იწვევს ენობრივ (კერძოდ, ლექსიკურ) მიგრაციებს.

გარდა ზემოთ აღნიშნული მტკვარ-არაქსის კულტურისა, ასეთივე ფართო გავლენიანი ადგილობრივი კულტურა იყო შულავერი-შომის კულტურა, რომელიც ქრონოლოგიურად წინ უძღვოდა მტკვარ-არაქსის კულტურას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ასევე კოლხური კულტურა (3000-600 წელი ჩვენს ერამდე), თრიალეთის

კულტურა (მესამე და ადრეული მეორე ათასწლეული ჩვენს წელთაღრიცხვამდე), ბედნი-  
მარტყოფის ადრეული ყორღანების კულტურა (2550 ჩვენს ერამდე) და საქართველოს  
ტერიტორიაზე არსებული სხვა მრავალი უძველესი კულტურა, რომელიც არქეოლოგიურად  
დადასტურებული მასალებითაა განმტკიცებული. გათხრების შედეგად დადგინდა, რომ  
მტკვარ-არაქსისა და შულავერი-შომუ თევზს კულტურები საოცარი სიმდიდრით  
გამორჩეოდა. ეკონომიკა ემყარებოდა მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას (განსაკუთ-  
რებით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ცხვრის მეცხოველეობას). მათ ასევე მოაშენეს  
მარცვლეულისა და ბადის კულტურებიც. როგორც ცნობილია, ეს უძველესი მოსახლეობა  
იყენებდა ფქვილის დასამზადებელ ნივთებს. მათ მოაშენეს პირუტყვი, ცხვარი, თხა, ძაღლი,  
მოგვიანებით კი ცხენები. მათ ჰქონდათ სპილენძი, დარიშხანი, ვერცხლი, ოქრო, კალა და  
ბრინჯაო. ეს კულტურები გახლავთ ადრეული მეტალურგიული განვითარების კულტურები,  
რამაც ძლიერი ზეგავლენა მოახდინა მეზობელ რეგიონებზე. ამ კულტურებში ადრეული  
დროიდან გავრცელდა მევენახეობა-მებაღეობა. გასაკვირი არაა, რომ სიტყვა „ღვინო“  
მსოფლიოს უმეტეს ენებში შესულია ქართული ენიდან (თუმცა ხშირად სხვა ინდოევროპული  
ენების ტრანსფერით). მსოფლიოში მოშინაურებული ყურძნის ყველაზე უძველესი მტკიცე-  
ბულებები ნაპოვნია ე.წ. გადაჭრილ გორაში სოფელ იმირთან სამხრეთ-აღმოსავლეთ  
საქართველოში. კულტურული ადმავლობა, სავარაუდოდ, ადგილობრივი ტრადიციების  
საფუძველზე უნდა მომხდარიყო. მტკვარ-არაქსისა და შულავერი-შომის კულტურების  
ადრინდელ საფეხურზე უნდა ჩამოყალიბებულიყო ძირითადი სამეურნეო და კულტურული  
ტრადიციები, რამაც განაპირობა ამ კულტურების თავისებური ხასიათი და მათი გავრცელება  
ფართო ტერიტორიაზე. როდესაც ადგილობრივ არქეოლოგიურ კულტურებზე ვსაუბრობთ,  
აღსანიშნავია, რომ კავკასიის უძველეს მოსახლეობას ძირითადად ადგილობრივი ეთნიკური  
ჯგუფები შეადგენდა. ამ კულტურათა ჩამოყალიბებისა და მათ დაწინაურებაში მნიშვნელო-  
ვანი როლი ქართველურენოვან ტომებს ეკავათ.

როგორც უკვე ითქვა, უძველესი კულტურების მიგრაციები თავისთავად მოიაზრებს  
საყოფაცხოვრებო და საკულტო ნივთების მიგრირებას თავისი სახელწოდებებით. რასაკ-  
ვირველია, ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება დიდი ხანია გამოიყენებს სიტყვების  
რეკონსტრუქციისათვის თავის მეთოდებს და ეს მეთოდები გამოიყენება არქეოლინგვისტიკის  
შემთხვევაშიც. სხვაობა იმაშია, რომ არქეოლინგვისტიკა სისტემურად მიჰყვება არქეოლო-  
გიურ ვექტორებს და სიტყვის რეკონსტრუქციისათვის გამოიყენებს უფრო ფართო ლექსიკურ-  
სემანტიკურ და კულტურულ ფონს. ამრიგად, არქეოლინგვისტიკის ფარგლებში ლინგვის-  
ტიკური ვექტორები უნდა გაუყვეს არქეოლოგიურ ვექტორებს. მიგრირებული ნივთი თავისი

სახელწოდებით ანუ სიტყვით არის წარმოდგენილი სხვა კულტურაში და ცხადია, აქ მოვლენათა კომპლექსური ერთობლიობა უნდა გახდეს განხილვის საგანი სიტყვის რეკონსტრუქციისას. ახალ კულტურაში ნივთმა შეიძლება განიცადოს როგორც ფუნქციური, ასევე ენობრივი ცვლილებები. ეს მოსალოდნელიცაა, რადგანაც ყველა ენა და კულტურა თავის-თავზე ირგებს ნებისმიერი ტიპის ნასესხობებს - ენობრივსა თუ ყოფითს.

დიდი გამოწვევაა არქეოლოგიური და ლინგვისტური ვექტორების პარალელური დამუშავება და არქეოლინგვისტური ლექსიკონების შექმნა. ამ დარგს შეიძლება ეწოდოს არქეოლოგიური ლინგვისტიკა ან არქეოლინგვისტიკა. იგი შეისწავლის მსოფლიოს უძველეს ენობრივ სურათს. სინამდვილეში ეს იქნება ინტერდისციპლინარული კვლევები, რომელიც მოითხოვს ისტორიის, არქეოლოგიისა და ენათმეცნიერების მაღალი პროფესიული დონის სპეციალისტების თანამშრომლობას. მხოლოდ ასეთი თანამშრომლობით შეიძლება გამოვლინდეს უძველესი სიტყვა-ძირები და აღდგეს მთელი მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონების ეთნოლინგვისტური და ლინგვოკულტუროლოგიური მოდელების უძველესი სახეები.

#### ლიტერატურა:

- The early Trans-Caucasian culture, I.M. Diakonoff, 1984
- Edens, Christopher (Aug–Nov 1995). "Transcaucasia at the End of the Early Bronze Age". *Bulletin of the American Schools of Oriental Research. The American Schools of Oriental Research.* 299/300 (The Archaeology of Empire in Ancient Anatolia): 53, pp. 53–64 [56]. doi:10.2307/1357345. JSTOR 1357345.
- Rothman, Mitchell S. (2015). "Early Bronze Age migrants and ethnicity in the Middle Eastern mountain zone". *Proceedings of the National Academy of Sciences.* **112** (30): 9190–9195. doi:10.1073/pnas.1502220112. PMC 4522795. PMID 26080417.
- Guram Mirtskhulava, Guram Chikovani, PHASE OF TRANSITION TO THE KURA-ARAXES CULTURE IN EASTERN GEORGIA. Problems of Early Metal Age Archaeology of Caucasus and Anatolia. Proceedings of International Conference. Tbilisi, 2014
- Encyclopedic Dictionary of Archaeology – Page 246 by Barbara Ann Kipfer
- Frangipane, Marcella (2015). "Different types of multiethnic societies and different patterns of development and change in the prehistoric Near East". *Proceedings of the National Academy of Sciences.* **112** (30): 9182–9189. doi:10.1073/pnas.1419883112. PMC 4522825. PMID 26015583.
- Geoffrey D. Summers, The Early Trans-Caucasian Culture in Iran: Perspectives and problems. *Paléorient* 2014 Volume 40 Numéro 2 pp. 155-168
- David W. Anthony, The Horse, the Wheel, and Language: How Bronze-Age Riders from the Eurasian Steppes Shaped the Modern World. Princeton University Press, 2010 ISBN 1400831105p298

- Nana Rusishvili, The grapevine Culture in Georgia on Basis of Palaeobotanical Data. Archived 2016-03-04 at the Wayback Machine "Mteny" Association, 2010
- Peter Boisseau, How wine-making spread through the ancient world: U of T archaeologist. June 17, 2015 – news.utoronto.ca
- Batiuk, Stephen D. (2013). "The fruits of migration: Understanding the 'longue dureé' and the socio-economic relations of the Early Transcaucasian Culture". *Journal of Anthropological Archaeology*. **32** (4): 449–477. doi:10.1016/j.jaa.2013.08.002.
- Antonio Sagona. Rethinking the Kura-Araxes Genesis. (2014). pp. 26.
- Philip L. Kohl. The Making of Bronze Age Eurasia. pp. 74, 82.
- D. T. Potts (2012). *A Companion to the Archaeology of the Ancient Near East*. p. 677. ISBN 978-1-4443-6077-6.
- T. V. Gamkrelidze and V. V. Ivanov (March 1990). "The Early History of Indo-European Languages". *Scientific American*. Vol. 262 no. 3. pp. 110–116. Archived from the original on 2014-01-06.
- Thomas V. Gamkrelidze and Vjaceslav V. Ivanov (1995). *Indo-European and the Indo-Europeans. A Reconstruction and Historical Analysis of a Proto-Language and Proto-Culture. Part I: The Text. Part II: Bibliography, Indexes*. In: *Trends in Linguistics. Studies and Monographs [TiLSM]*, 80. Translated by: Nichols Johanna, Preface by: Roman Jakobson. De Gruyter Mouton. 1995 DOI: <https://doi.org/10.1515/9783110815030>
- Renfrew, Colin (2003). "Time Depth, Convergence Theory, and Innovation in Proto-Indo-European". *Languages in Prehistoric Europe*. ISBN 978-3-8253-1449-1.
- Gray, Russell D.; Atkinson, Quentin D. (2003). "Language-tree divergence times support the Anatolian theory of Indo-European origin" (PDF). *Nature*. **426** (6965): 435–9. doi:10.1038/nature02029. PMID 14647380. S2CID 42340. Archived from the original (PDF) on 2011-05-20. Retrieved 2010-07-09.
- David Anthony. *The Horse, the Wheel, and Language: How Bronze-Age Riders from the Eurasian Steppes Shaped the Modern World*. (2007) pp. 98
- Stephen Batiuk, Mitchell Rothman, *Early Transcaucasian Cultures and Their Neighbors*. University Museum of the University of Pennsylvania: Expedition, 2007
- Mascarenhas, Desmond D.; Raina, Anupuma; Aston, Christopher E.; Sanghera, Dharambir K. (2015), "Genetic and Cultural Reconstruction of the Migration of an Ancient Lineage", *BioMed Research International*, **2015**: 1–16, doi:10.1155/2015/651415, PMC 4605215, PMID 26491681
- James P. Mallory, "Kuro-Araxes Culture", *Encyclopedia of Indo-European Culture*, Fitzroy Dearborn, 1997.
- Pamjav (2012), "Brief communication: New Y-chromosome binary markers improve phylogenetic resolution within haplogroup R1a1", *American Journal of Physical Anthropology*, **149** (4): 611–615, doi:10.1002/ajpa.22167, PMID 23115110

- Underhill, Peter A.; et al. (2015), "The phylogenetic and geographic structure of Y-chromosome haplogroup R1a", *European Journal of Human Genetics*, **23** (1): 124–131, doi:10.1038/ejhg.2014.50, PMC 4266736, PMID 24667786
- Rothman, Mitchell S. (2015). "Early Bronze Age migrants and ethnicity in the Middle Eastern mountain zone". *Proceedings of the National Academy of Sciences*. **112** (30): 9190–9195. doi:10.1073/pnas.1502220112. ISSN 0027-8424. PMC 4522795. PMID 26080417.
- Giorgi L. Kavtaradze, *The Chronology of the Caucasus During the Early Metal Age: Observations from Central Transcaucasus 2004*. (alternative site)
- Kura-Arax Pottery – Karnut I (2900-2500 BC) The Kura-Arax Pottery Technology Database (KAPTech)
- The Beginnings of Metallurgy – includes extensive discussion of Kura-Araxes metalworking
- Toby Wilkinson (2009), *Pathways and highways: routes in Bronze Age Eurasia*, ArchAtlas, Version 4.1 – Accessed: 9 November 2015
- Dieneke's Anthropology Blog (2013), *Origin of Early Transcaucasian Culture (aka Kura-Araxes culture)*
- *Problems of Early Metal Age Archaeology of Caucasus and Anatolia*. Proceedings of International Conference; November 19–23, 2014, Georgia; edited by G. Narimanishvili. Tbilisi, 2014 305 pages ISBN 9789941071348
- The spatial organization of craft production at the Kura-Araxes settlement of Köhne Shahar in northwestern Iran: A zooarchaeological approach - PLOS ONE March 4, 2020 - Siavash Samei and Karim Alizadeh
- კიკვიძე ი., მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976;
- საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970;
- ჩუბინიშვილი ტ., ამირანის გორა. მასალები მესხეთ-ჯავახეთის უძველესი ისტორიისათვის, თბ., 1963;
- ჯავახიშვილი ა., დლონტი ლ., ურბნისი, ტ. 1, თბ., 1962;
- ჯაფარიძე ო., ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961;
- ჯაფარიძე ო., ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხებისათვის, თბ., 1976;

Tamar Makharoblidze

**Archeolinguistics****Abstract**

Archeolinguistics is a field of linguistic studies, which creates an ancient picture of the world. For instance: let's talk about the ancient cultures such as Kura–Araxes (Kur–Araz). Archeological excavations in Georgia with the amazing findings of Kura–Araxes (Kur–Araz) Culture, that existed from about 4000 BC until about 2000 BC, and Shulaveri-Shomu Tepe Culture which preceded the Kura–Araxes Culture in this region or Colchian Culture 3000 BCE to 600 BCE, Trialeti Culture late 3rd and early 2nd millennium BC, Bedeni-Martkopi or Early Kurgan Culture before 2550 BC, and many others. The excavations showed that Kura–Araxes Culture and Shulaveri-Shomu Tepe Culture are remarkably wealthy. The economy was based on farming and livestock-raising (especially of cattle and sheep). They grew grain and orchard crops, and are known to have used implements to make flour. They raised cattle, sheep, goats, dogs, and in later phases, horses. They worked with copper, arsenic, silver, gold, tin, and bronze. These archeological cultures show a precocious metallurgical development, which strongly influenced surrounding regions. Viticulture and wine-making were widely practiced in this area from the earliest times. The word 'vine' in many languages worldwide comes from Georgian ('ghvino'). The earliest evidence of domesticated grapes in the world has been found at Gadachrili Gora, near the village of Imiri, southeastern of Georgia; carbon-dating points to the date of about 6000 BC. Grape pips dating back to the V-IVth millennia B.C. were found in Shulaveri; others dating back to the IVth millennium B.C. were found in 'Shulaveri area' in Georgia. Kura-Araxes and Shulaveri-Shomu cultures developed gradually through a synthesis of several cultural traditions, including the ancient cultures of the Caucasus and nearby territories.

Following the archeological vectors we can research the linguistic lexical bases of the transported things and/or customs and traditions, following the archeological path and revealing the historical faces for the worlds reconstructing them with the well-known methods of historical-comparative linguistics, and creating the archeolinguistic dictionaries.

Of course the historical linguistics has already used its methods to reconstruct the words, but archeolinguistics will systemically follow the vectors viewing the wide lexicosemantic and cultural backgrounds, considering the artifacts as the units of the entire system. On the other hand, archeologists give the names to the things they find, but they never get any linguistic consultations or advices. 'A cult item' usually is named a thing with unknown functions - by the archeologists.

The archeological vectors had been spread from this region to the south, west and north, transporting the cultural and household appliances. The migrated things had their names and functions. Of course the names migrated with these things as well. These migrated things have been adopted functionally and linguistically for the each case at the each location. The proposed theory states that linguistic vectors followed archeological ones. The challenge is to study these combined vectors, and the field can be called as 'Archeological linguistics' or 'Archeolinguistics'. Archeological linguistics will study the ancient



linguistic picture of the world. Actually this will be the interdisciplinary studies, which will request the high level professionals in history-archeology and linguistics. The ancient word-roots can be revealed and the full lingvoculutral portrait can be restored for the each region around the globe.

**Key words:** Archeolinguistics, Kura–Araxes culture, Migration of cultures

რეცენზენტი: აკადემიკოსი ა. არაბული

ენათმეცნიერება Linguistic

## Georgian and Language Competition in the Diaspora (Emigrant community)

**Manana Mikadze**

Akaki Tsereteli state University

[manana-mikadze@rambler.ru](mailto:manana-mikadze@rambler.ru)

At the End of the XXth and at the beginning of the XXIst Century the population of Georgia has decreased by 9,1% . This decrease has been influenced by demographic processes as well as by those connected with long-term emigration. In terms of numbers, the largest emigration occurred between 2003 and 2010 when approximately 1,5 mln people left Georgia. Emigration has decreased in recent years; however, every year several tens of thousands of Georgian nationals leave Georgia. For an extended period of time Georgia lacked any systematic studies grounded in statistics regarding the lives of those Georgian nationals who had emigrated; however, in recent years, the number of researchers studying the Georgian Diaspora continues to extend. One of the most extensive studies devoted to researching the life of the diaspora is the study the Georgia's emigrant communities: national identity, translational relationships and the politics of the diaspora, which has conducted in 2014-2016 by a research group from the Ministry of Foreign affairs of Georgia. The Georgian language situation in the diaspora is analyzed based on the statistics from this study.

The Georgian language is one of the fundamental components of Georgian national identity and to which special attention is devoted in language policy as well as in planning documents relating to the diaspora and remigration policies. We have not yet sound such a policy system on official Websites. How does knowledge and use of Georgian change after moving out of Georgia? How is it influenced by competition with other languages? What importance is given by parents to their children's Georgian language profocoency and its maintenance? How is Georgan maintained when living outside of Georgia? Answers to these questions are given in this article based on the most extensive and multifaceted survey data of emigrants from Georgia available to date.

This article characterizes language (Georgian, Russian, English, the language of the country of residence) competition and the Georgian language situation in the Georgian diaspora, based on the experience, assessments and opinions of the member of the diaspora themselves. Three main questions are examined:

- 1) self-assessment by emigrants of their proficiency in different languages;
- 2) language use at home, where language can be chosen freely, as opposed to in public spaces;
- 3) the maintaining of children's Georgian identity abroad – attending Georgian school and diaspora Sunday schools, which are mainly supervised by the Georgian Patriarchate.

The first two questions are analyzed looking at situation before and after emigration, and in his way show how emigration has impacted on language knowledge and use.

The methodology of the study The analysis of the diaspora Georgian language situation is, first of all, based of quantitative results from a survey of emigrants from Georgia conducted between January and December 2012. 2,5 milion Georgiand currently living in 122 countries participated in the survey.

According to 2017 data, 840 000 Georgian emigrants live in different countries of the world. According to VOA, the data was published of the website of the Pew Research Center.

The interactive map that accompanies the material shows, that the largest number of migrants leaving Geprgia – up to 450 000 migrants live in the Russian Federation; 80 000 – in Greece, 70 000 – in Ukraine, 50 --- - in Azerbaijan, 40 000 – in Armenia, 30 000 – in the USA, 20 000 – in Germany, 20 000 – in Cyprus, In Italy – about 10 000 Georgian migrants.

According to the same data, there are less than 10 000 and more than 1 000 migrants at this time in Israel, Spain, Belarus, Turkey, France, Austria, Kazakhstan, Kyrgystan, The United Kingdom, Canada, Belgium, Estonia, Sweden, Latvia, Portugal and rhe Czech Republic.

According to VOA, the data for 1990 were slightly different, although even then most of the Georgian migrants lived in Russia – 660 000 people. Next was Ukraine with 80 000 Georgian immigrants, followed by Azerbaijan with about 70 000 Georgian migrants, Greece with 40 000 and Israel with 30 000 Georgian citizens.

According to the data for 2000, the “Top three” countries with the highest number of Georgian immigrants have not Changed – Russia (630 000), U\*kraine (70 000) and Greece (70 000). Georgia's neighbors are next Azerbaijan – 60 000 and Armenia – 50 000. By 2000 there were an estimated 20 000 Georgians living in Israel and 10 000 in the USA.

As “Voice of America” writes, according to 2010 data, the number of Georgians living in Russia has sharply decreased. If in 2000, there were 630 000 Georgians living in Russia, in 2010 this figure dropped

to 440 000, but Russia was still the first country in the world in terms of the number of Georgian immigrants, followed by Greece – 90 000, Ukraine – 60 000, Azerbaijan – 50 000. Armenia – with 30 000 Georgian inhabitants.

As for the dynamics of the number of Georgian migrants in United States, according to the Pew research Center, if in 1990 there were less than 10 000 Georgian living in the USA, after 20 years this number doubled and in 2010 there were already more than 20 000 Georgian immigrants. By 2017 there were already about 30 000 Georgian living in USA.

At the same time, in order to give a deeper interpretation of particular aspects characterizing the Diaspora Georgian language situation, qualitative data are utilized in this study: from 90 in-depth interviews from five different countries – Russian Federation (25), Ukraine (30), Azerbaijan (30), Italy (15), USA (25) along with 25 interviews with remigrants (Georgian nationals who have returned to Georgia after a number of years spent as emigrants. In the interviews, emigrants and remigrants discussed the experience of Georgian language use outside of Georgia, and Georgian Language weekend school activities, including participation in these. They also discuss the support necessary for regaining Georgian language proficiency and further developing this proficiency after their return to Georgia.

მანანა მიქაძე

### ქართული ენა ენობრივი კომპეტენციები ემიგრანტებში

#### რეზიუმე

XXI ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოს მოსახლეობა შემცირდა 9,1% -ით. ამ შემცირებაზე გავლენა მოახდინა დემოგრაფიულმა პროცესებმა. რაოდენობის მიხედვით, ყველაზე დიდი ემიგრაცია მოხდა 2003 – დან 2010 წლამდე, როდესაც საქართველო დატოვა დაახლოებით 1,5 მილიონმა ადამიანმა.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 2017 წლის მონაცემებით, 840 000 ქართველი ემიგრანტი ცხოვრობს. „ამერიკის ხმის“ ინფორმაციით, აღნიშნული მონაცემები „პიუს კვლევითი ცენტრის“ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

ინტერაქტიური რუკა, რომელიც მასალას ახლავს, აჩვენებს, რომ საქართველოდან წასული ყველაზე მეტი – 450 ათასამდე მიგრანტი რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობს; 80 000 – საბერძნეთში, 70 000 – უკრაინაში, 50 000 – აზერბაიჯანში, 40 000 – სომხეთში, 30 000 – ამერიკაში, 20 000 – გერმანიაში. 20 000 – კვიპროსზე, იტალიაში კი – დაახლოებით 10 000 ქართველი მიგრანტია.

ამავე მონაცემებით, 10 000-ზე ნაკლები და 1000-ზე მეტი მიგრანტია ამ დროისთვის ისრაელში, ესპანეთში, ბელორუსში, თურქეთში, საფრანგეთში, ავსტრიაში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, გაერთიანებულ სამეფოში, კანადაში, ბელგიაში, ესტონეთში, შვედეთში, ლატვიაში, პორტუგალიასა და ჩეხეთში.

„ამერიკის ხმის“ ინფორმაციით, 1990 წლისთვის მონაცემები მცირედით განსხვავებული იყო, თუმცა მაშინაც ქართველი მიგრანტების უდიდესი ნაწილი რუსეთში ცხოვრობდა – 660 000 ადამიანი. შემდეგი იყო უკრაინა – 80 000 ქართველი იმიგრანტით, მომდევნო აზერბაიჯანი, სადაც ამ დროისთვის 70 000-მდე ქართველი მიგრანტი ცხოვრობდა, საბერძნეთი – 40 000 და ისრაელი – საქართველოს 30 000 მოქალაქით.

2000 წლისთვის არსებული მონაცემებით კი, იმ ქვეყნების „ტოპ-სამეული“, სადაც ყველაზე მეტი ქართველი იმიგრანტი იყო, არ შეცვლილა – რუსეთი (630 000 ), უკრაინა (70 000) და საბერძნეთი (70 000). მომდევნო ქვეყნებს შორის არიან საქართველოს მეზობლები – აზერბაიჯანი (60 000) და სომხეთი (50 000). 2000 წლისთვის, როგორც ჩანს, 20 000-მდე ქართველი ცხოვრობდა ისრაელში, შეერთებულ შტატებში კი – 10 000.

როგორც „ამერიკის ხმა“ წერს, 2010 წლის მონაცემებით, რუსეთში მცხოვრებ ქართველთა რაოდენობა მკვეთრად შემცირდა. თუკი 2000 წლის მონაცემებით, რუსეთში 630 000 ქართველი ცხოვრობდა, 2010 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 440 000-მდე დაიკლო, თუმცა რუსეთი მაინც პირველი ქვეყანა იყო მსოფლიოში ქართველი იმიგრანტების რაოდენობის მიხედვით, რომელსაც მოჰყვებოდა საბერძნეთი – 90 000, უკრაინა – 60 000, აზერბაიჯანი – 50 000, სომხეთი – 30 000 ქართველი მცხოვრებით.

ამავდროულად, დიასპორის ქართული ენის მდგომარეობის დამახასიათებელი კონკრეტული ასპექტების გასარკვევად, ამ კვლევაში გამოყენებულია თვისობრივი მონაცემები: ინტერვიუებები იყვნენ ხუთი სხვადასხვა ქვეყნიდან – რუსეთის ფედერაცია (25), უკრაინა (30) აზერბაიჯანი (30), იტალია (15), აშშ (25) და 25 ინტერვიუერი რემიგრანტი. საქართველოს გარეთ ენის გამოყენება და ქართული ენის შაბათ-კვირის სკოლაში ჩატარებული ღონისძიებები, მათში მონაწილეობის ჩათვლით.

რეცენზენტი: პროფესორი ი. ხომკო

ენათმეცნიერება Linguistic

## რეალური და მხატვრული დროის ურთიერთმიმართება

ნინო ოყრეშიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: [ninooqreshidze@gmail.com](mailto:ninooqreshidze@gmail.com)

მხატვრული ნაწარმოებისათვის დროის კატეგორიის მნიშვნელობა პოეტიკის თვალსაზრისით პირველ რიგში გამოიხატება იმაში, რომ თხრობის დროითი ორიენტაცია განსაზღვრავს ნაწარმოების ავტორის მიერ გამოყენებულ ენობრივ საშუალებათა ხასიათს. თხრობის ტემპორალური ორიენტაცია - ერთ-ერთი ნიშანია, რომელიც პირველ პირში მიმდინარე თხრობას მესამე პირში მიმდინარე თხრობისაგან განასხვავებს. პირველ პირში მიმდინარე თხრობაში მთელი ტექსტი ორიენტირებულია მთხრობელის დროით გამოცდილებაზე. მისი ტემპორალური და სივრცითი მდგომარეობა განსაზღვრავს დროით და სივრცით მიმართებებს (time space system) ნაწარმოებში. მესამე პირში მიმდინარე თხრობაში ასეთი ორიენტაცია არ არსებობს. მოვლენები უბრალოდ გადმოცემულია როგორც მომხდარი მოვლენები.

მხატვრული დრო - ეს არის აღქმის სამი მექანიზმის - ავტორის, მკითხველის და პერსონაჟების ურთიერთმიმართება, შეკვრა. მხატვრული დრო იმდენად მოვლენათა კალენდარულ აღნუსხვას მხატვრული დროის ტიპოლოგიურ თავისებურებას ვადგენთ მათი შედარების საფუძველზე რეალური დროის ფუნდამენტურ თვისებებთან. რეალური დროისადმი მიმართვა უწყობს ხელს მხატვრული დროის გააზრებას, მისი თავისებურების გაცნობიერებას. მხატვრული დროის ინვარიანტული თვისებების გაგებისთვის საკმარისი არ არის რეალური (ობიექტური) დროისადმი მიმართვა. გათვალ კი არ წარმოადგენს, არამედ მოვლენათა ურთიერთმიმართების, მათ შორის ასოციაციური, მიზეზ-შედეგობრივი, ფსიქოლოგიური კავშირების დადგენას. დროის აღნუსხვა მხატვრულ ნაწარმოებში არ ემთხვევა, ან შეიძლება არ ემთხვეოდეს ისტორიულ ქრონოლოგიას. გათვალისწინებული უნდა იქნეს აგრეთვე პერცეპ-

ტულური დროის თავისებურებები. ობიექტური დრო განეკუთვნება ობიექტურად არსებული გარესამყაროს სფეროს, პერცეპტუალური - რეალური სინამდვილის ცალკეული ინდივიდის მიერ აღქმის სფეროს. თუ ობიექტური დროის საფუძველს წარმოადგენს არსებული გარესამყარო, პერცეპტუალური დროის საფუძველი შეიძლება ემოციები იყოს. მას აგრეთვე უწოდებენ ემოციურ დროს. ჩვენს ცნობიერებაში დროის ასახვა რთული გზით ხდება. დროის ჩვენეული შეგრძნება, დროთა სეგმენტების ხანგრძლივობის შეფასება ობიექტურ დროს ყოველთვის არ შეესაბამება. იგი ყველა ადამიანს განსხვავებული აქვს. ხშირად ერთი და იგივე ადამიანი განსხვავებული სიტუაციების მიხედვით (აღზნებადობა, დაღლა) დროს სხვადასხვაგვარად შეიგრძნობს. რეალური დროის ობიექტური მსვლელობა, რომელიც ობიექტურ სინამდვილეში უცვლელი რჩება, პერცეპტუალურ დროში ექვემდებარება ცვლილებებს - შენელებას ან დაჩქარებას. პერცეპტუალური დრო კიდევ უფრო მეტად სცილდება რეალურს წარმოსახვით მოვლენებში (მოგონებები, სიზმრები და ა.შ.) პერცეპტუალური დროის ამ თავისებურებებმა წარმოშვა მოსაზრებები დროის ფუნქციობის შესახებ ორ განსხვავებულ დონეზე - ზოგადბიოლოგიურსა და ფსიქოლოგიურზე. აღნიშნული დროის ეს განსაკუთრებული თვისებები მნიშვნელოვანია მხატვრული და გრამატიკული დროის ხასიათის გაგებისათვის ისეთ გამოვლინებაში, როგორცაა პერსონაჟის დროის გამოცდილების რეკონსტრუქცია.

რეალური დროის ერთ-ერთ ყველაზე აშკარა თვისებას ერთგანზომილებიანობა წარმოადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ დროის ღერძზე მოვლენების განლაგების განსაზღვრისათვის საკმარისია ერთიკოორდინატი: ათვლის დათქმული წერტილიდან მანძილის აღნიშვნა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეალურ დროს აქვს ერთგანზომილებიანი თვისება და შეიძლება წარმოდგენილი იქნეს გეომეტრიული ხაზის სახით. ერთგანზომილებიანობის საფუძველს წარმოადგენს ის, რომ დრო არის ნებისმიერი ფიზიკური მოვლენის, ხდომილების მეოთხე განზომილება. ეს არის ის პარამეტრიც, რომელიც საჭიროა სამი სივრცითი პარამეტრის გარდა. მხატვრული დრო შეიძლება იყოს მრავალგანზომილებიანი. მხატვრული დროის მრავალგანზომილებიანობა დასტურდება იმ ნაწარმოებებში, რომლებშიც მოქმედება ვითარდება პარარელურად რამდენიმე ადგილას, სხვადასხვა დროს. დროთა მრავალგანზომილებიანობა არა მარტო ასეთი კომპოზიციის მქონე ნაწარმოებებში კი არ ვლინდება, არამედ ისეთ ნაწარმოებებშიც, რომლებშიც ინდივიდუალურ დროის სისტემათა სიმრავლეა, გადამკვეთი ან პარარელური სიუჟეტური ხაზებია, სადაც მოვლენათა დროში განლაგების განსაზღვრისათვის საჭიროა ათვლის რამდენიმე წერტილი. მხატვრული დროის მრავალგანზომილებიანობის დასტურს წარმოადგენს ის, რომ ისინი ერთ თანმიმდევრობაში მოექცნენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დრო მრავალგანზომილებიანია, თუ არ არსებობს უნივერსალურ დროთა წყობა „უფრო

ადრე ვიდრე“ და „უფრო გვიან ვიდრე“ მაშინ უნდა არსებობდეს ათვლის ერთიანი სისტემა და მოვლენათა თანმიმდევრობა.

მხატვრული დრო მოიაზრება როგორც სამყაროს შეცნობის განსაკუთრებული ფორმა, რომელშიც შერწყმულია რეალური, პერცეპტუალური და ინდივიდუალური დროის თავისებურებები. მხატვრული დრო არ წარმოადგენს რეალური დროის ზუსტ ასახვას. სინამდვილეში რეალური დროის ასახვას წარმოადგენენ ჩვენი წარმოდგენები რეალური დროის შესახებ. საერთოდ შემოქმედებითი წარმოსახვით შექმნილ სახეებს ყოველთვის არ გააჩნიათ ობიექტური ანალოგები. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სფინქსისა და კენტავრის სახეები, რომელთაც არ გააჩნიათ პირდაპირი ანალოგები გარესამყაროში. თუმცა ის სახეებიც, რომლებსაც არ გააჩნიათ ობიექტური ანალოგები რეალიათა სამყაროში, წარმოიქმნებიან სინამდვილიდან აღებული სახეებისა და სახეთა ფრაგმენტების უჩვეულო კომბინაციის საფუძველზე.

რეალური დროის კიდევ ერთ თვისებას წარმოადგენს უწყვეტობა. დრო მოიაზრება როგორც წყვეტილობისა და უწყვეტობის ერთიანობა. როგორც მატერიის არსებობის ფორმა, ობიექტური დრო უწყვეტია, რადგანაც მატერია მარადიული და უსასრულოა. იგი არ ქრება და არ იქმნება ხელახლა. მხატვრული დროც წარმოადგენს წყვეტილობისა და უწყვეტობის ერთიანობას. მხატვრული დრო უწყვეტია, რადგანაც იგი შეიძლება იყოს მოვლენათა ნაკადი, როგორც მოვლენათა ცალკეული ეტაპის, თხრობის მონაკვეთების მთლიანობა. ამრიგად, როგორც რეალური, ისე მხატვრული დრო წყვეტილობისა და უწყვეტობის ერთიანობას წარმოადგენს. შემდეგი თვისება ობიექტური დროისა, რომელსაც მხატვრულ დროსთან ერთად განვიხილავთ, მოძრაობაა. დრო არ არის სტატიკური, იგი მოძრაობს. ეს ობიექტური დროის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო თვისებაა. მოძრაობა - მატერიის არსებობის ფორმაა. სივრცე და დრო არ არსებობს იქ, სადაც არ არის მოძრაობა მატერია. მხატვრული დრო რეალურისაგან განსხვავებით შეიძლება შეჩერებულ იქნას ავტორის მიერ.

რეალური დროის კიდევ ერთ ფუნდამენტურ თვისებას წარმოადგენს შეუქცევადობა (ერთმიმართულებიანობა); დრო უბრალოდ კი არ მოძრაობს, არამედ მოძრაობს წარსულიდან მომავლისაკენ. ობიექტური დრო შეუქცევადია და შეიძლება ვითარდებოდეს მხოლოდ ერთი მიმართულებით. პერცეპტუალური დრო შეიძლება შებრუნდეს - მოგონებები, წარმოსახვის მოვლენები, სიზმარი. მხატვრული დრო - შექცევადი ანუ ერთმიმართულებიანია. შეუქცევადობა მხატვრული დროის ერთ-ერთი თავისებურებაა.

ამრიგად, ინდივიდუალური დრო ისე, როგორც რეალური დრო ისწრაფვის თავის დინების პროცესში ერთი მიმართულებით - თავიდან ბოლომდე, წარსულიდან მომავლისაკენ ახლანდელის გავლით. მხატვრული დრო შეიძლება იყოს მრავალმხრივ მიმართული.



ინდივიდუალური დრო შეუქცევადია, შეუძლებელია წარსულის დაბრუნება. მხატვრული დრო კი შექცევადია. რეალური დრო ერთგანზომილებიანია, მხატვრული დრო კი - მრავალგანზომილებიანი.

#### ლიტერატურა:

1. მეგრელიშვილი, მ. ზმნის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ინგლისურ ენაში. თბილისი, 1986.
2. Balmer, T. Logical Grammar. Amsterdam:North Holland, 1978.
3. Baker, C.L. English Syntax. London: The MIT Press, 1989.
4. Blokh, M.Y. A Course in Theoretical English Grammar, 1983.

**Nino Okreshidze**

#### **The interrelationships between the real and imaginative (fiction) time**

##### **Abstract**

This article deals with the problem of interrelationships between the real and imaginative time. The orientation of time in narration is defined by the feature of the linguistic means used by the author. Imaginative time is the unity of interrelationships between the author, the reader and the characters. Imaginative time is connected with perceptual time more closely rather than the real time. The main characteristic feature of the real time is the fact that it is one-dimensional. Imaginative or fiction time can be multi-dimensional. So, time relation problem is one of the most serious. It is conditioned by the fact that category of time is very complex itself and besides, it is defined as multi-aspect category.

რეცენზენტი: პროფესორი ნ. კირვალიძე

ენათმეცნიერება Linguistic

## ემოციის გადმოცემის ლინგვისტური საშუალებები ტექსტში

(მოთხრობების „A Friend on the Line“ და „The Blanket“- ის მასალაზე)

ნინო სარაჯიშვილი, გიორგი ყუფარაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: [nino.sarajishvili@yahoo.com](mailto:nino.sarajishvili@yahoo.com); [kuparadze.george@gmail.com](mailto:kuparadze.george@gmail.com)

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია ნაწარმოების პერსონაჟთა შინაგანი სამყარო, მათი სულიერი თუ ემოციური მდგომარეობის სრული სურათის აღწერა იმ ენობრივი საშუალებებით, რომლებსაც ავტორები იყენებენ მთავარ გმირთა პიროვნული ხატის სრულად ჩვენებისა და მკითხველის მიერ ზედმიწევნითი სიზუსტით აღქმის მიზნით.

ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ სტრუქტურულ-სემანტიკური დინამიკისა და პრაგმატისტული ანალიზის მეშვეობით განსაკუთრებული აქცენტი (მინიშნება) კეთდება პრაგმატისტულ ასპექტზე ანუ იმაზე, თუ რა ინფორმაციაა ჩადებული ადრესანტის (პერსონაჟის) მიერ ამა თუ იმ ემოციის გამოხატვისას და როგორ აღიქვამს ადრესატი (მკითხველი) გადმოცემულ ინფორმაციას იმ ენობრივ საშუალებათა საფუძველზე, რომელთაც იყენებს ნაწარმოების გმირი მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში.

წინა პლანზე წამოვწიეთ ძირითადი ემოციებისათვის და ემოციის შემცველი ენობრივ საშუალებათა სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელები. ემოციათა გამოხატვის პრაგმატისტული პოტენციალის კვლევა ნამდვილად ღირებულია მხატვრული ტექსტის პრაგმატისტის-ტიკისათვის, სხვადასხვა ხალხთა ისტორიის კვლევისათვის, რაც უცილობლად ასახავს თანამედროვე ენათმეცნიერების ამოცანათა ფართო სპექტრს.

კვლევის შედეგად ასევე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მხატვრულ ტექსტში ემოციური დატვირთვა/შეფერეილობა შეიძლება გამოყენებულ იქნას პერსონაჟის მეტყველების კულტურის

უკეთ წარმოჩინებასა და აღქმაში, რაც გულისხმობს ნაწარმოების გმირთა მიერ, ინტერაქციის დროს, ემოციათა გამოხატვის საშუალებათა გამოყენების მართებულობას.

**საკვანძო სიტყვები:** ემოციური მდგომარეობა, ლიტერატურული ტექსტი, პიროვნული ხატი, სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელები, დატვირთვა/შეფერილობა

ინდივიდის ემოციები და მათი ენობრივი გამოხატვის მექანიზმები მუდამ იყო მეცნიერული კვლევის საგანი. ამ ფენომენს იკვლევს არაერთი მეცნიერება. მათ შორისაა: ფსიქოლოგია, ფიზიოლოგია, სოციოლოგია, ეთიკა, მედიცინა, ბიოქიმია, ლინგვისტიკა, ლიტერატურათმცოდნეობა. ემოციის გამოხატვის საშუალებათა სემანტიკის აღწერა შეიძლება გამოყენებულ იქნას ნებისმიერ მხატვრულ ნაწარმოებში, სადაც განვიხილავთ და ვაანალიზებთ ტექსტს, წარვმართავთ მისი ლექსიკური და სემანტიკური ერთეულების კვლევას სხვადასხვა კუთხით. მხატვრულ ნაწარმოებებს, კერძოდ, მოკლე მოთხრობებს (**British and American short stories**), განვიხილავთ ფრთხილად და, ამავდროულად, კრიტიკულად; ტექსტის სწორად გააზრებასა და ინტერპრეტაციაში გვეხმარება თეორიული ცოდნა და გამოცდილება. აგრეთვე, ძალიან მნიშვნელოვანია ამოცნობა იმ ლინგვისტური, სტილისტური საშუალებებისა, რომლებსაც ავტორი საკუთარ ტექსტში იყენებს ამ უკანასკნელის სწორად გაგებისა და აღქმის თვალსაზრისით. უნდა ვაღიაროთ, რომ სწორედ მწერლის ენა გვეხმარება მოქმედ პირთა სახეების გახსნაში, მათი გრძნობებისა და ფიქრების გააზრებაში.

წინამდებარე სტატიაში წარმოვადგენთ ნაწარმოების პერსონაჟთა შინაგანი სამყაროს, მათი სულიერი თუ ემოციური მდგომარეობის სრული სურათის აღწერას იმ ენობრივი საშუალებებით, რომლებსაც ავტორები იყენებენ მთავარ გმირთა პიროვნული ხატის სრულად ჩვენებისა და მკითხველის მიერ ზედმიწევნითი სიზუსტით აღქმის მიზნით.

" **A Friend on the Line** " -ის ავტორი ამერიკელი მწერალი *მაიკლ ბერჩ ჯენინგია*. მოთხრობა პირველ პირშია დაწერილი. მასში ორადორი მოქმედი პირია: მოთხრობის ავტორი და 88 წლის *ადოლფ მესი*.

როგორც სათაურიდანაც ჩანს, მოთხრობა არის ადამიანზე, რომელიც ტელეფონის საშუალებით დაუმეგობრდება მეორე ადამიანს. მოთხრობის პირველსავე აბზაცში ავტორი გვიამბობს, რომ მან შემთხვევით არასწორად აკრიფა ტელეფონის ნომერი და უცხო ადამიანთან მოხვდა. ერთი შეხედვით აქ არაფერია გასაკვირი, მაგრამ საოცარია ის, რომ უცხო ადამიანმა პირდაპირ მიახალა მას, თქვენ არასწორად აკრიფეთ ნომერიო, არც დაელოდა იმას თუ რის თქმას აპირებდა ადრესატი. სწორედ უცხო ადამიანის ასეთი ქმედება გახდა ავტორის ინტერესის

აღმძვრელი. თავიდანვე იგრძნობა, რომ ადრესანტი არაა კეთილად განწყობილი აბეზარი ზარების ავტორის მიმართ და იგი გაღიზიანებით პასუხობს ტელეფონს, **" a husky male voice snapped before the line went dead., the phone slammed down. .. You figure it out! "** voice snapped \_მოკლედ, მკვახედ მოუჭრა, **the phone slammed down** \_ ტელეფონი უხეშად დაკიდა.

მოთხრობის დასაწყისში ვხედავთ, რომ ახალგაზრდა კაცი ერთგვარ ავანტიურაში ებმება, მას ინტერესი უჩნდება უცხო ადამიანის მიმართ. იგი არ ეშვება საკმაოდ ცივად განწყობილ ადამიანს, რომელიც სატელეფონო ხაზის საპირისპირო მხარესაა და თან არანაირ სურვილს ავლენს გააბას საუბარი უცხო ადამიანთან და თავი შეიქცეოს. იგი საკმაოდ უხეშად მიმართავს ადრესატს, აბა გამოიცან რატომ გპასუხობ ასეო : **"You figure it out!"**

მაგრამ ახალგაზრდა კაცი დაჟინებით აგრძელებს რეკვას, რადგან მას არ აშინებს უცხო ადამიანის აშკარად არათავაზიანი დამოკიდებულება. მის ამ დაჟინებულ, ოდნავ თავხედურ საქციელს ამართლებს ის ფაქტი, რომ იგი პოლიციაში მუშაობს და პოლიციელი უნდა იყოს ცნობისმოყვარე და დაფიქრებული: **A cop is trained to be curious \_ and concerned"** იგი ერთგვარად დაბნეულია უცხო ადამიანის ასეთი უხეში რეაქციით, მაგრამ რადგან ცნობისმოყვარეა, ერთგვარი სიამოვნებით და დაჟინებით ცდილობს უცხო ადამიანთან დაკავშირებას : **"I sat there awhile, the receiver hanging loosely in my fingers. I called the man back... Chuckling, I dialed the man back.."**

როგორც მოთხრობის მეორე ნაწილიდან ირკვევა, ეს ორი ადამიანი ერთმანეთს დაუახლოვდება და საკმაოდ ხშირი სატელეფონო საუბრები იმართება მათ შორის. ისინი ბევრ საერთოს აღმოაჩენენ ერთმანეთში და პირველ რიგში იმას , რომ ორივეს მარტოობის განცდა აქვს და ორივე მარტოა: *ადოლფი* 88 წლისაა და ყველა მისი ახლობელი გარდაცვლილია. მეორე მხრივ, ყმაწვილი კაციც ობოლთა თავშესაფარში იზრდებოდა და ყოველთვის ჰქონდა უმამობის განცდა. *ადოლფი* სწორედ მამის როლს ირგებს მის ცხოვრებაში და ბრძნულ რჩევებსაც აძლევს ახალგაზრდა კაცს; **"Adolf warmed to the role of counselor . While discussing disagreement I'd had with a supervisor , I told my new friend, I think I ought to have it out with him. " What's the rush ? Adolf cautioned " Let things cool down"**

*ადოლფი* მოხუცია. იგი ყოყმანობს, ფრთხილობს და ახალი მეგობრის შექმნას არ ჩქარობს. მწერალი ამბობს: **"he hesitated . His voice sounded a little tentative, Adolf cautioned."** იგი 88 წლისაა, ბევრი რამ უნახავს, გამოუცდია და ამიტომაც ასე იქცევა. ყმაწვილი კაცი ისე დაუახლოვდა მოხუცს, რომ უკვე მასთან ფიზიკურად შეხვედრას გეგმავს და ამისთვის ხელსაყრელი მომენტი ადოლფის დაბადების დღე. ამ ორი ადამიანის შეხვედრა მართლაც მნიშვნელოვანი უნდა იყოს ორივესთვის, მაგრამ საუბედუროდ ადოლფი უეცრად გარდაიცვლება და ისინი ერთმანეთს ვერ ხვდებიან. ახალგაზრდა კაცი სასოწარკვეთილია: **" I stood there in shock and disbelief. Then, pulling**

**myself together, .. I walked toward the car, misty\_eyed."** იგი თვალცრემლიანია, რადგან მან ახლო მეგობარი, მამობრივი მზრუნველობისმქონე ადამიანი დაკარგა. თუმცა იგი მაინც ბედნიერია რადგან ჰქონდა შესაძლებლობა ამ ადამიანთან ურთიერთობისა. **"I felt warmth surging through me"**.

მეორე მოთხრობის " **The Blanket** " ავტორიც ამერიკელია. როგორც სათაურიდან ირკვევა საბანი მნიშვნელოვანი ნივთია ამ მოთხრობაში, იგი ერთგვარი სიმბოლოა რომელიც გამოხატავს შვილის მადლიერებას, ზრუნვას მოხუც მშობელზე, რომელიც მოხუცთა სახლში უნდა წავიდეს. მოხუცთა სახლი, ესაა ადგილი, რომლის ხსენებასაც მოქმედი პირები გაურბიან: **"Dad would be doing it - sending Granddad away" , "away" -** სიმორე. დაშორება შინიდან, შორს. **" .. to go away to the great brick building - government place"**

შვილიშვილი მაინც ვერ წარმოიდგენდა, რომ მამა მოხუც ბაბუას მოხუცთა სახლში გაუშვებდა. ეს წარმოუდგენლად მიაჩნდა მანამდე, სანამ მამამ მოხუცს საუკეთესო ხარისხის საბანი არ მოუტანა. ეს საბანი ნიშანია იმისა, რომ ბაბუა უნდა წავიდეს სახლიდან შორს. შვილიშვილისა და ბაბუასათვის აუტანელი სევდიანი საალამო დადგა. მეორე დღეს ისინი ერთმანეთს უნდა დაშორდნენ: **"And this was the last evening they'd be having together."**

მწერალი არ ცდილობს დაწვრილებით დაგვიხასიათოს და აღწეროს ამ ერთი ოჯახის სამი თაობა: ბაბუა, შვილი და შვილიშვილი, სამაგიეროდ მამის საცოლე ერთგვარი თავშეკავებით, მაგრამ მაინც სხვა პერსონაჟებისაგან განსხვავებით ჰყავს ნაჩვენები: **"Dad would marry that girl, yes that girl who'd kissed him and slobbered over him, saying she'd try to be a good mother to him, and all"**. **"To slobber"**- დორბლის დენა, სიამაყის, თავშეკავების გარეშე, სენტემენტალური ლაპარაკი; ეს სიტყვა ეჭვქვეშ აყენებს ამ ქალის სურვილსა და მონდომებას, რომ დედობრივი სიყვარული და მზრუნველობა გაუწიოს პატარა ბიჭს .ამას ბავშვიც გრძნობს, ამ ქალზე გაფიქრებისას მან უნებლიეთ მოუხერხებლად გადაიწია და სხეულს აუტანელი ტკივილი მიაყენა.

მიუხედავად იმისა, რომ მამის საცოლის პორტრეტი საკმაოდ ძუნწად, სულ რამდენიმე სიტყვით არის აღწერილი, იგი მაინც უმნიშვნელოვანესია: **"the pretty girl with the hard, bright face like a china doll's"** პოლისემანტიური ზედსართავი სახელი "hard" - ის ლექსიკურ -სემანტიკური ერთ-ერთი მნიშვნელობაა თანაგრძობის, სიყვარულის უნარის არმქონე, და გამოიყენება გულქვა, შეუბრალებელი ადამიანების დახასიათებისას. სწორედ ესაა ის ზედსართავი სახელი, რომელიც ამ ქალს ახასიათებს. სიტყვა **"hard"** -ს ემატება **"bright face like a china doll's"** - ფაიფურის თოჯინას მსგავსი სახე ჰქონდა ამ ქალს. ფაიფურის თოჯინა სიმბოლოა ცივი , უგრძნობი, უემოციო სახის მქონე ადამიანისა; მკითხველი უკვე ხვდება, რომ ამ ქალის სახით ოჯახში შემოვა ადამიანი, რომელიც ოჯახს სითბოს და სიყვარულს არ მოუტანს. ამას უკვე მამაც ხვდება და გრძნობს. როდესაც საცოლე თავის საქმროს საყვედურობს ძვირფასი საბნის ყიდვის გამო , მამა

თავის დაცვას ცდილობს: **"He cleared his throat , and said defensively"**, ცოტა მოგვიანებით მამა უკვე გაუბედავად, ყოყმანით მიაღვენებს მზერას გაბრაზებით მიმავალ საცოლეს : **"And now she was suddenly going away in a huff....Dad was looking after her uncertainly"**. **"uncertainly"** -ეს სიტყვა მრავლის მოქმელი და მეტყველია, ნეტა იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მამას უკვე ეჭვი ეპარება თავის გადაწყვეტილების სისწორეში; იქნებ მან დაიწყო ფიქრი იმაზე. რომ არ ღირს ამ ქალის ცოლად მოყვანა.

მოთხრობაში აღწერილია ბაბუას სახლიდან წასვლის წინა საღამო. ამ საღამოს ამ ოჯახის სამი თაობის მამაკაცებს ბოლოჯერ აქვთ საშუალება ერთად იყვნენ. თავიდან ბაბუა და შვილიშვილია სახლში. ეს ორი ადამიანი მთელი სიმძაფრით შეიგრძნობს ერთმანეთთან მოსალოდნელი დაშორებით გამოწვეულ სევდას. ავტორი მეტად თავშეკავებით ცდილობს დაგვიხატოს ის ემოცია, რაც ახლა მათთან ტრიალებს. მოხუცი ეთხოვება შვილიშვილს ვიოლინოზე საყვარელი მელოდიების დაკვრით; ბაბუა შვილიშვილის განწყობა ძალიან სევდიანია. მელოდიაც კი სევდიანია: **" This is one you 'll like to remember....', "Listen to this, will you? It's a bit sad, but a fine tune for a night like this"**.

ბაბუა ცდილობს სევდიანი და დამაბული სიტუაცია განმუხტოს: იგი ერთგვარად ამართლებს შვილის გადაწყვეტილებას მოხუცთა სახლში მისი გაშვების შესახებ, და ისე წარმოაჩენს სიტუაციას, რომ მისი გადაწყვეტილება და სახლის დატოვება მისთვის ერთგვარი შვებაცაა: **"and then there'll be babies coming, and I'd do not want to be there to hear them crying at all hours. It's best that I take myself off, like I'm doing."**

ბაბუა თავის თავს მომაბეზრებელ მოხუცად ხატავს, რომელიც გამუდმებით თავს აბეზრებს ყველას თავის ტკივილზე და განცდებზე ლაპარაკით: **" And what would an old fellow like me be doing around their house, getting in the way, an old nuisansce, what with my talk of aches and pains!"** მოხუც კაცს ფრთხილი, შიშნარევი დამოკიდებულება აქვს მომავალი სარძლოს მიმართ. ეს კარგად ჩანს მისი მოძრაობიდან, შეცბუნებული, მოკრძალებული საუბრიდან; როცა ახალგაზრდა ქალი გამოჩნდება ბაბუა შეცბუნებული წყვეტს დაკვრას: **„the tune stopped on a wrong, high, startled note."** ( შემცბარი და შეშინებული მოხუცი არასწორ ბგერაზე უეცრად წყვეტს დაკვრას. ბაბუა თვალის გასწორებასაც ვერ უბედავს სარძლოს: **"eyes cast down"**; იგი შემცბარია, შეწუხებულია, თვალეები დახრილი, თითქოს დამნაშავეა რამეში. ამის საპირისპიროდ თვალში საცემია ქალის მოურიდელები, უკმეხი და კრიტიკული საუბარი მომავალი მეუღლის მიმართ: იგი ახალგაზრდა კაცს საყვედურობს იმის გამო, რომ მამას უყიდა თბილი ძვირფასი საბან თან წასადებად: **"she said to him coldly, It cost something, that... " " The girl stood there, still intent on the blanket. " " It's double, too" she said reproachfully, to Dad.**

ამგვარად, როგორც ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა სტრუქტურულ-სემანტიკური დინამიკისა და პრაგმატისტული ანალიზის მეშვეობით განსაკუთრებული აქცენტი (მინიშნება) კეთდება პრაგმატისტულ ასპექტზე ანუ იმაზე, თუ რა ინფორმაციაა ჩადებული ადრესანტის (პერსონაჟის) მიერ ამა თუ იმ ემოციის გამოხატვისას და როგორ აღიქვამს ადრესატი (მკითხველი) გადმოცემულ ინფორმაციას იმ ენობრივ საშუალებათა საფუძველზე, რომელთაც იყენებს ნაწარმოების გმირი მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში.

კვლევის შედეგად ასევე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მხატვრულ ტექსტში ემოციური დატვირთვა/შეფერეილობა შეიძლება გამოყენებულ იქნას პერსონაჟის მეტყველების კულტურის უკეთ წარმოჩინებასა და აღქმაში, რაც გულისხმობს ნაწარმოების გმირთა მიერ, ინტერაქციის დროს, ემოციათა გამოხატვის საშუალებათა გამოყენების მართებულობას.

### ლიტერატურა:

1. დ. სირია, გ. ყუფარაძე, ლ. დუმბაძე 2009 Read, Write and Discuss ( A Practical Course in Analytical Reading) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. Шаховский, В.И. 2009 Эмоции: Долингвистика, лингвистика, лингвокультурология. Москва.
3. Могутова, Н.В. 2002. Основные проблемы использования эмотивных языковых единиц для придания высказыванию естественности и эмоциональности (на примере английски междометий). Язык, коммуникация и социальная среда. Воронеж вып. 2:88-93.
4. Васильев, В.А. 1980. Эмоции и мышление. Москва: Изд-во Моск. ун-та.
5. Izard, K. 1972. Patterns of Emotions. New York: Academic Press.
6. Arnold, M.F. 1960. Emotion and Personality. New York: Columbia University Press.
7. Cannon, W.B. 1927. The James-Lange Theory of Emotions: A Critical Examination and an alternative Theory. American Journal of psychology N 39:106-124

**Nino Sarajishvili, Giorgi Kuparadze**

**Linguistic Means for Expressing Emotions in a Literary Text**

**Abstract**

A description of semantics is the means of expressing emotions that can be used in any literary work. We investigate and analyze the text, conduct the research of its lexical and semantic units from different dimensions.

In the present paper, we deal with a complete description of the inner world of the characters in a literary work, their spiritual or emotional state of mind through the linguistic means that are used by the authors to fully display the personal images of the main characters and to perceive them thoroughly by the reader.

The conducted analysis has shown that through the structural-semantic dynamics and pragmatic analysis and particular emphasis is made on the practical aspect of what type of information is realised by the addresser (character) while expressing this or that kind of emotion and how the recipient perceives this information based on the protagonist's behaviour in a given particular case.

We have foregrounded structural-semantic models of basic emotions and linguistic means containing emotions. The study of the pragmatic potential of the expression of emotions is indeed valuable for the pragmatics of a literary text, for the scrupulous understanding of various nations' history, which inevitably reflects and will reflect in future the wide range of tasks of modern linguistics.

Finally, we should also conclude that emotional load/coloring in a literary text can be represent better and perceive a characters' cultural speech, which implies the correctness and exactness of the characters' use of the means of expressing emotions during the interaction.

**Key words:** emotional state, literary text, personal image, structural-semantic models, load / colouring

რეკვენზენტი: პროფესორი ნ. ჟანპეისოვა



ენათმეცნიერება Linguistic

## Zur kontrastiven Analyse einer Fernsehtextsorte

**Ramaz Svanidze**

Staatliche Akaki-Tsereteli-Universität

E-Mail: ramaz.svanidze@atsu.edu.ge

Ohne Wetterberichte sind die Massenmedien nicht vorstellbar, denn sie sind ein integrativer und fest verankerter Bestandteil jeder Zeitung, jedes Fernseh- und Radiosenders. Daher werden medienlinguistische Eigenschaften der Fernsehtextsorte Wetterbericht aus der kontrastiven Perspektive wiedergegeben. Als Untersuchungsmaterial<sup>1</sup> dienen „Wetter vor 8“ (ARD) und „Meteobüro“ (Pirveli-TV), sowie die Wetterausgaben des ZDF-, ARD- und Rustavi 2-Morgenmagazins.

Zuerst möchte ich auf den Begriff Textsorte eingehen. Linke, Nussbaumer und Portmann halten eine Textsorte für eine Gruppe „gleichartiger Texte“, die über „bestimmte Bündel von Merkmalen“ verfügen [Linke/Nussbaumer/Portmann 2004: 278]. Unten werden charakteristische Eigenschaften der Textsorte Wetterbericht präsentiert.

Die von mir analysierten Wetterberichte dauern 1 bis 3 Minuten und umfassen etwa 514 Wörter. Sie enthalten zwei Teile: die aktuelle Wetterlage und die Wettervorhersage. Diese werden durch im Hintergrund erscheinende Tafeln visuell unterstützt. Die animierte graphische Darstellung auf den Tafeln verdeutlicht das Gesagte. Animierte Untertitel (Orte und Temperaturen) präzisieren die Wetterlage. Textthema ist das Wetter in Deutschland und Georgien.

Im Gegensatz zu Krycki hat sich herausgestellt, dass in den Fernsehweatherberichten am häufigsten Parataxen (82) vorkommen.<sup>2</sup> An zweiter Stelle stehen Hypotaxen (43), gefolgt von einfachen Sätzen (35) und Ellipsen (30). Unvollständige Sätze sind meist dort zu finden, wo viele Informationen wiedergegeben werden. Alle Sätze sind im *Indikativ* formuliert, auch im Teil 'Aussichten' werden keine *Modalverben im Konjunktiv*

---

<sup>1</sup> Die wissenschaftliche Analyse wurde auf der Grundlage der Aufnahmen von „Wetter vor 8“ vom 07-08.02.2013, 31.03.2014, 01.04.2014, 20-21.11.2014, 04.05.2021, vom ZDF- und ARD-Morgenmagazin vom 08./19.04.2021, 12./28.04.2021, vom Rustavi 2-Morgenmagazin „Guten Morgen, Georgien!“ (5./7.04.2021, 3.05.2021) und von der TV-Pirveli-Nachrichtensendung (29.04.2021) durchgeführt.

<sup>2</sup> Dieses Korpus enthält 190 deutsche und 44 georgische Sätze.

*II* verwendet. Krycki meint, dass die Verben *bringen* und *sorgen* häufig genutzt werden. Dies hat sich in der Untersuchung nicht bestätigt. Stattdessen sind *sein* und *werden* als Vollverben, *liegen* und *kommen* absolute Favoriten. Auch andere Verben wie *gehen*, *sehen*, *bleiben* und *erreichen* treten hervor. Im Wetterbericht werden nicht nur *der allgemeinsprachliche Wortschatz*, sondern auch *typische fachsprachliche Ausdrücke* (z.B. *Schauerband*, *Tageshöchstwert*, *Wolkenfeld*, *Hoch- und Tiefdruckgebiet*, *Luftmasse*, *Schleierwolke*, *Luftschicht*, *Niederschlagsteppich*, *aufklaren*, *Kaltfront*, *Schneegestöber*) benutzt. Es hat sich Folgendes als berechtigt erwiesen: In dieser Textsorte trifft man sehr viele *Lokalitätsbezeichnungen*. Seltener kommen *lokale Adverbien* vor. *Zeitangaben* sind oft zu finden. Die Konjunktion *da* (zweimal) mit kausaler Bedeutung weist auf *konzeptionelle Schriftlichkeit* hin. Die Vergleichbarkeit kommt durch solche Formen wie *etwas kälter*, *etwas dichtere Wolken*, *bei etwas dickeren Quellwolken*, *mit häufigeren Gewittern*, *mal mehr*, *mal weniger* zum Ausdruck [Vgl. Krycki 2009: 139-142, 163-174].

Was die Aussprache der Moderator/innen betrifft, agieren sie im Bereich des Standarddeutschen, das zwei phonetische Stilebenen (*die gehobene phonostilistische Ebene*, *die phonostilistische Ebene des Gesprächs*) umfasst. Folgende Beispiele veranschaulichen den Prozess der Reduzierung, die u. a. aufgrund der hohen Geschwindigkeit stattfindet, sehr gut: *ba uns* statt *bei uns*, *hab`*, *`n kurzes Gewitter*, *`s* [Vgl. Rues et.al. 2014: 70-75]. Umgangssprachliche und regionale Ausdrücke (*prima*, *tschüss*, *drüber*, *runter*, *grade*, *rauskommen*, *draufgehen*, *hin sein*, *doll*, *kucken*, *schauen*, *stehen auf AKK*) zeugen auch von mehr Mündlichkeit. Darüber hinaus muss auch erwähnt werden, dass *Ausklammerungen*, *Demonstrativpronomen* und *Modalpartikeln* als Marker der Spontanität auf die mündliche Sprachverwendung hindeuten [Vgl. Ahrenholz 2012: 132; Keller 2006: 194; Ruth 2004: 255-257]. Das könnte u. a. auch darauf hinweisen, dass sich die deutschen Moderator/innen weniger auf den Teleprompter konzentrieren.

Der Wetterbericht des georgischen Morgenmagazins „Guten Morgen, Georgien!“ (Rustavi 2) wird live an verschiedenen Orten produziert. Bevor die aktuellen Tagestemperaturen präsentiert werden, plaudert die Wetter-Moderatorin locker mit den Studiomoderator/innen und ihren Gästen. Der Wetterbericht wird damit umrahmt. Die eigentlichen Wetterdaten werden fast immer mit einem Satz eingeleitet: *Z.B. Jetzt erfahren wir, welches Wetter uns heute erwartet*. Die Moderatorin strahlt immer gute Laune aus. Mit ihrem Lachen und Lächeln versucht sie, ihre gute Stimmung auf die Zuschauer zu übertragen. Die Wetterdaten werden selbst von der Moderatorin oder von den jeweiligen Gästen vorgelesen. Der Kleidungsstil der Morgenmoderator/innen ist im Gegensatz zu Abendmoderator/innen sowohl im deutschen als auch im georgischen Wetterbericht überwiegend inoffiziell. Die Moderatorin des abendlichen „Meteobüros“ präsentiert nicht nur Tages-, sondern auch Nachttemperaturen. Folgende Redemittel werden in georgischen Wetterberichten benutzt: *Heute sind in XY 20 Grad. Heute werden [...] Grad sein. Die Wärme von [...] Grad ist zu erwarten. Im Laufe des Tages wird die Temperatur steigen. Wir werden schönes Wetter haben*. In den georgischen Wetterberichten werden folgende Verben im Präsens und Futur am meisten verwendet: *werden*, *sein*, *erwarten*, *sich erwärmen*, *bleiben*, *fixieren*, *erreichen*. Im Hinblick auf die Satzarten hat sich die gleiche Tendenz herausgestellt.

In Bezug auf die Sprechgeschwindigkeit kann Folgendes festgestellt werden: Die deutschen Moderator/innen sprechen fast zweimal schneller als georgische Moderatorinnen. Die georgischen

Moderatorinnen sprechen etwa 96 bis 102 Wörter pro Minute, die deutschen Moderator/innen – hingegen etwa 161 bis 221 pro Minute. Die Abendmoderatorin der Wetterausgabe vom 28.04.2021 redet unter den deutschen Moderator/innen am langsamsten.

Zusammenfassend lässt sich sagen, dass die Analyse der medienlinguistischen Aspekte für die Linguist/innen von großer Bedeutung ist. Anhand der kontrastiven Untersuchung der Textsorte Wetterbericht im deutschen und georgischen Fernsehen wurden folgende Gemeinsamkeiten und Unterschiede hervorgehoben: Die medienlinguistischen Aspekte (Satztypen, verbreitete Verben, Modus, Fachsprachen- und Lokalausdrücke, visuelle Effekte etc.) sehen überwiegend ähnlich aus. Deutsche Moderator/innen tendieren überwiegend zum mündlichen Stil. Sie präsentieren sowohl aktuelle Temperaturen als auch die Wetterprognose für die nächsten Tage. Hinsichtlich der Sprechgeschwindigkeit kann betont werden, dass sie fast zweimal schneller als georgische Moderatorinnen sprechen. Sowohl deutsche als auch georgische Moderator/innen strahlen immer gute Laune aus. Der Kleidungsstil der Morgenmoderator/innen ist im Gegensatz zu Abendmoderator/innen sowohl in den deutschen als auch in georgischen Wetterberichten überwiegend inoffiziell.

#### ლიტერატურა:

1. Ahrenholz, Bernd: Verweise mit Demonstrativa im gesprochenen Deutsch. Berlin: De Gruyter, 2012.
2. Krycki, Piotr: Die Textsorten Wettervorhersage im Kommunikationsbereich Wissenschaft und Wetterbericht im Kommunikationsbereich Massenmedien. Eine textlinguistische, systemtheoretische und funktional-stilistische Textsortenbeschreibung. Greifswald: Dissertation, 2009.
3. Keller, Rudi: Der Geschäftsbericht. Überzeugende Unternehmenskommunikation durch klare Sprache und gutes Deutsch. Wiesbaden: Gabler, 2006
4. Linke, Angelika/Nussbaumer, Markus/Portmann, Paul R.: Studienbuch Linguistik. Tübingen: Max Niemeyer, 2004.
5. Rues, Beate/ Redecker, Beate/ Koch, Evelyn/ Wallraff, Uta/ Simpson, Adrian P.: Phonetische Transkription des Deutschen. Tübingen: Narr, 2014.
6. Ruth, Betz: Gesprochensprachliche Elemente in deutschen Zeitungen. Würzburg: Dissertation, 2004.

#### რამაზ სვანიძე

#### სატელევიზიო ტექსტის სახეობის კონტრასტული ანალიზის შესახებ

#### რეზიუმე

გერმანული და ქართული სატელევიზიო ტექსტის სახეობის ამინდის პროგნოზი კონტრასტული კვლევის შედეგად დადგინდა შემდეგი მსგავსებები და განსხვავებები: ბევრი მედიალინგვისტური ასპექტი მსგავსებით გამოირჩევა. წინადადების ტიპებთან მიმართებაში შემდეგი ტენდენცია გამოიკვეთა: ამინდის სატელევიზიო პროგნოზებში უმეტესწილად რთული

თანწყობილი წინადადებები გვხვდება. მეორე ადგილზეა ქვეწყობილი წინადადებები, რომელთაც მოსდევს მარტივი წინადადებები და ელიფსები. გერმანელი მოდერატორები უმეტესწილად ზეპირმეტყველების სტილს მიმართავენ. ამას მოწმობს შემოკლებები, სასაუბრო და რეგიონალური გამონათქვამები, წინადადების ჩარჩოს რღვევა, ჩვენებითი ნაცვალსახელები და მოდალური ნაწილაკები. ეს მიუთითებს, რომ გერმანელი წამყვანები ნაკლებად არიან კონცენტრირებული ტელეპრომტერის სკრიპტზე. ისინი წარადგენენ როგორც აქტუალურ ტემპერატურას, ასევე მომავალი დღეების ამინდის პროგნოზს. მეტყველების სისწრაფესთან დაკავშირებით უნდა გამოვყოთ, რომ გერმანელი წამყვანები თითქმის ორჯერ უფრო სწრაფად საუბრობენ, ვიდრე ქართველები. როგორც გერმანელი, ასევე ქართველი მოდერატორები მუდამ კარგ განწყობას ასხივებენ. დილის წამყვანების ჩაცმულობა ღამის წამყვანებთან შედარებით უფრო არაოფიციალურია.

**Ramaz Svanidze**

**On the Contrastive Analysis of a Television Text Type**

Resume

Based on the contrastive studies of the text type weather report on German and Georgian television, the following similarities and differences were highlighted: many media-linguistic aspects look similar. With regard to the types of sentences, the following tendency has emerged: parataxes are the most common occurrence in TV weather reports. In second place are hypotaxes, followed by simple sentences and ellipses. German moderators tend mainly to use the oral style. This is shown by reductions, colloquial and regional expressions, breaking a sentence frame, demonstrative pronouns and modal particles. That could also indicate that German presenters are less focused on the teleprompter. They present both current temperatures and the weather forecast for the next few days. Regarding speaking speed, it can be emphasized that German presenters speak almost twice as fast as Georgian presenters. Both German and Georgian moderators are always in a good mood. The dress style of the morning presenters, in contrast to evening presenters, is mostly unofficial in both the German and Georgian weather reports.

რეცენზენტი: პროფესორი მ. მუჯირი

ენათმეცნიერება Linguistic

## მიჩემებითობის გამოხატვა სხვადასხვა სისტემის ენებში

(ზმნის ქცევა ანუ ვერსია - მორფოლოგიური კატეგორია თუ მიმართულება)

ნუნუ ჩარკვიანი, ირმა რუსაძე, სოფიო ყიფიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: [nunucharkviani@gmail.com](mailto:nunucharkviani@gmail.com); [irmarusadze@gmail.com](mailto:irmarusadze@gmail.com); [sofikokipiani@yahoo.com](mailto:sofikokipiani@yahoo.com)

ნაშრომი ეხება ერთ-ერთ ენობრივ მოვლენას „ვერსიას“ სხვადასხვა სისტემის ენებში. „ვერსია“ (ქართულად ქცევა) დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა ზმნის ტრადიციულ კატეგორიად. მისი ფუნქცია ეჩვენებინა ზმნის მოქმედების კუთვნილება წინადადების წევრებს შორის ინგლისურში გადმოიცემა ანალიტიკური ფორმებით, დამატებითი სიტყვების მეშვეობით, ხოლო ქართულში ზმნების პრეფიქსებით (სინთეზურად). ასე რომ ნაშრომი წარმოგვიდგენს „ვერსიას“ სხვადასხვანაირად. ორივე ენაში შესაბამისი მაგალითების მეშვეობით.

გარდა ამისა, სტატია განიხილავს სადავო საკითხს იმის თაობაზე ეს ენობრივი მოვლენა წარმოადგენს თუ არა ზმნის გრამატიკულ კატეგორიას, თუ იგი უბრალოდ მოქმედების კუთვნილების მაჩვენებელია. ეს ვარაუდი იმ ფაქტიდან მომდინარეობს, რომ სწორედ ის პრეფიქსები ქართული ზმნისა და დამატებითი სიტყვები ინგლისურში, რომლებიც „ვერსიას“ გადმოსცემენ გამოიყენება სხვა კატეგორიის აღმნიშვნელად შესატყვისს ენაში. ეს კი იწვევს დაბნეულობას ენის შემსწავლელთა წრეებში და ენის მკვლევარებშიც კი. ზემოთ აღნიშნულ სიტუაციას და ლნგვისტთა შეხედულებებს მივყავართ იმ აზრამდე, რომ „ვერსიის“ კვალიფიცირება გრამატიკულ კატეგორიად ძალიან გაგვიჭირდება.

საკვანძო სიტყვები: ქცევა, სხვადასხვა ოჯახის ენები, მორფოლოგიური კატეგორია

უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღება ენიჭება ენათა შესწავლის შეპირისპირებით ტიპოლოგიურ მიდგომას. ენათა შედარების საფუძველზე ცვდილობთ ჩავწვდეთ შესადარებელი ენებისათვის დამახასიათებელ საერთო თვისებებს, რომ მათ ფონზე მოცემული ენის სპეციფიკა განვსაზღვროთ.

ჩვენი კვლევა სიმეტრიული შეპირისპირებათა პრინციპზეა დაფუძნებული ე. ი. შესადარებელი ენები - ინგლისური და ქართული თანაბარი უფლებებით ღებულობს მონაწილეობას ენების აღწერისას, მიუხედავად იმისა, რომ მათი ენობრივი სისტემა სხვადასხვაგვარია. ინგლისური ანალიზურია, ხოლო ქართული - სინთეზური.

“ქართული ზმნა შეიცავს აზრის გამოხატვის ისეთ მორფოლოგიურ საშუალებებს, რომლებიც უცხოა ევროპული ენებისათვის. ევროპული ზმნისათვის ნაცნობი და დამახასიათებელი მორფოლოგიურ-სინტაქსური კატეგორიების გარდა (დრო, კილო, გვარი, გარდამავლობა), რომ არაფერი ვთქვათ თვით ამ კატეგორიების ფორმალური გამოხატვისა თუ სემანტიკური თვალსაზრისით განსხვავების შესახებ. ევროპული ენის ზმნის ამავე კატეგორიებისაგან, ქართულ ზმნას შეუძლია მორფოლოგიურად გამოხატოს პირთა შორის კორელაციების სხვადასხვა სახე. დესტინატიური რელაცია ანუ ვერსია (მაგ: კუთვნილება-დანიშნულებითი შინაარსი სუბიექტსა და ობიექტს შორის ან ობიექტებს შორის (ვიშენებ მე მას, იშენებს ის მას, ვუშენებ მე მას, მიშენებს ის მე მას), რელატიური რელაცია (აზის, ახტება, აწერს), კაუზატიური რელაცია (აშენებინებს ის მას მას), პირთა შორის ნეიტრალური რელაცია (ამბობს ის მას). ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ ქართული ზმნა მთელი წინადადების შინაარსის შემცველია, წინადადებაა მინიატურაში“ (დ. მელიქიშვილი, 2014).

ზემოთაღნიშნული პირველი რელაცია ანუ ვერსია, როგორც ზმნის მორფოლოგიური კატეგორია გამოყო ჩვენმა სასიქადულო ენათმეცნიერმა ნიკო ჩუბინაშვილმა. „კარგა ხანია შენიშნულია ე. წ. „მიჩემებითი“ ანუ „მიკუთვნელობითი“ ფორმები ქართული ზმნისა (ცნობები მოეპოვებათ დ. ჩუბინაშვილს, პ. კვარაცხელიას, კ. დოდაშვილს, ა. ქუთათელაძეს, თ. ჟორდანიას, ს. ხუნდაძეს და სხვებს), მაგრამ არ იყო გარკვეული, თუ რა ურთიერთობაა „მიჩემებითსა“ და „მიუჩემებელ“ ფორმებს შორის და რას წარმოადგენს არსებითად მიჩემებითი ფორმები“ (აკ. შაშინე, 1973, 356)

აკაკი შანიძის მიხედვით ქცევა 5 სახისა იყო: საარვისო (ვწერ), სათავისო (ვიწერ მე მას), სასხვისო (ვუწერ), სათანაო (ვსწერ მე მას მას) და საზედაო (ვაწერ მე მას მას). 1930 წელს გამოცემულ წიგნში „მორფოლოგია“ კი ამ მოძღვრებამ ქცევის შესახებ საბოლოო სახე მიიღო და ქცევათა რიცხვი სამამდე იქნა დაყვანილი (საარვისო, სათავისო, სასხვისო) „ვერსია“, როგორც

ქცევის აღმნიშვნელი ტერმინი კი 1971 წელს შევიდა სპეციალურ ლიტერატურაში ევროპულ ენებზე გამოცემულ წიგნებშიც.

სტატიის მიზანია ზმნის პირებს შორის „მიჩემებითი“ ურთიერთობის დახასიათება ინგლისურ და ქართულ ენებში. ქართული ზმნა ზემოთ ნახსენებ საარვისო, სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმებს პოეტურად აწარმოებს პრეფიქსი „ი“ ან იმის მაჩვენებელია, რომ ობიექტი სუბიექტისთვისაა განკუთვნილი (დავითმა აიშენა სახლი = დავითმა ააშენა სახლი თავისთვის) ან იმისა, რომ ობიექტი სუბიექტისაა (დავითმა პირი დაიბანა - აქ პირი დავითისია) „უ“ პრეფიქსი იმას გვიჩვენებს, რომ ობიექტი მეორე ობიექტისაა. დავითმა ააშენა სიმონისათვის სახლი - აქაც სასხვისო ქცევაა, ოღონდ აქ თანდებულის დართვა აღმოჩნდა საჭირო - ასეა რუსულში და სხვა ევროპულ ენებში Давид построил дом для Симона. ამ შემთხვევაში კუთვნილება მორფოლოგიურად ზმნაში აფიქსის ცვლით კი არაა გამოხატული, არამედ ახალი დამხმარე სიტყვის დართვით (არნ. ჩიქობავა 1998, 214).

თუკი შევადარებთ ინგლისური და ქართული ენის სიტუაციას კუთვნილებითი ხასიათის შინაარსის გადმოცემის თვალსაზრისით ვნახავთ, რომ ქართული სინთეზურ ბუნებას ავლენს, ხოლო ინგლისური ანალიზურს, როგორც ეს ვნახეთ რუსულის შემთხვევაში ე. ი. ახალი დამხმარე სიტყვის დართვით.

სათავისო ქცევა „ი“ პრეფიქსის დახმარებით გამოხატავს იმას, რომ სუბიექტი მოქმედებს

- 1) თავის თავზე (ასახელებს თავისი სხეულის რომელიმე ნაწილს)

მაგ: კანს ი-ფხაჭნიდა, თითებს ი-კვნეტდა და თმას ი-გლეჯდა (მ. ჯავახიშვილი, 1959, 19)

- 2) სხვა შემთხვევაში სუბიექტი ასახელებს თავის ტანსაცმელს, როგორც მოქმედების ობიექტი

მაგ: - თეთრი ხალათი შეისწორა და ამოიოხრა (მ. ჯავახიშვილი, 1959, 8)

სასხვისო ქცევას „უ“ პრეფიქსი აწარმოებს:

მაგ: ყველს თითო საკლავს მო-უ-ტანს, სანთლებს და-უ-ნთებს და შენდობას მიიღებს (მ. ჯავახიშვილი, 1959, 61)

საარვისო ქცევასთან ვხვდებით „ა“ პრეფიქსს, თუმცა ეს ფორმა პრეფიქსის გარეშეც გვევლინება.

მაგ: 1. ძალით აცმევდნენ, აჭმევდნენ და თავიანთ შვილივით ატარებდნენ (მ. ჯავახიშვილი, 1959, 61)

2. ბავშვის ქუსლები პრიალებენ და ჭრელი ხალათი შრიალებს (მ. ჯავახიშვილი, 1959, 19)

ბოლო წინადადებაში საარვისო ქცევისაა ზმნები, მაგრამ შინაარსით შესაძლებელია ისინი განვიხილოთ როგორც სასხვისოც. – „ბავშვს ქუსლები უპრიალებს, მას ჭრელი ხალათი

უმრიალებს“. ქუსლები ბავშვისაა და ხალათიც მისია. მიჩემებითობა სახეზეა. ამჟამად იგივე მიმართულება ორი ფორმით გადმოიცა.

ინგლისური ენა მიჩემებითობას ან კუთვნილებითი ნაცვალსახელებით გადმოგვცემს, რომელიც დამატებას ახლავს ან რეფლექსიური ნაცვალსახელი გამოიყენება ამისათვის.

მაგ: 1. – You’ve cut off your hair? Asked Jim. (O. Henry 1979, 35) თმა შეიჭერი? ასე გადმოდის იგი ქართულად (ამ შემთხვევაში თარგმნის დროს კუთვნილებითი ნაცვალსახელის თარგმნა არაა საჭირო)

2. ... buy port wine for her sick child and pork chops for her greedy self (O. Henry 1979, 83) უყიდდა პორტვინს თავის ავადმყოფ ბავშვებს და ღორის ჩობს იყიდდა თავისი ხარბი მესთვის.

სათავისო ქცევა ასევე გადმოცემულია სუბიექტის კუთვნილი ტანსაცმლის ჩვენებით, როგორც ქართულში.

მაგ: I put it in my inside pocket carefully (O. Henry 1979, 23)

მე ის შიდა ჯიბეში ჩავიდევინე=იგი ჩემს შიდა ჯიბეში ჩავდევი.

ინგლისურში გვაქვს ზმნები, რომლებიც რეფლექსურ ნაცვალსახელებს არ დაირთავენ, მაგრამ სათავისო ქცევას მაინც გამოხატავენ: dress, wash, hunt და ა.შ. თუმცა ბევრ საპირისპირო შემთხვევასაც ვხვდებით.

მაგ: 1. The guest waked from a dream, and remembering his day’s pleasure hurried to dress himself (O. Henry 1979, 98)

2. He smiled agreeably to himself as he thought of those biscuits.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ და ქართველ თუ უცხოელ ენათმეცნიერთა შეხედულებებმა იმის შესახებ არის თუ არა ქცევა ზმნის მორფოლოგიური კატეგორია მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ორივე შესაძარებელ ენაში არსებული „მიჩემებითობის“ ფორმები უმეტესწილად დაბნეულობასა და გაუგებრობას იწვევს არა მარტო ენის შემსწავლელთა წრეებში, არამედ უცხოელებშიც და მკვლევარებშიც კი. „მორფოლოგიურ კატეგორიას ქმნის აფიქსით გადმოცემული მნიშვნელობა“ - ასე განმარტავს არნ. ჩიქობავა მორფოლოგიის კატეგორიის არსს. (არნ. ჩიქობავა 1952, 267) ქართულში საარვისო ფორმებთან დაკავშირებით ხშირად გვესმის, რომ იგი არავითარ შინაარსს არ იტევს. პრეფიქსის „ი“ დასახელება სათავისო ქცევის მაწარმოებლად არ იქნება სწორი, რადგან იგივე პრეფიქსი გვხვდება ვნებითი გვარის ერთპირიან ფორმებშიც; იყიდება, იზრდება და ა.შ. ასევე ხშირად „ი“ ხმოვანი ზმნის ძირის კუთვნილებაცაა (იცის), რაც შეეხება სასხვისო ქცევას, მისი ფორმები თავისუფლად შეიძლება ჩავანაცვლოთ საარვისო ქცევის ფორმებით თუკი ობიექტს წინ კუთვნილებით ნაცვალსახელს დავურთავთ (როგორც ზემოთ იქნა ნაჩვენები). ინგლისურ ენაში ანალიზური საშუალებებით გადმოცემული კუთვნილებითი



შინაარსიც სადავო გახდა. ამ ენაში ობიექტზე დართული რეფლექსური ნაცვალსახელები: myself, himself..... გვიჩვენებენ შესაბამის პირთა მოქმედებას, კუთვნილებას თუმცა იგივე ნაცვალსახელი გვხვდება ფრაზულ ზმნებთან (find myself) ან ემფატიკურ შინაარსთან (The king himself gave her the medal). ყოველდღიური მოქმედების ზმნები კი ამ ნაცვალსახელების გარეშე გამოხატავენ აღნიშნულ მიმართებას. (I dressed, washed etc.) საგუისხმოა ის ფაქტი, რომ ბ. ილიშის სახელმძღვანელოში ო. კაჩინკოვა აღნიშნულ ფორმას მიიჩნევს წინადადების ცალკე წევრად და უარყოფს მოსაზრებას, რომელიც მას მოდალურ ზმნად მოიაზრებს და ქმნის ზმნის რეფლექსურ გვარს.

კუთვნილებითი ურთიერთობის გამოხატვა წინადადების წევრებს შორის სადავო საკითხი გახლდათ ენათმეცნიერების სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებში. აკ. შანიძემ იგი წარმოქმნის კატეგორიად ჩათვალა (აკ. შანიძე 1973, 163). ანალოგიურად მსჯელობს არნოლდ ჩიქობავაც. იგი თვლის, რომ ქცევა, გზისობა, გვარი ახალ ლექსიკურ ერთეულებს ქმნის (არნ. ჩიქობავა 1950, 51), ენათმეცნიერები ბ. ჯორბენაძე და თ. უთურგაძე მიიჩნევენ, რომ ქცევა სხვა ფორმებთან ერთად არ წარმოადგენს წარმოქმნის კატეგორიას ე.ი. განსხვავება არა მოქმედების შინაარსშია, არამედ დანიშნულებაში. აღნიშნული ფორმები ლექსიკურად კი არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, არამედ გრამატიკულადაც. სულ სხვას წერს მეცნიერი ტ. ფუტყარაძე - „მოქმედების შედეგის კუთვნილება, მიმართება უფრო სემანტიკური კატეგორიაა, ის სემანტიკის სფეროს განეკუთვნება, მორფოლოგიურ კატეგორიად ვერ კვალიფიცირდება“ (ტ. ფუტყარაძე - 2012, 204)

ზემოთგანხილული საკითხის მრავალსახოვან განხილვაზე დაყრდნობით ლინგვისტები გვიჩვენებენ ღიად დავტოვოთ აღნიშნული ენობრივი მოვლენის სტატუსის მინიჭება სანამ არ ვიპოვით შესატყვის გადაწყვეტილებას.

### ლიტერატურა:

1. ადამია სვეტლანა 2015, სადისერტაციო ნაშრომი - ორპირიან და ორვალენტიან ზმნურ ფორმათა სრული პარადიგმა, ქართველური ენათმეცნიერება, 2015
2. მელიქიშვილი დიანა 2014, ქართული ზმნის სისტემატური მორფო-სინტაქსური ანალიზი, (სავალდებულო კურსი ჰუმანიტარული ფაკულტეტის ქართველური ენათმეცნიერების სპეციალობის მაგისტრატურის სტუდენტებისათვის) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტი, 2014
3. შანიძე აკაკი 1973, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1973

4. ჩიქობავა არნოლდი 1998, რა თვისებებს ახასიათებს ქართული ენის აგებულება, თბილისი, 1998
5. ჯავახიშვილი მ. 1959, მოთხრობები, სამეცნიერო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, ტ. II, 1959
6. Henry O. 1979, Selected stories, Moscow Progress Publishers, 1979
7. Ilyish B. 1971, The structure of Modern English, Leningrad, 1971
8. Thomson A. J. Martinet A. V. 1986, A Practical English Grammar, Oxford University Press, 1986

**Nunu Charkviani, Irma Rusadze, Sopo Kipiani**

### **A ‘Version’ in the languages of different systems**

#### **Abstract**

The article deals with one of the language phenomena so called ‘version’ in the languages of different systems.

A version has been supposed to be a morphological category of a verb in Georgian for a long time. Its function to show verb action possession between the parts of the sentence is conveyed in English through analytical forms with the help of additional words and through verb prefixes (synthetically) in Georgian. So, the work demonstrates version functioning in both languages in different ways through the examples from fiction.

Besides, the article discusses a debatable issue whether this language phenomenon represents a verb grammatical category or it is simply an action direction. This supposition comes from the fact that the very prefixes for version in Georgian and the very additional words in English used to express this phenomenon cause some confusion in language learners and even in language explorers to consider version a morphological category. Also, in the bases of opinions of Georgian linguistics ‘version’ might be hardly qualified as a grammatical category.

Key words: version, Languages from different system, Morphological categories

რეცენზენტი: პროფესორი გ. ყუფარაძე

ენათმეცნიერება Linguistic

## მეტყველების ნაწილების კლასიფიკაციის ისტორიიდან

(ნებრიხადან სამეფო აკადემიის უახლეს გრამატიკამდე)

ნინო ჭრიკიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: [nino.chrikishvili@tsu.ge](mailto:nino.chrikishvili@tsu.ge)

ენაში არსებული სიტყვათა მარაგის სხვადასხვა კლასებად გადანაწილება და საკლასიფიკაციო პრინციპად სიტყვების საერთო გრამატიკული ნიშნების (მორფოლოგიური კატეგორიები, სინტაქსური ფუნქციები) გამოყენება ენაში კონკრეტული რაოდენობის მეტყველების ნაწილების ჩამონათვალს წარმოქმნის. გამონაკლისი არც ესპანური ენაა, სადაც ცხრა მეტყველების ნაწილს გამოყოფენ: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, მსაზღვრელი, ნაცვალსახელი, ზმნა, ზმნიზედა, წინდებული, კავშირი, შორისდებული.

მეტყველების ნაწილების წარმოდგენილი თანამიმდევრობა გვხვდება 2009 წლიდან, მას შემდეგ რაც ესპანეთის სამეფო აკადემიამ (RAE) გამოაქვეყნა ესპანური ენის განახლებული გრამატიკა „Nueva gramática de la lengua española“. აკადემიის განახლებული გრამატიკით შემოთავაზებული კლასიფიკაცია, რომელიც ამ ეტაპზე საბოლოო ვარიანტიად განიხილება, მთელი რიგი მახასიათებლებით განსხვავდება წინა საუკუნეების გრამატიკულ ნაშრომებში წარმოდგენილი კლასიფიკაციებისგან. სწორედ მეტყველების ნაწილების კლასიფიკაციის ისტორიას ეხება წინამდებარე სტატია, სადაც ესპანური (კასტილიური) ენისათვის ყველაზე მნიშვნელოვან გრამატიკულ ნაშრომებზე დაყრდნობით აღწერილია ევოლუციის რა გზა განვლო მეტყველების ნაწილების კლასიფიკაციამ. მეტყველების ნაწილების კლასიფიკაციის აღწერა დავიწყეთ კასტილიური (ესპანური) ენის პირველი გრამატიკიდან და ვნახეთ როგორ შეიცვალა ეტაპობრივად ნებრიხასეული კლასიფიკაცია და როგორ მივიღეთ თანამედროვე ესპანურში ცხრა მეტყველების ნაწილი.

ენაში არსებული სიტყვათა მარაგის სხვადასხვა კლასებად გადანაწილება და საკლასიფიკაციო პრინციპად სიტყვების საერთო გრამატიკული ნიშნების (მორფოლოგიური კატეგორიები, სინტაქსური ფუნქციები) გამოყენება ენაში კონკრეტული რაოდენობის მეტყველების ნაწილების ჩამონათვალს წარმოქმნის. გამონაკლისი არც ესპანური ენაა, სადაც ცხრა მეტყველების ნაწილს გამოყოფენ:

არსებითი სახელი (ესპ. sustantivo): hombre ‘კაცი’, maldad ‘ზოროტება’...

ზედსართავი სახელი (ესპ. adjetivo): alto ‘მაღალი’, estrecho ‘ვიწრო’ ...

მსაზღვრელი (ესპ. determinante): el (არტიკლი), mi ‘ჩემი’, este ‘ეს’...

ნაცვალსახელი (ესპ. pronombre): yo ‘მე’, alguien ‘ვინმე’ ...

ზმნა (ესპ. verbo): trabajar ‘მუშაობა’, comprender ‘გაგება’, vivir ‘ცხოვრება’ ...

ზმნიზედა (ესპ. adverbio): antes ‘წინათ’, bien ‘კარგად’ ...

წინდებული (ესპ. preposición): con ‘-თან’, hasta ‘-მდე’ ...

კავშირი (ესპ. conjunción): pero ‘მაგრამ’, y ‘და’ ...

შორისდებული (ესპ. interjección): oh ‘ოჰ’ ...

მეტყველების ნაწილების წარმოდგენილი თანამიმდევრობა გვხვდება 2009 წლიდან, მას შემდეგ რაც ესპანეთის სამეფო აკადემიამ (RAE) გამოაქვეყნა ესპანური ენის განახლებული გრამატიკა „Nueva gramática de la lengua española“.<sup>1</sup> აკადემიის განახლებული გრამატიკით შემოთავაზებული კლასიფიკაცია, რომელიც ამ ეტაპზე საბოლოო ვარიანტიად განიხილება, მთელი რიგი მახასიათებლებით განსხვავდება წინა საუკუნეების გრამატიკულ ნაშრომებში წარმოდგენილი კლასიფიკაციებისგან.

ესპანური (კასტილიური) ენის გრამატიკის ისტორია არაერთ მნიშვნელოვან ნაშრომს აერთიანებს. თუმცა, მათ შორისაც არის განსაკუთრებით აღსანიშნი რამდენიმე ნაშრომი. ანტონიო დე ნებრიხას 1492 წლით დათარიღებული „Gramática de la lengua castellana“<sup>2</sup> ესპანური (კასტილიური) ენის პირველი გრამატიკაა. სწორედ ამ ნაშრომით მოხდა კასტილიური (ესპანური) ენის სტრუქტურისა და ნორმების წერილობითი ფორმით ჩამოყალიბება. ნებრიხამ თავი მოუყარა და წერილობით დააფიქსირა მანამდე ზეპირი ფორმით არსებული გრამატიკული წესები. XV საუკუნის ცნობილმა ესპანელმა ჰუმანისტმა და ლინგვისტმა ნაშრომი ხუთ ნაწილად დაყო და თავების მიხედვით განიხილა ესპანური ენის ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი.

<sup>1</sup>Real Academia Española, Nueva gramática de la lengua española, Madrid, 2009

<sup>2</sup>ანტონიო ნებრიხას „კასტილიური ენის გრამატიკის“ ონლაინ ვერსია

<http://www.ataun.eus/BIBLIOTECAGRATUITA/CI%C3%A1sicos%20en%20Espa%C3%B1ol/Antonio%20de%20Nebrija/Gram%C3%A1tica%20de%20la%20lengua%20Castellana.pdf>

აღსანიშნავია, რომ ნაშრომის პირველი ოთხი ნაწილი განკუთვნილი იყო ესპანელებისათვის, რომელთაც მშობლიური ენის გრამატიკის სიღრმისეული შესწავლა უნდოდათ, ხოლო ნაშრომის ბოლო (მეხუთე) თავში ნებრიხამ მოკლედ აღწერა კასტილიური ენის მთავარი გრამატიკული მახასიათებლები (სხვადასხვა დროში ზმნების უღლების უამრავი პარადიგმით) მათთვის, ვისთვისაც ესპანური არ იყო მშობლიური ენა.

ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ნაშრომის მესამე თავი, რომელიც ეხება ესპანური ენის მორფოლოგიას და მეტყველების ნაწილების დახასიათებას შესაბამისი შინაარსობრივი ჯგუფებით და მორფოლოგიური კატეგორიებით. მეტყველების ნაწილების სათითაოდ დახასიათებამდე ნებრიხა წარმოადგენს კასტილიური ენის მეტყველების ნაწილების ათწევრა სისტემას, ამ სისტემას ლათინურ და ბერძნულ ენებში გამოყენებულ კლასიფიკაციას ადარებს და ძირითად განმასხვავებელ ნიშნებზე მიუთითებს: „*Los griegos común mente distinguen ocho partes de la oración: nombre, pronombre, artículo, verbo, participio, preposición, adverbio, conjunción. Los latinos no tienen artículo, mas distinguen la interjección del adverbio, et así, hazen otras ocho partes de la oración: nombre, pronombre, verbo, participio, preposición, adverbio, conjunción, interjección. Nos otros, con los griegos, no distinguiremos la interjección del adverbio, et añadiremos con el artículo el gerundio, el cual no tienen los griegos, et el nombre participial infinito, el cual no tienen los griegos ni latinos. Así que serán por todas, diez partes de la oración en el castellano: nombre, pronombre, artículo, verbo, participio, gerundio, nombre participial infinito, preposición, adverbio, conjunción*“ [Nebrija, 1492:110].<sup>1</sup> ამრიგად, მივიღეთ შემდეგი სურათი:

ბერძნული ენა	ნებრიხას გრამატიკა	ლათინური ენა
სახელი	სახელი (ombre, dios, gramática)	სახელი
ნაცვალსახელი	ნაცვალსახელი (io, tú, aquél)	ნაცვალსახელი
არტიკლი	არტიკლი (el, la, lo)	ზმნა
ზმნა	ზმნა (amo, leo, oio)	მიმღეობა
მიმღეობა	მიმღეობა (amado, leído, oído)	წინდებული

<sup>1</sup>“ბერძნები ჩვეულებრივ განარჩევენ რვა მეტყველების ნაწილს: სახელი, ნაცვალსახელი, არტიკლი, ზმნა, მიმღეობა, წინდებული, ზმნიზედა, კავშირი. ლათინურ ენაზე მოსაუბრეებს არ აქვთ არტიკლი მაგრამ ზმნიზედისგან გამოყოფენ შორისდებულს და ამგვარად რვა მეტყველების ნაწილის განსხვავებულ კლასიფიკაციას იღებენ: სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, მიღეობა, წინდებული, ზმნიზედა, კავშირი, შორისდებული. ჩვენ, ბერძნების მსგავსად, არ გამოვყოფთ შორისდებულს ზმნიზედისგან და არტიკლთან ერთად ვამატებთ გერუნდივს, რაც ბერძნებს არ აქვთ და ინფინიტივის მიმღეობით სახელს, რაც არც ბერძნებს აქვთ და არც ლათინურ ენაზე მოსაუბრეებს. ასე რომ, კასტილიურ ენაში მივიღეთ ათი მეტყველების ნაწილი: სახელი, ნაცვალსახელი, არტიკლი, ზმნა, მიმღეობა, გერუნდივი, ინფინიტივის მიმღეობითი სახელი, წინდებული, ზმნიზედა, კავშირი“.

წინდებული	გერუნდივი (amando, leyendo, oiendo)	ზმნიზედა
ზმნიზედა (შედის შორისდებულიც)	ინფინიტივის მიმდებარებითი სახელი (aver amado, aver leído, aver oído)	კავშირი
კავშირი	წინდებული (a, de, con) ზმნიზედა (aquí, allí, aier) (შედის შორისდებულიც) კავშირი (i, o, ni)	შორისდებული

როგორც ვხედავთ, მეტყველების ნაწილების ნებრიხასულ კლასიფიკაციაში არ ფიქსირდება ზედსართავი სახელი. ესპანელი ლინგვისტი ზედსართავ სახელს არ გამოყოფს დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილად და მას, სახელის დახასიათების დროს, სახელის ერთ-ერთ შინაარსობრივ ჯგუფად მოიხსენიებს. ნებრიხა სახელის ორ ჯგუფს ასახელებს, ესენია: „nombre adjetivo“, რომელიც „*siempre se arrima al substantivo*“ (მაგალითად: ombre bueno) და „nombre substantivo“, რომელიც „*está por sí mismo, et no se arrima a otro ninguno*“ (მაგალითად: ombre).<sup>1</sup> აქვე აღნიშნავს, რომ სახელთან გვხვდება სამივე სქესის არტიკლი (el ombre, la muger, lo fuerte). ესპანელი გრამატიკოსი არც შორისდებულს გამოყოფს დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილად. ნებრიხა თავად ამბობს, რომ „a imitación de los griegos“ შორისდებულს (მაგალითად: ai, hahaha...) ტოვებს ზმნიზედასთან. როგორც ვხედავთ, ნებრიხა მეტყველების ნაწილების კლასიფიკაციისას იყენებს ლათინური და ბერძნული ენების გრამატიკას, რაც სავსებით ლოგიკურია, რადგან არ არსებობდა ესპანური ენის მანამდე შექმნილი გრამატიკა, რასაც ნებრიხა დაეყრდნობოდა.

**ესპანური ენის სამეფო აკადემია (RAE)** მადრიდში 1713 წელს დაარსდა. პირველი ნაშრომი, რომელიც აკადემიამ გამოაქვეყნა ესპანური ენის განმარტებითი ლექსიკონის ექვსტომეულია. „Diccionario de Autoridades“ დაიბეჭდა 1726-1739 წლებში.<sup>2</sup> განმარტებითი ლექსიკონის გამოცემის შემდეგ, აკადემიამ ესპანური ენის გრამატიკაზე დაიწყო მუშაობა. 1771 წელს აკადემიის პირველი გრამატიკული ნაშრომი „**Gramática de la lengua castellana**“ გამოქვეყნდა.<sup>3</sup> ნაშრომი შედგება ორი ნაწილისგან და მოიცავს როგორც მორფოლოგიას, ისე სინტაქს. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა გრამატიკის პირველი ნაწილი, რომელიც ეთმობა ესპანური ენის მორფოლოგიას და

<sup>1</sup>Antonio de Nebrija “Gramática de la lengua castellana“, 1492, გვ. 115

<sup>2</sup>ნაშრომს საფუძვლად დაედო სებასტიან დე კობარუბიასის კასტილიური (ესპანური) ენის პირველი განმარტებითი ლექსიკონი „Tesoro de la lengua castellana, o española“ (1611 წ.).

<sup>3</sup>იხ. ნაშრომის ონლაინ ვერსია [https://www.rae.es/sites/default/files/Gramatica\\_RAE\\_1771\\_reducida.pdf](https://www.rae.es/sites/default/files/Gramatica_RAE_1771_reducida.pdf)

მეტყველების ნაწილების დახასიათებას შესაბამისი შინაარსობრივი ჯგუფებით და მორფოლოგიური კატეგორიებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომის ძირითად ნაწილს საფუძვლად დაედო ანტონიო დე ნებრიხას „კასტილიური ენის გრამატიკა“ (1492 წ.). თუმცა, აკადემიის პირველ გრამატიკაში ნებრიხას გრამატიკის გარდა მოხსენიებულია სხვა ორი ნაშრომიც: ბარტოლომე ხიმენეს პატონის 1614 წლით დათადირებული „Instituciones de la Gramática española“ და გონსალო კორეასის 1627 წელს გამოქვეყნებული „Gramática de las tres lenguas castellana, latina, y griega.“

ესპანური ენის სამეფო აკადემია (RAE) არ დაეთანხმა მეტყველების ნაწილების ნებრიხას მიერ შემოთავაზებულ კლასიფიკაციას და ცხრა მეტყველების ნაწილი შემდეგი თანმიმდევრობით წარმოადგინა: სახელი, ნაცვალსახელი, არტიკლი, ზმნა, მიმღეობა, ზმნიზედა, წინდებული, კავშირი და შორისდებული. სამეფო აკადემიის პირველ გრამატიკაში სახელი ისევ არსებითი (nombre sustantivo) და ზედსართავი (nombre adjetivo) სახელების შინაარსობრივ ჯგუფებს მოიცავს, ხოლო ზმნა ნებრიხას მიერ დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილებად გამოცხადებულ გერუნდის და ინფინიტივის მიმღეობით სახელს აერთიანებს. ცალ-ცალკე მეტყველების ნაწილებად არის წარმოდგენილი ზმნიზედა და შორისდებული. არტიკლი ისევ დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილია.

1994 წელს გამოქვეყნდა ემილიო ალარკოსის „Gramática de la lengua española“.<sup>1</sup> ალარკოსის ნაშრომი, სადაც განხილულია ესპანური ენის როგორც ფონეტიკა, ისე მორფოლოგია და სინტაქსი, არაერთი კუთხით არის აღსანიშნი. სწორედ ალარკოსის სახელს უკავშირდება არსებითი და ზედსართავი სახელების ერთმანეთისაგან საბოლოო გამიჯვნა და მათი ორ დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილად წარმოდგენა. მანვე წარმოადგინა ზედსართავი სახელის ორი ტიპი და დაამკვიდრა ტერმინები „აღწერითი ზედსართავი (ესპ. adjetivos calificativos)“ და „განმსაზღვრელი ზედსართავი (ესპ. adjetivos determinativos)“. აქვე დავაკონკრეტებთ, რომ აღწერითი ზედსართავი სახელით გადმოცემული იყო სხვადასხვა სახის ნიშან-თვისება, რაც ნიშნავს, რომ საგანი დახასიათებული იყო ზომის, წონის, ფორმის, სახეობის, ფერის, ოდენობის, შემადგენლობის მიხედვით (grande ‘დიდი’, pesado ‘მძიმე’, redondo ‘მრგვალი’, digital ‘ციფრული’, negro ‘შავი’, numeroso ‘მრავალრიცხოვანი’, seco ‘მშრალი’), ხოლო განმსაზღვრელ ზედსართავად მოიაზრებოდა კუთვნილების, ჩვენებითობის, განუსაზღვრელობის აღმნიშვნელი ფორმები არსებით სახელთან წინმსწრები პოზიციით (nuestro amigo, esta casa, algún libro...). ზედსართავი სახელის ამგვარ კლასიფიკაციას სახელმძღვანელოებში დღემდე ვხვდებით, რაც სამეფო აკადემიის განახლებული გრამატიკის (2009 წ.) მიხედვით, სადაც ალარკოსის განმსაზღვრელი

<sup>1</sup>Emilio Alarcos Llorach “Gramática de la lengua española”, Espasa, Madrid, 1994

ზედსართავი წარმოდგენილია დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილად, არის შეცდომა. აღარკოსის მიერ შემოთავაზებული მეტყველების ნაწილების ჩამონათვალი შემდეგია: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, ზმნიზედა, წინდებული, კავშირი და შორისდებული. როგორც ვხედავთ, ახალ კლასიფიკაციაში აღარ ჩანს არც არტიკლი (განხილულია არსებით სახელთან ერთად) და არც მიმღობა (განხილულია ზმნასთან ერთად).

ესპანური ენის სამეფო აკადემიამ 1771 წელს გამოქვეყნებული „კასტილიური ენის გრამატიკა“ არაერთხელ განაახლა. აკადემიის გრამატიკის უახლესი ვერსია სახელწოდებით „**Nueva gramática de la lengua española**“ გამოქვეყნა 2009 წელს.<sup>1</sup> აკადემიის ახალი ნაშრომით კიდევ ერთხელ შეიცვალა მეტყველების ნაწილების ჩამონათვალი და მივიღეთ შემდეგი სურათი: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, მსაზღვრელი, ნაცვალსახელი, ზმნა, ზმნიზედა, წინდებული, კავშირი და შორისდებული. მთავარი სიახლე, რაც აკადემიის უახლესმა გრამატიკამ მეტყველების ნაწილების კლასიფიკაციასთან შემოგვთავაზა არის ახალი მეტყველების ნაწილი - მსაზღვრელი, რომელიც ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ განიხილებოდა, როგორც ზედსართავი სახელის ერთ-ერთი ჯგუფი და მოიხსენიებოდა ტერმინით „განმსაზღვრელი ზედსართავი სახელი“ (ესპ. adjetivo determinativo). ესპანეთის სამეფო აკადემიის მიერ 2009 წელს გამოცემულ განახლებულ გრამატიკაში „Nueva gramática de la lengua española“ ვკითხულობთ: „*Los adjetivos determinativos se consideran determinantes en lugar de propiamente adjetivos,*“<sup>2</sup> რაც ნიშნავს, რომ მსაზღვრელი აღარ არის ზედსართავი სახელის ერთ-ერთი ჯგუფი. იგი დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილია, რომელიც მეტყველების ნაწილების ჩამონათვალში მესამე პოზიციას იკავებს: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, მსაზღვრელი, ნაცვალსახელი, ზმნა და ა.შ. ამავე გამოცემით ესპანეთის სამეფო აკადემია მსაზღვრელის (ესპ. determinante) რამდენიმე ჯგუფს განარჩევს, ესენია: არტიკლი (*el libro*), კუთვნილებითი (*nuestros amigos*), ჩვენებითი (*estas bolsas*), განუსაზღვრელობითი (*algún momento*), რაოდენობის აღმნიშვნელი (*tres casas*), მიმართებითი (*el señor cuyo hijo*), კითხვითი (*¿Qué vino prefieres?*) და ძახილის (*¿Qué ciudad!*) მსაზღვრელები. აქვე უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება. გამომდინარე იქიდან, რომ მსაზღვრელი და ნაცვალსახელი რიგ შემთხვევებში ერთსა და იმავე ფორმას იყენებს, საყურადღებოა მათი ერთმანეთისაგან სწორად გამიჯვნა. იმისათვის, რომ სწორად ამოვიცნოთ კონკრეტული ფორმა მსაზღვრელია თუ ნაცვალსახელი, უნდა დავაკვირდეთ ახლავს თუ არა მას არსებითი სახელი. მსაზღვრელი ყოველთვის არსებითს ახლავს (და უმრავლეს შემთხვევაში მას სქესსა და რიცხვში უთანხმდება), მაშინ როცა ნაცვალსახელი არსებითი სახელის გარეშე,

<sup>1</sup>არსებობს ამ ნაშრომის რეზუმირებული ვერსიაც „Nueva gramática básica de la lengua española“ (2011 წ.).

<sup>2</sup>Real Academia Española, Nueva gramática de la lengua española, 2009



არსებითის შემცვლელად გამოიყენება: Esta<sup>ჩვენებ. მსაზღვ.</sup> flor es una rosa y esta<sup>ჩვენებ.ნაცვ.</sup> es una violeta 'ეგ ყვავილი ვარდია, ეს (გამოტოვებულია: ყვავილი) კი არის ია' და ა.შ.

როგორც განხილულმა მასალამ გვაჩვენა, ესპანურ ენაში მეტყველების ნაწილების კლასიფიკაციამ საკმაოდ რთული გზა განვლო. ანტონიო დე ნებრიხას მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია მომდევნო საუკუნეებში არაერთხელ შეიცვალა და ამ ეტაპისათვის საბოლოო ვარიანტი აკადემიის უახლესი გრამატიკით განისაზღვრა.

#### ლიტერატურა:

1. Alarcos Llorach E., - Gramática de la lengua Española, RAE, Espasa, Madrid, 1994
2. Nebrija A., - Gramática de la lengua castellana [ელექტრონული ვერსია]  
<http://www.ataun.es/BIBLIOTECAGRATUITA/C1%C3%A1licos%20en%20Espa%C3%B1ol/Antonio%20de%20Nebrija/Gram%C3%A1tica%20de%20la%20lengua%20Castellana.pdf>
3. Real Academia Española, - Gramática de la lengua castellana [ელექტრონული ვერსია]  
[https://www.rae.es/sites/default/files/Gramatica\\_RAE\\_1771\\_reducida.pdf](https://www.rae.es/sites/default/files/Gramatica_RAE_1771_reducida.pdf)
4. Real Academia Española, Nueva gramática de la lengua Española, Espasa Libros, 2009
5. Real Academia Española, Nueva gramática básica de la lengua Española, Espasa Libros, 2011

**Nino Chrikishvili**

#### **From the History of the Classification of parts of speech**

**(From Nebrija to the latest grammar of Royal Academy)**

#### **Abstract**

Distributing the vocabulary in a language into different classes and using common grammatical signs (morphological categories, syntactic functions) as a class-fiction principle creates a list of parts of a specific number of speech in a language. Spanish is no exception, where nine parts of speech are distinguished: noun, adjective, pronoun, verb, adverb, preposition, conjunction, interjection. He presented sequence of parts of speech is found in 2009, after the Royal Spanish Academy (RAE) published an updated grammar of the Spanish language “*Nueva gramática de la lengua española*“. The academy-proposed classification with updated grammar, which is considered the final version at this stage, differs in a number of characteristics from the classifications presented in the grammatical works of previous centuries.

The present article deals with the history of the classification of parts of speech, where based on the most important grammatical works for the Spanish (Castilian) language, the evolution of the classification of parts of speech is described.

Description of the classification of parts of speech we started from the first grammar of Castilian language and saw how the Nebrichasian classification gradually changed and how we got the part of the nine speeches in modern Spanish.

რეცენზენტი: პროფესორი ც. ახვლედიანი

ლიტერატურა Literature

## მხატვრული დროისა და სივრცის ურთიერთმიმართება

### ნატალი საროტის „ოქროს ნაყოფში“

ნინო ბუაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

a-mail: [ninobuadze30@gmail.com](mailto:ninobuadze30@gmail.com)

სტატიაში განხილულია XX საუკუნის ფრანგული „ახალი რომანის“ წარმომადგენელ ნატალი საროტის რომან „ოქროს ნაყოფში“ (1963) დროისა და სივრცის ურთიერთმიმართების თავისებურებანი: არალინეარულობა, ასიმეტრია, სინკრეტიზმი, სიუჟეტური ხაზების ერთმანეთისგან აცილება, დროის სწრაფი წყვეტა, მონაცვლეობა, „ინტენსიური“ უმოძრაობა, დროის ინერტულობა, ერთდროულობის გამომხატველი გამეორებები, აწმყო დროის „უმოძრაობა-გაყინვა“, დროების ერთმანეთში არეკვლა, რომლებიც ტექსტში ორგანიზებულია როგორც მხატვრული გამომსახველობითი საშუალებებით (ტროპიზმი, „ქვე-საუბარი“, საუბარი, „მიზანაბიმი“), ასევე ლინგვისტური კატეგორიებით (პუნქტუაცია, მეტყველების ნაწილები ზმნის კატეგორიები: კილო, დრო).

სამწერტილითა და სხვადასხვა დროის გრამატიკული ფორმების შენაცვლების ტექნიკით გადმოცემული დროის „სწრაფი წყვეტა“ მკითხველს წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთსიბრტყიანობასა და არათანმიმდევრულ წრიულ ურთიერთმონაცვლეობას განაცდევინებს. „დროის ინერტულობის“ ტექნიკით გადმოცემული დროისა და სივრცის უკიდევანობა გაქვავებულ საგნებად ქცეულ უსიცოცხლო სამყაროს სურათში ვლინდება. მოვლენების გამეორები ქმნის როგორც დროის შენელების, ასევე დროის გაჩერების ილუზიას და გამოხატავს ანონიმური პერსონაჟების მდგომარეობას. თხრობითი კილოს ნამყო უსრული დრო ქმნის „გამეორებული ერთდროულობის“ ეფექტს, რომელიც გვიჩვენებს მოქმედების არა მხოლოდ წარსულს, არამედ მოქმედების ერთდროულობას. დროის შინაგანი დინება არაერთგვაროვანია,

დროთა ურთიერთგადასვლებით თამაში მიანიშნებს მხატვრული დროის კონსტრუქციულ და დესტრუქციულ თვისებებზე.

დროის დესტრუქციის პრიზმაში ნაჩვენები გრძობებით, მდგომარეობებითა და სუბიექტურ შეგრძნებებით იკვეთება ადამიანის ყოფიერებისა და რეალობის საერთო დისჰარმონიული სურათი; მხატვრული დროის გარდასახვაში მეტყველების სუბიექტის რეალიზაციის, ადამიანის დროისგან განუყოფლობის, მისი დროში არსებობის, მოქმედებისა და აზროვნების საკითხები.

დროის გამოხატავად მწერალი ემოციების აღწერას ესწრაფის. ცდილობს სიტყვაში გამოხატოს ის, რაც არ გამოიხატება, ამავე დროს არ „მოკლას“ სიტყვა; ფრაზებში აღადგინოს ის, რაც არსებობს მხოლოდ მოცემულ მომენტში; მინიდრამების საშუალებით გააერთიანოს დროსა და სივრცეში დანაწევრებული ობიექტური სამყარო; ააგოს ფრაზები მოძრაობაში. დანერგოს აწმყო დრო, რომელშიც ყველაზე სრულყოფილად წარმოჩინდება უპიროვნებო აზრების ნაკადი, შინაგანი ემოციები, ანონიმური რეაქციები; სამოქმედო სივრცისა და დროის „გასაყინად“ შემოიტანოს კავშირებითი კილო.

დროისა და სივრცის ურთიერთმიმართების ანალიზი ცხადყოფს, რომ „მიზანაზიმის“ ტექნიკა, ტროპიზმი, „ქვე-საუბრი“ და საუბარი ლიტერატურული ქრონოტოპის გააზრების ახალ პერსპექტივას იძლევა.

საკვანძო სიტყვები: ნატალი საროტი, დროის გამოხატვა, სამოქმედო დრო და სივრცე

**XX** საუკუნეში რომანში არსებული მხატვრული დროისა და სივრცის ურთიერთმიმართების კვლევა ბახტინის ქრონოტოპის თეორიასთან მიმართებაში წარიმართა. ბახტინმა მხატვრულ-ლიტერატურული ქრონოტოპი განსაზღვრა როგორც სივრცულ-დროული ნიშნების შერწყმა ერთ გააზრებულ და კონკრეტულ მთლიანობაში. ამ კუთხით საინტერესოა ნატალი საროტის რომანის („ოქროს ნაყოფი“) კვლევა, რადგან ფრანგული „ახალი რომანის“ ერთ-ერთმა ფუძემდებელმა და რომანის კონვენციური ფორმების უგულვებელმყოფელმა საროტმა თავის რომან „ოქროს ნაყოფში“ დროით-სივრცითი სტრუქტურის მთელი რიგი თავისებურებები წარმოაჩინა: დროის სწრაფი წყვეტა და მონაცვლეობა, „ინტენსიური“ უმოძრაობა, დროის ინერტულობა, ერთდროულობის გამომხატველი გამეორებები, აწმყო დროის „უმოძრაობა-გაყინვა“, დროების ერთმანეთში არეკვლა.

რომანში დროის „სწრაფი წყვეტა“ მეტწილად გაქვავებულ საგნებად ქცეულ უსიცოცხლო სამყაროს სურათში სამწერტილითა და სხვადასხვა დროის გრამატიკული ფორმების შენაცვლების ტექნიკითაა გადმოცემული, რაც მკითხველს წარსულის, აწმყოსა და მომავლის

ერთობრივიანობასა და არათანმიმდევრულ წრიულ ურთიერთმონაცვლეობას განაცდევინებს. მაგალითად, აწმყო დროს შესაძლებელია მოსდევდეს წყვეტილი, წყვეტილს - აწმყო, აწმყოს - მყოფადი, მყოფადს კვლავ - აწმყო და ა.შ.: „ოქროს ნაყოფი“... ბედნიერებას მანიჭებს მისი კითხვა /აწმყო/... მე მხოლოდ ზოგიერთი მონაკვეთი წავიკითხე /წყვეტილი/... მაგრამ აუცილებელია მთლიანად /აწმყო/... დარწმუნებული ვარ რომ მომეწონება /მყოფადი/“ [საროტი 1963 : 55].

„დროის ინერტულობის“ ტექნიკით გადმოცემული დროისა და სივრცის უკიდევანობა, გაქვავებულ საგნებად ქცეულ უსიცოცხლო სამყაროს სურათში ვლინდება: „და, აი, ბინდით მოცულ, მონაცრისფრო სივრცეში, დღის მკრთალ შუქზე აღმართულ, გაქვავებულ ფიგურებს ნელ-ნელა, შეუმჩნევლად რაღაც გამოეყოფა... თითქოს გრილმა, ნაცნობმა და ახლობელმა სიომ დაუბერა... რაღაც, რასაც ის შეიცნობდა... რამდენჯერ ჩაუსუნთქავს, რამდენჯერ შეუგრძნია... სხვადასხვა ილუსტრირებული თუ მოდების ჟურნალების თვალთვლებისას... ჰერცოგების, დიდგვაროვანთა ასულების თუ დედოფალთა პორტრეტებიდან ამოორთქლილი... მათი თავდაჭერილი გამომეტყველებიდან, სადაც მღელვარება ვერაფერს აკლებს უძრავ, თითქოს საუკუნოდ გაქვავებულ ნაკვთებს [...]“ (საროტი 1963: 40)

ესაა სურათი, სადაც არ არსებობენ პერსონაჟები, მაგრამ არის მასა; არ ვითარდება მოქმედება, მაგრამ არის საგნები. ბუნებრივია, რომ ამ პირობებში არაფერი მოხდება, რადგან ყველაფერი ემორჩილება პასიურობის ატმოსფეროს. ფაბულის განვითარებასთან ერთად მასა ხდება სულ უფრო კომპაქტური და მისი კომპაქტურობა განსაკუთრებით იჩენს თავს მაშინ, როცა ის უმოძრაოა.

მოვლენების გამეორება ქმნის როგორც დროის შენელების, ასევე დროის გაჩერების ილუზიას და გამოხატავს ანონიმური პერსონაჟების მდგომარეობას. თხრობითი კილოს ნამყო უსრული დრო ქმნის „გამეორებული ერთდროულობის“ ეფექტს, რომელიც გვიჩვენებს მოქმედების არა მხოლოდ წარსულს, არამედ მოქმედების ერთდროულობას.

„ოქროს ნაყოფში“ დროის შინაგანი დინება არაერთგვაროვანია, დროთა ურთიერთ-გადასვლებით თამაში მიანიშნებს მხატვრული დროის კონსტრუქციულ და დესტრუქციულ თვისებებზე. ლიტერატურის მკვლევარ ჟან პიეროს (Jean Pierrot) აზრით, „საროტის ტექსტებში დროის იდეა პოულობს თავის არაპირდაპირ და სიმბოლურ გამოხატვას იმით, რასაც უწოდებენ მატერიისა და ფორმის დიალექტიკას, რომელიც ექსპლიცირდება თხრობითი პერსპექტივების სხვადასხვა ერთდროულობის არსებობის მეშვეობით. ნატალი საროტის სამყარო დაქვემდებარებულია მკაცრ ენთროპიას\* (\*ბერძნ. ε □ ν τ ρ ο π η´ - „გარდაქმნა“, „გარდაქცევა“), დროის დესტრუქციულ ნახტომებს და ამიტომ განიცდის დეზორგანიზაციას“ [პიერო 1990: 53].

მკვლევარი ჟან-კლოდ ვარეი (Jean-Claude Vareille) ყურადღებას ამახვილებს საროტის ტექსტების წყვეტილ და ნახტომისებურ ქრონოლოგიაზე. მისი აზრით, დროის აღქმის უჩვეულო ტრანსფორმაცია, წარსულის, აწმყოსა და მომავლის პარადოქსული გადახლართვა სუბიექტის ცნობიერებაში იხსნება დროის ცალკეული კალეიდოსკოპური ნახტომების მეშვეობით: „ლინეალური დროის“ გაქრობა საროტის „ახალ რომანში“ დაფუძნებულია მიზეზის და შედეგის პრივილეგირებულ ურთიერთობებზე, დროის ტელესკოპურ თვისებებზე, ჰარმონიისა და დესტრუქციის ერთდროულ არსებობაზე, როგორც მუსიკალური კონტრაპუნქტუალური წერის კატალიზატორის, რომელიც, უეჭველად, შეადგენს ახალი რომანის პოეტიკის ფუნდამენტურ თავისებურებას და ბუნდოვანებას“ [ვარეი 1992: 113].

ნატალი საროტი გვიჩვენებს გრძნობებს, მდგომარეობებს, სუბიექტურ შეგრძნებებს დროის დესტრუქციის პრიზმაში და ამით აღწევს დასახულ მიზანს: ეგზისტენციალური და ავტონომიური ადამიანური ცნობიერება, რომელიც გარდატეხს სამყაროს, ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომელიც შთაგონებულია ადამიანის ყოფიერებისა და რეალობის საერთო დისჰარმონიული სურათით.

განსაკუთრებით აქტუალურია მეტყველების სუბიექტის რეალიზაციის საკითხი მხატვრული დროის გარდასახვაში. საროტის ტექსტებში მჟღავნდება მეტყველების სუბიექტის დროის გამოხატვის ფსიქოლოგიური და სუბსტანციური ასპექტები, სახელდობრ, დროის პიროვნული, სუბიექტური ასპექტი გამორიცხავს ტრადიციული საავტორო დროის რეალიზაციის შესაძლებლობას, რაც საროტის ესთეტიკის ფუძემდებლურ პრინციპს წარმოადგენს. ამ მიზეზით პერსონაჟის ცნობიერებაში დრო საკუთარ შინაგან სამყაროსთან შეერთებით აღდგება. დრო გრძნობების შემადგენელ ნაწილად შეიგრძნობა, ადამიანი დროის გავლენასა და მის ცოცხალ დინებას განიცდის. ასე რომ, დროთა ურთიერთობათა ფორმირებაში ადამიანური შეგრძნებები უმთავრესია.

დროის მნიშვნელობები დგინდება მოლაპარაკე სუბიექტის თვალსაზრისით, ამის გამო დროის მხატვრული ექსპლიკაცია ვლინდება, როგორც დროის მარტივი და რთული ფორმების მრავალსაფეხურიანი სისტემა. იქმნება დროის სულიერი სახე, რომელიც იჭრება პიროვნების სამყაროში და ცვლის მას. დრო, ასეთი სახით, წარმოდგენილია არა როგორც ფონი, არამედ ადამიანური ცხოვრების ორგანული ნაწილი. ადამიანი დროისგან განუყოფელია, ის არსებობს, მოქმედებს და აზროვნებს დროში.

საროტის ტექსტებში დროის გამოხატვის კიდევ ერთი პრინციპული თავისებურება არის ის, რომ მწერალი ესწრაფის აღწეროს ემოციები, გრძნობები და შეგრძნებები ისეთ ფორმაში, თითქოს პირსონაჟები განიცდიან „აქ“ და „ახლა“. სხვადასხვაგვარი სუბიექტური აფექტაციების

მხატვრული ილუსტრაციული ტრადიციული მეთოდები, რომლებიცაა, მაგ., გრძნობების ანალიზი, ემოციური სიტუაციების, ფაქტების პირდაპირი დასახელება ადამიანის შინაგანი რესურსების ნამდვილი არსის დეფორმაციას იწვევს, რაც მიუღებელია საროტისთვის. მას აწუხებს უფრო ღრმა საკითხები: როგორ გამოხატოს სიტყვაში ის, რაც არ გამოიხატება, ამავე დროს არ „მოკლას“ სიტყვა; როგორ აღადგინოს ფრაზების მოძრაობაში ის, რაც არსებობს მხოლოდ მოცემულ მომენტში.

ნატალი საროტი დროთა ურთიერთგადახლართვით აერთიანებს დროსა და სივრცეში დანაწევრებულ ობიექტურ სამყაროს, მაგრამ არა ნარატიული მეთოდით, არამედ მინიდრამების - უმცირესი მოძრაობების საშუალებით. ტროპიზმები ხელს უშლის დროის იმ ლინეალურ დინებას, რომელიც იმპლიციურებს განვითარებას და კონვერსიას. ეს კი მიუღებელია „ახალი რომანისტიკისთვის“. საროტს წინა პლანზე გამოაქვს „აწმყოს მომენტი“, რომელიც აუქმებს ტრადიციული რომანის ნარატიულ ელემენტებს. სწორედ „მომენტი“ ხდება საროტის დროისა და სივრცის საზომი. საროტისეული „მომენტის“ მთავარ ოპოზიციურ კატეგორიად ხდება ტრადიციული რომანის დროის ლინეალური დინება და თანხვედრა დროისა და სივრცისა.

დროის დინება, რომლის მთავარი თვისებაცაა ინფორმაციის ფილტრაცია, ზოგჯერ კი მისი დამახინჯება, ეწინააღმდეგება იმ „მომენტს“, რომელიც ყოველთვის ზუსტი, ნამდვილი და გრძნობადია. საროტის რომანებში დროის დინება მთლიანადაა გაუქმებული. დრო, რომელიც ჩასმულია ფრჩხილებში, მოხაზულია სამწერტილით, ყოველთვის მიისწრაფის თავი დააღწიოს სიტყვების ტყვეობისგან, იმისათვის, რომ ააგოს ფრაზები მოძრაობაში. სხვა სიტყვით, აწმყო „ახალ რომანში“ წარმოგვიდგება, როგორც ფუნქციონალურად მრავალგანზომილებიანი წარმონაქმნი, რომელიც შეიცავს დროის დამატებითი შინაარსების ყველა შესაძლო კონოტაციებს. საროტი აღიარებს, რომ აწმყოს უპირატესობა მასთან გამოწვეულია არა რომელიღაც თეორიის მიხედვით, არამედ - შინაგანი მოთხოვნილებით. „მე აღვწერ იმას, რაც დაბადების პროცესში იმყოფება. მე ვცდილობ გამოვიკვლიო სულის სხვადასხვა მოძრაობა და მიხდა, რომ მკითხველმა ან მაყურებელმა ასევე გამოიკვლიოს ისინი. და, აი, ჩემგან დამოუკიდებლად ყველაფერი აწმყო დროში ხდება“ - წერს ნატალი საროტი [ბალაშოვი (რედ.) 1995: 400].

ახალი რომანისტიკის მიზანია დაგვანახოს უპიროვნებო აზრების ნაკადი, შინაგანი ემოციები, ანონიმური რეაქციები პირველყოფილ მდგომარეობაში, სრულ უწესრიგობაში. ამ ყოველივეს წარმოჩენის ერთადერთ ეფექტურ საშუალებად მას ესახება აწმყო დროის დანერგვა. მწერლის კონცენტრაცია უპიროვნობაზე შეგნებულად უარყოფს დროის ლინეალურ დინებას. რეალისტური „სწრაფი დინების“ გარდასახვას „ახალი რომანის“ დამდგარ წყალში, მწერალი ხსნის იმით, რომ ძველმა რომანმა ამოწურა თავისი ჟანრობრივი შესაძლებლობები.

მოძრავი ფორმების სამყაროში, სადაც ინტერპრეტაციები, განმარტებები, შენიშვნები თამაშობს არსებით როლს, დრო მიედინება აწმყოში და იმორჩილებს წარსულსა და მომავალს თავისი მოდალურობის ქვეშ. მოქმედებები, რომლებიც აწმყოში ხდება, თავს ერთ ადგილზე იყრის და იყინება.

უძრაობა, რომელიც ხდება დროის გამომხატველი, საროტის ტექსტებში აიწერება სხვადასხვაგვარი ელფერით.

გრამატიკული დროების წინააღმდეგობრიობა იქამდე მიდის, რომ დროის ფორმები, რომლებიც ყველაზე მეტადაა ადაპტირებული ტრადიციული თხრობისთვის მარტივ წარსულ დროში (Passé simple), კარგავს თავის ესთეტიკურ ძალას და ადგილს უთმობს დროის იმ ფორმებს, რომლებიც „ახალი რომანის“ რეფლექსიური დისკურსის სრულყოფილი გამოხატვისთვის შეიცავს უფრო მოქნილ სტრუქტურებს, რომლებიც ყველაზე ნათლად უსრულ ასპექტში (aspect imperfectif) ვლინდება, ამ შემთხვევაში მარტივი წარსული დროის (Passé simple) როლი შეზღუდულია მხოლოდ იმით, რომ ეს დრო გადაიქცევა ტექსტის დასაწყისის ან დაბოლოების ფორმალურ მაჩვენებლად. ქვემოთმოყვანილ მაგალითი განზოგადებული დასასრულია აწმყო დროით გადმოცემული მინიტექსტისა: „მაგრამ ისინი მზად არიან ამ მცირედიტაც დაკმაყოფილდნენ, თუნდაც გზისპირებზე ჩარჭობილი ბოძებით, საგზაო ნიშნებით თუ ისრებით, მათთვის სულერთია - მათ ყველაფერი გამოადგებათ. მთავარია გზა არ აებნეთ იმათ, ვინც ვერაფერს ხედავენ.“ [საროტი 1963: 60].

1994 წლის „ფრანგულ მეთოდურ გრამატიკაში“ (“Grammaire méthodique du français“) ვკითხულობთ: „თუ ყურადღებით განვიხილავთ კილოს გამოყენებას თანამედროვე ფრანგულში, საჭიროა, ემბლემურად გავიხსენოთ, რომ კავშირებითი კილო მოიცავს მხოლოდ აწმყოსა და წარსულ დროს. კავშირებითი კილოს ნამყო უსრული და კავშირებითი კილოს ნამყო დრო, ძალიან გამოყენებული იყო კლასიკურ ეპოქაში, დღეს იყენებენ მხოლოდ დახვეწილ ნორმებში ან ლიტერატურაში“ (რიეჟელი, პელა, რიული 1994: 327).

ასევე, წერილობით ენაში ამ ორი დროის პოზიცია არამყარია. კავშირებითი კილოს ნამყო უსრულისა და კავშირებითი კილოს ნამყოს დროის (l'imparfait et le plus-que-parfait du subjonctif) გაუჩინარებამ თანამედროვე ფრანგულში გააქრო კავშირებითი კილოს დროის კატეგორიები.

„კავშირებითი კილოს სისტემა რჩება მხოლოდ გამომხატული დროის კორელაციის კატეგორიად აწმყოსა და ნამყო წარსულის კავშირებითი კილოს საწინააღმდეგოდ. კავშირებითი კილოს აწმყო გამოიყენება სიმულტანურობა-შემდგომობის გამოსახატავად, რა მომენტიც უნდა იყოს, კავშირებითი კილოს წარსული დრო (le passé du subjonctif) გამოხატავს წინამავლობა-



პერფექტს (l'antériorité-parfait), რომელიც ყოველთვის გამოხატავს სრულ დროს“ [ვასილიევა, პიცკოვა 1979: 100-103].

ნატალია ვასილიევასა და ლიუდმილა პიცკოვას კვლევები იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ კავშირებითი კილოს მარტივი ფორმების გამოყენება წარსული დროის გამოსახატავად XIX საუკუნესთან შედარებით მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების ბოლოს ლიტერატურულ ნაწარმოებებში 29%-ით შემცირდა (ვასილიევა, პიცკოვა 1979). მაგრამ კავშირებითი კილოს (le subjonctif) ხმარების შემცირება არ ნიშნავს მის სრულ გაუქმებას. პირიქით, ფრანგ ენათმეცნიერ მარსელ კოენის (Marcel Cohen) თქმით, კავშირებითი კილო არის ცოცხალი ფორმა არა მარტო წერილობით ლინგვისტიკაში, არამედ, სალაპარაკო ენაშიც, თუმცა ამ კილოს გამოყენება განსხვავებულია სამწერლობო და ზეპირ ენებში. ავტორი აღნიშნავს, რომ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც თხრობითი კილო (mode l'indicatif) თავის პოზიციებს უთმობს კავშირებითს (le subjonctif). მაგალითად, კავშირ *après que-ს* შემდეგ, სადაც კავშირებითი იბრუნებს თავის ადგილს [რეფეროვსკაია, ვასილიევა 1964: 231-232] მარსელ კოენის აზრით, თუ კავშირებითი კილოსა უსრული დროისა (l'imparfait du subjonctif) და კავშირებითი კილოს ნამყო დროის (le plus-que-parfait du subjonctif) ფორმები იშვიათად გამოიყენება თანამედროვე ფრანგულში, მისი ადგილის ჩანაცვლება შეუძლია არა თხრობით კილოს, არამედ კავშირებითი კილოს (le subjonctif) აწმყოსა და წარსულ დროებს (le présent et le passé) [რეფეროვსკაია, ვასილიევა 1964: 231-232]. კავშირებითი კილოს დამოუკიდებელ ან მთვარ წინადადებებში აქვს განსხვავებული მოდალური მნიშვნელობა იმის მიხედვით, თუ როგორი შინაარსის წინადადებებში გამოიყენება ის: მარტივსა თუ რთულ დამოკიდებულში.

„ოქროს ნაყოფში“ კავშირებით კილოს აქვს სხვადასვა ფუნქცია. იგი შეიძლება გამოხატავდეს ბრძანებას, თხოვნას, შეძახილს, აღშფოთებას. ჰქონდეს შორისდებულის ფუნქცია. მაგალითად: „ემშაკსაც წაუღია!“ (შორისდებული) [საროტი 1963: 25] - ეს წამოძახილი მითიური დროის მითიურ სივრცეს გულისხმობს. აქ რეალური დროისა და სივრცის შეგრძნება გამქრალია, ვინაიდან ქვეცნობიერში ამოტივტივებული არქექტივი, ბიბლიური დაცემული ანგელოზია, რომლისთვისაც დრო და სივრცე არ არსებობს, ყველაფერი ერთ სიბრტყეზეა განლაგებული. შორისდებული, თავისი შინაარსით, დროისა და სივრცის ცნებებს ერთმანეთისაგან „აუცხოებს“, სხვანაირად რომ ვთქვათ, - დროსა და სივრცეს აერთიანებს.

ბრძანების გამომხატველი კავშირებითი კილო, რომელიც შინაარსით უსრულია დროს არ საზღვრავს და, შეიძლება ითქვას, რომ მას უსასრულობასაც კი ანიჭებს: „რომ მოსცილდნენ აქაურობას. რომ გაყარონ ეს გამოსულელებული ბრბო. და რომ მომგვარონ დამნაშავე. [...] რომ ბორკილები დაადვან“ (ბრძანებითი კილო) [საროტი 1963: 48]. - მოცემულ წინადადებაში სივრცის

კონკრეტულ ფარგლებიც არ არის განსაზღვრული, მთავარია „აქაურობიდან მოცილება“ და ბრბოს „გაყრა“.

კავშირებითი კილოთი გადმოცემული თხოვნა საერთოდ კრძალავს მოქმედებას და ამით თითქოს „ყინავს“ სამოქმედო სივრცესაც და დროსაც: „რომ არავინ დაინახოს, რა არის აქ, ჩვენ შორის, რომ არავინ მომიახლოვდეს, მხოლოდ ეს არის, რასაც ვთხოვ მათ“ (თხოვნა) [საროტი 1963: 136].

მეტად საინტერესოა საროტის მოსაზრება კავშირებით კილოზე, რომელსაც იგი ფარჩის მძიმე კაბის უგემოვნოდ აჭრებულ შლეიფს ამსგავსებს: „უზარმაზარი, მძიმე კავშირებითი კილო მეფური სიდიდით ისე შლის თავის გრძელ, მოუქნელ დაბოლოებას ამ სრულიად შემთხვევით წაკითხულ ჩაწიკვიკებულ წინადადებაში, როგორც საგულდაგულოდ გაკრეჭილ კორდზე გემოვნებით მიმოფანტული უზარმაზარი ყვავილები გაშლიან თვიანთ სქელ და ხეშემ ფურცლებს.“

ეს წარმატებული ფორმა, რომლის დამძიმებულ და მოუხეშავ დაბოლოებას მსუბუქად იმორჩილებს წინადადების მკაფიო და მოქნილი რიტმი, ფარჩის მძიმე კაბის უგემოვნოდ აჭრებულ შლეიფს უფრო წააგავს, რომელსაც პატარა ფეხი ნერვული მოძრაობით უკან გადაისვრის, მაშინ როცა კოხტა, შეკუდრული თავი ცერემონიულად იხრება, შემდეგ კი ამაყი თავაზიანობით სწრაფად სწორდება. ამ რევერანსზე ყველა კეთილშობილი პიროვნება, ბუნებრივია, უმაღლესი საღმრთო პასუხობს.

ძველმოდური, მეტისმეტად გადატვირთული, ღიმილისმომგვრელი ტანსაცმელი მოხვდება დახელოვნებული თერძის ხელში, რომელიც განტვირთავს მას ზედმეტი დეტალებისაგან, ოსტატურად გამოაჩენს მის ნამდვილ სახეს, რაობას და ახალ მოდელს ახალგაზრდულ, მაგრამ დროგასულ, სევდისმომგვრელ მომხიბვლელობას შეუნარჩუნებს.

ამ რთულ გრამატიკულ ფორმაში, მის, ცოტა არ იყოს, სასაცილო და მოუხეშავ დაბოლოებაში ჩვენი გონების უწვრილესი განშტოებანი ისე აღწევენ, როგორც ნერვული ბოჭკოები მორიელის საზარელი კუდის ბოლოში: მგრძობიარე წვეტი ჯერ დაიჭიმება, დაიძაბება, ცოტა ხნის შემდეგ კი ელვისებური სისწრაფით ჩაესობა რომელიმე ძალზე პატარა, ნაზ, თვალისთვის ძლივსშესამჩნევ სხეულს - ძნელად მისახვედრ, თითქმის გაუგებარ ჩანაფიქრს“ [საროტი 1963 : 30-31].

ტრადიციების უარყოფელი „ახალი რომანისტი“ კავშირებით კილოს რთული გრამატიკულ ფორმების არსებობას ნაწარმოებში მხოლოდ „იმით ამართლებს“, რომ ის მკითხველს ძაბავს, განაცდევინებს ტროპისტულ რეაქციას და უეცარი უმცირესი მოქმედებით იგი გადაჰყავს გაცილებით ფართო „სათხრობ“ დროსა და სივრცეში.

ამდენად, „ოქროს ნაყოფში“ ქრონოტოპის თავისებურება ისაა, რომ რომანში გადმოცემული დროისა და სივრცის თანაფარდობა არაერთგვაროვანია, რასაც ნათლად მოწმობს საროტისეული ტროპიზმი, „ქვე-საუბარი“ და საუბარი.

ტროპიზმი რეალურ სივრცეს ამცირებს, ხოლო დროს კუმშავს; „ქვე-საუბარი“ „სათხრობ“ დროს ახანგრძლივებს, რაც იმას ნიშნავს, რომ დროითი მონაკვეთი, რომელსაც „ქვე-საუბრის“ შინაარსი მოიცავს, შეიძლება არსებითად გაცილებით ვრცელი იყოს, ვიდრე - ვერბალური საუბარი, რაც უშუალოდ პროცესის გამომხატველია.

ვერბალურ მეტყველებაში კი „მოთხრობილი“ დრო „ქვე-საუბრის“ „სათხრობ“ დროზე, შესაძლებელია, გაცილებით მცირე იყოს.

რომანში „რეალური“ მოქმედებები არ არსებობს. აქ მხოლოდ წარმოსახვითი მოქმედებებია აღწერილი (გალერეაში წასვლა, დამის ქუჩაში სიარული, კარზე დაკაკუნება და ა.შ.), რაც მინიმუმამდეა დაყვანილი ანდა საერთოდაა გაუქმებული. „მოთხრობილი“ დრო კი გაცილებით მცირეა, ვიდრე „სათხრობი“ დრო ან კიდევ მხოლოდ „სათხრობი“ დროა გადმოცემული და „მოთხრობილი“ დრო - „გაუქმებული“.

საროტმა „მიზანაზიმის“ ტექნიკით შეძლო ეჩვენებინა მხატვრული დროისა და სივრცის მწმუნელოვანი თვისებები: უსასრულოდ ბრუნვა, უწყვეტობა და ერთმანეთის არეკვლა.

ამგვარად, „ოქროს ნაყოფში“ დროისა და სივრცის ურთიერთმიმართების ანალიზმა ცხადყო, რომ „მიზანაზიმის“ ტექნიკა, ტროპიზმი, „ქვე-საუბარი“ და საუბარი ლიტერატურული ქრონოტოპის გააზრების ახალ პერსპექტივას იძლევა.

### ლიტერატურა:

1. Балашов Н.И.(ред.), - Французская литература 1945-1990. Москва: Наследие, 1995.
2. Бахтин М. М., - Литературно-критические статьи. Москва, 1986.
3. Vareille J.C., - Les réplique du temps / Le Nouveau Roman en questions. La revue des lettres modernes. Paris : Editions Minard, 1992.
4. Vassiliéva N.M., Pitskova L.P., - Les catégories grammaticales du verbe français. Moskou : Ecole Supérieure, 1979.
5. Pierrot J., - Nathalie Sarraute. Paris : José Corti.1990.
6. Référovskaja E. A., Vassiliéva A. K., - Essai de grammaire français. Léningrad: Proscchenije, 1964.
7. Riegel M., Pellat J., CH., Rioul R., - Grammaire méthodique du français. Paris : P.U.F., 1994.
8. Sarraute N. - Les Fruits d'Or. Paris Edition Gallimard, Collection Folio, 1963.

Nino Buadze

**The relationship between Artistic Time and Space in Natalie Sarott's "Golden Friut"****Abstract**

The article discusses the peculiarities of the relationship between time and space in Natalie Sarott's novel "Golden Fruit" (1963), a representative of the French "New Novel" of the twentieth century: Non-linearity, asymmetry, syncretism, avoidance of story lines, rapid interruption of time, alternation, "intense" immobility, inertia of time, simultaneous expressions of repetition, "immobilization-freezing" of the present, reflected in each other.

The "rapid interruption" on time conveyed by the semicolon and the techniwue of substituting grammatical forms of different tenses will make the reader experience the uniformity of the past, present and future and the inconsistent circular interchange.

რეცენზენტი: ვ. განკვევიძი

ლიტერატურა Literature

კლასიკური ალუზიები ედგარ პოს პოეზიაში

ლელა ებრალიძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: lelaebr@yahoo.com

ედგარ ალან პო ამერიკული რომანტიზმის ცენტრალური ფიგურაა, რომელსაც წინამორბედად მიიჩნევენ ფრანგი სიმბოლისტები. ამასთან, იგი გახლავთ საშინელებათა, ფანტასტიკური და დეტექტიური ჟანრების ფუძემდებელი. მან ასევე ხელი შეუწყო ფსიქოლოგიური რეალიზმის განვითარებას. პოს შემოქმედება იმდენად მრავალმხრივია, რომ ძნელია მისი რომელიმე ერთი ლიტერატურული ჟანრისათვის მიკუთვნება. მისი პოეზიის განხილვისას, ყველაზე ხშირად საუბრობენ გოთურ და რომანტიკულ ელემენტებზე. წინამდებარე სტატიაში პოს ნაწარმოებები განხილულია მათში გამოყენებული კლასიკური ალუზიების თვალსაზრისით.

**საკვანძო სიტყვები:** ედგარ ალან პო, ამერიკული რომანტიზმი, ფსიქოლოგიური რეალიზმი

მე-19 საუკუნეში მოღვაწე ამერიკელი მწერალი, პოეტი, რედაქტორი და კრიტიკოსი ედგარ ალან პო ბევრი მკითხველისათვის საშინელებათა, ფანტასტიკურ და დეტექტიურ ჟანრებთან ასოცირდება როგორც ამ ჟანრების ფუძემდებელი. მეორე მხრივ, მან ხელი შეუწყო ფსიქოლოგიური რეალიზმის განვითარებას. ამასთან, პო, რომელიც ფრანგმა სიმბოლისტებმა თავიანთ წინამორბედად და შთაგონების წყაროდ მიიჩნიეს [Poe, 1983:9], ამერიკული რომანტიზმის ცენტრალური ფიგურაა და ყველაზე დიდი აღიარება მას სწორედ გენიალურმა ლექსებმა „ყორანი“, „ულალუმი“, „ზარები“ და სხვ. მოუტანა. მოკლედ, ამ უდიდესი ავტორის შემოქმედება იმდენად მრავალმხრივია, რომ შეუძლებელია მისი ერთი კონკრეტული ლიტერატურული მიმდინარეობისათვის მიკუთვნება [Wilson, 1926:70-80]. პოს ქმნილებების ანალიზისას, უპირველეს ყოვლისა, განიხილავენ გოთურ და რომანტიკულ ელემენტებს და

ნაკლებად საუბრობენ კლასიციზმის ესთეტიკაზე, კლასიკურ ფასეულობებზე და იმაზე, რომ მის რომანტიზმში კლასიკური ობიექტივიზმისა და რაციონალიზმის კვალიც შეიმჩნევა. ამას ცხადყოფს მისი ანტიკური ალუზიები და ნაწარმოებთა სტრუქტურა [Unrue, 1995:112-119].

პო სკოლის ასაკიდან ეცნობოდა ანტიკურ ლიტერატურას, ამერიკის ქალაქ რიჩმონდში სწავლისას „ძლიერი წარმოსახის უნარის“ მქონე ყმაწვილი ინტერესით კითხულობდა ჰორაციუსის, ციცერონისა და ჰომეროსის ნაწარმოებებს [იაშვილი, 2002:47]. მის შემოქმედებაში ასევე იგრძნობა ბერძნულ-რომაული მითოლოგიის ღრმა ცოდნა. ამიტომ, გასაკვირი არ არის კლასიკური ალუზიების უხვად გამოყენება, რის ნიმუშადაც გამოდგება პოს მთელი რიგი ნაწარმოებები. მათგან ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ამ მხრივ ყველაზე საინტერესო ლექსს გამოვარჩევთ.

ელინისტურ ალუზიებზე სუბრისას, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ედგარ პოს პირველ ლირიკულ ლექსს To Helen („ჰელენს“), რომელშიც ყმაწვილი პოეტი თავისი რიჩმონდელი თანაკლასელის დედას, ჯეინ სტენარდს მითოლოგიურ მშვენიერ ელენეს ადარებს. ქალის სილამაზე პოეტს სურნელოვან ზღვაზე ნიკეური ხომალდების შინ დაბრუნებას აგონებს. ეს შესაძლოა იყოს ალუზია ქრისტოფერ მარლოს „დოქტორ ფაუსტუსის“ პიესაში ნახსენებ ელენეს სახეთან, რომელიც ათასობით გემის გამგზავრების მიზეზი გახდა. რაც შეეხება ნიკეურ ხომალდებს, არსებობს მოსაზრება, რომ იგულისხმება ქალაქი ნიცა, ძვ. წ. მეოთხე საუკუნეში ბერძნების მიერ დაარსებული ნიკეია, რომელიც ცნობილი იყო გემთმშენებლობით. გავრცელებულია ის შეხედულებაც, რომ მგზავრობით დაღლილ ნიკეური ხომალდით შინისაკენ მიმავალ მოგზაურში ბერძენი გმირი ოდისევსი, იგივე ულისე მოიაზრება.

ჰელენის ჰიაცინტისფერი თმა, მისი კლასიკური ნაკვთები და ნაიადას (ბერძნულ მითოლოგიაში წყლის ნიმფა) იერი ლექსის ლირიკულ გმირს იმ სამყაროს აზიარებს, რომელსაც საბერძნეთის დიდება და რომის სიდიადე ჰქვია.

ლექსში პოეტის მუზა ასევე შედარებულია ფსიქესთან, რომელიც ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ადამიანის სულს განასახიერებდა. აღსანიშნავია, რომ ქალს ხელში უჭირავს აქატის ლამპა, რომელიც მითოლოგიიდან იმ მომენტს მოგვაგონებს, როდესაც ფსიქემ ღამით ჩამინებული სატრფოს - კუპიდონს, მისი ვინაობის გასარკვევად სახეზე ლამპა მიანათა.

ფსიქეა პერსონაჟად არის გამოყვანილი ედგარ პოს შედევრში „ულალუმი“, სადაც ლირიკული გმირი საკუთარ სულს, ანუ ფსიქეას ესაუბრება, არწმუნებს მასთან ერთად წინ იაროს, ამშვიდებს და ეამბორება კიდევ. „ულალუმში“ ასევე ნახსენებია დიანა (ბერძნულ მითოლოგიაში მისი შესატყვისია ნადირობისა და [მთვარის](#) ქალღმერთი არტემიდე), მინიშნებაა პლანეტა ვენერაზე. იქვე საუბრობს ავტორი ზეცის ლეთასებურ სიმშვიდეზე. ლეთა ძველ ბერძნულ

მითოლოგიაში მიწისქვეშეთის მდინარე იყო, რომლის წყალობით მიცვალებულებთა სულებს დედამიწაზე გადატანილი ტანჯვა ავიწყდებოდათ.

ლექსში „ყორანი“ ლირიკული გმირის სახლში შემოფრენილი ავბედითი ყორანი ჩამოსაჯდომად ათენა-პალადას ბიუსტს ირჩევს. როგორც ცნობილია, ათენა ბერძნულ მითოლოგიაში სიბრძნის ქალღმერთია. პოეტი, რომელიც ცდილობს გაიგოს, ვინ არის ყორანი, ფრინველს ეკითხება, თუ რა სახელს უწოდებენ მას პლუტონის დამეულ ნაპირზე. პლუტონი, ბერძნული მითოლოგიაში ჰადესი, სიკვდილის ღმერთია. გარდაცვლილთა სულები მასთან, ქვესკნელის სამეფოში, მდინარე სტიქსის ნავით გადაცურვის შემდეგ ხვდებიან. ლექსის ერთ ადგილას ლირიკულ გმირს ეჩვენება, რომ ღმერთი ანგელოზების ხელით „ნეფენტის“ უგზავნის. ჰომეროსის „ოდისეაში“ ნახსენებია სასმელი „ნეფენტი“ (Nepenthe), რომელსაც მწუხარების განსაქარვებლად გამოიყენებდნენ.

„ლენორი“ იმ მრავალ ლექსთაგანია, რომელშიც პოეტი გარდაცვლილ სატრფოს მისტირის. ერთ-ერთ სტრიქონში ვკითხულობთ: *Let the bell toll!--a saintly soul floats on the Stygian river* („სტიქსს გადაევილო მოფარვატე, ზარს ჩამოჰკარით!“ ლ.ე.)

ლექსში „სონეტი მეცნიერებას“ მეცნიერება გამოყვანილია როგორც პოეზიის და ხელოვნების მტერი, პოეტის გულზე მონადირე სვავი, რომელსაც ფრთებად დამთრგუნველი რეალობები ასხია. აღმფოთებული პოეტი უარს ამბობს ბრძენი უწოდოს მეცნიერებას, რომელიც მას ოცნებას და ვარსკვლავებით ტკბობას არ აცლის, რომელმაც დიანა ეტლიდან გადმოათრია, ჰამადრიადა ტყიდან გამოაძევა, ნაიადა მდინარეს მოსწყვიტა, ელფი კი - მწვანე ბალახს. დიანასთან ერთად, ჰამადრიადა და ნაიადაც მითოლოგიური პერსონაჟები არიან. პირველი მათგანი ხის ნიმფაა, მეორე კი - წყლის. რაც შეეხება ელფს, იგი ავტორს სკანდინავიური მითოლოგიიდან აქვს მოხმობილი.

მეტად საინტერესოა ლექსი „ზანთე“ (Zante), რომელიც პოეტს იმ ბედნიერ ხანას აგონებს, როდესაც მისი სატრფო ცოცხალი იყო და კუნძულ ზანთეს (ბერძნული სახელწოდება „ზაკინთოსი“ გახლავთ) ფერდობებზე დადიოდა. ლეგენდის თანახმად, ეს ულამაზესი ბერძნული კუნძული ეკუთვნოდა კუნძულ ითაკას მითოსურ მეფესა და ტროას ომის ერთ-ერთი მთავარ გმირს, ოდისევსს.

ლექსში „იზრაფელი“ ნახსენებია პლეადები (ატლანტისა და ოკეანიდა პლეიონეს შვიდი ქალიშვილი, რომლებიც სიკვდილის შემდეგ ზევსმა თანავარსკვლავედის სახით ზეცაზე მოათავსა).

ედგარ პოს შემოქმედებაში, მეტადრე პოეზიაში, ანტიკურ მითოლოგიასთან დაკავშირებული ალუზიების კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მათთან ერთად

გვხვდება ბიბლიური ალუზიები, ყურანთან, ასევე ფინიკიურ, გერმანულ-სკანდინავიურ და სხვა მითოლოგიასთან დაკავშირებული ალუზიები, მაგრამ წინამდებარე მოხსენების მიზანია იმის წარმოჩენა, თუ რა როლს თამაშობს გენიალური ამერიკელი პოეტის შემოქმედებაში, მეტადრე პოეზიაში, ბერძნულ-რომაული მითები და ლიტერატურა. პოს ლექსებში მითოლოგიური პერსონაჟები გვევლინებიან ერთი მხრივ, სილამაზის, სიყვარულის, სიბრძნის, მეორე მხრივ კი თავდავიწყებს, სიკვდილის სიმბოლოებად. მათი მეშვეობით ავტორი სხარტად და ხატოვნად გადმოგვცემს სათქმელს, სიღრმესა და ემოციურ ეფექტს მატებს ნაწარმოებს და უფრო თვალსაჩინოდ წარმოგვადგენინებს და განგვაცდევინებს მათში აღწერილ ამბებსა და გრძნობებს. კლასიკური ალუზიების დახმარებით ედგარ პოს გადავყავართ უმშვენიერეს ანტიკურ სამყაროში, რომლის პერსონაჟთა სახეები კიდევ უფრო ამდიდრებს უდიდესი პოეტის სილამაზითა და მუსიკალობით გამორჩეულ ლექსებს.

#### ლიტერატურა:

იაშვილი პ., - ედგარ ალან პო, ლექსები. გვ. 47. თბილისი 2002.

Poe E.A., - Prose and Poetry. p. 9. Moscow, Raduga Publishers. 1983.

Wilson, E., "Poe at Home and Abroad". p. 70-80. New Republic, 1926.

Unrue, Darlene Harbour. "Edgar Allan Poe: The Romantic as Classicist." *International Journal of the Classical Tradition*, vol. 1, no. 4, 1995, pp. 112–119. JSTOR, www.jstor.org/stable/30221867. Accessed 8 May 2021.

[https://www.google.com/search?sxsrf=ALeKk00yio18\\_o1Tht8jSIYPV1fpNVKQ:1620477408283&q=allusions+in+%22Edgar+Poe%27s+To+Helen&spell=1&sa=X&ved=2ahUKEwjXu6XijLrwAhVUhv0HHaQnCNwQBSgAegQIARAw&biw=1280&bih=625#](https://www.google.com/search?sxsrf=ALeKk00yio18_o1Tht8jSIYPV1fpNVKQ:1620477408283&q=allusions+in+%22Edgar+Poe%27s+To+Helen&spell=1&sa=X&ved=2ahUKEwjXu6XijLrwAhVUhv0HHaQnCNwQBSgAegQIARAw&biw=1280&bih=625#)

<https://tatataturi.wordpress.com/2011/04/09/%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9A/>

<https://tatataturi.wordpress.com/2011/04/09/%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9A/>

<https://tatataturi.wordpress.com/2011/04/09/%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9A/>

<https://www.enotes.com/topics/raven/teaching-guide/significant-allusions>

<https://www.poemuseum.org/poes-biography>

[https://www.researchgate.net/publication/311629315\\_Hellenic\\_references\\_in\\_Edgar\\_Allan\\_Poe's\\_critique\\_on\\_contemporary\\_society](https://www.researchgate.net/publication/311629315_Hellenic_references_in_Edgar_Allan_Poe's_critique_on_contemporary_society)

<https://www.jstor.org/stable/30221867>



**Lela Ebralidze****Classical allusions in the poetry of Edgar Allan Poe****Abstract**

Edgar Allan Poe, a central figure of Romanticism of American literature, whom French symbolists recognized as their predecessor, is also considered as the father of detective and science fiction genres. Moreover, he is credited for his contribution to psychological realism. Poe's creative work was so versatile that it is difficult to attach him to any particular literary genre. When discussing his works they often speak about gothic and romantic elements. However, in the present article Poe's poems have been analyzed from the point of view of classical allusions employed in them.

რეცენზენტი: პროფესორი ს. ნიკოლეიშვილი

ლიტერატურა Literature

**გივი მარგველაშვილის კანტაქტი, ქალაქის მწერლის  
კითხვითი-ცხოვრებისეული გამოცდილებებიდან როგორც  
მეტაფიქციური რომანი**

**თინათინი მოსეშვილი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: [tinatinmoseschwili@yahoo.de](mailto:tinatinmoseschwili@yahoo.de)

2009 წელს გერმანულ ენაზე გამოქვეყნებულ რომანში კანტაქტი, ქალაქის მწერლის კითხვითი-ცხოვრებისეული გამოცდილებებიდან გივი მარგველაშვილი თავის ცხოვრებაზე, გამოცდილებებსა და შემოქმედებაზე თხრობის პარალელურად, ლიტერატურული ფიქციის საიდუმლოსაც ხდის ფარდას და მკითხველს საინტერესო მეტაფიქციურ თამაშში იწვევს.

გივი მარგველაშვილის რომანს კანტაქტი, ქალაქის მწერლის კითხვითი-ცხოვრებისეული გამოცდილებებიდან საფუძვლად უდევს გერმანელი მწერლის კურტ ტუხოლსკის ნაწარმოების რაინსბერგი - სურათებიანი წიგნის შეყვარებულთათვის მხატვრული სინამდვილე. კანტაქტი ინტერტექსტობრივი თამაშია პრეტექსტთან. ეს უკანასკნელი ნაწარმოებში გვევლინება როგორც წიგნი წიგნში, რომელიც მეტაფიქციური ლიტერატურის ერთ-ერთი გავრცელებული მოტივია. რადგან კანტაქტში ხშირადაა თემატიზებული ტუხოლსკის ნაწარმოები, კანტაქტის მკითხველი ვერ ახერხებს მის დავიწყებას, გამუდმებით უწევს მასზე ფიქრი და უფრო მეტიც, ფენოტექსტს პრეტექსტთანაც კი ადარებს. ბუნებრივია, რომ კანტაქტში უხვადაა ისეთი მონაკვეთები, რომლებშიც ინტერტექსტობრივ მეტაფიქციას ამოვიცნობთ.

რომანის მეტაფიქციურობაზე მეტყველებს, ნაწარმოების პირველ შრეზე არსებული პერსონაჟები, რომლებსაც გაცნობიერებული აქვთ თავიანთი ფიქციური ეგზისტენცია. ნაწარმოების ფარგლებში მიმოხილული „ქალაქის მწერლის“ ცხოვრებისა და მოგონებების

ფრაგმენტების საფუძველზე, რომლებიც გივი მარგველაშვილის ცხოვრებასა და მოგონებებს ემთხვევა, შეიძლება ვიმსჯელოთ ნაწარმოებში არსებულ ბიოგრაფიულ ავტორეფლექსიურობაზე, რომელიც ასევე მეტაფიქციის ერთ-ერთი ფორმაა. აღსანიშნავია ისიც, რომ კანტაქტში ავტოფიქციის ნიშნები იკვეთება.

კანტაქტში, ისევე როგორც მეტაფიქციურ ტექსტთა უმრავლესობაში, მრავალჯერაა თემატიზებული როგორც პერსონაჟი, მკითხველი და ავტორი, ასევე წერის, თხრობისა და კითხვის აქტი. რომანში არსებულ ენობრივ თამაშებსაც მეტაფიქციური დატვირთვა აქვთ. ავტორეფლექსიური ფრაზები და სიტყვები წიგნის ფიქციურ სამყაროს აშკარავენ, მათი მეშვეობით ხშირად პარალელიც კი ივლება ფიქციურ და რეალურ სამყაროს შორის. კანტაქტში როგორც მეტაფიქციურ რომანში თემატიზებული და განხილულია ენათმეცნიერული საკითხებიც, მათ შორის, ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი და სხვ.

სტატიაში განხილული ამ და სხვა მაგალითების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ გივი მარგველაშვილის კანტაქტი, ქალაქის მწერლის კითხვითი-ცხოვრებისეული გამოცდილებებიდან მეტაფიქციური ხასიათის რომანია, მასში აშკარაა როგორც საკუთრივ ამ ნაწარმოების, ასევე, ზოგადად, სხვა ლიტერატურული ტექსტების ფიქციურობაც, უპირველეს ყოვლისა კი კანტაქტის პრეტექსტის რაინსბერგი - სურათებიანი წიგნი შეყვარებულთათვის.

**საკვანძო სიტყვები :** კანტაქტი, გივი მარგველაშვილი, „მკითხველი“ „ქალაქის მწერალი“, მეტაფიქციური

თითოეული ავტორი სიამოვნებით წერს საკუთარ თავზე, წერისას წარმოქმნილ სირთულეებზე, ლიტერატურაზე, - ვკითხულობთ როლანდ დუჰამელის წიგნში *პოეტი სარკეში: მეტალიტერატურის შესახებ* [შდრ. დუჰამელი, 2001]. ასეა გერმანულენოვანი ქართველი მიგრანტი ავტორის გივი მარგველაშვილის შემთხვევაშიც. 2009 წელს გერმანულ ენაზე გამოქვეყნებულ რომანში *კანტაქტი, ქალაქის მწერლის კითხვითი-ცხოვრებისეული გამოცდილებებიდან*<sup>1</sup> გივი მარგველაშვილი თავის ცხოვრებაზე, გამოცდილებებსა და შემოქმედებაზე თხრობის პარალელურად, ლიტერატურული ფიქციის საიდუმლოსაც ხდის ფარდას და მკითხველს საინტერესო მეტაფიქციურ თამაშში იწვევს. ლიტერატურის კრიტიკოსი პატრიცია ვო, რომელსაც მეტაფიქციურობის კვლევაში განსაკუთრებული როლი მიუძღვის, მეტაფიქციურად ისეთ ფიქციურ ტექსტებს მიიჩნევს, რომლებიც გამიზნულად მიუთითებენ საკუთარ თავზე, როგორც ხელოვნურ წარმონაქმნზე, რათა წარმოიშვას შეკითხვები ფიქციისა და

<sup>1</sup> აქ და შემდგომ თარგმანი ჩვენია. (თ.მ.)

სინამდვილის ურთიერთმიმართებებზე. მისი კონცეფციის მიხედვით, მეტაფიქციური ტექსტები წარმოიქმნებიან უსასრულო ენობრივი თამაშით სამყაროსთან, სინამდვილესთან, ფიქციასთან, თხრობასთან [Waugh, 1984]. წინამდებარე სტატიაში შევეცდებით მიმოვიხილოთ გივი მარგველაშვილის რომანში *კანტაქტი, ქალაქის მწერლის კითხვითი-ცხოვრებისეული გამოცდილებებიდან* არსებული, მეტაფიქციური ლიტერატურისთვის დამახასიათებელი, ის ძირითადი მოტივები, ელემენტები თუ თხრობის ტექნიკები, რომლებიც *კანტაქტის* მეტაფიქციურ ხასიათს წარმოაჩენენ.

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ გივი მარგველაშვილის რომანს *კანტაქტი, ქალაქის მწერლის კითხვითი-ცხოვრებისეული გამოცდილებებიდან* საფუძვლად უდევს გერმანელი მწერლის კურტ ტუხოლსკის ნაწარმოების *რაინსბერგი - სურათებიანი წიგნის შეყვარებულთათვის* მხატვრული სინამდვილე. *კანტაქტი* ინტერტექსტობრივი თამაშია პრეტექსტთან. ეს უკანასკნელი ნაწარმოებში გვევლინება როგორც წიგნი წიგნში, რომელიც მეტაფიქციური ლიტერატურის ერთ-ერთი გავრცელებული მოტივია. რადგან *კანტაქტში* ხშირადაა თემატიზებული ტუხოლსკის ნაწარმოები, მკითხველი ვერ ახერხებს მის დავიწყებას, გამუდმებით უწევს მასზე ფიქრი და უფრო მეტიც, ფენოტექსტს პრეტექსტთანაც კი ადარებს. ბუნებრივია, რომ *კანტაქტში* უხვადაა ისეთი მონაკვეთები, რომლებშიც ინტერტექსტობრივ მეტაფიქციას ამოვიცნობთ.

რომანში არსებული მნიშვნელოვანი მეტაფიქციური მოვლენაა გერმანიის ქალაქ რაინსბერგის პირველი „ქალაქის მწერლის“ გარდასხვა, მეტამორფოზა პერსონაჟ „მკითხველად“. „ქალაქის მწერალი“, რომლის მოვალეობაც რაინსბერგზე რაიმე სახის ტექსტის შექმნაა, კურტ ტუხოლსკის ნაწარმოების ინტენსიური კითხვისა და წარმოსახვის დიდი უნარის მეშვეობით „გადადის“ ტუხოლსკის წიგნის სიუჟეტში, სადაც იგი, ვოლფთან და კლერთან ერთად, მესამე მთავარ პერსონაჟად - „მკითხველად“ იგივე „მკითხველის გონად“ გვევლინება. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ „ქალაქის მწერალი“ ორმაგ პერსონაჟად გვევლინება *კანტაქტში*, რომანის ერთ შრეზე იგი „ქალაქის მწერალი“, მეორეზე კი „მკითხველი“: „ვცხოვრობ და ვკითხულობ დუალურად, რაც უფლებას მამლევს წიგნის სამყაროსეული არეალის სინამდვილეში გადასვლისას ჩემი რეალური სხეულის მასალა უკან დავტოვო და როგორც უხილავმა რეალურმა გონმა მკითხველის შესაბამისი ადგილიდან თვალყური ვადევნო წიგნის სამყაროსეული არეალების რეალობებს“ [Margwelaschwili, 2009: 199]. „ქალაქის მწერლის“ „რეალური“ სამყაროდან - რომანის მეორე შრიდან წიგნის ფიქციურ სამყაროში - პირველ შრეში, იგივე საკუთარ ცნობიერში, წარმოსახვით სამყაროში „გადასვლით“ იშლება ზღვარი „რეალობასა“ და ფიქციას შორის. აქ თავს იჩენს მეტაფიქციური ლიტერატურის თხრობის ერთ-ერთი ტექნიკა - მეტალეფსისი, რაკი ირღვევა

დიეგეტური საზღვარი და „ქალაქის მწერალი“ ტუხოლსკის ნაწარმოების ინტრადიეგეზისში შედის. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მეტალეფსისის ზემოაღნიშნული მაგალითი ერთჯერადი მოვლენა არ არის რომანში. ნაწარმოების პირველი და მეორე შრე ერთმანეთს გამუდმებით ენაცვლება, შესაბამისად ყოველ ჯერზე, როცა პირველი შრე მეორით იცვლება, საქმე გვაქვს მეტალეფსისთან.

რომანის მეტაფიქციურობაზე მეტყველებს, ნაწარმოების პირველ შრეზე არსებული პერსონაჟები, რომლებსაც გაცნობიერებული აქვთ თავიანთი ფიქციური ეგზისტენცია, ასეთები არიან სასტუმროს პორტიე და „წიგნის სამყაროს კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელი“ ლიზი აახენელი; - „ამ ისტორიაში ჩემი პერსონაჟის თემატურ ღირებულებაზე უკვე ინფორმირებული ვარ“ [Margwelaschwili, 2009:534], „მე უკანა ფონის პერსონაჟი ვარ, ალბათ აქ ყველაზე შორეულიც კი“ [იქვე], - აღნიშნავს ეს უკანასკნელი „მკითხველთან“ საუბრისას. „მკითხველის“ მიზანია, რომ კურტ ტუხოლსკის ნაწარმოების მთავარმა პერსონაჟებმაც გააცნობიერონ საკუთარი ფიქციური არსი. ამ მიზნით იგი კლერს და ვოლფს უტოვებს შეტყობინებას, რომელიც იმავე წიგნის ცარიელ ფურცელზეა მიწერილი, რომლის მოქმედი გმირებიც თვითონ არიან: „ეს თქვენი სარკე-წიგნია. აქ ზუსტადაა აღწერილი, როგორ ცხოვრობთ მკითხველების მეშვეობით: ყველაფერს, რასაც თქვენ აქ ფიქრობთ, ამბობთ და აკეთებთ, ფიქრობთ, ამბობთ და აკეთებთ თქვენს კითხვით-ცხოვრებაში“ [Margwelaschwili, 2009:461]. ვოლფს კი, რომელიც დროის წარმავლობაზე წუხს შემდეგნაირად ამხნეებს „მკითხველი“: „შენ როგორც წიგნის პერსონაჟი წიგნის სამყაროსეულ სინამდვილეში წაკითხული იქნები მუდმივად ახალი მკითხველების მიერ, ყოველთვის შენს კლერხენტან ერთად იქნები ერთსა და იმავე არეალში, რომელსაც თქვენ ყოველ ჯერზე განიცდით როგორც ახალს, რადგან თქვენი წიგნის სამყაროსეული არეალის ისტორია კლასიკურია, იგი ისეთია, რომელსაც ახალი მკითხველები არასოდეს გამოეღვიან, რომელსაც რეალურ სამყაროში სიამოვნებით წაიკითხავენ და სხვასაც ურჩევენ წასაკითხად“ [Margwelaschwili, 2009:361]. მოყვანილი მონაკვეთები, რომლებიც მკითხველის ესთეტიკურ ილუზიას ამსხვრევენ, ცალსახად მეტყველებენ გივი მარგველაშვილის რომანის მეტაფიქციურ ხასიათზე.

ტუხოლსკის წიგნის სამყაროდან ისევ საწერ მაგიდასთან „დაბრუნებული“, „მკითხველის“ როლიდან გამოსული, „ქალაქის მწერალი“ მუშაობს „ქალაქის მწერლისეულ ანგარიშზე“ (რომლის სიუჟეტიც სწორედ ტუხოლსკის ნაწარმოებზეა დაფუძნებული), რომელსაც იგი ასევე უწოდებს „კითხვით-ცხოვრებისეულ გამოცდილებებს და მოგონებებს“: „მაგიდას მივუჯექი და გავაგრძელე ჩემი კითხვითი-ცხოვრებისეული მოგონებები“ [Margwelaschwili, 2009:185]. „ქალაქის მწერლისეული ანგარიში“ რომანში ასევე დასათაურებულია როგორც *კანტაქტი*, - „ჩემი კანტაქტის ისტორია ახლა თითქმის ბოლომდეა მოთხრობილი. მხოლოდ მცირედი გვაშორებს

მის დასასრულამდე“ [Margwelaschwili, 2009:728], „მინდა ვიცოდე, როგორც მოახერხა ჩემი ქალაქის მწერლისეული ანგარიშის წაკითხვა, „კანტაქტი“ ჩახედვა, რომელზეც ზუსტად ახლა ვმუშაობ, რომლისთვისაც ხელი არ გამიშვია, რაკი ჯერ არ არის დასრულებული“ [Margwelaschwili, 2009:786]. რომანში თემატიზებული „ქალაქის მწერლის ანგარიში“, იგივე „კანტაქტი“, რომელიც ფიქტიურ ტექსტად უნდა განვიხილოთ, სამართლიანად აფიქრებს მკითხველს რომანის ფიქციურობაზე და მის გაუცხოებას იწვევს წაკითხულისგან, რაკი იგი ექსპლიციტურად მიუთითებს მკითხველს გივი მარგველაშვილის რეალურად არსებულ ნაწარმოებზე, იმ რეალურ წიგნზე, რომელსაც მკითხველი ახლა კითხულობს. რომან კანტაქტის მეტაფიქციურ ხასიათზე მიგვითითებს, როგორც მასში თემატიზებული თვით ეს ნაწარმოები, ასევე მისი შექმნის კონტექსტი, მასზე მუშაობის პროცესი და ამ პროცესში წარმოქმნილი სირთულეები. შესაბამისად, ზოგადი მეტაფიქციისთვის დამახასიათებელ ნიშნებსაც ვხვდებით რომანში; მაგალითად, „ქალაქის მწერალი“ ჩივის მისთვის, როგორც „ქალაქის მწერლისთვის“ გამოყოფილი დროის ნაკლებობაზე და ამისგან გამოწვეულ დამაბულობაზე მოუთხოვს მკითხველს: „... 51-ე გვერდზე ვართ, ჩვენი სამუშაოს ნახევარზე მეტი შესრულებულია. თუმცა ეს არაა საკმარისი, რადგანაც ჩემი როგორც ქალაქის მწერლის ბოლო, მეხუთე თვე დაიწყო. პერსპექტივა, რომ კანტაქტის გასაკითხავმასალება დროულად დავასრულო, არც ისე სახარბიელოა. თუ სასწაული არ მოხდება“ [Margwelaschwili, 2009:168], „ეს დამაბულობა დიდი გავლენას ახდენს რეალური დროის განცდაზე. ეს განსაკუთრებით მაშინ მაწუხებს, როცა „სურათებიანი წიგნიდან“ ჩემს ქალაქის მწერლისეულ ბინაში ვბრუნდები. ამის ერთ-ერთი დამახასიათებელი სიმპტომია, ხშირი განცდა იმისა, რომ თითქოს ჩემი როგორც ქალაქის მწერლისთვის განკუთვნილი დრო (ხუთი თვე) რაინსბერგში, ძალიან მალე ამოიწურება. შემდეგ პანიკა მიპყრობს, რადგან ჯერ კიდევ ჩემს რაინსბერგულ ისტორიაზე ვმუშაობ, რომლის დასრულებასაც ბოლო არ უჩანს. თუმცა კალენდარში რომ ვიხედები, გულზე მეშვება, რადგან ვასკვნი, რომ ამ პატარა, ლამაზ ქალაქში ჩემი ვადის ამოწურვამდე რამდენიმე თვე კიდევ რჩება. ასე რომ, შესაძლოა მანამდე დავასრულო კიდევ ჩემი ხელნაწერი“ [Margwelaschwili, 2009:112]. „ქალაქის მწერალი“ თავის ანგარიშზე მუშაობას, როგორც თვითონვე წერს, ბერლინში ასრულებს: „მე მას რაინსბერგში აღარ ვწერ - ქალაქის მწერლისთვის განკუთვნილ ხუთ თვეში ეს შეუძლებელი იყო -, მუშაობა მომავალი წლის შემოდგომაზე, დენენშტრასეზე მდებარე ჩემს აღმოსავლეთ ბერლინურ სახლში დავასრულე“ [Margwelaschwili, 2009:724]. რომანში თემატიზებულია „ქალაქის მწერლისეული ანგარიშის“ მოცულობაც, - „ჩემმა რაინსბერგულმა ქალაქის მწერლისეულმა ხელნაწერმა საამაყო რაოდენობას - 166 ფურცელს მიაღწია“ [Margwelaschwili, 2009:184]. რომანის სიდიდის გამო მისი რეცეფცია, „ქალაქის მწერლის“ აზრით, დიდ დროის

მოითხოვს: „სარკე-ტექსტის ანალიზი ჩემს ქალაქის მწერლისეულ ანგარიშში მოიცავს მრავალ გვერდს, შესაბამისად დიდ საკითხავ დროს მოითხოვს მისი გაგება-გააზრება“ [Margwelaschwili, 2009:724]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაწარმოებშივე ვპოულობთ მინიშნებას, როგორ უნდა გავაზროთ იგი; სახელდობრ, ყურადღება უნდა გავამახვილოთ ნაწარმოების მეტათემატურ არსზე, რომელსაც „ქალაქის მწერალი“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

ნაწარმოებში პერსონაჟები წარმოჩენილნი არიან კითხვით-არსებებად, რომელთა სიცოცხლევ მკითხველზე და მის წარმოსახვაზე დამოკიდებული: „წიგნის პერსონაჟები ცხოვრობენ კითხვით და სიცოცხლის შენარჩუნებისთვის არ საჭიროებენ მცენარეულ ან ცხოველურ საკვებ ნივთიერებებს. ისინი სწორედ კითხვითი-არსებები არიან, მათი ჟანრისთვის დამახასიათებელი ცხოვრების წესით“ [Margwelaschwili, 2009:200]. „... წიგნის პერსონაჟები მონისტურად ცხოვრობენ, მათი გონი და სხეული ერთი მასალისაა: რასაც ისინი გრძნობენ, ფიქრობენ, აკეთებენ, ან თუნდაც როგორც ისინი გამოიყურებიან, ყველაფერი მათ ირგვლივ გამოწვეულია იმის გამო, რომ მათ კითხულობენ“ [Margwelaschwili, 2009:199]. ნაწარმოებში განხილვის საგანი ხდება ასევე განსხვავება მკითხველებს როგორც ნამდვილ ადამიანებსა და პერსონაჟებს როგორც „კითხვით-არსებებს“ შორის. წიგნის პერსონაჟებს რეალური პირების, მკითხველების დანახვის უნარი არ აქვთ, მკითხველს კი შეუძლია წიგნის პერსონაჟებთან ერთად „ისეირნოს“ ისე, რომ მათგან შეუმჩნეველი დარჩეს, - „მხედველობითი- და სმენითი კონტაქტი ჩვენს შორის სრულიად ცალმხრივია, რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ მე, მკითხველს შემიძლია ის ორი ჩემს წინ და ჩემს გვერდით დავინახო და მოვისმინო, რაზე და როგორ ლაპარაკობენ“ [Margwelaschwili, 2009:5]. *კანტაქტის* პერსონაჟ „მკითხველის“ მიხედვით, ტუხოლსკის პერსონაჟებს და მას შორის არსებული კიდევ ერთი განსხვავება დროით დისტანციაში მდგომარეობს. მისი ცნობით, კლერისა და ვოლფის ისტორია რაინსბერგში წარსულში, დაახლოებით მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში მომხდარი ამბავია, თვითონ კი როგორც „რეალური პიროვნება“ დროის რეალურ მონაკვეთში, სახელდობრ კი 1995 წლის აპრილის თვეში იმყოფება რაინსბერგში. მისივე თქმით, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ წიგნის პერსონაჟები დაბერდნენ და თმა გაუთეთრდათ, ან სულაც ეტლში სხედან, არა, ეს ასე არ არის; ისინი, როგორც წიგნის პერსონაჟები სამუდამოდ ახალგაზრდები არიან, ისეთები, როგორც ავტორმა რაინსბერგში მათი პირველი სტუმრობისას შექმნა, გამომდინარე აქედან, მათ დროის წარმავლობის გამო არაფერი აქვთ სადარდებელი: „კლერი და ვოლფგანგი როგორც წიგნის პერსონაჟები სამუდამოდ ახალგაზრდები ცხოვრობენ იმ ტკბილ მონაკვეთში, როგორც იყო მათი სტუმრობა რაინსბერგში და რომელიც, როგორც ეს დიდმა პოეტმა ისურვა, წაკითხვადი მშვენიერი ისტორიის ფორმით დარჩება ჩვენთან“ [Margwelaschwili, 2009:6]. რომანში ხაზგასმული

კიდევ ერთი განსხვავება წიგნის პერსონაჟებსა და ადამიანებს შორის უკავშირდება აზრის გადმოცემას. ადამიანს შეუძლია სურვილისამებრ თავისუფლად შეცვალოს სალაპარაკო თემა, მაშინ როცა პერსონაჟების საუბარი ავტორის მიერ წინასწარაა განსაზღვრული, დაწერილი, პერსონაჟებს არ აქვთ უნარი, გადაუხვიონ მათთვის განსაზღვრულ ტექსტს: „პერსონაჟი მხოლოდ მექანიკურად იმეორებს იმას, რაც ავტორმა მისცა სათქმელად; განა ყველა წიგნის პერსონაჟი იძულებული არ არის, გააკეთოს ის, რასაც მათგან მათი ავტორები მოითხოვენ, რასაც დაუწერენ?“ [Margwelaschwili, 2009:507], - ასეთი შენიშვნები და განხილვები შეიძლება წავიკითხოთ მხოლოდ მეტაფიქციურ ტექსტში, რომელშიც აშკარადება პერსონაჟების ფიქციური ბუნება და მათი „ცხოვრების“ დამოკიდებულება ავტორსა და მკითხველზე.

რომანში განხილვის საგანი ხდება პერსონაჟების ფუნქციაც, მათი დანიშნულება: „წიგნის პერსონაჟები მოწოდებულნი არიან ასახონ ნამდვილი ადამიანების ცხოვრება, ადამიანებს ერთგვარი კითხვითი-სარკის სამსახური გაუწიონ“ [Margwelaschwili, 2009:200], ვკითხულობთ გივი მარგველაშვილის რომანში *კანტაქტი*. „წიგნის პერსონაჟებს, ლირიკულ და პროზაულ მეს, რომელთა უკანაც ამ ნაწერების ავტორთა „ნამდვილი-პიროვნული“ ეგო იმალება, [...]“ [Margwelaschwili, 2009:175], - ამოვიკითხავთ რომანის სხვა მონაკვეთში. მოცემულ ციტატებში გადმოცემული აზრის მიხედვით, ამა თუ იმ ნაწარმოების პროტაგონისტი თავისი ავტორის წიგნისეული ანარეკლია და მის ცხოვრებას ასახავს. *კანტაქტში* ვოლფი, *რაინსბერგი* - *სურათებიანი წიგნი შეყვარებულთათვის* მთავარი პერსონაჟი, თავისი ავტორის - კურტ ტუხოლსკის წიგნისეულ ანარეკლადაა წარმოდგენილი: „განა ვოლფხენი თავისი ნამდვილი ავტორის პიროვნების, კურტ ტუხოლსკის ადგილას არ დგას, რომელმაც წიგნის სამყაროში თავი წიგნის პერსონაჟად მოიყვანა? განა შეიძლება, წიგნის პერსონაჟის განხილვა იმ ნამდვილი ადამიანის გათვალისწინების გარეშე, რომელმაც იგი შექმნა? ვოლფგანგის კითხვითი-ცხოვრება იმ ნამდვილი ადამიანის ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში არ უნდა განვიხილოთ, რომლის წიგნისეული ანარეკლიც თვითონაა?“ [Margwelaschwili 2009:128]. „ვოლფხენს ნამდვილად ბევრი აქვს საერთო თავისი ცნობილი ავტორის ნამდვილ პიროვნებასთან. ეს რეალიზმი ახასიათებს წიგნის პერსონაჟთა უმრავლესობას, მათ შორის საუკეთესო პერსონაჟებს. ადამიანთა ამ სახეობისთვის ეს ბუნებრივი და ჩვეულებრივია, რის გამოც ვერ გვისაყვედურებენ, რომ პერსონაჟ ვოლფხენის დერეალიზაცია გვაქვს მხედველობაში. ის, რის დამტკიცებასაც ჩვენ ვცდილობთ, ვოლფგანგის როგორც წიგნის პერსონაჟის კითხვითი-ცხოვრების მეტათემატური სინამდვილეა, ამავე ცხოვრების თემატურ სინამდვილესთან ერთად, რომელიც უდავოდ ავტორის ნამდვილ პიროვნებაზე მიმართული სინამდვილეცაა“ [Margwelaschwili 2009:128-129]. მოყვანილი მაგალითების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ გივი მარგველაშვილის ნაწარმოების



პროტაგონისტები მისი ანარეკლები არიან, *კანტაქტი* ჩართული ამ მსჯელობით კი ავტორს სწორედ ამის ჩვენება სურდა მკითხველისთვის. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჩანართების გარეშე იოლი ამოსაცნობია ერთი მხრივ „ქალაქის მწერლის“ და მეორე მხრივ „მკითხველის“ ფიგურაში რომან *კანტაქტის* ავტორი - გივი მარგველაშვილი. „მკითხველი“ თხოვრებას იწყებს 1995 წლის აპრილიდან, სწორედ იმ დროიდან, როცა გივი მარგველაშვილი რაინსბერგის პირველი „ქალაქის მწერლის“ სტატუსს იღებს. გივი მარგველაშვილმა რომანის წერა 1995 წელს რაინსბერგში ყოფნისას დაიწყო. ეს ფაქტი ემთხვევა ფიქტიური „მკითხველის“ ავტორეფლექსიურ კომენტარს: „მე როგორც „ნამდვილი ადამიანი“ ვცხოვრობ რეალური სამყაროს აწმყოში, რომელიც 1995 წლის აპრილით თარიღდება“ [Margwelaschwili, 2009:6]. გარდა ამისა, პერსონაჟი „მკითხველი“ რომანის დასაწყისშივე გვიმხელს თავის ასაკს - „მე ვარ ჭაღარა ჩვენს საზოგადოებაში, 68 წლის რეალური ადამიანი“ [Margwelaschwili, 2009:6]. 1995 წელს კი გივი მარგველაშვილი სწორედ 68 წლის იყო. მართალია, რომანში მისი სახელი პირდაპირ არ არის დასახელებული, მაგრამ ორ ადგილას გვხვდება მისი ინიციალები, რომლებსაც თავის მიერ ციტირებულ ტექსტებში განმარტებისთვის ჩართულ კომენტარებს ურთავს; პირველი მაგალითი: „მეფისნაცვალს ეს (კავალერების სახლი, გ.მ.) თავდაპირველად მოსამსახურეთათვის განუსაზღვრავს“ [Margwelaschwili, 2009:27], მეორე მაგალითი: „ალბათ ისინი (სამოქალაქო უფლებების აქტივისტები, გ.მ.) ისტორიული გონების მხოლოდ დაბალი ხმები არიან“ [Margwelaschwili, 2009:334]. ინიციალები გ.მ. ცალსახად მიუთითებენ გივი მარგველაშვილის სახელსა და გვარზე. ავტორის ვინაობაზე მიგვანიშნებს ასევე მომდევნო ციტატაში მითითებული გვარი - „მარკაშვილი“, რომელიც ახლოსაა გვართან - მარგველაშვილი: „არსებობს შტაზის ერთი ფაილი, რომელშიც ნახსენები ვარ. „ურთიერთობა აქვს ვინმე მარკაშვილთან“, წერია ერთ მეგობარზე, „რომელიც თბილისში ცხოვრობს და ანტისოციალისტურ ტექსტებს წერს“. ამ სარკე-წინადადებაში ჩემი სახელი შეცდომითაა მითითებული [...]“ [Margwelaschwili, 2009:494], ვკითხულობთ რომანში. ერთმანეთს ემთხვევა გივი მარგველაშვილისა და „ქალაქის მწერლის“ პირადი გამოცდილებები და მოგონებებიც: - „ერთხელ უკვე მოვირგე ასეთი სტატუსი („ქალაქის მწერლის“, თ.მ.), ეს იყო ზაარბრიუკენში 1990 წელს“ [Margwelaschwili, 2009:168], და ჩვენ ვიცით, რომ გივი მარგველაშვილი ნამდვილად იყო ზაარბრიუკენში 1990 წელს „ქალაქის მწერლის“ სტატუსით. „სსრკ-ში ადრე ფილოსოფიით ვიყავი დაინტერესებული. მრავალი წლის განმავლობაში, თბილისის ფილოსოფიური ინსტიტუტის თანამშრომელი ვიყავი“ [Margwelaschwili, 2009:403], - აღნიშნული ფაქტიც საყოველთაოდ ცნობილია. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომანში არაერთგზის თემატიზებული დაპატიმრება მამასთან ერთად: „პატიმრობის დრო და ადგილი 1946 წლის გაზაფხული და ბერლინის საბჭოთა სექტორია. მაშინ 18 წლის

ვიყავი, ოთახში გამომამწყვდიეს მამაჩემთან ერთად, რომლითაც საბჭოთა სამხედრო ჩეკა იყო დაინტერესებული. ის ღამე ერთად გავათენეთ, მეორე დღეს კი სხვა ოთახში გადამიყვანეს. მას შემდეგ მამა აღარ მინახავს“ [Margwelaschwili, 2009:222]. „განმარტებისთვის აქვე უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირში ჩემი ომისშემდგომდროინდელი პატიმრობისას, ანუ სამხედრო ჩეკის მიერ ჩემი და მამაჩემის გატაცების შემდეგ, 1946 წლის გაზაფხულიდან დაახლოებით 1989 წლამდე, ევროპაში გარდატეხისა- და კონტაქტის წლიდან, თავიდან ყოყმანით, 1961 წლიდან კი, თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე ჩემს ერთოთახიან ბინაში გადასვლის შემდეგ, რეგულარულად ვივითარებდი ჰომო სკრიბენსის თვისებებს, რის გამოც ჩემი ოთახის კედლებში დაწერილი- და აკრეფილი მასალების დიდი მთა ამოიზარდა“ [Margwelaschwili, 2009:176]. მოცემული მონაკვეთები მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მათში გადმოცემული ინფორმაცია, ბიოგრაფიული მონაცემები, ემთხვევა ავტორ გივი მარგველაშვილის ბიოგრაფიას: მის გატაცებას მამასთან ერთად საბჭოთა კავშირის საიდუმლო სამსახურის მიერ, მის საბჭოთა კავშირში გადასახლება-გამოკეტილობას, 1961 წელს ვაჟა-ფშაველაზე ახალ ბინაში გადასვლას და წერის აქტიურად დაწყებას. „ეს ხელნაწერები შეიცავდნენ სხვადასხვა წიგნის სამყაროს არეალის სინამდვილის ანალიზს, ჩემი მკითხველის გონის კითხვით-ცხოვრებისეულ გამოცდილებებს განსხვავებულ წიგნის სამყაროსეულ არეალებში. ეს საკითხავი მასალა, ძირითადად პროზა, შეიქმნა გერმანულ ენაზე“ [Margwelaschwili, 2009:176], - ვკითხულობთ ავტო-კომენტარს რომანში, რომელიც იმის გამოა საყურადღებო, რომ მასში ასახულია გივი მარგველაშვილის წერის სტრატეგია - სხვათა ტექსტების გადამუშავება-ანალიზი და ის ფაქტი, რომ გივი მარგველაშვილი გერმანულ ენაზე ქმნიდა ნაწარმოებებს. ნაწარმოების ფარგლებში მიმოზნეული „ქალაქის მწერლის“ ცხოვრებისა და მოგონებების ფრაგმენტების საფუძველზე, რომლებიც გივი მარგველაშვილის ცხოვრებასა და მოგონებებს ემთხვევა, შეიძლება ვიმსჯელოთ ნაწარმოებში არსებულ ბიოგრაფიულ ავტორეფლექსიურობაზე, რომელიც ასევე მეტაფიქციის ერთ-ერთი ფორმაა. რომანში უხვადაა ექსპლიციტური ავტორეფლექსიური კომენტარები და შენიშვნები, რომლებიც სწორედ ზემოაღნიშნულში გვარწმუნებენ. შეიძლება ითქვას, რომ მკითხველი სამართლიანად ახდენს „ქალაქის მწერლის“ და „მკითხველის“ იდენტიფიცირებას ნაწარმოების ავტორ გივი მარგველაშვილთან. ამით რომანში დარღვეულია ლიტერატურული კონვენციები და ფიქციის საზღვრები, ავტორი რომანის შემოქმედიცაა და პერსონაჟიც. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ასევე მომდევნო მონაკვეთები რომანიდან, რომლებშიც ავტოფიქციის ნიშნები იკვეთება: „მე ვარ წაკითხვადი ნამდვილი ადამიანი“ [Margwelaschwili, 2009:5] - ვკითხულობთ „მკითხველის“ კომენტარს ნაწარმოების პირველივე გვერდზე, „ამ კონტექსტში არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ „სურათებიან წიგნში“ თითქმის წიგნის პერსონაჟი ვარ. სულ მცირე,

კონტურული თვალსაზრისით მაინც, ჩემი რეალური პიროვნების ორეული ვარ“ [Margwelaschwili, 2009:119]. ავტოფიქციის მაგალითად მიგვაჩნია ასევე მონაკვეთი, სადაც „ქალაქის მწერალი“ საკუთარ თავს წარმოაჩენს როგორც ტექსტის ავტორად, ასევე პირველად სუბიექტად - მთავარ პერსონაჟად, - „მე როგორც ამ კითხვითი-ცხოვრებისეული გამოცდილებების ავტორი და ასე ვთქვათ, მესამე მთავარი პერსონაჟი ამ საკითხავ მასალაში [...]“ [Margwelaschwili, 2009:788], „[...] მე, როგორც ამ კითხვითი-ცხოვრებისეული გამოცდილებების რეალურ ავტორს და პირველად სუბიექტს არ მსურს ეს გამოცდილებები იქამდე წაიკითხოს ვინმემ, ვიდრე მასზე მუშაობას დავასრულებ“ [Margwelaschwili, 2009:788).

*კანტაქტი*, ისევე როგორც მეტაფიქციურ ტექსტთა უმრავლესობაში, მრავალჯერაა თემატიზებული როგორც პერსონაჟი, მკითხველი და ავტორი, ასევე წერის, თხრობისა და კითხვის აქტი. წერა წარმოდგენილია როგორც ადამიანის ცხოვრების მნიშვნელოვანი, არსებითი წესი და საყვარელი საქმიანობა, ადამიანი კი როგორც მწერალი: „წერა არსებითი მოდუს ვივენდია, ადამიანს ნამდვილად შეიძლება ვუწოდოთ ჰომო სკრიბენსი“ [Margwelaschwili, 2009:171]. რომანში ნახსენებია წერისთვის აუცილებელი ატრიბუტებიც: კალამი და ქალაღი, და ამასთანავე ისიც, როგორ სწრაფად წერს ავტორი: „...ჩემი კალამი კიდევ უფრო სწრაფად კაწრავს ქალაღზე, ისე სწრაფად, რომ მე თვითონ ვეღარ ვარჩევ ჩემს ნაკაწრს და ხშირად იძულებული ვხდები, მთელი სტრიქონი კიდევ ერთხელ, ამჯერად უფრო გასაგებად დავწერო“ [Margwelaschwili, 2009:166]. ნაწარმოებში დასახელებულია ასევე წიგნის ფურცლები, გვერდის ნომრები, აბზაცები, ცარიელი ადგილები აბზაცებს შორის, ისევე როგორც პუნქტუაცია, მათ შორის ტირე, სამი წერტილი (რომელთა მეშვეობითაც „მკითხველი“ თემატურობიდან მეტათემატურობაში გადასვლას და პერსონაჟებთან დაკონტაქტებას ცდილობს) და სხვ. რითაც მკითხველში ისევ და ისევ ირღვევა ესთეტიკური ილუზია.

„მკითხველის“ და სასტუმროს პორტიეს, განსაკუთრებით კი „მკითხველის“ და ლიზი აახენელის მიერ წიგნის სამყაროზე განხილული საკითხები, მათ შორის, მეტათემატურობა, „ბიბლიობიოგრაფიული კომპასი“ როგორც პერსონაჟების ორიენტირი და გზამკვლევი წიგნის სამყაროში, „თემატური მაგნეტიზმი“, პირველი და მეორეხარისხოვანი პერსონაჟები, ცხადად წარმოაჩენენ გივი მარგველაშვილის რომანის *კანტაქტი, ქალაქის მწერლის კითხვით-ცხოვრებისეული გამოცდილებებიდან* მეტაფიქციურ ხასიათს, რაკი მათში, მკითხველის თვალწინ, სრულიად ამკარავდება ლიტერატურული ფიქცია.

მეტაფიქციურია ნაწარმოების დასკვნით ნაწილში, მესამე სიუჟეტურ შრეში, ჩართული „ქალაქის მწერლის“ სიზმრის სიუჟეტიც, რომელსაც „ქალაქის მწერალი“ აღწერს როგორც ფანტასმაგორიების დინამიურ სურათებს, როგორც ფილმის კადრებს, წარმოშობილს

სურათებიანი წიგნის სამყაროს ინსპირაციიდან. სიზმრის სიუჟეტში, რომელიც ლოვენბერგისკენ დიდი სისწრაფით მიმავალ მატარებელში ვითარდება, კვლავ ვხვდებით კურტ ტუხოლსკის ნაწარმოების გმირებს. თუმცა ისინი ამჯერად წარმოჩენილნი არიან როგორც სიზმრის პერსონაჟები: „გასათვალისწინებელია, რომ კლერხენი და ვოლფხენი ამ სიტუაციაში არა წიგნის წმინდა პერსონაჟები, არამედ ჩემი სიზმრის პერსონაჟები იყვნენ“ [Margwelaschwili, 2009:754]. „ქალაქის მწერლის“ აზრით, მისი სიზმარი ტუხოლსკის ნაწარმოების „პრეთემატური“ ეტაპია; მატარებელი რაინსბერგისკენ, „პრეთემატურობის“ ბოლო გაჩერებისკენ, კი იმის გამო მიიჩქარის, რომ პერსონაჟები დროულად ჩაიყვანოს იქ, საიდანაც მათი თემატური კითხვითი-ცხოვრება, ტუხოლსკის ნაწარმოების სიუჟეტი იწყება.

საგულისხმოა, რომ რომანში რეალური და ფიქციური - ე.წ. „წიგნისეული“ სამყაროები პარალელურ სამყაროებადაა წარმოდგენილი: „წიგნის სამყაროს არეალები თითქმის ყოველთვის რეალური სამყაროს არეალების პარალელურად არსებობენ“ [Margwelaschwili, 2009:197]. რეალური რაინსბერგი და „წიგნისეული“ რაინსბერგი მრავალჯერაა თემატიზებული ტექსტში: „რაც ზემოთ მოვეყვი, გუმინ შემემთხვა წიგნის სამყაროსეულ რაინსბერგში“ [Margwelaschwili, 2009:109), „[...] რეალურ რაინსბერგში, ჩემს ქალაქის მწერლისეულ ბინაში“ [Margwelaschwili, 2009:110). რომანში არსებული მსგავსი მონაკვეთები მკითხველს ილუზიის შექმნას არ აცლიან, გამუდმებით აგდებენ ფიქციური სამყაროდან, გამუდმებით აფხიზლებენ და მოთხრობილზე დაფიქრებას აიძულებენ. მკითხველზე მსგავს ეფექტს ახდენენ ასევე ისეთი მეტაფიქციური კომენტარები, როგორებიცაა, მაგალითად: „ტექსტოლოგიურად 65-ე გვერდზე ვიმყოფებით“ [Margwelaschwili, 2009:474), „ამის შემდეგ სწრაფად გავიარეთ 71-ე გვერდის დარჩენილი ნაწილი“ [Margwelaschwili, 2009:686), „ეს იყო წიგნის სამყაროსეული ტბა“ [Margwelaschwili, 2009:512), „ეს იყო ჭეშმარიტება, ტექსტის სამყაროსეული ჭეშმარიტება!“ [Margwelaschwili, 2009:12).

რომანში არსებულ ენობრივ თამაშებსაც მეტაფიქციური დატვირთვა აქვთ. ავტორეფლექსიური ფრაზები და სიტყვები წიგნის ფიქციურ სამყაროს აამკარავებენ, მათი მეშვეობით ხშირად პარალელიც კი ივლება ფიქციურ და რეალურ სამყაროს შორის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ *კანტაქტში* როგორც მეტაფიქციურ რომანში თემატიზებული და განხილულია ენათმეცნიერული საკითხები, მათ შორის, ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი. ზმნის ფორმა იმპერფექტი, მაგალითად, განხილულია როგორც პერსონაჟების გრძნობებისა და მოქმედებების დისტანცირებულად გადმოცემის ტიპური ფორმა, რომელიც ამ ყოველივეს მკითხველისთვის წარმოაჩენს როგორც მისგან მოშორებულს და უკვე დასრულებულს. ნაწარმოებში ასევე განხილულია დროის კატეგორია, თანადროულობა, სინქრონია და ასინქრონია და მათი გამოყენება ნაწარმოების შექმნისას. ირიბი მეტყველებაც ექცევა *კანტაქტის* ფოკუსში; პერსონაჟი

„მკითხველი“ მიიჩნევს, რომ ირიბი მეტყველების ფილტრი წმინდა, ნამდვილ-ტექსტოლოგიური ფენომენია; პერსონაჟების უშუალოდ ნათქვამი სიტყვები და ფრაზები ტექსტში წარმოდგენილია ირიბი მეტყველებით, რაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ თითქოს მათი საუბარი სხვის მიერ იყოს გადმოცემული, ეს სხვა კი წიგნის ავტორია, რომელიც პასუხს აგებს იმ ყოველივეზე რაც წიგნის ამ სამყაროში ხდება, - ვკითხულობთ რომანში [Margwelaschwili, 2009:519].

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გივი მარგველაშვილის *კანტაქტი*, *ქალაქის მწერლის კითხვითი-ცხოვრებისეული გამოცდილებებიდან* მეტაფიქციური ხასიათის რომანია, მასში აშკარადდება როგორც საკუთრივ ამ ნაწარმოების, ასევე, ზოგადად, სხვა ლიტერატურული ტექსტების ფიქციურობაც, უპირველეს ყოვლისა კი *კანტაქტის* პრეტექსტის *რაინსბერგი - სურათებიანი წიგნი შეყვარებულთათვის*.

### ლიტერატურა:

**Duhamel, R.** *Dichter im Spiegel. Über Metaliteratur*. Würzburg: Königshausen & Neumann, 2001.

**Margwelaschwili, G.** *Der Kantakt, Aus den Lese-Lebenserfahrungen eines Stadtschreibers*. Berlin: Verbrecher Verlag, 2009.

**Waugh, P.** *Metafiction: the theory and practice of self-conscious fiction*. Routledge, 1984.

**Tinatini Moseshvili**

### **Givi Margvelashvili's "The Kantakt, from the Reading-Life Experiences of a City Writer" as a Metafictional Novel**

#### **Abstract**

Each author happily writes about himself, about the difficulties encountered in writing, about literature, - we read in Roland Duhamel's book "The Poet in the Mirror: About Metaliterature" (*Dichter im Spiegel: Über Metaliteratur*) [Duhamel, 2001]. This is also the case with German-speaking Georgian migrant author Givi Margvelashvili. In a 2009 German-language novel, Givi Margvelashvili in his book "The Kantakt, from the Reading-Life Experiences of a City Writer" ("*Der Kantakt, Aus den Lese-Lebenserfahrungen eines Stadtschreibers*"), in parallel with his account of his life, experiences and work, shows the mystery of literary fiction and invites the reader into a metafictional game. Literary critic Patricia Waugh, who plays a special role in the study of metafiction, believes metafictional texts are those that deliberately refer to themselves as an artificial creation in order to raise questions about the relationship between fiction and reality. According to her concept, metafictional texts are created by an infinite linguistic game with the world, reality, fiction, narrative [Waugh, 1984]. In the present article we will try to review the novel "The Kantakt, from the Reading-Life Experiences of a City Writer" by Givi Margvelashvili, the main motives, elements or narrative techniques, characteristic of the metafictional literature, which show the metafictional nature of *The Kantakt*.

It should be noted from the very beginning that Givi Margvelashvili's novel "The Kantakt, from the Reading-Life Experiences of a City Writer" is based on the artistic reality of the German writer Kurt Tucholsky's - "Rheinsberg - A Picture Book for Lovers" ("Rheinsberg - Ein Bilderbuch für Verliebte"). The Kantakt is an intertextual game with a pretext. The latter appears in the work as a book in a book, which is one of the most common motifs in metafictional literature. Because Tucholsky's work is often found in the Kantakt, the readers cannot forget it, therefore they constantly think about it, and even compare the pheno-text with the pretext. Naturally, there are many passages in the Kantakt in which we recognize intertextual metafiction.

An important metafictional event in the novel is the transformation of the main character of the work - the first "City Writer" of the German city of Rheinsberg into a "reader" character. From the "real" world of the "City Writer" - from the second layer of the novel to the fictional world of the book - the first layer (the same as his own consciousness), the "transition" into the imaginary world blurs the line between "reality" and fiction. This is where one of the techniques of metafictional literature comes into play - metalepsis.

The metafictionality of the novel is evidenced by the characters in the first layer, who are aware of their fictional existence. The aim of the "reader" is for the main characters of Kurt Tucholsky's work to realize their fictional essence too. Because of this, he leaves a message to Claire and Wolf, which is written on a blank sheet of the same book the characters belong to: "This is your mirror-book. It accurately describes how you live through readers: everything you think, say and do here, you think, say and do in your reading-life" [Margvelashvili, 2009:461]. In the work, the characters are presented as reading-creatures, whose lives depend on the reader and their imagination. The function of the characters also becomes a subject of discussion in the novel: "The characters in the book are committed to reflect the lives of real people, to serve people as a kind of reading-mirror" [Margvelashvili, 2009:200], - we read in Margvelashvili's novel.

Based on the fragments of the life and memoirs of the "City Writer" scattered within the work, which coincide with the life and memoirs of Givi Margvelashvili, we can argue about the biographical auto-reflexivity in the work, which is also one of the forms of metafiction. It should also be noted that there are signs of autofiction in the Kantakt.

In the Kantakt, as in most metafictional texts, the character, the reader, and the author are repeatedly thematized, as well as the act of writing, narrating, and reading. The language games in the novel also have a metafictional meaning. Auto-reflexive phrases and words reveal the fictional world of the book, through which often even a parallel is drawn between the fictional and the real world. Linguistic issues, including phonology, morphology, syntax, etc., are thematized and discussed in the Kantakt as a metafictional novel.

Based on these and other examples discussed in the article, we can conclude that Givi Margvelashvili's "The Kantakt, from the Reading-Life Experiences of a City Writer" is a metafictional novel, revealing the fictitiousness of this work as well as other literary texts in general, primarily the pre-text of "Rheinsberg - A Picture Book for Lovers".

**Key words:** the Kantakt, Givi Margvelashvili, reader, "City Writer", metafiction

რეცენზენტი: პროფესორი ი. აიდეუკოვიჩი

ლიტერატურა Literature

ადამიანი - „უფლის მევალე“

ეკა ორაგველიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
a-mail: eka.oragvelidze389@hum.tsu.edu.ge

დავით გურამიშვილის პოეტური გარჯის უმთავრესი მიზანი საკუთარი თავის შემეცნებაა. ამდენად, „დავითიანში“ მკაფიოდ იკვეთება პოეტის ლირიკული „მე“. თვითშემეცნების აუცილებელი პირობა ადამიანური ყოფის საზრისზე დაფიქრებაა. პირველმამისგან კაცობრიობამ ღვთის ხატება და აგრეთვე ცოდვილი ბუნება იმემკვიდრა. პირველცოდვის ტყვეობისაგან ქრისტემ ყველა ადამიანი გამოისყიდა. მან კაცს „ძველი ვალი“ გადაუხადა. „დავითიანი“ ამგვარ ქრისტიანულ სწავლებაზეა დაფუძნებული. ერთი მხრივ, პოეტი აღნიშნავს, რომ, უპირველესად, ღმერთმა აიღო თავისი ქმნილების გადარჩენის ვალდებულება. თავის მხრივ, დავით გურამიშვილს მიაჩნია, რომ ღვთისაგან ორი რამით არის დავალებული: პოეტი, ვითარცა კაცი, უფლის წინაშე მოვალეა, რადგან მის ხატად და მსგავსად არის დაბადებული. ადამიანის ღვთისადმი მოვალეობის მეორე მიზეზი ცოდვათა გამოსყიდვა და დაზიანებული, შებღალული ხატების აღდგენაა. ახალმა აღთქმამ „ახალი ვალი“ დააკისრა კაცობრიობას. „ახალი კაცის“ უმთავრესი დანიშნულება, განდმრთობა-განსრულება, უპირველესად, საკუთარ თავში სწორედ ღვთის ხატება-მსგავსების აღმოჩენით იწყება, შემდეგ - ადამური თუ პირადი ცოდვების მონანიებით, საბოლოოდ კი პიროვნული სრულყოფის გზაზე სიყვარულით მავალი პიროვნება ხვდება ღმერთს.

დავით გურამიშვილის ლირიკული გმირიც იწყებს „განმდრთობისთვის“ გარჯას. პოეტი განიცდის ადამის ცოდვას, ამავე დროს მისი ლირიკული სუბიექტი მე-შეცდომილის მწუხარე განცდით გოდებს. იგი სასოებით მოელის შენდობასა და ისევ ღვთაებრივი ნათლის „ქურქით“ შემოსვას ითხოვს.

ლიტურგიკული აზროვნების ამგვარი პრინციპი დავით გურამიშვილის შემოქმედებაში, უპირველესად, წმ. პავლე მოციქულის ნააზრევს ეყრდნობა, რომლის თანახმად, ადამიანი

თანაჯვარცმით მოიპოვებს ქრისტესში სიცოცხლეს. ამგვარი კონცეფცია ვლინდება ძველ ქართულ სასულიერო პოეზიაშიც. აღსანიშნავია, რომ პოეტის ლირიკული გმირი სათქმელში ჩაენაცვლება ადამს, მის გლოვას საკუთარ ტრაგედიად იხდის და ამ გზით ცდილობს პიროვნული „მეს“ დამკვიდრებას.

**საკვანძო სიტყვები:** დ. გურამიშვილი, ლირიკული მე, ადამის ცოდვა

ქართული სიტყვა „ადამიანი“ ნათლად გადმოსცემს პირველი მამისგან მომდინარეობის ისტორიას. კაცობრიობამ ადამისგან ღვთის ხატება იმეძკვიდრა, რადგან ღმერთმა ადამი თავის ხატად და მსგავსად შექმნა: „და შექმნა ღმერთმან კაცი სახედ თვსად და ხატად ღმრთისა შექმნა იგი“ [დაბად. 1, 27]. კაცი შეიქმნა, რათა „მთავრობდეს“ [დაბად. 1,26]. იგი იყო გვირგვინი, ბატონ-პატრონი უთვალავი ფერით მორთული სამყაროსი. ამდენად, ადამიანი თავისთავად კეთილია, უფლის შვილია, სიკეთის ქმნილებაა. „ადამიანის ღვთის ხატობის პრობლემა ქრისტიანული ანთროპოლოგიის მთავარ თემად იქცა“ [ფარულავა, 2002:38]. წმ. გრიგოლ ნოსელის განმარტებით, „კაცი არა ბოროტ არს, რამეთუ ვითარმცა ბოროტ იყო მსგავსებაი იგი ჭემმარიტისა მის კეთილისაი“ [გრიგოლ ნოსელი, 2006:18]? ადამიანის შემოქმედი კი ბრძენი ხელოვანია. წმ. გრიგოლ ნოსელი ნაშრომში „კაცისა შესაქმისათვს“ ხატოვნად შენიშნავს: „და ვითარცა-იგი შექმნიან ხუროთა ჭურჭერი მსგავსად საწმარებისა მათისა და განიჭედის სიბრძნით, ესრეთვე შემოქმედმან ბუნებისა ჩუენისამან, დამბადებელმან ბრძენმან დაჰბადა, ვითარცა ჭურჭერი სამეუფოდ სათნოვებითა სულისადათა და შემკობილებითა გუამისადათა, რადთა ეგებოდის ყოფად ჭურჭრად სამეუფოდ“ [გრიგოლ ნოსელი, 1979:74].

წმ. იოანე ოქროპირის სწავლებით, ღმერთმა თავისი ცხოველმყოფელი სულით თიხისგან შექმნილ ადამიანს ღვთაებრივი ძალმოსილება მიანიჭა: „...თიხისანი იყვნეს და რკინად გარდააქცივნა იგინი სულმან წმიდამან და ვერა რამან სძლია მათ“ [იოანე ოქროპირი, 1905: 63]. ამ ჭემმარიტების გამომხატველია წმ. დავით წინასწარმეტყველის ლოცვა: „მიხსენ მე თიხისაგან, რადთა არა დავინთქა“ [ფს. 68,14]. მეფე-პოეტი მაღლიერებით ევედრება გამჩენს: „აღავსე პირი ჩემი ქებითა“ [ფს. 70,8]. ადამიანი სულიწმინდის ტაძრადაც მოიხსენიება. წმ. პავლე მოციქული ქადაგებს: „არა უწყითა, რამეთუ ტაძარნი ღმრთისანი ხართ, და სული ღმრთისაჲ დამკვდრებულ არს თქუენ შორის“ [I კორინთ. 3, 16]?

დავით გურამიშვილი საწუთროსა და კაცის გაბაასებისას გადმოსცემს ამ ძველ ბიბლიურ ჭემმარიტებას. ადამიანი ეპაექრება წუთისოფელს: „კაცმან თქვა: ღმერთმან დამბადა თავის მსგავსებით მეფედო, მე შენი თავი ყრმად მომცა, მოსამსახურედ, სეფედო“ [გურამიშვილი II,



2013:25]. გამჩენმა ყველა ქმნილება ადამიანის სამსახურში ჩააყენა, პოეტის თქმით, „ღმერთმან ქვეყნად რაც მოჰფინა, ყველა ჩვენთვის განაჩინა“ [გურამიშვილი I, 2013:39]. ამ განუსაზღვრელი წყალობის სანაცვლოდ კი კაცი ვალდებულია, მადლიერი იყოს და თავისი გულის სამსხვერპლოზე ლოცვა აღავლინოს. ხატება-მსგავსებით დაჯილდოებული პოეტის ლირიკული გმირი ამგვარად მოიხსენიებს შემოქმედს: „ჩვენო გამაკაცებელო, შემქმნელ-დამბადეო“ [გურამიშვილი I, 2013:94]! პოეტი მოძღვრავს თავის მკითხველს: „ის გწამდეს, ვინც რომ დაგბადა, მოგცა ჭკუა და გონია“ [გურამიშვილი I, 2013:92]. მადლიერებით აღვსილი კი თავადაც ქების სურვილს გამოხატავს: „ჩემსა კაცად მხატველს, მსახველს, რაც მე ძალმიცს, გიქებ სახელს“ [გურამიშვილი I, 2013:187].

ადამიანი ღვთის ხატებასთან ერთად პირველცოდვის მოზიარეცაა. გარდა ღვთისშვილობისა, კაცობრიობამ ადამისგან ცოდვილი ბუნებაც იმემკვიდრა და წარმავლობა შეიძინა: „რამეთუ კაცისა მიერ იყო სიკუდილი“ [I კორინთ. 15, 2]. სინანულით, ლოცვით, ქრისტიანული სათნოებებით ცხოვრებით ადამიანი უნდა დაბრუნდეს თავის მარადიულ სამშობლოში - სამოთხეში. „და ვითარცა-იგი ადამის გამო ყოველნი მოსწყდებიან, ეგრეთცა ქრისტეს მიერ ყოველნი ცხოველ იქმნენ“ [I კორინთ. 15, 22]. წმ. გრიგოლ ნოსელი, განმარტავს რა წმ. პავლე მოციქულის ნათქვამს, დასძენს: „ჯერ-არს, რადთა ზიარ იყოს მის თანა სინანულისაგა ხმაჲ ყოველთაჲვე, რომელნი მის თანა მოვკუდებით“ [გრიგოლ ნოსელი, 2006:48].

„დავითიანი“ ამგვარ ქრისტიანულ სწავლებაზეა დაფუძნებული. პოეტი აღნიშნავს, რომ, უპირველესად, ღმერთმა აიღო თავისი ქმნილების გადარჩენის ვალდებულება. ტყვეობიდან თავის დახსნის და „არსობის პურის“ მოსურნე ლირიკული გმირი თავის „იამბიკოში“ (კიდურთმწერლობა „მამაო ჩვენო“) ამგვარად ლოცულობს: „მომეც, გვედრებ, შენი ვალი გარდაიხადეო“ [გურამიშვილი I, 2013:95]! საქრისტიანოში გადასული ავტორი კი იმედიტა და მადლიერებით შენიშნავს: „გარდაიხადა უფალმან, ჩემი ემართა რაც ვალი“ [გურამიშვილი I, 2013:117]. თავის მხრივ, დავით გურამიშვილს მიაჩნია, რომ ღვთისაგან ორი რამით არის დავალებული: პოეტი, ვითარცა კაცი, ვალშია ღმერთთან, რადგან მის ხატად და მსგავსად არის დაბადებული; მუდამ ახსოვს ის, ვინც სხვა სიკეთესთან ერთად ჭკუა-გონება მისცა, ამიტომაც სურს, მადლიერებით განიმსჭვალოს მის მიმართ: „რით გარდვიხადო მე, ღმერთო, ეგევიტარი ვალობა, რაც შენ მომაგე სავსებით ურიცხვი შენი წყალობა“ [გურამიშვილი I, 2013:116]?

ადამიანის უფლის წინაშე მოვალეობის მეორე მიზეზი ცოდვათა გამოსყიდვაა. ადამის დაცემის შედეგად მასში შეიბღალა ღვთის ხატი და სრულიად შეიცვალა კაცობრივი ბუნება. „მსგავსებისაგან დავაკლდიო“ [აღმაშენებელი, 1989:12], - გოდებს წმ. დავით აღმაშენებელი თავის პოეტურ ქმნილებაში „გალობანი სინანულისანი“. სინანული ადამის ცოდვის თანაგანცდაში

გამოიხატება. დავით გურამიშვილიც წარმოაჩენს დაცემული, მგლოვიარე პირველმამის ლირიკულ სახეს და მის მოთქმას საკუთარ სათქმელად იხდის: „დღესა, თუ ხვალე ჩემი მოვალე მომასწრობს მალე, ვერცად ვემალე“ [გურამიშვილი II, 2013:16]. საღვთო „ვალის“ გადახდა სულიერი მომურნეობა და ღვაწლია. ტყვეობიდან გაქცეული, თავისუფლების დაუოკებელი სურვილით გულანთებული პოეტი იმედოვნებს, რომ განსაცდელთა დაძლევათ თავის ვალს გადაიხდის: „გარდავიხადე იქიცა, რაც ღვთისა მედვა ყალანი“ [გურამიშვილი I, 2013:111]. ამასთან, ავტორი გამოარჩევს ამქვეყნიურ მოვალეობასაც. მისი მიზანია, ყმაწვილები დამოდღვროს და საღვთო გზაზე შეაყენოს. შესაბამისად, მკითხველის წინაშე თავისი პასუხისმგებლობაც უმაღლეს ნიშნულამდე აჰყავს: „ყმაწვილის ვალი მკიდია“ [გურამიშვილი I, 2013:18], - წერს პოეტი.

ამქვეყნიური მოვალეობისა და უფლის წინაშე პასუხისმგებლობის განცდა აქვთ „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებსაც. ამ საკითხს საინტერესო გამოკვლევა უძღვნა მკვლევარმა ე. ხინთიბიძემ, რომელიც, განიხილავს რა ტაეპს: „იგია ლხინი სოფლისა, იგია ნივთი და ვალი“ [146], აღნიშნავს, რომ პერსონაჟის (ავთანდილის) გვიანდელი შუასაუკუნეების ფილოსოფიური ტერმინოლოგიით სახელდება („ლხინი“, „ნივთი“, „ვალი“) „არსებობის მიზეზების მეტაფიზიკურ ფილოსოფიას“ [ხინთიბიძე, 2009] უკავშირდება. „ავთანდილი ქვეყნის უმაღლესი ნეტარებაა, იგია არსებობის მიზეზი - მატერიალურიც და დანიშნულებითაც“ [ხინთიბიძე, 2009]. გმირის ფიზიკური, სულიერი და ინტელექტუალური პოტენციალი მისი სრულყოფილებისკენ სწრაფვის აუცილებლობას, ვალდებულებას განაპირობებს.

პირველცოდვის სიმძიმე ყველა კაცს აწევს მხრებზე. მაგრამ უფალმა თავისი განკაცებითა და ჯვარცმით კაცობრიობა გამოისყიდა, გამოიხსნა. ძელიცხოველიც სწორედ იქ აღიმართა, სადაც ადამი იყო დაფლული. ამიტომ ჰქვია ჯვარცმის მთას გოლგოთა - „თხემის ადგილი“. იქ დაღვრილი მართალი სისხლი ადამის საფლავს დაეპკურა და განწმინდა პირველი კაცი, მას „ძველი ვალი“ გადაუხადა. პოეტი წერს: „განიყიდა, ჯვარს ეცვა, ჩვენთვის სისხლი დაღვარა. რასაც ვალით დაგვიხსნა, მის ვახშს გვთხოვენ აღარა“ [გურამიშვილი I, 2013:150]. დავით გურამიშვილის თქმით, ჯვარცმულმა მაცხოვარმა „ემშაკთ დაულპო წერილი, ადამს გარდუწყდა ვალები“ [გურამიშვილი I, 2013:37]. ტყვეობაში მყოფი სინდისისაგან მხილებული პოეტი ღმრთის წინაშე თავის ვალდებულებას გრძნობს: „ჯერ რაც უფალთ ყალანი გედვას, გარდიხადეო“ [გურამიშვილი I, 2013:91]. „ყალანის“ გადახდა კი ტყვეობიდან (სიმბოლურად ცოდვათა ტყვეობიდან) გამომხსნელის ქება-დიდებაა: „ვისაც დავით ხადოდეს, უფლად შენც მას ხადეო“ [გურამიშვილი I, 2013:91]! მაცხოვრის მიერ გამოსყიდული ადამიანის იმედიანი ღაღადისი მოისმის „დავითიანის“ ფინალურ ნაწილში, რომლის მიხედვით, საიქიოს გზაზე შემდგარი ლირიკული გმირი სასოებს,

რომ ქრისტე თავისი პატიოსანი სისხლით გამსუბუქებს ცოდვით დამძიმებულ „სასწორს“: „გვერდთ, ხელთ, ფერხთ სისხლი შენი სასწორს აბრად შეუდევე, განუმსუბუქე, მიმიე ცოდვანი შეუნდევე“ [გურამიშვილი II, 2013:194].

ახალმა აღთქმამ კაცობრიობას „ახალი ვალი“ დააკისრა. იგი ტკბილი და მსუბუქია და ღვთის რწმენით, სასოებითა და სიყვარულით გადაიხდება. იესო ქრისტე ანუგეშებს მოწაფეებს და მიმართავს: „უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტვირთი ჩემი სუბუქ“ [მათე, 11,30]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საუფლო ლოცვის ერთ-ერთი სათხოვარი გამოხსნაა. ერთი მხრივ, უფალი ადამიანს ცოდვათაგან ათავისუფლებს: „და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი“ [მათე, 6,12]; მეორე მხრივ, კაციც მოვალეა, ღვთის მსგავსად სულგრძელი იყოს: „ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა“ [მათე, 6,12]. ქრისტეს მიერ დაკისრებული „ვალი“ სათნოებათა აღსრულებით გადაიხდება, ვალმოხდილი კაცი კი სანაცვლო პატივს თავად მაცხოვრისგან მიიღებს. წმ. ბასილი დიდი მე-14 ფსალმუნის განმარტებისას ასკვნის: „კეთილი იმედით უფლისაკენ წარემართე და ქველი საქმეებისათვის ვახშს იქ, ჩვენი უფალი იესო ქრისტესაგან მიიღებ“ [ბასილი დიდი, 2002:77]. ადამიანის უმთავრესი დანიშნულებაა, განიღმრთოს: „იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამად თქუენი ზეცათად სრულ არს“ [მათე, 5, 48]. განღმრთობა-განსრულება, უპირველესად, საკუთარ თავში ღვთის ხატება-მსგავსების აღმოჩენით იწყება, შემდეგ - ადამური თუ პირადი ცოდვების მონანიებით, საბოლოოდ კი პიროვნული სრულყოფის გზაზე სიყვარულით მავალი კაცი ხვდება ღმერთს. დავით გურამიშვილის ლირიკული გმირი ასე ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობს საღვთო გზა-კვალზე დგომას, უფლის ძიებას და ამ მიზნით საკუთარი თავის შემეცნებას. ავტორი თავისი პოეზიით განადიდებს მაცხოვარს, მადლიერებას, სიყვარულს გამოხატავს მის მიმართ. პოეტს ამგვარად სურს „ახალი ვალის“ გადახდა, რაც, მისი თქმით, ქება-დიდებათაა შესაძლებელი: „მსურის ქება და დიდება ნათლისა წარუალისა, მზეთა-მზის ვახში თავს მაძეს, მმართებს გარდახდა ვალისა“ [გურამიშვილი I, 2013:84].

პოეტი თავმდაბლობით აღნიშნავს, რომ რთულია ამ ვალის გადახდა, რადგან არ შესწევს სათანადო ძალა, სრულად გამოთქვას ღვთის დიდებულება, მისთვის შეუცნობელია უფლის გზა:

„რაზომც ენა მუსიკობდეს,

ბრძნად გაქებდეს და გამკობდეს,

გარდიხდის ვერ ახად ვალსა,

ვერ სცნობს შენ გზას და კვალსა“ [გურამიშვილი I, 2013:89].

ადამიანი შეიძლება განუდგეს პირველცოდვას და მაცხოვრის მადლით ნათელღებული ქრისტიანად იქცეს, რაც სულიერი გარდაქმნის, ახალი დაბადების, „ახალი ვალის“ გადახდის საწინდარია. წმ. დავით წინასწარმეტყველი ღმერთთან მყოფ კაცს ღვთაებრივი ნათლის მოსილს

უწოდებს: „შეიმოსეთ ნათელი, ვითარცა სამოსელი“ [ფს. 103, 2]. ეს ნათელი ცოდვილმა ადამმა „განიძარცვა“. უფალმა სამოთხიდან განდევნილს ტყავის სამოსელი უბოძა: „და უქმნა უფალმან ღმერთმან ადამს და ცოლსა მისსა სამოსელნი ტყავისანი და შეჰმოსა მათ“ [დაბ. 3,21]. სიმბოლურია, რომ სინანულის მქადაგებელი წინამორბედი უფლისა უდაბნოში სწორედ ცხოველის ტყავითაა შემოსილი, რაც მინიშნებაა ხსნის სინანულით დასაწყისზე: „ხოლო თავადსა იოვანეს ემოსა სამოსლად მისა თმისაგან აქლემისა და სარტყელი ტყავისაჲ წელთა მისთა“ [მათე, 3,4]. იესოს პატიოსანი სისხლით ჯოჯოხეთის ტყვეობიდან დახსნილი კაცი კვლავ იმოსება ღვთაებრივი ნათლით. ამგვარი კონცეფცია ვლინდება უძღვები ძის, როგორც ახალი აღთქმის ადამიანის, იგავურ სახეში. მამასთან სინანულით მიბრუნებული ჭაბუკი კვლავ იცვამს იმ „პირველ სამოსელს“: „და ჰრქუა მამამან მისმან მონათა თვსთა, გამოიღეთ სამოსელი პირველი და შეჰმოსეთ მას“ [ლუკა, 15,22]. წმ. პავლე მოციქულის განმარტებით, ზეცა ადამიანისთვის გამზადებული ხელთუქმნელი სახლია, სადაც დაბრუნება ღვთაებრივი ნათლის კვლავ შემოსვას ნიშნავს: „საყოფელი იგი ჩუენი ზეცით გამო შემოსად გუსურის; რომელი-იგი შე-თუ-ვიმოსოთ, არღარა შიშუელ ვიპოვნეთ“ [II კორინთ. 5,2-3]. დავით გურამიშვილი ცდილობს, საღვთისმეტყველო გადმოცემის კვალობაზე გამოხატოს ცოდვამდელი ადამის მდგომარეობა. „ადამისა და ევას ნათლით მოსილობის პერიოდი მთელი კაცობრიობისათვის პირველქმნილია, არქეტიპულია, ზესთასოფლურია, ხოლო ტყავის სამოსლით სამოთხიდან გამოსვლა წუთისოფლისეულია, ღვთიური ბუნებისაგან დაკლებაა, გამიწიერება“ [სულავა, 2005]. ავტორი ამგვარად განასხვავებებს ცოდვამდელი და ცდუნებული კაცის მდგომარეობას: „ოდეს ადამ ბრმად ღმერთმან დაბადა, ნათელი ეცვა ტანთა კაბადა“ [გურამიშვილი II, 013:139], - ამსოფლიური საცდური პირველკაცს სწორედ ნათლის სამოსელს შემოამარცხავს: „რა დაინახეს წითელ-ყვითელი, შემოეცარცვათ ტანთა ნათელი“ [გურამიშვილი II, 2013:141]. პოეტი პირველმამის ცოდვას იზიარებს. აქვე დავით გურამიშვილის პიროვნული „მე“ ძე-შეცდომილის მწუხარე განცდითაც გოდებს. იგი სასოებით მოელის შენდობასა და ისევ ღვთაებრივი ნათლის „ქურქით“ შემოსვას ითხოვს:

„ზურგთ მძიმე ტვირთი მკიდია ცოდვისა, არ სუბუქია;

ძე შეცდომილი ვრონინებ, მაზრობს ქარი და ბუქია;

მაცვია ცივი ნაბადი, არა მაქვს თბილი ქურქია.

სჯობს ვეტრფიალო მზეთა-მზეს, მომფინის მზისა შუქია“ [გურამიშვილი I, 2013:84].

ცოდვათაგან განწმენდა სიმბოლურად ისევ ახალი სამოსლით შემოსვას გულისხმობს. პოეტი ევედრება უფალს: „ახლით მმოსე შესამოსლით; არ მათბობს მე ძველი ქურქი“ [გურამიშვილი I, 2013:88]. აღსანიშნავია, რომ ავდარსგადარჩენილი, რომელიც მაღლიერებას

გამოხატავს ღვთისმშობლის მიმართ, წერს: „პერანგი მეცვა ახალი, არ ძველი, მე ტანზე ნარმა“ [გურამიშვილი I, 2013:111].

პოეტი თანაგანიცდის პირველცოდვის სიმძიმეს და მოწეული სასჯელიც დამსახურებულად მიაჩნია: „როგორც ვიგვემე, ეგრეთ ვიგვემე“ [გურამიშვილი II, 2013:15]! რადგან ადამის ცოდვა „მას დღე აქეთ ვალად გვაძეს, ჩვენზედ არის რაც ეს სესხი“ [გურამიშვილი II, 2013:24], საჭიროა მისი სინანულითა და კეთილის ქმნით გამოსყიდვა. „დავითიანის“ ფინალურ ნაწილში მოცემული ლექსი „ადამის საჩივარი“ პირველმამისადმი მამართვით იწყება. იგი განიცდის, რომ მისი ბრალობის შედეგად საწუთროს ყველა მკვიდრი ამაოების მსხვერპლია. ლექსის დასასრულს პირველკაცის ლირიკულ გმირს სათქმელში თავად ავტორი ჩაენაცვლება. ადამი ამ შემთხვევაში „განზოგადებული სახეა. მასში მოიაზრება ყველა, ვინც პირველცოდვას იზიარებს“ [სირაძე, 1992:154]. პოეტი ადამის წუხილს თავის სატკივრად აცხადებს და იესოს ევედრება, მოიძიოს, როგორც დაკარგული ცხვარი:

„დავით გალად დანერგული

ვარ უშტო და მე უფესო.

აწ მომძებნოს დაკარგული

ვედრებ ქრისტეს მეუფესო“ [გურამიშვილი II, 2013:177]! ავტორი ისევ აგრძელებს ხსნისათვის ლოცვას და ამჯერად ადამის ნაცვლად უკვე პოეტის ლირიკული „მე“ ლაღადებს:

„ღმერთო! შენ შემქენ კაცადა ცეცხლი, ქარ, წყალი, მიწა, მე,

მე შენსა მცნებას გარდავზე, ამაღ ალარად მიწამე“ [გურამიშვილი II, 2013:177].

ადამის ცოდვის თანაგანცდასთან ერთად ქრისტიანის ვალია მაცხოვრის ჯვარზე ვნების ხსოვნა. „დავითიანის“ დაწერის მიზანიც სწორედ ეს იყო: „...ამად ვსთქვი ჯვარზედ ვნებული, ცრემლნი იდინოთ ღვარადო“ [გურამიშვილი I, 2013:4]. ქრისტეს ტკივილების ყველაზე მძაფრად თანაგანმცდელი დედა-ღვთისმშობელია. საზარელი წამებით გატანჯული მის ხილვა გულს უკლავდა და უმძიმეს მწუხარებას აგრძნობინებდა. „ღვთისმშობლის ტირილში“ დავით გურამიშვილი გადმოსცემს მშობლის გლოვის ამბავს: „მოედვა მწარედ სახმილი, შეიქმნა დადაგულობით: დაეწო გული და ღვიძლი, ნაწლევნი გათანგულობით“ [გურამიშვილი I, 2013:30]. პოეტის ლირიკული გმირი იხსენებს გოლგოთის ტრაგედიას და თითქოს გრძნობს უფლის ჭრილობებით მიყენებულ ტკივილს. ამით ღვთისმშობლის ჭირის მოზიარობასაც გამოხატავს. ლექსში „არია, რომელ არს გოდება“ ავტორის ლირიკული „მე“ გადმოსცემს ჯვარცმით გამოწვეული ვნების სიმწარეს: „მწარედ სახმილით დაგულსა ლახვარი დამსმია გულსა“ [გურამიშვილი I, 2013:182]... - ასეთი ტკივილის გამომხატველია 21-ე ფსალმუნი, რომელშიც სასწაულებრივადაა ნაწინასწარმეტყველები უფლის ჯვარცმა: „...განჯურიტნეს ჳელნი ჩემნი და

ფერწნი ჩემნი. და აღრაცხეს ყოველი ძუალები ჩემი” [ფს. 21, 16-17], - გოდებს მეფსალმუნე. პოეტის გულში ლახვრით მიყენებული ჭრილობის სიმძიმეს გრძნობს. ლახვარი უფლის ჯალათთა ერთ-ერთი იარაღია: „ლახვართა უგუმირა გუერდსა მისსა“ [იოანე, 19, 34]. დავით გურამიშვილი, როგორც ქრისტიანი ავტორი, ამგვარად ხდება უფლის ვნების თანაგანმცდელი. ეს არის „ლიტურგიული აზროვნების“ [სირაძე, 1992:174] ერთ-ერთი ნათელი მაგალითი, რომელიც „დავითიანში“ გასაოცარი სიცხადით ვლინდება. სათქმელისადმი ამგვარი დამოკიდებულებით აიხსნება ლირიკული გმირის „ელეგიურ განწყობილება“ [უჯმაჯურიძე; 2005]. პოეტის მიზანია, პიროვნულადაც, უშუალოდ გაითავისოს ჯვარცმის ტკივილი თუ ღვთისმშობლის სევდა. „აქ უბრალოდ განცდის განზოგადება კი არ არის, არამედ, პირიქით, მისი კონკრეტიზირება ხდება“ [უჯმაჯურიძე; 2005]. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ავტორი „ჯვარცმის ამბავში“ აღწერს მაცხოვრის ტანჯვას, თხრობა კი მესამე პირშია. შემდეგი ლექსის მიხედვით („ტირილი ღვთისმშობლისა“), წმ. მარიამის ლირიკული გმირი დატირებისა და თანაგანცდისკენ მოუწოდებს მორწმუნეებს, რათა თავად მიიღონ სულიერი ნუგეში: „სულს ეცით მისგან ნუგეში, გულს ჭირნი უკუყარენით“ [გურამიშვილი I, 2013:30]. მომდევლო ლირიკულ ნაწარმოებში კი („მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“) პოეტი ასრულებს დედა-ღვთისმშობლის მოწოდებას და თავად ხდება ვნებული იესოს ჭირისუფალი. საყურადღებოა, რომ ამ ლექსში ავტორი, ფაქტობრივად, იმეორებს და განავცრობს „ჯვარცმის ამბავში“ გადმოცემულ საღვთო ისტორიას და ამჯერად თხრობას მეორე პირში წარმართავს, მიმართვის ობიექტი კი ქრისტეა. ამ გზით, ღვაწლის მიმღებლობისა და ტანჯვის გაზიარების თვალსაზრისით, ცდილობს, უშუალოდ პიროვნული ურთიერთობა ჰქონდეს უფალთან. აქვე საყურადღებოა რეფრენები. პირველით უფლის მიერ ადამიანისთვის გაღებული მსხვერპლის მნიშვნელობას წარმოაჩენს: „ჰქმენ სულგრძელება მათზედა და დასთმე შენ ჩვენთვის ესო“ [გურამიშვილი I, 2013:36]; მეორე რეფრენით ადამიანის მიერ მადლიერებით აღვლენილი სადიდებელია გადმოცემული: „დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო“ [გურამიშვილი I, 2013:36]! ამგვარად ღვთისა და კაცის ურთიერთობა, ორმხრივი სიყვარული გამოიხატება. ეს შედეგია როგორც ლიტურგიკული აზროვნების, ისე ღმერთთან პიროვნული ურთიერთობის, რაც პოეტური გზითაა მიღწეული. ავტორი კონკრეტულ ისტორიულ ფაქტს „ზედროული მნიშვნელობით“, „უჟამო ჟამიერად“ [სირაძე, 1992:175] აღიქვამს და წარმოაჩენს, მიზანი კი პიროვნული ლირიკის დამკვიდრებაა.

ლიტურგიკული აზროვნების ამგვარი პრინციპი დავით გურამიშვილის შემოქმედებაში, უპირველესად, წმ. პავლე მოციქულის ნააზრევს ეყრდნობა, რომლის თანახმად, ადამიანი თანაჯვარცმით მოიპოვებს ქრისტეში სიცოცხლეს: „ქრისტეს თანა ჯუარ-ცუმულ ვარ. ხოლო ცხოველ არღარა მე ვარ, არამედ ცხოველ არც ჩემ თანა ქრისტე“ [გალატ. 2, 19-20]. ამავე

ეპისტოლეში წმინდა მოციქული ღიად საუბრობს იმის შესახებ, რომ მაცხოვრის ვნების მოზიარე და მისი ტკივილის განმცდელია: „მე საწრეტელნი იგი უფლისა იესუჲსნი ჯორცთა შინა ჩემთა მიტვრთვან“ [გალატ. 6,17]. პოეტის სააზროვნო მოდელი ქრისტიანულ სწავლებაზე დაფუძნებული ქართული სასულიერო მწერლობის ტრადიციებითაც არის განპირობებული. იოანე მინჩხი წერს: „ვაშურვო აწ მკდომსა ჯორცთა ამით ჩემითა, რომლითაცა წარმწყმიდა სამოთხესა შინა, რამეთუ რომლითა მოგკუედ, მითვე აწ განვცხოველდი უხრწნელად და განვრცნა პირი ჩემი ზედა მტერთა ჩემთა“ [მინჩხი, 1987:286]. ამ სიტყვების მთავარ სათქმელს ეხმიანება დავით გურამიშვილის უფლის გამომხსენელი ღვაწლით გახარებული ლირიკული გმირის ნათქვამი: „ვითა დავლამდი, ისევ გავსთენდი! მე მოგვებოძა, გვესვეტ-გვებოძა, მე დაქცეული მისგან ავშენდი“ [გურამიშვილი I, 2013:146]. სხვაგან ჰიმნოგრაფი ამგვარად თანაგანიცდის მაცხოვრის ვნებას: „...საფლავსა შინა რაჟამ დავეფალ ქრისტეს თანა ჯორცთა, აღვდეგ მის თანა განღმრთობილი მადლითა“ [მინჩხი, 1987:288]. საადღგომო საგალობელი კი უშუალოდ ავტორის პიროვნული სუბიექტის წარმოჩენის მაგალითია: „ჩემთვის დაადგრა ქალწულისა საშოსა მეორე მიზეზი ყოველთა მიზეზთაჲ, რამეთუ მიხილა ქმნული ხატად თვსა მტერისა დაცემული... დაეფლა ქუეყანისა გულსა ჩემთვის, რომელი მომკლა სამოთხეს შინა მაცთურმან და დამფლა ჯოჯოხეთისა გულსა... აღდგა უხრწნელად და თანა აღმადგინა“ [მინჩხი, 1987:292]. საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ ავტორი აღნიშნული საგალობლის სათაურში თავის თავს ამგვარად მოიხსენიებს: „...იამბიკონი, თქუმულნი ნეტარისა ი[ო]ვანე მინჩხისანი. ზ, ფრთხილო, გულისხმა-ყავ და ჩემ ცოდვილისათვის ლოცვა ყავ, მღვდლო, ღმრთის მგალობლო“ [მინჩხი, 1987:292]. დავით გურამიშვილიც თვითდამკვიდრების საბოლოო ეტაპზე სასულიერო პირს სულის მოხსენიებას სთხოვს, ლექსს კი ამგვარად ასათაურებს: „მღრდელთ ვედრება დავით გურამიშვილისა“ [გურამიშვილი II, 2013:184].

პოეტის „ლიტურგიკული აზროვნება“ ლექს „ზუბოვკაში“ ამგვარად გამოიხატა: „ჩემის სიყვარულისათვის სცემეს ხელშეკრულსა, სახით ვხედავ ჩემთვის მკვდარსა სისხლით გაბასრულსა“ [გურამიშვილი I, 2013:191], - ეს ზოგადად ადამიანის სინანულის გამოხატვაცაა და მხსნელის უსამართლოდ დასჯის გამო ერთი კაცის, დავით გურამიშვილის, პიროვნული მწუხარე განცდა. მაცხოვარი კაცობრიობის ცხოვნებას შეეწირა, ამავდროულად მის მიერ გაღებული მსხვერპლი თითოეული ადამიანის მანუგეშებელია. დავით გურამიშვილი თავის პირად დანაშაულად მიიჩნევს უფლის წამებას და ამგვარად დასტირის ვნებულს: „შენ მიწაშიგან გმარხეო“ [გურამიშვილი I, 2013:185]! უფლის ტკივილის თანაზიარი და დედა-ღვთისმშობელთან ერთად მისი დამტირებელი კი იმედოვნებს, რომ გულწრფელი სინანულით შეძლებს ღმერთთან ყოფნას.

ამრიგად, თვითშემეცნების მოსურნე დავით გურამიშვილის ლირიკული გმირი ცდილობს, გააცნობიეროს ღვთის წინაშე თავისი, როგორც ზოგადადამიანური, ასევე პიროვნული პასუხისმგებლობა. მისი უმთავრესი დანიშნულება განღმრთობა-განსრულებაა, რაც, უპირველესად, საკუთარ თავში ღვთის ხატება-მსგავსების აღმოჩენით, ადამური თუ პირადი ცოდვების მონანიებით და მაცხოვრის ღვაწლის მიმღებლობითაა შესაძლებელი. პოეტი ხარობს იმით, რომ პირველმამის მსგავსად, გამოხსნილია „ძველი ვალისაგან“ და ამჯერად ახალ მოვალეობას გრძნობს მხსნელის, ქრისტეს, წინაშე. ამ თვალსაზრისით, ცოდვათა დაძლევისა და მადლიერების მიზნით, თანაგანიცდის ჯვარცმული მაცხოვრის ტკივილსაც. დავით გურამიშვილისთვის პოეტური გზა გამხდარა თვითშემეცნებისათვის სულიერი გამრჯეობის ასპარეზი. ამიტომ ცდილობს, ლიტურგიკულ აზროვნებაზე დაფუძნებული პიროვნული ლირიკის დამკვიდრებას, რომელიც „ახალი ვალის“ გადახდის საშუალებად დაუსახავს.

#### ლიტერატურა:

1. **აღმაშენებელი დავით** - „გალობანი სინანულისანი“; რედ. ზ. კვიციანი; თბილისი, „ხელოვნება“; 1989 წელი; 80 გვ.
2. **ახალი აღთქმა** - წმ. გიორგი მთაწმინდელის რედაქციით კრიტიკულად დადგენილი ტექსტის მესამე სრული გამოცემა; საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა; თბილისი, 2003 წ. 228 გვ.
3. **ბასილი დიდი** - თხზულებანი; საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა; თბილისი, 2002 წ. 320 გვ.
4. **გრიგოლ ნოსელი** - „კაცისა შესაქმისათვის“, „მატერდის კრებული“, ბ. გიგინეიშვილისა და ელ. გიუნაშვილის გამოცემა, გამომცემლობა „მეცნიერება“; თბილისი, 1979; 429 გვ.
5. **გრიგოლ ნოსელი** - „სწავლად ლოცვისად და თარგმანებად „მამაო ჩვენოდასად“; საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კ. კველიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი; თბილისი, 2006 წ. 79 გვ.
6. **გურამიშვილი დ.** - „დავითიანი“; ორტომეული; გამომცემლობა „პალიტრა L“; თბ. 2013 წ. 336 [2] გვ.
7. **იოანე ოქროპირი** - „ღვთივ-შვენიერი სწავლანი, რომელსა ეწოდება ოქროს წყარო“; გამომცემლობა „კიდევაც დაიბრუნებინ“; ფირმა „სადარა“; განმეორებით გამოცემა, სტამბა N 3; თბილისი, 1905 წ. 214 გვ.
8. **მინჩხი იოანე** - „იოანე მინჩხის პოეზია“, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი, 1987 წ. 368 გვ.



9. „მცხეთური ხელნაწერი“ - გამომცემლობა „მეცნიერება“; თბილისი; 1981 წელი; 544 გვ.
10. **რუსთაველი** - „ვეფხისტყაოსანი“; გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“; თბილისი, 1966 წელი;
11. **სირაძე რ.** - „დავითიანი“ და ბიბლია“; „ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა“; I; თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა; თბილისი, 1992; 229, [3] გვ.
12. **სულავა ნ.** - „ნათლისა გავხდე მიჯნური“; „დავით გურამიშვილი - 300“; საქართველოს მეცნიერებათა აკადემია; შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი; სამეცნიერო შრომების კრებული; თბილისი, 2005 წ. [ელექტრონული რესურსი] <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0--0-0---0prompt-10---4---4---0-0l-11-ru-00---10-ka-50--00-3-help-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL2.5&d=HASH01ed6c39090ae26b3841f24a.3.6&fbclid=IwAR1Aq2ovUhiQHxtSa4VSMshQG aMEtwUWeLLRtZPLhWRZE6H8I9MpRYH8xw>
13. **უჯმაჯურიძე მ.** - „ელეგიური ნაკადი დ. გურამიშვილის ლირიკაში“ „დავით გურამიშვილი 300“; საქართველოს მეცნიერებათა აკადემია; შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი; სამეცნიერო შრომების კრებული; თბილისი, 2005 წ. [ელექტრონული რესურსი] <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-1l-10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-10&a=d&c=civil2&cl=CL2.6&d=HASH01ed6c39090ae26b3841f24a.3.7>
14. **ფარულავა გრ.** - „ადამიანი - ხატი და მსგავსი ღვთისა“; ლიტერატურული ჟურნალი „საგურამო“; #3; 2002 წ.
15. **ფსალმუნნი** - „მცხეთური ხელნაწერი“; გამომცემლობა „მეცნიერება“; თბილისი; 1983 წელი; 328 გვ.
16. **ხინთიბიძე ე.** - „შუასაუკუნეების სქოლასტიკური ტერმინები ვეფხისტყაოსანში“ (ავთანდილი - ლხინი, ნივთი და ვალი); ქართველოლოგი, თბილისი, 2009; გვ. 519-535; [ელექტრონული რესურსი] [https://e-learning.tsu.ge/pluginfile.php/273820/mod\\_resource/content/1/519-535.pdf](https://e-learning.tsu.ge/pluginfile.php/273820/mod_resource/content/1/519-535.pdf)

Eka Oragvelidze

**Man - "Debtor of the God"****Abstract**

The main objective of Davit Guramishvili's poetic work is getting to know one's self. Thus, the author's lyrical "I" is clearly visible in the poem. In order to get to know one's self, meaning of the human existence needs to be explored. The image of God as well as the sinful nature has been inherited in the humankind.

Christ has redeemed the humankind from the captivity of original sin, paying the "old debt". "Davitiani" is based on such Christian ideology. On the one hand, the poet notes that God undertook the obligation to save his creatures in the first place. At the same time, Davit Guramishvili believes that he is indebted to God as he is born as his image, in his likeness. The second reason behind man's duty to God is the redemption of sins and the restoration of damaged image. The New Testament has imposed a "new debt" on mankind.

The main purpose of the "new man", which is deification, begins with the discovery of the likeness of God in himself, then - with repentance of the sins. At the end, the person on the path of personal perfection meets God.

Davit Guramishvili's lyrical character also starts to strive for "deification". He regrets that he has been robbed of the light of the Lord. Like a sinful Adam he is dressed in leather, and deprived of the sun of paradise, is buried in the abyss of hell.

Remembering the passion of the Savior on the cross is the duty of the Christian. He should sympathize with and mourn the martyrdom of Jesus with his own sins. The most ardent co-sufferer of the sufferings of Christ is the Mother of God. The poet's lyrical protagonist recalls the tragedy of Golgotha and seems to feel the pain inflicted by the Lord's wounds, expressing the communion of the sufferings of the Virgin. David Guramishvili, as a Christian author, thus becomes an accomplice of the Lord's passion.

Such a principle of liturgical thinking in the work of David Guramishvili, first of all, relies on the idea of St. Paul the Apostle, according to which the man would gain life in Christ through crucifixion. Such a concept is also revealed in the old Georgian theological poetry. It is noteworthy that the poet's lyrical protagonist will also replace Adam and by considering his mourning as his own tragedy, he tries to establish a personal "I".

The poet sympathizes with the Adam's sin. However, he rejoices by the fact that he is freed from the "old debt" and this time he feels a new duty towards the Savior, Christ. For Davit Guramishvili, the poetic path has become an arena of spiritual victory in order to get to know one's self. Therefore he establishes a personal lyric based on liturgical consciousness. The poet, through his work, aims to glorify the Savior, express gratitude and love towards him and thus pay the "new debt".

Key words:

David Guramishvili Lyrical "I", Adam's Sin

რეცენზენტი: პროფესორი ალ. ლევინკო

ლიტერატურა Literature

აკაკი წერეთლის უცნობი წერილი 1906 წლის  
რეპრესიების შესახებ

ნანა ფრუიძე

საქართველოს უნივერსიტეტი

a-mail:nan.pruidze@ug.edu.ge

აკაკის ერთ-ერთი დღემდე უცნობი პუბლიცისტური წერილი, რომელსაც ქართველი მკითხველი 115 წლის დაგვიანებით გაეცნობა მწერლის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის შესაბამის ტომში, გახლავთ „იმერეთის გადაწვა მოძრაობის დროს“. ხელნაწერი ქუთაისის საისტორიო მუზეუმში ინახება.

„იმერეთის გადაწვა მოძრაობის დროს“ ეხება 1905-1907 წლების რევოლუციურ მოძრაობასა და მის გამოძახილს საქართველოში. ერთი მხრივ, ესაა თამამი პროტესტი მეფის თვითმყოფლობის სასტიკი პოლიტიკის მიმართ; ამასთან, სტატია შეიცავს აკაკი წერეთლის მეტად საყურადღებო დაკვირვებებსა და მოსაზრებებს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით.

1905 წლის მოვლენების ლოგიკური შედეგი აღმოჩნდა ქართველი თავადაზნაურობის გადაწყვეტილება, ოფიციალურად მოეთხოვათ ეროვნული ავტონომია; მართლაც, საგანგებო კრებაზე შეადგინეს შესაბამისი დოკუმენტი და იმპერატორს წარუდგინეს. ცხადია, იმპერია ვერ დაუშვებდა საქართველოს ავტონომიის აღდგენს. მას საბაზი სჭირდებოდა, რომ საბოლოოდ გავენადგურებინეთ და, აკაკის აზრით, სწორედ ამგვარი საბაზი აღმოჩნდა ის რევოლუციური მოძრაობა, რომელმაც მოიცვა არა მარტო რუსეთი, არამედ მის მიერ დაქვემდებარებული ქვეყნები და მათ შორის, საქართველოც.

აკაკის წერილიდან აშკარავდება, რომ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი თავიდანვე ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ჩაბმას ამბოხებაში. ისინი სავსებით საფუძვლიანად

ეჭვობდნენ, რომ თუკი რევოლუციური მოძრაობა დამარცხდებოდა, მომხდარს რუსეთსა და საქართველოში სულ სხვადასხვაგვარი კვალიფიკაცია მიეცემოდა. სამწუხაროდ, მოვლენების შემდგომმა განვითარებამ დაადასტურა ამ ვარაუდის სისწორე - ქართველებს მართლაც სეპარატიზმში დასდეს ბრალი და დაიწყო უსასტიკესი რეპრესიები. ის, რაც საქართველოში ხდებოდა, აკაკისათვის უკიდურესად აღმაშფოთებელი იყო, ამიტომაც სტატიაში სრულიად არაორაზროვნად დასცინის რუსეთს და თამამად აცხადებს, რომ ხელისუფლების გადაწყვეტილება - გაილაშქროს უიარალო და უმწეო ხალხზე, უღირსი და უკადრისი საქციელია.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ეს პატარა სტატია მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს არა მარტო აკაკი წერეთლის მოქალაქეობრივი პოზიციის გამოსაკვეთად 1905-1907 წლების მოვლენებთან დაკავშირებით, არამედ კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რამდენად სწორი პოლიტიკური ხედვა ჰქონდა მას და როგორ პრინციპულობას იჩენდა საქვეყნო ინტერესების დაცვისას.

**საკვანძო სიტყვები:** აკაკი წერეთელი, უცნობი პუბლიცისტიკა

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალ აკადემიურ ოცტომეულზე მუშაობს. უკვე დაბეჭდილია პირველი ათი ტომი, ხოლო მომდევნო ხუთ ტომს, რომლებშიც პუბლიცისტური წერილები იქნება წარმოდგენილი, მკითხველი უახლოეს მომავალში მიიღებს.

ტომების რაოდენობა თავისთავად მეტყველებს, თუ რამდენად დიდია იმ მასალის მოცულობა, რომელიც ამა თუ იმ მიზეზით არ ან ვერ დაიბეჭდა თავის დროზე. მართალია, მკითხველთათვის უცნობმა ტექსტებმა ამჯერად მთელი 5 ტომი შეადგინა, მაგრამ, ვფიქრობთ, კიდევ არაერთი აღმოჩენის მომსწრე გავხდებით.

აკაკი წერეთლის შემოქმედებითი მემკვიდრეობის არცთუ მცირე ნაწილი სხვადასხვა საარქივო ფონდსა თუ კერძო კოლექციაშია გაფანტული და მათი გამოვლენა ჯერჯერობით შეუძლებელია. ამ ხელნაწერების მიკვლევას, პირველ რიგში, ისიც აბრკოლებს, რომ საცავებში სრულად არ არის აღნუსხული ამა თუ იმ საქალაქდებში თავმოყრილი დოკუმენტების აღწერილობა. ამ კუთხით ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს და როცა ეს პროცესი დასრულდება, კიდევ ბევრ საინტერესო მასალას გავეცნობით.

აკაკის ერთ-ერთი დღემდე უცნობი პუბლიცისტური წერილი, რომელსაც ქართველი მკითხველი 115 წლის დაგვიანებით გაეცნობა მწერლის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის შესაბამის ტომში, გახლავთ „იმერეთის გადაწვა მოძრაობის დროს“. ბანკის საკრედიტო დავთრის ორ გვერდზე შესრულებული ხელნაწერი ქუთაისის საისტორიო მუზეუმში

ინახება. სათაური წითელი ფანქრითაა გახაზული და იმავე ფერის ფანქრით ტექსტს რიგითი ნომერიც აქვს მინიჭებული - 47. დოკუმენტი ქართული კულტურის დიდ მოამაგეს - ტრიფონ ჯაფარიძეს მოუპოვებია და 1937 წელს მუზეუმის ფონდში მიუჩენია ბინა. იმ ხანებში ანტირუსული შინაარსის სტატიაზე ზრუნვა - თუნდაც ის აკაკი წერეთლის დაწერილი ყოფილიყო - სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა როგორც მეცნიერს, ისე მის ყოფილ მფლობელს. ამიტომაცაა, რომ დოკუმენტის შესახებ ტრიფონ ჯაფარიძე პრაქტიკულად არავითარ ინფორმაციას არ იძლევა, თუმცა, როგორც წესი, საინვენტარო წიგნში დაწვრილებით უთითებენ ექსპონატის წარმომავლობას - სად ინახებოდა, ვინაა შემომწირველი ან ვისგან შეიძინეს და ა. შ.

ძალზე მრავლისმთქმელია თავად თარიღი - 1937 წელი. ცნობილია, რომ ტრიფონ ჯაფარიძე თავისივე ნაამაგარი მუზეუმის დირექტრობიდან 1930 წელს მეცნიერ მუშაკად ჩამოაქვეითეს. ამავე პერიოდში განსაკუთრებით გამძაფრდა მის წინააღმდეგ მიმართული კამპანია. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, ტრიფონ ჯაფარიძეს თავისი პრინციპებისათვის არ უღალატია და ბოლო წუთამდე განაგრძობდა სამუზეუმო მნიშვნელობის მქონე მასალების მოკვლევასა და მათ გადარჩენაზე ზრუნვას. ტრიფონ ჯაფარიძე 1937 წლის 30 ივნისს დააპატიმრეს. არაა გამორიცხული, რომ აკაკი წერეთლის ეს წერილი ერთ-ერთი უკანასკნელი იყოს იმ დოკუმენტთან, რომლებიც ამ ადამიანმა მართლაც გმირული თავდადების წყალობით შემოუნახა შთამომავლობას.

„იმერეთის გადაწვა მოძრაობის დროს“ ეხება 1905-1907 წლების რევოლუციურ მოძრაობასა და მის გამოძახილს საქართველოში. ერთი მხრივ, ესაა თამამი პროტესტი მეფის თვითმყრობელობის სასტიკი პოლიტიკის მიმართ; ამასთან, სტატია შეიცავს აკაკი წერეთლის მეტად საყურადღებო დაკვირვებებსა და მოსაზრებებს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით.

1905 წლის ნოემბერ-დეკემბერში განვითარებული მოვლენები პირდაპირი შედეგი იყო იმ სამარცხვინო მარცხისა, რომელიც რუსეთის უზარმაზარმა იმპერიამ პატარა იაპონიასთან განიცადა. ომი თითქმის ორი წელი გაგრძელდა (უფრო ზუსტად, წელიწადი და შვიდი თვე); რუსეთის ფლოტის სრული განადგურება 1905 წლის 5 სექტემბერს გაფორმებული პორტსმუტის ზავით დაგვირგვინდა, რომლის ძალითაც რუსეთმა შორეულ აღმოსავლეთში პოზიციები დათმო. ომით გამოწვეულმა პრობლემებმა, დამარცხებამ, ხელისუფლების ავტორიტეტის შელახვამ არნახული ბიძგი მისცა რევოლუციურ მოძრაობას. ცხადია, მღელვარებამ იმატა რუსეთს მიერ დაპყრობილ ქვეყნებშიც.

ერთი მხრივ, აკაკის, როგორც თავისი ქვეყნის პატრიოტს, არ შეძლებოდა არ გახარებოდა რუსეთის მარცხი. მსოფლიო ისტორია არაერთ მაგალითს იძლევა იმისას, რომ დაპყრობილი

ქვეყნებისათვის მონობიდან თავის დახსნის ერთადერთი შანსი ხშირ შემთხვევაში იმპერიის რღვევაა. წარუმატებელ სამხედრო კამპანიას კი არაერთი იმპერიის ძლიერება დაუსამარებია. მაგრამ, მეორე მხრივ, აკაკისათვის ისიც კარგად იყო ცნობილი, როგორი სიფრთხილე მართებდა ამგვარი ისტორიული კატაკლიზმების დროს პატარა ქვეყანას, რომ იმპერიის ნანგრევებში თავადაც სასიკვდილოდ არ დაშავებულიყო. მოხუცი პოეტი სიხარულით ელოდა სასიკეთო ცვლილებებს და დიდი იმედიც ჰქონდა, რომ მოესწრობოდა ნანატრი ოცნების ასრულებას:

„ასრულდა, თითქმის, რასაც ვნატრობდით

ჩვენ ამ ნახევარ საუკუნეში

და როგორც სვიმონ მოხუცებულსა,

მეც მომეფინა მოხუცს ნუგეში.“

[წერეთელი, 2012:130]

როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ადამიანები უამრავ არასწორ ნაბიჯს დგამენ. აკაკი გრძნობდა, რომ შეცდომები ძვირად დაგვიჯდებოდა და საზოგადოების გაფრთხილებას ლამობდა; ასე, მაგალითად, ყოვლად დაუშვებლად მიაჩნდა სისხლიანი დაპირისპირება სომხებსა და თათრებს შორის. არადა, ამგვარი შეტაკებები თბილისში რამდენჯერმე მოხდა. აკაკი სასწრაფოდ გამოეხმაურა ამ მოვლენას:

ღვთის მადლსა, რა დროს ეს არის,

ძმა ძმაზედ ლესავს ხანჯალსა?!

იღუპებიან ორივე,

არც ღონეს ჰზოგვენ, არც ძალსა.

ორივეს მტერი ერთია,

შორეულ, გადამთიელი;

ერთ ტაფაშია ორივე,

ერთი ადგიათ უღელი“.

[წერეთელი, 2012:134]

მდელვარება სწრაფად მოედო საქართველოს სხვა ქალაქებს - ფოთს, ბათუმს, ოზურგეთს ... ნოემბრის ბოლოს ბარიკადები ქუთაისის ქუჩებშიც გაჩნდა. მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდებოდა, თუმცა მალე გამოიკვეთა ის არასასურველი გარემოება, რომ ხალხს ერთიანი ლიდერი არ ჰყავდა. ქვეყანაში რამდენიმე რეალური ძალა ცდილობდა ხალხის საბრძოლო შემართების საკუთარი მიზნებისათვის გამოყენებას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აქტიურობდნენ ბოლშევიკები. პირადად აკაკი ღრმად იყო დაწმუნებული, რომ ამ რევოლუციურ მოძრაობაში რუსეთისა და ჩვენი გზები მხოლოდ დროებით შეიძლებოდა გადაკვეთილიყო.

პოეტს პოლიტიკურ სიბეცედ მიაჩნდა ზოგიერთების პოზიცია: „*რუსეთის გამარჯვება ჩვენი გამარჯვება იქნებაო! .. ისინი გაიმარჯვებენ თუ არა, დაიწყებენ ჩვენზე ზრუნვას და ჩვენი საქმეც კარგათ წავაო*“. აკაკის თქმით, ამ ადამიანებს არ სურდათ დაეჯერებინათ, რომ „*ეს ყოლიფერი მათი წარმოდგენა და ოცნება იყო!*“ ასე იყო თუ ისე, დაქსაქსულობა გამარჯვებას ვერ მოგვიტანდა, მით უფრო, რომ აჯანყება რუსეთშიც დამარცხდა და დაიწყო რეაქცია.

აკაკის ამ მარცხს საბედისწეროდ არ მიიჩნევს. ფიქრობს, რომ თუკი ხალხის „სტიქიონური მოძრაობა დაიწყო“, მისი შეჩერება არანაირ რეპერესიებს აღარ შეუძლია, მაგრამ სამომავლო წარმატებისათვის მოვლენათა მიზეზშედეგობრივი ჯაჭვის გააზრებას თვლის საჭიროდ.

სტატიის პირველივე აბზაცში ავტორი საგულისხმო დაკვირვებას გვთავაზობს; მისი თქმით, იმპერიის მიზანი თავიდანვე საქართველოს სრული ოკუპაცია და ანექსია იყო და, შესაბამისად, ის სამეგობრო პირობა, რომლის ძალითაც ქართლ-კახეთის მეფე ირაკლიმ უომრად და უსისხლოდ შემოიყვანა ჩვენში რუსეთი, უსათუოდ უნდა დარღვეულიყო. მართალია, სანამ „კავკასიის მთები დაუპყრობელი ჰქონდა და აზიისკენ გზა გაუკვალავი“, იმპერია გადამჭრელ ზომებს ვერ მიმართავდა, მაგრამ საამისოდ ნიადაგს ამზადებდა. აკაკის აზრით, ყველაფერი, რასაც რუსული მმართველობა ჩვენს ქვეყანაში სჩადიოდა, მაპროვოცირებელ ხასიათს ატარებდა და მიზანი ხალხის ფართომასშტაბიან შეიარაღებულ კონფლიქტში ჩათრევა იყო.

აკაკის ვარაუდობს, რომ „*სლოვანურ გაუგებარებით წირვა-ლოცვა და ეკლესიების გაძარცვა პირველი სასინჯი იყო, რომ ხალხი აღელვებულყო, მაგრამ ამირანის მოთმინებით აიტანა ხალხმა რჯულის საწინააღმდეგო უსამართლობა და ამბოხება გამოუწვეველი დარჩა*“. რასაკვირველია, ეს არ იყო საქვეყნო ინტერესების საწინააღმდეგოდ მიმართული ერთადერთი მტრული ნაბიჯი; საგანმანათლებლო სექტორის გაუკუღმართებაც, პოეტს აზრით, იმავე მიზანს ემსახურებოდა; „*სკოლებს მიტომ კი არ ხსნიდენ, რომ სწავლა-მეცნიერება შეეტანათ, მხოლოდ მიტომ, რომ დედა-ენა ამოეგლიჯათ, მშობლიური ყოველიფერი დაევიწყებიათ და ხალხი სულიერად მოეკლათ!...*“. აკაკის შეფასებით, ხალხისთვის განსაკუთრებით მტკივნეული სასამართლოებში გამფებული კორუფცია და ჩაგვრა იყო: „*სამსჯავროებში კანონი მხოლოდ სახელად იყო. სიმართლე არ ირჩეოდა და მტყუანი მხოლოდ ის იყო, ვისაც ქართველობა კიდევ ეტყობოდა*.“ პოეტის დაკვირვებით, ყოველივე ამან შედეგი გამოიღო - ხალხი სულით დაკნინდა, დაბეჩავდა და, შესაბამისად, ამბოხების ძალა და უნარიც თითქმის დაკარგა.

თითქოს იმპერიამ სასურველ მიზანს მიაღწია და ქვეყანა შეეგუა მონობას, მაგრამ ასეთი ვითარება მაინც არ აძლევდა რუსეთს ხელს; ნებისმიერ მომენტში შეიძლებოდა ვითარება შეცვლილიყო და ქართველებს სამეგობრო პირობის შესრულება მოეთხოვათ. ასეც მოხდა: 1905 წლის გაზაფხულზე ჩატარდა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავადაზნაურობის

საგანგებო კრება, რომელზეც ხმათა უმრავლესობით (44 წარმომადგენელი 4-ის წინააღმდეგ) მიიღეს გადაწყვეტილება, ხელმწიფე-იმპერატორისათვის მიერთმიათ ადრესი საქართველოს ეროვნული ავტონომიის მოთხოვნით. კრების ანგარიში სათაურით „რა გამომჟღავნდა?“ ხელმოუწერლად გამოქვეყნდა „ივერიის“ 43-ე ნომერში. ანგარიშში წარმოდგენილი იყო ადრესის ტექსტიც. „... ქართველი თავად-აზნაურობა და მასთან ერთად მთელი ქართველი ერი, ერთგული დიდ რუსეთთან ძველთაგანვე ნაანდერძვე ერთობისა, რომელიც განმტკიცებულია სამოქალაქო ცხოვრების განვითარებითა და ბრძოლის ველზე საერთო დროში ქვეშ დანთხეულ სისხლითაც, რუსეთის ხალხთან ერთად არის მტკიცედ დარწმუნებული, რომ ახლა შორს აღარ არის ის ბედნიერი დღე, როდესაც რუსეთის სხვადასხვა კუთხეებში თავისუფლად არჩეული წარმომადგენლები, განურჩევლად ეროვნებისა, მოაწესრიგებენ რუსეთსა და მის განაპირა ადგილებსა და, სხვათა შორის, საქართველოსაც, რომელსაც შეადგენენ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ბათუმის მხარე და სოხუმისა და ზაქათალის ოლქები. **სახელმწიფოს საერთო სარგებლობა და საჭიროებანი აიძულებენ თავად-აზნაურობას, გამოსთქვას თავისი რწმენა, რომ ქართველი ხალხის კულტურული განვითარება იქნება შესაძლებელი მხოლოდ მაშინ, თუ საქართველოს, რომელმაც ნება-ყოფლობით შეუერთა თავისი ბედი რუსეთს ბედსა, მიენიჭება უფლება, იქონიოს საკუთარი მართვა-გამგეობა და კანონები, წარმომადგენელთა ადგილობრივ კრებისაგან შემუშავებული და გამოცემული, და ამ კრებისათვის წარმომადგენლები საყოველთაო, პირდაპირის, საიდუმლო და ყველასათვის თანასწორ კენჭის ყრით თუ იქმნებიან ამორჩეულნი“ [ივერია, 1905:1]<sup>1</sup>.**

ცხადია, იმპერია ვერ დაუშვებდა საქართველოს ავტონომიის აღდგენს. მას საბაზი სჭირდებოდა, რომ საბოლოოდ გავენადგურებინეთ და, აკაკის აზრით, სწორედ ამგვარი საბაზი აღმოჩნდა ის რევოლუციური მოძრაობა, რომელმაც მოიცვა არა მარტო რუსეთი, არამედ მის მიერ დაქვემდებარებული ქვეყნები და მათ შორის, საქართველოც.

აკაკის წერილიდან ამკარავდება, რომ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი თავიდანვე ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ჩაბმას ამზოხებაში. ისინი სავსებით საფუძვლიანად ეჭვობდნენ, რომ თუკი რევოლუციური მოძრაობა დამარცხდებოდა, მსგავს ფაქტებს რუსეთსა და საქართველოში სულ სხვადასხვაგვარი კვალიფიკაცია მიეცემოდა: „ზოგიერთ ქართველებს, უფრო წინდახედულებსა და გამოცდილებს, არ დაუჯდათ ეს ჭკუაში. „ჩვენი საქმე არ არის საქმეში ჩარევა და რუსების აყოლაო -ამზობდენ - მართალია, რუსეთის მოთხოვნილება

<sup>1</sup> საგულისხმოა, რომ ამ ადრესის საფუძველზე შედგენილი პეტიცია ქართველმა თავადაზნაურობამ 1907 წელს ჰააგის საერთაშორისო კონფერენციაზეც გაგზავნა და რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ტრაქტატის აღდგენა მოითხოვა (ნ.ფ.)



კანონიერია და თქვენც მათი ამყოლო მეტს არარას თხოულობთ, მაგრამ ის, რაც იმათ, რუსებს, კანონიერად ჩაეთვლებიან, თქვენს დღევანდელს მოძრაობას არც აგრარულად ჩასთვლიან და არც სოციალისტურად, თქვენ მხოლოდ სეპარატისტობას მოგაწერენ და მიზეზი ექნებთ ხელზე დასახვევი და ჩვენი მისასრესიო! ...“

სამწუხაროდ, მოვლენების შემდგომმა განვითარებამ დაადასტურა ამ ვარაუდის სისწორე - „როდესაც რუსეთში რეაქცია დადგა: ქართველებს აუკრიფეს მიზეზი: ის კი აღარა სთქვეს, რომ აქაური მოძრაობა და რუსეთის ერთი და იგივეა! არა! პირდაპირ შესწამეს, რომ განცალკევება უნდაო და მოსდგენ მოსასრესად“. მართალია, დიდ პოეტს ხელისუფლების მხრიდან სამართლიანი და ჰუმანური ქცევის იმედი არ ჰქონდა, მაგრამ რეალობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ის, რაც საქართველოში ხდებოდა, აკაკისათვის უკიდურესად აღმაშფოთებელი იყო. ამიტომაცაა, რომ პოეტი სტატიას გესლიანი რეპლიკით იწყებს: „მიულოცავთ დიდებულ რუსეთს გამარჯობას! შორეულ აღმოსავლეთში შებღალული შარავანდი ხელ-ახლა გაუბღლია ღდა უ(მწ)ეო, უიარალო საქართველოში. საქართველომ შემთხვევა მისცა რუსეთს, რომ სამხედრო ნამუსი გამოეწმინდა ...“. აკაკი სრულიად არაორაზროვნად დასცინის რუსეთს და არ მალავს, რომ ხელისუფლების გადაწყვეტილება - გაილაშქროს უიარალო და უმწეო ხალხზე, უღირსი და უკადრისი საქციელია: „დღეს ის ჰხდება, რაც მაჰმადიანობის დროსაც არ მომხდარა... მაშინ ფიცხელი ომის შემდეგ ააოხრებდენ რომელიმე კუთხეს საქართველოსას და დღეს კი, უმწეო, უიარალო, მთლიანი საქართველო იწვის და ოხრდება“.

ჩვენთვის უცნობია, სცადა თუ არა აკაკიმ ამ სტატიის გამოქვეყნება. ფაქტია, რომ ის არსად დაბეჭდილა. იმ ხანებში ძნელი არ იყო იმის განსაზღვრა, რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ასეთი მწვავე შინაარსი პუბლიკაციას. ასე, მაგალითად, 1906 წლის 5 იანვარს „პატარა გაზეთში“ „ინტერნაციონალის“ გამოქვეყნების გამო აკაკიც და გაზეთის რედაქტორი კოტე მესხიც პასუხისგებაში მისცეს. ორიოდ დღეში კი თბილისის გენერალ-გუბერნატორმა „პატარა გაზეთის“ დახურვის გადაწყვეტილება მიიღო [გურგენიძე ნ., გორგაძე ი., 1989:410].

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ეს პატარა სტატია მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს არა მარტო აკაკი წერეთლის მოქალაქეობრივი პოზიციის გამოსაკვეთად 1905-1907 წლების მოვლენებთან დაკავშირებით, არამედ კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რამდენად სწორი პოლიტიკური ხედვა ჰქონდა მას და როგორ პრინციპულობას იჩენდა საქვეყნო ინტერესების დაცვისას.

#### ლიტერატურა:

ივერია. ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი, თბ., 1905, #43.

გურგენიძე ნ., გორგაძე ი., - აკაკი წერეთელი. ცხოვრებისა და შემოქმედების მატანე. თბილისი, მეცნიერება, 1989.

წერეთელი ა., - თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. 3. თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა. 2012.

**Nana Pruidze**

### **Akaki Tsereteli's unknown letter about repressions of year 1906**

#### **Abstract**

Part of Akaki Tsereteli's creative legacy is still spread in different foundations or private collections. Difficulty about finding these writings is that some documents in various binders do not have description. Currently foundations are intensively being studied in order to create digital catalogues and whenever this process is finished, many interesting documents will be displayed.

“Burning down Imereti during movement” is one of Akaki's public letters which remained unknown until today. It will be published after 115 years in corresponding value of the writer's new academic publication of his works. Manuscript is being held at Kutaisi's historic museum.

“Burning down Imereti during movement” is about revolutionary movements and its echoes in Georgia, which took place in the years 1905-1907. On the one hand it is a bold protest against King's cruel policy; Also, the article contains Akaki Tsereteli's especially significant observations and thoughts about ongoing political processes.

In the first paragraph of the article there is a very interesting observation of the author. According to his words, the Russian empire from the very beginning intended absolute occupation and annexation of Georgia. According to that, the friendly condition which led King Irakli of Kartli-Kakheti to let Russians in our country without war and blood, was definitely going to break. Akaki thought that everything that was done by Russian governance in our country, was provocative and its goal was to drag Georgian people into armed conflict.

Events occurred in 1905 led to logical conclusions. Georgian nobles decided to officially demand national autonomy. On their emergency gathering they created an appropriate document and presented it to the emperor. Surely, the empire would not let Georgia restore their autonomy. They needed a reason to finally destroy us and the reason found out to be that revolutionary movement which was widespread not only in Russia, but also its subordinate countries including Georgia.

According to Akaki Tsereteli, a significant part of society was against Georgia's partaking in revolt from the beginning. They had reasonable suspicion that if the revolutionary movement would be defeated, this would totally change the perspective of Georgian-Russian relationship. Unfortunately, following events proved the correctness of this assumption - Georgians were pled guilty for separatism and it led to very brutal repressions. The events that occurred in Georgia were outrageous for Akaki. That is why he makes fun of Russia in his article and boldly declares that the decision of the government - campaigning against unarmed and helpless people, is worthless and unseemly.

რეცენზენტი: ო. ლეშაკი

ლიტერატურა Literature

იუმორი, როგორც წინააღმდეგობის ეფექტური ფორმა ფრანსისკო  
ფრანკოს ესპანეთში

ნინო ჯოხაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: [niniko.jokhadze@yahoo.com](mailto:niniko.jokhadze@yahoo.com)

1939-1975 წლებში ესპანეთს დიქტატორული რეჟიმის პირობებში უწევდა ცხოვრება. ეს ის დროა, როდესაც ესპანეთის სახელმწიფო გენერალ ფრანსისკო ფრანკო ბამონდეს მიერ იმართებოდა და მოიცავს პერიოდს ესპანეთის სამოქალაქო ომის დასასრულიდან, 1939 წლიდან მის გარდაცვალებამდე, 1975 წლამდე. აღნიშნულ ეპოქას ფრანკოს ერასაც უწოდებენ. ფრანკოს ხელისუფლება ცნობილი იყო რეპრესიებით, თავისუფლების შეზღუდვით, საკუთარი იდეოლოგიის პროპაგანდითა და ცენზურით თითქმის ყველა სფეროში, განსაკუთრებით კი ლიტერატურაში. ცენზურა კრძალავდა იმ ნაწარმოებების გამოქვეყნებას, რომლებიც საზიანო ან საფრთხის შემცველი იქნებოდა დამკვიდრებული რეჟიმისათვის. ესპანეთის ისტორიის ამ პერიოდში ყოველგვარი კულტურული, კომუნიკაციური, იდეოლოგიური ან შემოქმედებითი აქტივობა განიცდიდა შეზღუდვას. ცენზურა ძირითადად გამოყენებული იყო მმართველი პარტიის მხრიდან, როგორც თავისუფალი აზრის შეზღუდვისა და საკუთარი იდეოლოგიის მასიურად გავრცელების მთავარი იარაღი. ის იყო მმართველი კლასის დამცავი საშუალება ძალაუფლების შესანარჩუნებლად.

დამკვიდრებული დიქტატორული რეჟიმი გერმანული და იტალიური ტოტალიტარიზმის აშკარა გავლენას განიცდიდა, რაც გამოიხატებოდა სამსახურეობრივ ურთიერთობებში, ავტოკრატიულ ეკონომიკურ პოლიტიკაში, ესთეტიკაში, სიმბოლოების გამოყენებაში, ერთპარტიულ სისტემაში და ა. შ. 1940-იან წლებში განხორციელდა პოლიტიკური რეპრესიები, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა დამკვიდრებული დიქტატორული სისტემა. აღნიშნული

პერიოდის ხელოვნებას და კულტურას რომ ეარსება, შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო ფრანკოს იდეოლოგიასთან. მიუხედავად ამისა, საპირისპირო იდეოლოგიის მქონე ავტორები (ლიტერატურაში: კარმენ ლაფორეტი, ანტონიო ბუერო ვალიეხო, მხატვრობაში: სალვადორ დალი, ჯოან მირო, მუსიკაში: კარმელო ბერნაოლა, ლუის დე პაბლო, კინოში: ხუან ანტონიო ბარდემი, კარლოს საურა, ლუის გარსია ბერლანგა და სხვები) საუკეთესო ხელოვნების ნიმუშებს ქმნიდნენ. მათ შორის იყო ომის შემდგომი საზოგადოების მიმართ კრიტიკულად განწყობილი ნაწარმოებები. იქმნებოდა ასევე ანტიფრანკისტული ხასიათის ჟურნალები, რომლებიც საზოგადოებას თავისუფალი აზრის გამოხატვის შესაძლებლობას აძლევდა.

ფრანკოს პერიოდის ესპანურ საზოგადოებაში, თვითგამოხატვისა და რეჟიმის კრიტიკის თვალსაზრისით, დიდი ადგილი ეჭირა იუმორს. სტატიაში განხილულია თუ როგორ გამოხატავდა ესპანური საზოგადოება სოციალურ და პოლიტიკურ კრიტიკას იუმორის მეშვეობით და აღწერილია იუმორის სხვადასხვა ფორმები, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ფრანკიზმის დროს. ნაშრომში გაანალიზებულია ფრანსისკო ფრანკოს პერიოდის ესპანური იუმორი, როგორც ხელისუფლების კრიტიკისა და ცენზურისგან თავის დაღწევის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება.

**საკვანძო სიტყვები:** ცენზურა, დიქტატორული რეჟიმი, იუმორი, ესპანური საზოგადოება, ფრანსისკო ფრანკო

ესპანეთის თანამედროვე ისტორიის გარკვეული პერიოდი, კერძოდ 1939-1975 წლები ცნობილია ფრანკოს დიქტატურის ან ფრანკოს რეჟიმის სახელით. ესპანეთის სამოქალაქო ომის (1936-1939წწ.) შემდგომი ავტორიტარული რეჟიმი ფრანსისკო ფრანკო ბაამონდეს მეთაურობით ხასიათდება ანტილიბერალიზმით, ანტიკომუნზმით, რადიკალური ესპანური ნაციონალიზმით, კათოლიციზმითა და კონსერვატიზმით. ცენზურის საშუალებით რეჟიმი გავლენას ახდენდა ყველა სახის კულტურულ საქმიანობაზე როგორც სამოქალაქო, ისე საეკლესიო სფეროში. მისი ძირითადი მიზანი იყო გაეკონტროლებინა გამოხატვის თავისუფლება ლიტერატურაში, კინოში, თეატრსა და მედიაში. ცენზურა იყო ინტენსიური გაფილტვრის საშუალება, რომელიც კრძალავდა იმ ნაწარმოებების გამოქვეყნებას, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდიოდნენ დამკვიდრებულ რეჟიმთან. როგორც ნაციონალური ისე უცხოური ნარატივი განიცდიდა განცალკევებასა და შეზღუდვას, რაც მრავალ ავტორს აიძულებდა დაეტოვებინა ქვეყანა და საზღვარგარეთ გამოეცა თავისი ნაწარმოებები. უცხოური ლიტერატურის შემთხვევაში, მნიშვნელობა ენიჭებოდა ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც

ჩამოშორებულნი იყვნენ ყოველგვარ იდეოლოგიურ მნიშვნელობას და მხოლოდ გასართობი დატვირთვა ჰქონდათ.

დამკვიდრებული დიქტატორული რეჟიმისთვის წინააღმდეგობის გაწევა არ იყო მარტივი, თუმცა საზოგადოების ნაწილი მაინც ცდილობდა იმ გზების ძიებას, რითაც თავს დააღწევდა შეზღუდვებს ან გააკრიტიკებდა არსებულ პოლიტიკურ სისტემას. რეჟიმისადმი წინააღმდეგობის გაწევის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება იუმორი იყო. აღსანიშნავია, რომ ყველა დიქტატურის და ყველა ომის დროსაც კი იქმნებოდა იუმორი. არც ესპანური საზოგადოება ყოფილა გამონაკლისი. შიშში და ტერორში ცხოვრების მიუხედავად, საზოგადოებას ჰქონდა უნარი ეხუმრა და იუმორით შეეხედა ესპანეთის უმძიმესი მდგომარეობისათვის. ეს იყო ერთგვარი თვითგადარჩენის ინსტინქტი.

ნაშრომის მიზანია, განვიხილოთ ესპანური იუმორი ფრანსისკო ფრანკოს რეჟიმის პერიოდში. სტატიაში ჩატარებული კვლევის საკითხს აღნიშნული ეპოქის ყოველდღიური ცხოვრებისთვის დამახასიათებელი ხუმრობები წარმოადგენს.

ფრანკოს პერიოდის ხელოვნება და კულტურა მოიხსენიება, როგორც ფალანგისტური<sup>1</sup> ხელოვნება და კულტურა. 1940-50-იან წლებში ესპანეთისთვის დამახასიათებელი იყო „კულტურული ჭაობი“. ეს მდგომარეობა უარესდებოდა რეპრესიებით, სუსტი საგანმანათლებლო სისტემით, კულტურული ინსტიტუციების არ არსებობითა და მკაცრი ცენზურით თითქმის ყველა სფეროში. მადრიდის კომპულტენსეს უნივერსიტეტის პროფესორი, ხასინტო ტორესი აღნიშნავს, რომ ტერმინები „ფრანკისტული კულტურა“ და „კულტურა ფრანკიზმის პერიოდში“ განსხვავებული მნიშვნელობების მატარებელი ტერმინებია. თუკი პირველი მიემართება და დაკავშირებულია გარკვეულ ესთეტიკურ და იდეოლოგიურ წესებთან და სტანდარტებთან, მეორე მოიაზრება უფრო თავისუფალ, მრავალმხრივ კონტექსტში. „ფრანკისტული კულტურის“ შემთხვევაში, მეორე ელემენტი, კულტურა, დამორჩილებული იყო პირველის, ფრანკისტული რეჟიმის მიერ, ტერმინი „კულტურა ფრანკიზმის პერიოდში“ კი გვაფიქრებინებს ნაკლებად ვერტიკლურ და მეტად სიმეტრიულ ურთიერთობაზე, რომელიც ცდილობდა დაფუძნებულიყო იმ კულტურულ ღირებულებებსა და რწმენებზე, რაც იმ პერიოდში საზოგადოებაში დომინირებდა [Torres, 2015:1].

მკაცრი დიქტატორული რეჟიმის მიუხედავად, ესპანური საზოგადოება გამუდმებით ცდილობდა გარკვეული ნაბიჯები გადაეღა დამკვიდრებული პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ. ავტორთა გარკვეული რიცხვი ახერხებდა რეჟიმისადმი კრიტიკულად განწყობილი

<sup>1</sup> „ტრადიციონალისტებისა და ნაციონალ-სინდიკალისტური შეტევის ხუნტების ესპანეთის ფალანგა“ - პოლიტიკური პარტია, რომელსაც სათავეში ედგა გენერალი ფრანსისკო ფრანკო

ნაწარმოებების გამოქვეყნებას, იბეჭდებოდა მცირე რაოდენობის კრიტიკული ხასიათის სტატიები. ყველაზე ეფექტური გზა, რომლითაც საზოგადოება მთავრობას საკუთარ სახეს, ქვეყანაში არსებულ უმძიმეს მდგომარეობას და გამოხატვის თავისუფლების არ არსებობას დაანახებდა, იყო იუმორი. იუმორის საშუალებით ადამიანები კომიკურად და ირონიულად წარმოაჩენდნენ ფრანკისტული საზოგადოების სახეს და დამკვიდრებულ პოლიტიკურ რეჟიმს.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყოფა იუმორის სამი ძირითადი თეორია, ესენია: უპირატესობის (აღმატებულობის) თეორია (Superiority Theory), რომლის მიხედვითაც სიცილი „სისუსტისა და სიმახინჯის“ საპასუხოდ წარმოიქმნება, შეუსაბამობის თეორია (Incongruity Theory), რომელიც გულისხმობს ორი სრულიად შეუსაბამო იდეის, კონცეპტისა თუ სიტუაციის ერთმანეთთან დაკავშირებას მოულოდნელობისა და გაოცების ეფექტის შექმნის თვალსაზრისით, ანუ, შეუსაბამობას ნათქვამსა და ნაგულისხმევს შორის და განმუხტვის (ენერჯის გათავისუფლების) თეორია (Relief Theory), რომელიც უპირველესად იუმორის ფსიქოლოგიური თეორიაა და უკავშირდება ზიგმუნდ ფროიდს. ფროიდის მიხედვით, იუმორი არის ერთგვარი თავდაცვის მექანიზმი, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავუმკლავდეთ რთულ სიტუაციას უარყოფითი ემოციებით დატვირთვის გარეშე. ფროიდის ფსიქოანალიტიკური თეორიის ძირითადი მტკიცებულება – იუმორი, ერთგვარი თავდაცვის მექანიზმია, რომელიც გვეხმარება ნეგატიური, არასასიამოვნო ემოციის, შიშის, მწუხარებისა თუ სევდის დაძლევაში [გიორგაძე, 2014:106].

ესპანური საზოგადოების შემთხვევაში, რომელიც იუმორით ცდილობდა გაენეიტრალებინა არსებული რეჟიმის სისასტიკე და შეწინააღმდეგებოდა მას, ადგილი ჰქონდა განმუხტვის თეორიას. ირონია და იუმორი რომელსაც ესპანური საზოგადოება იყენებდა, პირდაპირ იყო მიმართული მმართველი კლასის მიმართ. ეს იყო თავდაცვისა და თავისუფალი აზრის გამოხატვის ერთადერთი გზა. ხუან ფერმინ ვილჩეს დე არრიბასი სტატიაში „ესპანური სატირული პრესა 1970-1980 წლებში - სინათლის ათწლეული“ წერს, რომ რეჟიმის პირობებში, შიშსა და ტერორში მცხოვრები ადამიანებისათვის ყოველდღიური ხუმრობები არსებული მძიმე ვითარების გასაწინააღმდეგო საშუალება იყო. რეპრესიებისა და ცენზურის მარწმუნების ქვეშ მოქცეული ესპანური საზოგადოებისათვის, იუმორი ერთგვარ კათარზის წარმოადგენდა [Vilchez de Arribas, 2015].

ხუმრობებისა და სასაცილო ამბების გავრცელება ანტი-რეჟიმური შინაარსით უადვილებდა ადამიანებს შეემსუბუქებინათ პოლიტიკური კონტროლით გამოწვეული შიში და უსუსურობის განცდა. ხუმრობის მთხრობელი იძენდა არამოძალადე მოწინააღმდეგის როლს, სახელისუფლებო სტრუქტურების მხრიდან მისთვის წინააღმდეგობის გაწევა კი რაღაც თქმა უნდა

რთულდებოდა. იუმორი გამოყენებული იყო, როგორც პოლიტიკური იარაღი ძალაუფლების მქონე პირების წინააღმდეგ. მ. ჯ. სორენსენი სტატიაში „იუმორი როგორც არაძალადობრივი სტრატეგია მიმართული ჩაგვრის წინააღმდეგ“ ხაზს უსვამს ფრანკოს პერიოდის იუმორის ფუნქციას დაერეგულირებინა დრამატული და სტრესული გარემო და აღწერს მას, როგორც დიქტატურის, სიკვდილით გაჯერებული ტერორიზმის წინააღმდეგ გალაშქრების ყველაზე ეფექტურ საშუალებას [Sorensen, 2008].

აღსანიშნავია იუმორისტული ჟურნალი „მწყერი“ (La Codorniz (1941-1978)), დაარსებული 1941 წელს მწერალ მიგელ მიურას (1905-1977 წწ.) მიერ. ჟურნალი ხასიათდებოდა როგორც „ყველაზე თამამი ჟურნალი ყველაზე ჭკვიანი მკითხველისათვის“. „მწყერი“ იყო ჟურნალი, რომელიც ამარაგებდა ხალხს ინტელექტუალური იუმორით, ისეთი იუმორით, რომლის შექმნაც შესაძლებელი იყო ფრანკოს ფაშისტური რეჟიმის დროს. იუმორისტულ ჟურნალებს ასევე განეკუთვნებოდნენ: „მგელი ძმა“ (Hermano Lobo (1972-1978)), „ბარაბა“ (Barrabás (1972-1976)); „გთხოვთ/დიდი მადლობა“ (Por Favor/Muchas Gracias (1974-1978)); „ხუთშაბათი“ (El Jueves (1977-2003)) და სხვები. ასევე უნდა აღინიშნოს კომიკოს მიგელ ხილასა (1919-2001 წწ.) და მწერალ მიგელ მიურას (1905-1977 წწ.) მოღვაწეობა, რომელთა შემოქმედებაც იუმორითა და ირონიით იყო გაჯერებული. გაბრიელ კარდონა თავის წიგნში „როდესაც შიშით ვიცინოდით - რეჟიმის ქრონიკები რომელსაც ხუმრობის სულ მცირე უნარიც კი არ გააჩნდა“, აღნიშნავდა, რომ დადგა დრო ადამიანებს გამოემქვანებინათ ფრანკოს რეჟიმის სისასტიკე და სისულელე და ხალხის სურვილი, თავიდან აეცილებინათ უბედურება და შიში. იგი ხალხს მოუწოდებდა ეკეთებინათ პოლიტიკა იუმორის საშუალებით და აღნიშნავდა, რომ ხუმრობებში იგრძნობა ირონია და ადამიანების სურვილი იუმორის არმქონე რეჟიმშიც კი თავი კარგად იგრძნონ [Cardona, 2010].

ფრანკოს პერიოდის ესპანეთისათვის დამახასიათებელი იყო არალეგალური ხუმრობები, რომელთა მოყოლა „სახლის გარეთ“ არ შეიძლებოდა. იუმორისტები თავიანთ გამოსვლებში შეფარულ იუმორს იყენებდნენ. ერთ-ერთ მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ კომიკოს მიგელ ხილას 1957 წლის ჩანაწერი სათაურით „მტერია?“. ამ ჩანაწერის ერთ-ერთ ეპიზოდში წარმოდგენილია სატელეფონო საუბარი მტერთან:

- “Ayer cantó el prisionero de ustedes.... Por fin ha cantado“.

- „გუშინ ერთ-ერთმა თქვენმა პატიმარმა იმღერა... როგორც იქნა იმღერა“ - ეუბნება პერსონაჟს მტერი [Carr, 2018:162]

ეს ეპიზოდი აშკარა მაგალითია შეფარული იუმორისა. დიალოგში ნახსენები ზმნა cantar (მღერა) გვახსენებს ყველაფერ იმას, რაც მუსიკასთან და სიმღერასთან არის დაკავშირებული. ხილას მონოლოგიდან გამომდინარე ეს სიტყვა ომის კონტექსტშიც შეგვიძლია

განვიხილოთ. ამ შემთხვევაში შესაძლოა მას ბომბების და იარაღის გასროლის ხმის მნიშვნელობა ჰქონდეს, მაგრამ აღნიშნულ წინადადებაში cantar-ს არც ერთი მნიშვნელობა არ შეესაბამება. ზუსტი მნიშვნელობის დასადგენად საჭიროა მოვიშველიოთ RAE-ში<sup>1</sup> ზმნა cantar-ის მე-17 განმარტება: Descubrir o confesar algo, generalmente bajo presión (ზეწოლის პირობებში აღიარებითი ჩვენების მიცემა). აღნიშნული განმარტება ნათელს ხდის, რომ წინადადებაში: „გუშინ ერთ-ერთმა თქვენმა პატიმარმა იმღერა... როგორც იქნა იმღერა“ იგულისხმება, რომ პატიმარმა კი არ იმღერა, არამედ დაამღერა, ზეწოლის ქვეშ აღიარებითი ჩვენება მისცა. მამასადამე, ქართულ თარგმანში აღნიშნული ფრაზა შემდეგნაირად ჟღერს: „გუშინ ერთ-ერთმა თქვენმა პატიმარმა იმღერა... როგორც იქნა დაამღერა“.

ფრანკოს პერიოდის იუმორი გამოიხატებოდა ხუმრობებში, ანეკდოტებში, კომედიებსა და კარიკატურებში, რომლებიც გაჯერებული იყო იმ თემებით, რაც აწუხებდა საზოგადოებას. ავტორები არ ერიდებოდნენ უარყოფითი ემოციების გამოწვევას, რაც გამორიცხავდა სიცილის შესაძლებლობას. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული პერიოდის პოპულარული პოლიტიკური იუმორი ბეწვის ხიდზე გადიოდა აგრესიასა და უსაფრთხოებას შორის, თამაშსა და სერიოზულობას შორის. ყოველდღიური ხუმრობების საშუალებით, რაც ქუჩაში ისმოდა, გამოიხატებოდა სოციალური და პოლიტიკური კრიტიკა. საზოგადოებამ იპოვა შედარებით უსაფრთხო გზა გამოეხატა საკუთარი აზრები მკაცრად შეზღუდული გარემოს გარეთ და საკუთარი კრიტიკული მოსაზრებები მთავრობამდე მიეწვდინა.

აღსანიშნავია, რომ ე. წ. „ჩურჩულით ნათქვამი ხუმრობები“ დარტყმას აყენებდა რეჟიმს. საზოგადოება მასხრად იგდებდა ფრანკოს და მის მიმდევრებს. ასეთ ხუმრობებში მოქმედება ძირითადად ხდებოდა სამსახურში, უნივერსიტეტში ან სამინისტროში. „ჩურჩულით ნათქვამი ხუმრობები“ შედარებით უსაფრთხო იყო და ადამიანებს საშუალებას აძლევდა გადაეფარათ ის შეზღუდვები, რაც გამოწვეული იყო სხვადასხვა კანონებითა და ცენზურით.

ესპანელი ჟურნალისტის ივან ტუბაუს აზრით, აღნიშნული ხუმრობები და ზოგადად ესპანური პოლიტიკური იუმორი განიხილებოდა, როგორც არამალადობრივი წინააღმდეგობა დამკვიდრებული რეჟიმის მიმართ, რომელსაც შეეძლო ძირითადი გამოეთხარა გაბატონებული წესრიგისთვის და ყოფილიყო ეკვივალენტი პარტიზანული მოქმედებებისა [Tubau, 1987]. ფრანკო ხშირად ჩნდებოდა ხოლმე მიტინგებზე, დღესასწაულებზე და სხვა ცერემონიებზე, ამ ჟესტით იგი ხაზს უსვამდა მშვიდობის, პოლიტიკური სტაბილურობის და წესრიგის „დამკვიდრებულ“ ღირებულებებს. სახელმწიფოს ამ მაღალ-რიტუალური იმიჯის წინააღმდეგ მრავალი

<sup>1</sup> ესპანური ენის სამეფო აკადემია



კარიკატურა იქმნებოდა, მიზანი კი იყო ის, რომ პოლიტიკური კლიმატი აზრთა სხვადასხვაობასა და დაპირისპირებაში გარდაქმნილიყო, რაც საბოლოოდ ჩამოანგრევდა დამყარებულ „წესრიგს“.

წარმოგიდგენთ აღნიშნული რეჟიმის პერიოდში გავრცელებული ხუმრობების რამოდენიმე მაგალითს:

1. ეროვნული რადიოს მიკროფონში ფრანკო ჩვეული ოპტიმიზმით საზოგადოებას შობას ულოცავს:

- ესპანელებო: ჩვენი დიდებული ჯვაროსნული ლაშქრობის წინ ესპანეთში მხოლოდ რვაასი ადგილი იყო გამოყოფილი ტუბერკულოზით დაავადებულთათვის. ახლა კი, ამ ჩვენი მოქმედების შედეგად, უკვე შეგიძლიათ ოთხასი ათასი ადგილი დაიკავოთ! [Tauste, 2006:18]

2. „სიმშვიდის XXV წელი“ ამ სათაურით რეჟიმის ოცდახუთი წლისთავს ზეიმობენ. ფრანკოს მშვიდობის დარგში ნობელის პრემიას სთავაზობენ:

- XXV წლის გამო?

- არა, იმისთვის რომ ვნახოთ იქნებ რამენაირად გადადგეს და ესპანელებს აღარ ეომოს.

[Tauste, 2006:21]

3. ეროვნული სულისკვეთების ჩამოყალიბების გაკვეთილზე მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება:

- მამაშენი ვინ არის?

- ფრანკო

- დედაშენი ვინ არის?

- ფალანგა

- კარგი, და შენ ვინ გინდა იყო?

ბიჭმა ხუმრობით უპასუხა:

- ობოლი [Carreño, 2018]

4. ამერიკელი ფრანკისტს ესაუბრება, ის კი რეჟიმის მიღწევებს უყვება. ამერიკელი ეუბნება:

- დიახ, მაგრამ თქვენ თავისუფლება არ გაქვთ, მაგალითად, შეერთებულ შტატებში ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გააკრიტიკოს კენედი და ამის გამო არაფერი მოხდება

- აქაც ეგრეა, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია კენედის გააკრიტიკება [Carreño, 2018]

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფრანსისკო ფრანკოს დიქტატორული რეჟიმის პერიოდში არსებულმა პოლიტიკურმა იუმორმა საზოგადოებას საშუალება მისცა რეალურად შეეფასებინა ის სოციალური ფონი, რომელშიც უწევდა ცხოვრება. პოლიტიკური იუმორი მიმართული იყო ძალაუფლების მფლობელი პირებისაკენ, კონკრეტული სოციალური ჯგუფების

ან ინსტიტუტებისაკენ. იუმორით გავრცელებული ნორმების და ღირებულებების მეშვეობით საზოგადოებას შეეძლო რეჟიმის ლეგიტიმურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დაეყენებინა, სოციალურმა თემებმა ახალ-ახალი მნიშვნელობები შეიძინეს, დაიწყო ტაბუირებულ თემებზე საუბარი. ხალხს იუმორის საშუალებით სინათლეზე გამოჰქონდა იდეოლოგიური მანიპულირება, ცენზურა, ეკონომიკური სიდუხჭირე და საერთაშორისო სამყაროსგან იზოლაცია. ესპანური საზოგადოების შემთხვევაში, გამკვიდრებული დიქტატორული რეჟიმის პირობებში იუმორი იყო თავისუფლების უმაღლესი გამოხატულება.

ცენზურის პირობებში ესპანური კულტურის ცალმხრივად განვითარებამ, რაც მხოლოდ არსებული იდეოლოგიის გამტარებელი კულტურული პროდუქციის შექმნაში ვლინდებოდა, სათავე დაუდო ალტერნატიული დისკურსის ჩამოყალიბებას, რომელიც იუმორში გამოიხატა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იუმორმა საფუძველი დაუდო თავშეკავებული მაგრამ მუდმივი კრიტიკის დამკვიდრებას არსებული რეჟიმის მიმართ. კომუნიკაციის ალტერნატიული გზები, მათ შორის იუმორი, მიმართული იყო არა მხოლოდ ფრანკიზმის წინააღმდეგ, არამედ სტრუქტურული ხასიათის ახალი, განსხვავებული გამოხატვის ფორმების დასამკვიდრებლად, რაც უმნიშვნელოვანესი იყო იმდროინდელი ესპანური საზოგადოების განვითარების პროცესში.

#### ლიტერატურა:

1. **გიორგაძე მ.**, - სიტყვათა თამაშის ფუნქცია, სემანტიკა, პრაგმატიკა და თარგმანი (ინგლისურ და ქართულ ენათა მასალაზე). ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 2014. გვ. 106. [http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/Disertaciebi/meri\\_giorgadze.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/meri_giorgadze.pdf) (ბოლო წვდომა: 07.07.2019)
2. **Cardona G.**, - Cuando nos Reíamos de Miedo. Crónica Desenfadada de un Régimen que no Tenía ni Pizca de Gracia. Ediciones Destino. Barcelona. 2010
3. **Carr W.F.**, - "Overpowered by Laughter"? Spanish Humor under Franco. eScholarship. 2018. p162. <https://escholarship.org/uc/item/9tf0q68d> (ბოლო წვდომა: 09.07.2019)
4. **Carreño F. M.**, - Franco: los chistes que se contaban en voz baja. Marca. 2018. <https://www.marca.com/tiramillas/actualidad/2018/11/20/5bf3c141ca4741d7038b45be.html> (ბოლო წვდომა: 08.07.2019)

5. **Sorensen M. J.**, - Humor as a Serious Strategy of Nonviolent Resistance to Oppression. *Peace & Change*. 2008. <https://onlinelibrary.wiley.com/doi/full/10.1111/j.1468-0130.2008.00488.x> (ბოლო წვედომა: 06.07.2019)
6. **Tauste V.A.M.**, - Sexo, Política y Subversión. *El Chiste Popular en la Época Franquista*. Clac. N 27. 2006.p 18,21. <http://webs.ucm.es/info/circulo/no27/vigara.pdf> (ბოლო წვედომა: 08.07.2019)
7. **Torres J.**, - La canción española durante el franquismo: Tradición, sometimiento y testimonio. 2015.p1. <https://cilam.ucr.edu/diagonal/issues/2011/Torres.pdf> (ბოლო წვედომა: 07.07.2019)
8. **Tubau I.**, - El humor gráfico en la prensa del franquismo. Colección Ciencias de la comunicación. Barcelona. 1987.
9. **Vílchez de Arribas J. F.**, - Prensa satírica en España: 1970-1980, una década de esplendor. *El Argonauta Español*. 2015. <https://journals.openedition.org/argonauta/2268> (ბოლო წვედომა: 07.07.2019)

**Nino Jokhadze**

### **Humor as an effective form of resistance in Franko' Spain**

#### **Abstract**

From 1939 to 1975, Spain had to live under the dictatorial regime. This is the time when the Spanish state was ruled by General Francisco Franco Bahamonde and covers the period from the end of the Spanish Civil War, from 1939 until his death, to 1975. This era is also called the Franco era. The Franco government was known for its repressions, restriction of liberty, propaganda of its own ideology and censorship in almost every field, especially in literature. Censorship prohibited the publication of works that would be harmful or threatening to the established regime. During this period of Spanish history any cultural, communicative, ideological or creative activity was restricted. Censorship was mainly used by the ruling party as the main tool to restrict free thought and spread its ideology en masse. It was a protective tool of the ruling class to maintain the power.

The established dictatorial regime was clearly influenced by German and Italian totalitarianism, which was manifested in working relationships, autocratic economic policy, aesthetics, the use of symbols, a one-party system, etc. Political repressions in the 1940s, strengthened the established dictatorial system. The existence of the art and the culture of that period was dependent upon the compliance with Franco's ideology. Nevertheless, authors with opposite ideologies (in literature: Carmen Laforet, Antonio Buero Vallejo, in painting: Salvador Dalí, Joan Miró, in music: Carmelo Bernaola, Luis de Pablo, in cinema: Juan

Antonio Bardem, Carlos Saura, Luis García Berlanga and others) created the best works of art. Among them were critical works of post-war society. Anti-Franco magazines were also created to enable the public to express themselves freely.

In Spanish society during Franco 's regime, humor had a large place in terms of self-expression and criticism of the regime. Political humor was the response of individuals to dictatorial regime and censorship. Spreading anti-regime content jokes and funny stories allowed the public to alleviate the fear and sense of helplessness that was driven by the established political regime. Humor led to a restrained but constant critique of the current regime.

The article discusses how Spanish society expressed social and political criticism through humor and describes the different forms of humor that took place during Francoism. The paper analyzes the Spanish humor of the Francisco Franco period as one of the most effective means of criticism of the government and escaping from the censorship.

**Keywords:** Censorship, Dictatorial regime, Humor, Spanish society, Francisco Franco

რეცენზენტი: პროფესორი ნ. ჟანპეისოვა

ისტორია History

## ესპანელ ქალთა ანტიფაშისტური მოძრაობა

### XX საუკუნის 40-იან წლებში

ელენე ჭირაკაძე

ივ. ჯავახიშვილი სახელობის თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Email: [elene.chirakadze@gmail.com](mailto:elene.chirakadze@gmail.com)

*XXI საუკუნეში გენდერის კვლევა განსაკუთრებით აქტუალური გახდა. შეიქმნა სპეციალური ინსტიტუტები, ფაკულტეტები, ორგანიზაციები და მოძრაობები, რომლებიც აქტიურად მუშაობენ ამ პრობლემაზე, მათ შორის საქართველოშიც. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ დღეს მსოფლიოში განსაკუთრებით აქტუალური გახდა ქალთა პოლიტიკაში მოსვლის საკითხიც, რამაც განსაზღვრა ჩვენი დაინტერესება, სწორედ, გენდერის ისტორიით. უნდა ითქვას, რომ ბოლო ათწლეულებშია, რაც ეს თემები შემოვიდა მეცნიერულ სფეროში. მანამდე იწერებოდა გარკვეული ისტორიები, იყვნენ ქალები, რომლებიც ცდილობდნენ მათი ხმა არ დაკარგულიყო, თუმცა ამ ყოველივეს მაინც არ ჰქონია მეცნიერული სახე, არ მიმდინარეობდა კვლევა ამ კუთხით და სხვ. უკვე XX საუკუნიდან აქტიურად ვხვდებით გენდერული მეცნიერებების დამკვიდრებას სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ხაზგასასმელია ის ფაქტორიც, რომ ამგვარი მეცნიერებები ისტორიის უფრო სიღრმისეულ და სინთეზურ შესწავლას უწყობს ხელს და საერთო სოციალური ფონის დანახვაში გვეხმარება.*

*წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ქალთა უფლებებისთვის ბრძოლის დიდი პრიზმის ერთი კონკრეტული მონაკვეთი, რაც მოჰყვება ესპანეთში ფრანკოს დიქტატურის არსებობას.*

*ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ესპანელ ქალთა ანტიფაშისტურ მოძრაობაზე და მათ საქმიანობაზე, მას შემდეგ, რაც ესპანეთში ფრანკოს დიქტატურა დამკვიდრდა. ასევე,*

*მოცემულია მოკლე ანაზღაურების წინარეპერიოდის ქალთა უფლებრივი მდგომარეობისა ქვეყანაში და როგორ შეიცვალა ის სამოქალაქო ომამდე და მას შემდეგ.*

**საკვანძო სიტყვები:** გენდერი, ქალთა უფლებები, ანტიფემინისტური მოძრაობა

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში, მთელ მსოფლიოში ფართო გავრცელება ჰქონდა გენდერული ნიშნით კონტროლის იძულებით მექანიზმებს, ამიტომ ქალებმა ხმამაღლა დაიწყეს საკუთარ უფლებებზე საუბარი და გამოსვლები. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული დისკრიმინაციული ზომები უზრუნველყოფდა ქალთა დისკრიმინაციას საგანმანათლებლო და პოლიტიკური უთანასწორობის და შრომითი შეზღუდვების გზით. ამას თან ერთვის კონსერვატიული იდეოლოგია, რომელიც ახდენდა დომინირებას გენდერულ მექანიზმებზე.

XX საუკუნის 20-30-იან წლებისთვის ქალთა კოლექტიურმა ისტორიულმა გამოცდილებამ გადალახა სახლის საზღვრები და წარმოშვა რთული დამოკიდებულება საზოგადოებრივ დომენებს შორის. წარმოდგენილ ნაშრომში საუბარი გვექნება ესპანელ ქალთა მოძრაობაზე. ფემინისტური მოძრაობა ესპანეთში განსხვავებულია თავისი სპეციფიკით სხვა ევროპული ფემინისტური მოძრაობების პარადიგმისგან, ხოლო მათთან დაახლოება გამოიწვია მისმა ცვალებადობამ და განვითარების ისტორიამ XX საუკუნეში. აღსანიშნავია, რომ 1920-იანი წლებიდან დაწყებული ნახევრად სუფრაჟისტული მცდელობებიდან, ხოლო შემდგომ 1930-იან წლებში ფემინისტური ორგანიზაციების ჭრილში, ფრანკოს მმართველობის ქვეშ მეტისმეტად თავშეკავებული ორგანიზაციებიდან გარდამავალ ფრაგმენტულ ქალთა მოძრაობამდე, ფემინიზმზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა მეოცე საუკუნის ესპანეთის სოციო-კულტურულმა ძვრებმა.

ამგვარი პიონერული ფემინიზმი ფართო მასშტაბით არ გამოდგა ეფექტური, თუმცა, უნდა ითქვას, რომ მან მაინც მოახერხა გაეზარდა იდეა ქალების უფლებების შესახებ და ხელი შეეწყო გენდერული ცნობიერების ამაღლების ფორმირებისთვის.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ესპანეთში ქალების მდგომარეობა მკვეთრად უმჯობესდებოდა, გამოვიდნენ სამუშაო ასპარეზზე, მეტ-ნაკლებად დაცული იყო ქალთა უფლებები სხვადასხვა სფეროში, როგორცაა ოჯახი, დასვენების დღეები, კარიერა, განათლება და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ მეორე რესპუბლიკის რეჟიმის დამყარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალების როლის განვითარებაში. 1931 წლის აპრილიდან მეორე რესპუბლიკის პერიოდში დაიწყო რეფორმების ახალი ეტაპი, რომლის მიზანიც იყო ესპანეთის სტრუქტურულად

გარდაქმნა, რითაც დაემსგავსებოდა ევროპულ საპარლამენტო დემოკრატიებს. ასევე გაიხსნა ახალი ჰორიზონტები ქალებისთვის, რამაც შეძლო მათი მისწრაფებების პრაქტიკაში დანერგვა.

თუმცა, ეს ყოველივე დიდხანს არ გაგრძელდა. ამ მოვლენებს მალევე თან დაერთო სამოქალაქო ომი ესპანეთში, იყო სხვადასხვა შიდა ფაქტორები, რამაც ქალთა როლის ნელ-ნელა უკან დაბრუნება განაპირობა. აღსანიშნავია, რომ თავად სამოქალაქო ომში ქალები აქტიურად იყვნენ ჩართულნი რესპუბლიკის მხარეს, რადგან აქ ხედავდნენ მათი უფლებრივი მდგომარეობის მომავალს.

ესპანეთის სამოქალაქო ომი გენერალი ფრანკოს გამარჯვებით დასრულდა. მაშასადამე, 1939 წელს ოფიციალურად სრულდება მეორე რესპუბლიკის არსებობა და ესპანეთი გადადის სრულიად ახალ რელობაში, რასაც სამხედრო დიქტატურა ჰქვია. გენერალ ფრანკოს რეჟიმმა სრული გარდატეხა მოახდინა ესპანელი ხალხის ცხოვრებაში და შეცვალა მათი განვითარების მიმართულება. ამით, ფაქტობრივად, ახალი თავი იშლება ქვეყნის ისტორიაში. კაუდილიოს მმართველობამ ესპანეთის ფსიქიკაში ღრმად ჩანერგა „ანტი-ესპანური“ იდეა, რაც გულისხმობდა ყოველივე ისეთ იდეაზე უარის თქმას, რომელიც მიმართული იქნებოდა ესპანეთის წინააღმდეგ, მათ შორის, როგორცაა სოციალიზმი, ფემინიზმი, კომუნიზმი, ლიბერალიზმი.

რეჟიმმა ხელი შეუწყო ისტორიულ ამნეზიას ქალთა წარსულისა და სოციალური ცვლილებების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ესპანელი ქალების ახალმა თაობამ, რომელიც დაიბადა და განათლება მიიღო დიქტატურის ქვეშ, დაკარგა თავისი წინამორბედების გამოცდილება. ფრანკოს რეპრესიებმა ჩაკეტა ქალთა გზა ემანსიპაციისკენ. ჩაიხშო ქალთა ხმები, დაიშალა მათი ორგანიზაციები და ჩაქრა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახლად დაწყებული დამკვიდრების პროცესი.

დაიწყო ქალების "სპეციფიკური მარგინალიზაცია და ჩაგვრა". ორმაგ რეპრესიას, რასაც ფრანკო მიმართავდა ქალების მიმართ, აშკარა სახე ჰქონდა. იყო ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის პერიოდში, რაც გამოხატული იყო ისეთი სადამსჯელო პრაქტიკით, როგორცაა თმის გადაპარსვა, რომელიც „გამოსყიდვისა და სიწმინდის“ სიმბოლოდ ითვლებოდა (მსგავსი პრაქტიკა ქალთა ციხეებშიც იქნა გამოყენებული). სასჯელების ჩამონათვალში შედიოდა ასევე ყოველდღიური რეპრესიები, როგორცაა საჯარო შერცხვენა, რაც გულისხმობდა, მაგალითად, „წითელი“ ქალებისთვის იძულებას, რომ ქუჩები დაესუფთავებინათ ან ეკლესიის იატაკი მოეხეხათ, ესეთი ქმედებები საზოგადოებრივ შეურაცხყოფასა და დამცირებასაც არ გამოორიცხავდა. ამგვარი სასჯელები გათვალისწინებული იყო იმ ქალებისთვის, ვინც რაიმეთი იყვნენ დაკავშირებულნი რესპუბლიკელებთან, ხოლო, უშუალოდ მძიმე სასჯელი მათთვის იყო განკუთვნილი, ვინც მათთან

რაიმე ქმედებაში იყვნენ შემჩნეულნი და მათთან ერთად იღებდნენ მონაწილეობას სხვადასხვა საქმიანობაში.

ეს ყოველივე ნამდვილად ატარებდა ფსიქოლოგიური რეპრესიის სახეს, ამის კიდევ ერთი ნათელი მაგალითია ის, რომ ქალებს, ქვრივებს, დედებს ან დებს არ შეეძლოთ თავიანთი ტკივილის გამოხატვა და არ მიეცათ უფლება ეგლოვათ ან დაემარხათ ნათესავები. რესპუბლიკელი ქალი განიხილებოდა, როგორც გადაგვარების სიმბოლო და წარმოადგენდა რევოლუციის და ძალადობის სახეს.

ქალების მიმართ რეპრესიულ ქმედებას წარმოადგენდა ის კანონმდებლობაც, რომელიც ფრანკოს რეჟიმმა შეიმუშავა და რომელიც ქალებს გამორიცხავდა საქმიანობის მრავალი სფეროდან და მათ მხოლოდ უნარჩუნებდა ისეთ ტრადიციულ როლებს, რაც სულაც არ ჰგავდა იმ დროის ევროპის ტენდენციებს. 1939 წლის მიწურულიდან ქალებს აკრძალა დარეგისტრირებულიყვნენ მშრომლებად და გამოეთქვათ სურვილი სამუშაო ადგილებზე დასაქმებისა. ისინი შეზღუდულნი იყვნენ განქორწინების საკითხშიც, რომლის შემთხვევაშიც ქალი, ფაქტობრივად, უშემოსავლო და ქმედითუუნარო ხდებოდა, ამასთან მალევე სრულიად აკრძალა განქორწინება. ქალს არ ჰქონდათ ისეთი განათლება და სოციალური სტატუსი, რომელიც საშუალებას მისცემდა აერჩია გარკვეული პროფესია და პრაქტიკაში მოეხდინათ ცოდნის რეალიზება და სხვ. ქალთა ყოფა მძიმდებოდა, განსაკუთრებით კი რესპუბლიკელი ქალებისა, რომლებიც სამოქალაქო ომის დროს აქტიურად იყვნენ ჩართული ფრანკოს წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამრიგად, გასაკვირი არ იყო, რომ სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ და ფრანკოს რეჟიმის დამყარების შედეგად, რომლის დროსაც ამგვარ რეპრესიებს ფართო გასაქანი მიეცა, ბევრი ქალი ემიგრაციაში წავიდა და იქიდან განაგრძო ბრძოლა დიქტატორული მმართველობის წინააღმდეგ. ძირითადად მიაშურეს საფრანგეთს, სადაც იქმნება ორგანიზაციები ქალების მიერ, ესპანეთში დარჩენილი ქალებისთვის და არა მხოლოდ. აქედან იწყება ქალთა ანტიფაშისტური მოძრაობა.

ამრიგად, 1945 წელს ტულუზაში შეიქმნა ანტიფაშისტ ქალთა კომიტეტები. 1946 წლის აგვისტოში ამავე ტულუზაში გაიმართა პირველი კონგრესი, რომლის დროსაც დოლორეს იბარური დასახელდა ორგანიზაციის პრეზიდენტად. 1946 წლის ოქტომბერს გამოჩნდა ესპანეთის ანტიფაშისტ ქალთა პირველი ნომერი.

მაშასადამე, ესპანეთის დევნილობის წიაღში დაიბადა ორგანიზაცია „ესპანელი ანტიფაშისტი ქალები“. ეს განხორციელდა კონკრეტულად ესპანელ ქალთა კავშირის (UME) მიერ საფრანგეთში. ორგანიზაცია დაქვემდებარებული იყო ესპანეთის კომუნისტური პარტიას (PCE),



რომლის სათავეშიც იდგა ცნობილი კომუნისტი ლიდერი ქალი, დოლორეს იბარური, იგივე La Pasionaria.

UME- ს მიზანი აშკარა იყო, იგი ცდილობდა ფრანკოს დიქტატურის დამყარების შემდეგ ემიგრაციაში წასული რესპუბლიკელი ქალების მოზიდვას და გაერთიანებას ანტიფრანკოული ბრძოლისთვის. ორგანიზაციაში გაწევრიანებული ქალების მოგონებებიდან აღსანიშნავია, რომ მათთვის სწორედ დოლორეს იბარური იყო ის, „ვინც წარმოადგენდა მებრძოლი ქალის მოდელს, რომელიც ასევე იყო ტრადიციული ესპანელი დედა, ტანჯული და თავგანწირული, რომელმაც თავი ოჯახურ კეთილდღეობას მიუძღვნა“.

AMA - ანტიფაშიტ ქალთა დაჯგუფების მიზანი იყო ქალების ანტიფაშისტური საქმიანობის კოორდინაცია PCE-ს მიერ მითითებულ ხაზზე. თუმცა, მისი დიაპაზონი რეალურად უფრო ფართო იყო და მოიცავდა ქალის გარკვეული უფლებების მოთხოვნას, რომლებიც ჩვეულებრივ არ იქნა ასახული PCE-ს პროგრამაში, მაგალითად, ქალთა თანაბარი დასაქმებისა და განათლების უფლება ან ბავშვთა და ქალთა ჯანმრთელობის დაცვა და ა.შ.

რაც შეეხება Unió de Donas de Catalunya- ს, მისი მოღვაწეობა უფრო ფართო იყო ვიდრე AMA- ს, თუმცა, თავის მხრივ, UMIU- ს სტრუქტურის, ფუნქციონირების, დისკურსისა და სტრატეგიების გასაგებად, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ორგანიზაცია იყო ევროპული მოძრაობის ნაწილი, რომელსაც სურდა მოეხდინა კომუნისტური ქალთა მილიტარიზაციისა და რეორგანიზაციის პროცესი. მისი მიზანი იყო მსოფლიო ომის დასრულებაში მონაწილეობის მიღება. ჩამოყალიბდა 1945 წელს პოტსდამის კონფერენციის დასრულების შემდეგ. მან გამოავლინა გარკვეული შეურიგებელი იდეოლოგიური განსხვავებები, რითიც მოკლე დროში აპირებდნენ ომში გამარჯვებას. კერძოდ, ეს იყო - პაციფიზმი, ანტიმილიტარიზმი, ანტიიმპერიალიზმი და ა.შ.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ესპანელმა ანტიფაშისტმა ქალებმა გაზეთის გამოქვეყნება დაიწყეს 1946 წლის ოქტომბერში პარიზში. იგი ყოველთვიური იყო და გამოდიოდა 1950 წლის სექტემბრამდე (სულ 39 ნომერი). გაზეთის პირველი ნომრისთვის რედაქციის წევრებმა გააკეთეს განცხადება თავიანთი მიზნების შესახებ: „ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს გაზეთს ეფექტურად შესწევს ძალა შეავსოს ის სიცარიელე, რომელიც იგრძნობა ყველა ესპანელი ქალის სულში, რომელიც იძულებულია იცხოვროს თავისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მაგრამ მათ ესპანეთი გულში აქვთ“... „ჩვენი მხრივ, მკითხველების ინტერესის შესაბამისად, მაქსიმალურად ვმუშაობთ ისე, რომ თითოეული ნომერი იყოს უკეთესი, ვიდრე წინა და უფრო საინტერესო [...]“.

გაზეთის გვერდებზე იბეჭდებოდა ცნობები ესპანეთის მდგომარეობისა და იქ მყოფი ქალების ვითარების შესახებ, ციხეში მყოფი ქალი პატიმრების ისტორიები, ქალებისთვის ასევე იბეჭდებოდა რუბრიკები თავის მოვლის საშუალებებზე, იყო კულინარიული რეცეპტები და ა.შ.

გაზეთის გვერდებზე დატანილი ინფორმაციები ემსახურებოდა ცნობიერების ამაღლებასა და იმ კამპანიას, რომელიც მიზნად ისახავდა გადასახლებულ ქალთა მობილიზაციას ფრანკოს წინააღმდეგ.

ამავე დროს, ეს გაზეთი შეგვიძლია მივიჩნიოთ, როგორც რესპუბლიკური „მეხსიერების დამცველი“, რომელიც საშუალებას არ იძლეოდა დაევიწყებინათ ის პერიოდი, ქალების პროგრესი რასაც მაშინ მიაღწიეს, არ დაევიწყებინათ დაღუპულები, რეპრესირებულნი, პოლიტიკური პატიმრები და სხვ. ამით, თითქოს, თავად ისინიც ცდილობდნენ იდენტობის შენარჩუნებას.

გაზეთის ერთ-ერთ ბოლო, 37-ე ნომერში, რომელიც 1950 წელს გამოვიდა, ვკითხულობთ: „იყო კარგი დედა, არ ნიშნავს გერქვას „კარგი ქალი, იყავი კარგი მოქალაქე და იბრძოლე იმისთვის, რომ შენს შვილს ჰქონდეს უფლება ბედნიერად იცხოვროს“. ეს ყოველივე კი მეტყველებს მათ საერთო მიზანზე, რაც ემსახურებოდა ანტიფაშისტურ, ანტიფრანკოულ წინააღმდეგობრივ მოძრაობას და ესპანეთის ქალებისთვის იმ წარსულის შეხსენებას, რაც ჰქონდათ რესპუბლიკის პერიოდში და რისთვისაც ღირდა ბრძოლა.

ანტიფაშისტი ქალების მიერ გამოცემული გაზეთის საქმიანობაზე უკეთესი წარმოდგენის შესაქმნელად, გთავაზობთ რამდენიმე ნომრიდან ამონარიდებს, სადაც კარგად ჩანს მათი მოწოდებები, განცხადებები, წერის სტილი და სხვ.

„ანტიფაშისტი ქალების“ მიზნები ასევე კარგად და აშკარად ჩანს 1946 წლის პირველივე ნომერში, რომელშიც ერთ-ერთი მოწინავე სტატიის სათაურია: „ადექი, ქალო! იბრძოლე!“, სადაც ვკითხულობთ შემდეგს: „დადგა დრო, რომ შეფერხების გარეშე, უყოყმანოდ, ღიად, ჩვენი სიცოცხლის დათმობის ფასდაც კი, მივიღოთ მონაწილეობა ამ ბრძოლაში, რათა დასრულდეს ტერორი და ტირანია და ესპანეთმა მიაღწიოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.“ [...] "ნუ შეყოვნდები, მშრომელო ქალო, ინტელექტუალო ქალო, კათოლიკე ქალო, დიასახლისო ქალო. ფაშიზმი ნელ-ნელა დამთავრდება, თუ თქვენ მოიშორებთ მის უღელს! [...]. ფრანკოზმი ყოველდღე აძლიერებს თავის ტერორს და სწორედ ჩვენ, ქალებმა, რომლებიც ვაქვეყნებთ ჩვენი ქვეყნისა და მოსახლეობის შესახებ ცნობებს, ჩვენ უნდა შევიტანოთ წვლილი მისსავე აღდგენაში. ჩვენი უფლებებისთვის, ჩვენი თავისუფლებისთვის და რაც ყველაზე მეტად გვტკივა - ჩვენი შვილებისთვის“.

1946 წლის X ნომერი იწყება პასიონარას სიტყვებით, მისი ერთ-ერთი განცხადებიდან ამონარიდით: „ყოყმანის შეგრძნება ჩვენი ქვეყნის მოწამეთა ღალატია“. ამავე გამოცემაში ვხვდებით სტატიას, შემდეგი სათაურით: „ყველა ესპანელ ქალს, რომელსაც სძულს ფაშიზმი“ - რას გვეუბნება პასიონარია“, სადაც მოხმობილია დოლორეს იბარურის გამოსვლიდან ფრაგმენტი: „ესპანეთის ანტიფაშისტ ქალთა კავშირის პრეზიდენტობა არ ნიშნავს უბრალოდ საპატიო თანამ-

დებობის დაკავებას, არამედ ამ ორგანიზაციის წინაშე ვალდებულების ქონასა და ამ ვალდებულების შესრულებას [...]. ეს ნიშნავს გაერთიანებას იმ ქალებთან, ვინც აქ მუშაობს; ვინც ეხმარება გაზეთს განვითარებაში. ქალთა კავშირში ყველა ესპანელ ქალს შეუძლია გაერთიანება, რომლებიც ესპანეთში დემოკრატიისა და სამართლიანობის დამკვიდრებისკენ მიისწრაფვიან“.

1947 წლის ერთ-ერთ გამოცემაში საკმაოდ ვრცელი სტატია იყო მიძღვნილი იმ ფაქტთან დაკავშირებით თუ რატომ არ და ვერ შეიძლება იყოს ქალი ფრანკოს მომხრე, სადაც განხილული იყო ეს პოზიცია რამდენიმე პერსპექტივიდან. სტატიას ასეთი სათაური ჰქონდა: „აი, რატომ არ შეუძლია ქალს იყოს ფრანკოს მომხრე“, რომელიც იწყებოდა შემდეგნაირად: ჩვენთვის, ქალი არ შეიძლება იყოს ფრანკოს მომხრე ან პატივს სცემდეს მას, შემდეგი მიზეზებიდან გამომდინარე: პატრიოტის გადმოსახედიდან: როგორ შეიძლება ესპანელი ქალი, რომელსაც უყვარს თავისი მიწა, მას შემდეგ, რაც ფრანკო საკუთარ ქვეყანაში შეიჭრა და უცხოელთა დახმარებით მოკლა თანამემამულეები, გაანადგურა ესპანეთი, ზოგადად პატივისცემას იმსახურებდეს; დემოკრატიული გადმოსახედიდან: ფრანკოიზმი არის დემოკრატიულობის მომაკვდინებელი მტერი; ადამიანური გადმოსახედიდან: ფრანკოიზმი დევნის თავისივე ხალხს და ესპანეთში თანამემამულეებს ხოცავს ძალის გამოყენებით; კათოლიკური გადმოსახედიდან: ეს არის ყველაზე ნათელი არგუმენტი, რადგან ყველაფრის მიუხედავად, ფრანკოს მომხრეები ჯერ კიდევ თავს კათოლიკეებს უწოდებენ, თუმცა უარყოფენ რელიგიური მოძღვრების ყველა ღირებულებას. ქრისტეს იდეებზე დაფუძნებული კათოლიციზმი ეწინააღმდეგება ძალადობას, ქადაგებს ძმობას და სიყვარულს. შეესაბამება თუ არა ეს ესპანეთში ფრანკოს რეჟიმს? და ბოლოს, თავად ქალის გადმოსახედიდან: როგორც ქალი, მას უბრალოდ არ შეუძლია აღიაროს ფრანკო, რომელიც ყოველნაირად ცდილობს, ხელი შეუშალოს ქალს საკუთარი თავის გამოხატვაში.

1947 წლისსავე გამოცემულ ნომერში განხილული იყო ცნობები ესპანელი ქალების ბრძოლის შესახებ, ასევე ფრანკოს ციხეებში არსებული მდგომარეობა. ერთ-ერთი სტატია, „კატალონიელი ქალების ბრძოლა“, იწყებოდა იმით, რომ გასული თვის შუა რიცხვებში, კატალონიელმა ქალებმა შეუტყეს ძველ მინდორში მდებარე სანტა კატალინას ბაზრის სადგომს და, როდესაც მცველები მივიდნენ, იპოვეს მხოლოდ დაცარიელებული სადგომები, ხოლო ქალები გაუჩინარებულიყვნენ. „ბრავო კატალონიელ ქალებს. ეს არის ყველა ესპანელი ქალისთვის საკუთარივე შვილების შიმშილობის თავიდან აცილების საშუალება“.

ერთ-ერთი შემდეგი სტატია ეძღვნოდა ციხეში ქალების მდგომარეობას. იგი დასათარებული იყო შემდეგნაირად: „ამორალურობა ფრანკოს ციხეებში“. „ვალენსიაში საქმის აღძვრა დაიწყო პუჩის ქალთა ცენტრალური ციხის დირექტორის, სირო ლოპეზ ალონსოს წინააღმდეგ, რომელმაც სექსუალურად იძალადა 15 და 17 წლის ორ პატიმარ ქალზე, რასაც შემდეგ ციხის სხვა

თანამშრომლების მხრიდანაც მოჰყვა მსგავსი საქციელი. ეს არის ფრანკოს ზნეობა და მისი უვარგისი ფალანგა“.

აღსანიშნავია ისიც, რომ ორგანიზაციას წარმომადგენლობა ჰყავდა ასევე ლათინურ ამერიკაში - მექსიკაში, კუბაზე და სხვა, სადაც არანაკლებ აქტიურად იწერებოდა ამგვარ თემებზე და იქაურ სტატიებსაც ბეჭდავდნენ გაზეთში. ერთ-ერთი ასეთი სტატია იყო მექსიკიდან: „ფრანკო მშვიდობას ემუქრება“; „კაცი, რომელმაც ესპანეთი უზარმაზარ ციხედ გადააქცია, აგრძელებს ესპანელი ქალებისა და მამაკაცების დახოცვას და წამებას არაადამიანური მეთოდებით. ჩვენ ანტიფაშისტ ქალებს, გვინდა შევახსენოთ ზოგიერთ მმართველს, რომ ესპანეთის ფაშისტური აქცენტები მსოფლიოში მშვიდობის დამყარებას შეუძლებელს ხდის. მშვიდობის მისაღწევად საჭიროა ამ სოციალური კიბოს დროულად მოშორება“.

ნიშანდობლივია, რომ ანტიფაშისტ ქალთა ასოციაცია (AMA) სხვა მსგავსი ორგანიზაციებისგან განსხვავებით, ფემინისტურ სფეროში და ამ მიმართულებით ნაკლებად იყო დაკავებული, ორიენტირებული იყო უფრო მეტად პოლიტიკურ, ვიდრე სოციალური შინაარსის საკითხებზე. მეტად ფოკუსირებული იყო ქალთა მებრძოლ დამოკიდებულებაზე ფაშიზმის წინააღმდეგ და არა, მაგალითად, ქალების სამოქალაქო უფლებების გაზრდაზე ან სხვა.

მიუხედავად ამ ქალთა ორგანიზაციების სხვადასხვა იდეოლოგიური მიმართულებებისა, მათი საერთო მიზანი მაინც ის იყო, რომ ესპანელი ქალების თავისუფლებისთვის ებრძოლათ, დაებრუნებინათ მათთვის ის უფლებები, რომელიც მოპოვებული ჰქონდათ და წაართვეს. შესაბამისად, მათი წვლილი შემდგომი ფემინისტური მოძრაობების განვითარების კუთხითაც ძალიან მნიშვნელოვანია.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ 60-იანი წლებიდან ესპანეთში ფრანკოს რეჟიმის შესუსტება იწყება. ქვეყანაში მიმდინარე ინდუსტრიალიზაციის პროცესები დასავლურ ცივილურ სამყაროსთან აქტიურად აახლოებს მას. ამან განაპირობა მდგომარეობის გამოსწორება კანონმდებლობებით, შესაბამისად, გაუმჯობესდა ქალთა ვითარებაც, მათ მიიღეს ბევრ სერვისსზე წვდომა და მოიხსნა გარკვეული შეზღუდვებიც.

### ლიტერატურა:

1. Di Febo, Giuliana. Resistencia y Movimientos de Mujeres en España 1936-1976. Icaria, 1979.
2. Melgoso, Ruiz Sara. Las Carceles de Mujeres en el Primer Franquismo (1939-1945). Universidad de Castilla la Mancha, 2017.

3. Molinero, Carme. *Mujer, Franquismo, Fascismo. La Clausura Forzada en Un 'Mundo Pequeño'*. - *Historia Social*, № 30.
4. *Mujeres Antifascistas Españolas* №. 1, 1946
5. *Mujeres Antifascistas Españolas*, №. 10, 1946
6. *Mujeres Antifascistas Españolas*, №. 4, 1947
7. *Mujeres Antifascistas Españolas*, №. 9, 1947
8. *Mujeres Antifascistas Españolas*, №. 16, 1948
9. Nash, Mary. *Rojas: Las Mujeres Republicanas en la Guerra Civil*. Arden Press, 1995.
10. Nash, Mary. *Defying Male Civilization: Women in the Spanish Civil War*. Denver: Arden Press, 1995
11. Rodrigo, Yusta Mercedes. *Las Mujeres en la Resistencia Antifranquista*. Université de Cergy-Pontoise: ARENAL, № 12:1, 2005.
12. Rodrigo, Yusta Mercedes. *La revista Mujeres Antifascistas Españolas, o la Construcción de Una Identidad Femenina Comunista en el Exilio Francés (1946-1950)*. Pandora: *Revue d'Etudes Hispaniques*, №. 5, 2005.
13. Ryan, Lorraine. *Feminisms Within and Without*. Galway: National Women Studies Centre, 2006.
14. *La revista antifascista para mujeres que llamaba a hacer la revolución estando guapas*, 2018.  
<https://www.publico.es/politica/memoria-historica-revista-antifascista-mujeres-llamaba-revolucion-estando-guapa.html>

**Elene Chirakadze**

### **The Spain Women's anti-fascist movement in the XX-th century**

#### **Abstract**

If we look at the modern world, we can clearly see how big problem it is to achieve gender equality. Women still have to fight for their rights. Gender research has become particularly relevant in the 21st century. Special institutions, faculties, organizations and movements have been established which are actively working on this problem, including in Georgia. It should also be noted that the issue of women's participation in politics has become especially relevant in the world today, which has defined our interest

in the history of gender. Since the XXth century, we have been actively witnessing the establishment of gender sciences in various educational institutions. For historians, gender issues are very interesting in the context of studying political, economic or social history, it is interesting how the role and function of women was seen at different stages of history, according to countries with different levels of development or type of government.

This paper presents one specific section of the huge prism of the struggle for women's rights that followed the existence of the Francoist dictatorship in Spain.

The paper focuses on the anti-fascist movement of Spanish women and their activities during the Francoist dictatorship in Spain. It also gives a brief history of the pre-period status of women's rights in the country and how it changed before and after the civil war.

It is noteworthy that Europe in the second half of the twentieth century was completely different from Spain in the territory of Western Europe, where there was discriminatory rule on the basis of gender.

After the establishment of the Franco regime, women began to be "specifically marginalized and oppressed." The double repression that Franco inflicted on women was evident even during the Civil War, which was expressed through various judicial practices, violation of their legal status, influence on appearance, and so on.

Thus, it was not surprising that after the end of the Civil War and the establishment of the Franco regime, during which such repressions were widespread, many women emigrated and from there continued to fight against dictatorial rule. Mostly headed to France, where organizations are set up by women for women left in Spain and beyond. This is where the anti-women movement of women begins. These women, with their own forces, confronted Franco from another country and launched a campaign against him. Organizations were created, magazines were published, action programs were published, and so on. The newspaper published reports on the situation in Spain and the situation of women there, stories of female prisoners in prison, rubrics for women on their care products, culinary recipes, and more.

Thus, it is noteworthy that their contribution to the development of further feminist movements is also very important.

**Key words:** gender, women's rights , anti-fascist movement

რეცენზენტი: პროფესორი ვ. განკვივიძი

პედაგოგია Pedagogic

## მოზარდი და საზოგადოება

ნინო სოხაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

e-mail: [ninosokhadze66@gmail.com](mailto:ninosokhadze66@gmail.com)

*ნაშრომი შეეხება ისეთ მტკივნეულ და აუცილებელ საკითხს, როგორც არის აღზრდა, მოზარდი და საზოგადოება.*

*განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აღზრდის საკითხებს ქართულ პედაგოგიურ აზროვნებაში. ეს იწყება ქართული ხალხური პედაგოგიკით და მთავრდება თანამედროვეობით.*

*ასევე მნიშვნელოვანია ქართველ სამოციანელთა ღვაწლი ქართული ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაში. როცა აღზრდაზე ვსაუბრობთ, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ზნეობრივ აღზრდას. ზნეობა ეს იგივე მორალია ანუ ის, თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანი.*

*ჩვენ უნდა ავღზარდოთ თაობა, რომელიც იქნება ეროვნული, ზნეობრივი დაამავდროულად პატივს სცემს მსოფლიო კულტურას და ცნობიერებას.*

**საკვანძო სიტყვები:** აღზრდა, მოზარდი, საზოგადოება

აღზრდას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. აღზრდა აძლევს ადამიანს ცოდნას, ინტელექტს, ესთეტიკას, მსოფლმხედველობას და, რაც მთავარია, აღზრდა განსაზღვრავს მის პიროვნულ თვისებებს ანუ აყალიბებს მას პიროვნებად.

აღზრდა რომ არ იყოს, არც საზოგადოება იქნებოდა. ის ცოდნა მეცნიერებაში, ხელოვნებაში, კულტურაში და, რაც მთავარია, ადამიანს არ ექნებოდა ის ადამიანური თვისებები, რითაც ის განსხვავდებოდა სხვა დანარჩენი ცოცხალი არსებებისაგან.

უამრავი დიდი ადამიანის შეფასება არსებობს აღზრდის შესახებ. მე რატომღაც გამოვიყოფ კანტს, რომელიც ამბობს: „ ჩვენ განვეკუთვნებით ცხოველთა სამყაროს და მხოლოდ აღზრდა-განათლებლით ვხდებით ადამიანები“.

აღზრდას დიდი ხნის ისტორია აქვს. აღზრდა როგორც მოვლენა „ჰომო საპიენსის“ დროსაც არსებობდა, მაგრამ, როგორც აღზრდა, თეორია გვიან გაჩნდა.

აღზრდის პირველი საფეხური ეს არის უფროს ადამიანებზე დაკვირვებით მოზრდილები იძენენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რომლითაც მათ უვითარდება აზროვნება, უყალიბდება გარკვეული კულტურა. ამდენად, ამ პერიოდში მათი პირველი მასწავლებელი თავად ადამიანია. ეს პროცესი ძალიან კარგად არის ნაჩვენები ქარჩხაძის „იგი“-თ.

მიღებული ცოდნა გადაეცემოდა მომავალ თაობას. იქმნებოდა და ყალიბდებოდა ცხოვრების ტრადიციები, ადამიანი, წესი. ამ დროს შრომა, აზროვნება და მეტყველება ერთად არსებობს. ასევე გვიან ჩნდება მასწავლებელი, როგორც პროფესია.

აღზრდის თეორიის შექმნას დიდი დრო დასჭირდა. ყველაზე მთავარი კი იყო თავად ადამიანის შესწავლა.

პირველ მასწავლებლად სოკრატე ითვლება, რომელიც ცხოვრობდა ძველ ათენში და სთხოვდა ყველას ესაუბრათ ადამიანურ პრობლემებზე, სიყვარულზე, სიკეთეზე, მიტევებაზე. ეს საუბრები არ იყო ჩვეულებრივი. აქ იყო კამათი და როცა ჭეშმარიტებას მიაღწევდნენ დაიძახებდნენ „ვერიკა“, რომელიც საფუძვლად დაედო ევრისტიკულ სწავლების მეთოდს.

სოკრატემ კაცობრიობას დააწყებინა აზროვნება და საფუძველი დაუდო ცნებას. სოკრატე ამისათვის დასაჯეს, მაგრამ მან თავისი საქმე გააკეთა. სოკრატე ერთმანეთისაგან ანსხვავებდა ცოდნას და ნამდვილ ცოდნას.

ძალიან საინტერესო ნათქვამია ჰერაკლიტესი: „მე ვეძებდი ჩემსავე თავს“.

ხოლო ადამიანის ყოველმხრივი შესწავლის ამოცანა დემოკრიტეს ეკუთვნის.

ასევე საინტერესოა სოფისტების შეხედულებები აღზრდის შესახებ. სოფისტებმა ადამიანი დაუკავშირეს კულტურას. აღსანიშნავია ისიც, რომ სოფისტები იყვნენ მოხეტიალე მასწავლებლები.

პლატონის მიხედვით ადამიანში არის ორი საწყისი, კეთილი და ბოროტი და მოზარდი უნდა ავლზარდოთ ისე, რომ მან შეძლოს ბოროტების დაგმობა და სიკეთის ქმნა. არისტოტელე იყო პლატონის მოსწავლე. ის სწავლობდა ოცი წლის განმავლობაში პლატონის აკადემიაში. არისტოტელე იყო ალექსანდრე მაკედონელის აღმზრდელი.

შემდგომ მან დააარსა ლიცეუმი და თავის სახლში პირველი ბიბლიოთეკა გახსნა.

არისტოტელეს შეხედულებები ადამიანის აღზრდის შესახებ მოცემული აქვს მას ნაშრომში „დიდი ეთიკა“. მან ადამიანს „პოლიტიკური ცხოველი“ უწოდა. ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თავისუფლებას და განსაკუთრებით არჩევანის თავისუფლებას. ადამიანი მას მიაჩნდა გონიერ არსებად. ჩვენთვის ასევე საინტერესოა ავრელიუსის



შეხედულებები ადამიანის აღზრდაზე. ეს მან მოგვცა თავის ფილოსოფიურ ტრაქტატში „ფიქრები“, სადაც ნათქვამია, რომ ადამიანმა უნდა იცხოვროს ზნეობრივად: „ყველაფერი აკეთე, ყველაფერზე იფიქრე და იმსჯელე ისე, თითქოს ყოველ წამს მოელოდე, რომ ეს წამის წარხდება და დასრულდება შენი სიცოცხლე“.

ანტიკურ საზოგადოებაში აღზრდა იღებს კლასობრივ ხასიათს. ცნობილია გიმნასტი, რომელშიც გაერთიანებულია სხეულებრივი და სულიერი ჰარმონია. ამ დროს მოხდა ფიზიკური შრომის და გონებრივი შრომის გაყოფა ერთმანეთისაგან. ამ დროს აუცილებელი გახდა განათლებული ადამიანის აუცილებლობა, რომელსაც შეეძლებოდა რიტორიკა, ანუ აქვს ცოდნა და შეუძლია მისი სხვებისათვის გადაცემა და ჩნდება ორატორები. განათლება უკვე ხდება პრივილეგირებული და იგი მდიდარი ადამიანის საკუთრება გახდა.

შუა საუკუნეებში ხდება ცვლილებები საზოგადოებრივ ცხოვრებაში და, რა თქმა უნდა, ეს გამოიხატა აღზრდის და განათლების სისტემაში. იქმნებოდა ახალი აღზრდის აუცილებლობა. ეს არის ინტელექტუალურად და სულიერად განათლებული პიროვნების აღზრდა. უკვე საჭირო გახდა მცოდნე ადამიანი, რომელსაც შესწევს უნარი ასწავლოს, აღზარდოს მოზარდი თაობა.

განსაკუთრებით უნდა შევხვთ იმას, რომ აღზრდას საზოგადოების ყველა ეტაპზე ავტორიტარული ხასიათი ჰქონდა, რომელიც, სამწუხაროდ, დღესაც იჩენს თავს.

ჯონ ლევი თვლიდა, რომ ბავშვი „სუფთა დაფა“ და ის მთლიანად არის აღზრდის და განათლების შედეგი. იგი უარყოფს მემკვიდრეობას. ავტორიტარული პედაგოგიკის წინააღმდეგ ერთ-ერთმა გაილაშქრა ჟან-ჟაკ რუსომ, რომლის მთავარი მოთხოვნა იყო ბავშვის პიროვნების პატივისცემა.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აღზრდის საკითხებს ქართულ პედაგოგიურ აზროვნებაში. ეს იწყება იოანე პეტრიწის, არჩილ მეორის, სულხან-საბა ორბელიანის, ვახტანგ მეექვსის, დავით გურამიშვილის და სხვების მოღვაწეობით.

### ლიტერატურა

1. ნ.ვასაძე „პედაგოგიკის ისტორია“.
2. ი.ჭავჭავაძე თხზ. ტ მე-5
3. დიმიტრი უზნაძე „ზოგადი ფსიქოლოგია“.
4. რ.ბალანჩივაძე „ანთროპოლოგიური პედაგოგიკა“.

Nino Sokhadze

**Adolescents and society****Abstract**

In the paper I touched on such a painful and necessary issue as upbringing, adolescence and society.

The issue of upbringing occupies a special place in Georgian pedagogical thinking. It starts with Georgian folk pedagogy and ends with modernity.

The merit of the Georgian chronicle writers in the formation of the Georgian national consciousness is also important.

If not Georgian thinking in the 60-s of the nineteenth century , Georgia would probably not be what we have today. There was not a single issue related to the country, culture, education, so that he does not think, care and do not decide this issue based on the goals of the country and the people.

“We belonged to ourselves” said Georgian chronicle writers and they really brought freedom back to the nation. All this continued in the Georgian society. In his morals, intellect and this power lives my country so weak today.

When we talk about upbringing, we attach great importance to moral upbringing. This is the same morality or how a person should live.

We must raise a generation that will be national, moral and the same time respect world culture and consciousness.

Georgian society has never been so disintegrated, unintelligent, of low value as it is today and it is unfortunate that the next generation is watching it.

**Key words:** upbringing, adolescence and society.

რეკვენზენტი: პროფესორი ო.გუსევა

მეთოდოლოგია Methodic of Teaching

**კრიტიკული აზროვნების განვითარების მნიშვნელობა და  
სტრატეგიები საბაკალავრო საფეხურის აკადემიური წერის  
კურსის ფარგლებში**

**ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: ketevan.gochitashvili@tsu.ge

კრიტიკული აზროვნება რთული ფენომენია, რომელიც ეხმარება შემსწავლელს გამიჯნოს რელევანტური ინფორმაცია არარელევანტური და არასაჭირო ინფორმაციისაგან, რათა შეაფასოს და ახსნას მოვლენები, კრიტიკულად, ობიექტურად ჩამოაყალიბოს ცხადი არგუმენტი, მიაწოდოს სწორი გზავნილი სამიზნე აუდიტორიას და იპოვოს პრობლემის გადაწყვეტის გზები. კრიტიკული აზროვნება უშუალოდ უკავშირდება აკადემიური წერის სწავლებას და არის ტრანსფერული უნარი, რომელიც სტუდენტებს სხვა სასწავლო კურსების წარმატებით დაძლევისა და შემდგომში პროფესიულ საქმიანობაში ეხმარება. ნაშრომის მიზანია იმ გამოწვევებისა და პრობლემების გამოვლენა, რომელთა წინაშეც ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში დგას როგორც ლექტორი, ისე სტუდენტი აკადემიური წერის სწავლა/სწავლების პროცესში კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ნაშრომში შემოთავაზებულია ამოცანების გადაჭრის საშუალებები და კონკრეტული აქტივობები. ნაშრომი სთავაზობს მასწავლებლებს ძირითად სტრატეგიებსა და ტექნიკებს, რომელთა გამოყენებაც შეიძლება სასწავლო პროცესში კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. ნაშრომში გამოყენებულია შემდეგი კვლევის მეთოდები: კითხვარები და საკლასო დაკვირვება.

კვლევის შეზღუდვებად შეიძლება დასახელდეს შემდეგი ფაქტორები: სტუდენტთა შედარებით მცირე რაოდენობა; კვლევა განხორციელდა მხოლოდ ერთი სემესტრის განმავლობაში.

კითხვარების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ სტუდენტებისთვის პრობლემად რჩება კრიტიკულ აზროვნებასა და წერასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები: ობიექტური კრიტიკული აზრის ჩამოყალიბების უნარის ნაკლებობა, წყაროების სანდოობის დადგენა, ძირითადი დებულების/საკვლევი შეკითხვების ჩამოყალიბება, განზოგადება, მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამიჯვნა და ძირითად საკითხზე კონცენტრირება, წინასწარი ვარაუდების გამოთქმა და ლოგიკური თანმიმდევრული დასკვნების გამოტანა და ჩამოყალიბება.

ნაშრომში შემოთავაზებულია კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის განკუთვნილი კონკრეტული აქტივობები და შეკითხვები, რომლებიც ტექსტის ან ინფორმაციის დასამუშავებლადაა საჭირო.

**საკვანძო სიტყვები:** კრიტიკული აზროვნება, აკადემიური წერა, კვლევა, სწავლების მეთოდები, სწავლების სტრატეგიები

კრიტიკული აზროვნება რთული კოგნიტური პროცესია, რომელიც მოითხოვს ისეთ უნარებს, როგორებიცაა: ინფორმაციაზე დაკვირვება და მისი კატეგორიზება, ობიექტური ანალიზი და პრობლემის, ინფორმაციის, კვლევის შედეგების, ტექსტების ობიექტური ანალიზი და შეფასება. კრიტიკული აზროვნების საშუალებით ადამიანს უვითარდება უნარი, იდენტიფიცირება გაუკეთოს თავისი მიზნისათვის რელევანტურ და საჭირო ინფორმაციას და გამიჯნოს იგი არარელევანტური და არასაჭირო ინფორმაციისაგან, რათა შეაფასოს და ახსნას მოვლენები, კრიტიკულად, ობიექტურად ჩამოაყალიბოს ცხადი არგუმენტი, მიაწოდოს სწორი გზავნილი სამიზნე აუდიტორიას და იპოვოს პრობლემის გადაწყვეტის გზები.

აკადემიურ სივრცეში კრიტიკული აზროვნების განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. კრიტიკული აზროვნება, ერთი მხრივ, აკადემიური წერის საფუძველია, ხოლო, მეორე მხრივ, ის არის ტრანსფერული უნარი, რომელიც სტუდენტებს სხვა სასწავლო კურსების წარმატებით დაძლევისა და შემდგომში პროფესიულ საქმიანობაში ეხმარება. აკადემიური წერა სავალდებულო კურსია ბაკალავრიატის დონეზე ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. ქართული უნივერსიტეტების უმრავლესობაში, როგორც წესი, აკადემიური კურსის მიზნები და ამოცანები მოიცავს შემდეგს: აკადემიური წერის უნარების განვითარება; სტუდენტების ლოგიკური აზროვნებისა და ლოგიკური მსჯელობის ჩამოყალიბების უნარების განვითარება; კვლევის უნარების განვითარება; კრიტიკული აზროვნებისა და წერის უნარების განვითარება. აკადემიური წერის კურსის მიზანია, სტუდენტებმა შეძლონ პრობლემის იდენტიფიცირება, შეფასება, მისი გადაჭრის გზების მოძიება, თანმიმდევრული წერილობითი ტექსტის შექმნა

აკადემიურ სივრცეში დამკვიდრებული წესებისა და პრინციპების მიხედვით. ზემოაღნიშნული კი თავისთავად მოითხოვს კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

ნაშრომი მიზნად ისახავს, გამოავლინოს ის გამოწვევები და პრობლემები, რომელთა წინაშეც ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში დგას როგორც ლექტორი, ისე სტუდენტი აკადემიური წერის სწავლა/სწავლების პროცესში კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, კვლევის მიზანია, ამ ამოცანების გადაჭრის საშუალებებისა და კონკრეტული აქტივობების შეთავაზება. შედეგად, ნაშრომი სთავაზობს მასწავლებლებს ძირითად სტრატეგიებსა და ტექნიკებს, რომელთა გამოყენებაც შეიძლება სასწავლო პროცესში კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

ნაშრომში გამოყენებულია შემდეგი კვლევის მეთოდები: კითხვარები და საკლასო დაკვირვება.

კვლევის შეზღუდვებად შეიძლება დასახელდეს შემდეგი ფაქტორები: კვლევა განხორციელდა მხოლოდ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე და მასში მონაწილეობა მიიღო 30-მა სტუდენტმა. გარდა ამისა, დაკვირვება წარმოებდა მხოლოდ ერთი სემესტრის განმავლობაში. აღნიშნული შეზღუდვები ხელს უშლის შედეგების განზოგადებას და სიღრმისეული დასკვნების გამოტანას, რაც, ბუნებრივია, მოითხოვს შემდგომი კვლევების ჩატარებასა და სამიზნე ჯგუფის გაფართოებას.

ნაშრომის პირველ ნაწილში წარმოდგენილია სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა, გამოკვეთილია თეორიული ჩარჩო, ხოლო მეორე ნაწილში - სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები და მათი ანალიზი. ნაშრომის ბოლო ნაწილში მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები და პრობლემის გადაჭრის გზები.

კრიტიკული აზროვნების გადამწყვეტ როლზე თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი ავტორი მიუთითებს. არსებობს მოსაზრება, რომ თანამედროვე სწრაფად ცვალებად სამყაროში სწორედ ეს უნარია გადამწყვეტი, რათა სტუდენტმა დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები და გააკეთოს გააზრებული და სწორი არჩევანი სამსახურებრივ და პირად საკითხებთან დაკავშირებით [კარაკოცი, 2016 : 81-84].

სამეცნიერო ლიტერატურაში კრიტიკული აზროვნების არაერთი განმარტება არსებობს. როჰმანისა და ინდაჰის დეფინიციის მიხედვით ლაკონურადაა წარმოდგენილი კრიტიკული აზროვნების ძირითადი მახასიათებლები, რომლებსაც ჩვენც ვეთანხმებით, რადგან მასში ხაზგასმულია ყველა ის ძირითადი პირობა, რომლებიც კრიტიკულად მოაზროვნეს მოეთხოვება, კერძოდ, ანალიზი, შეფასება, ნაკლისა და ღირსების ობიექტურად გამოვლენა [როჰმანი და ინდაჰი, 2017: 230]. შესაძლოა ჩამონათვალი გაფართოვდეს და დაემატოს ინფორმაციის ადეკვატურად დამუშავება

და საკუთარი პოზიციის ცხადად ჩამოყალიბება და დაცვა სათანადო არგუმენტებითა და მსჯელობით. ამასთანავე, კრიტიკულად მოაზროვნეები არ შემოიფარგლებიან მხოლოდ იმ ინფორმაციით, რომელიც ისწავლეს, ისინი არ არიან ორიენტირებულები მხოლოდ ცოდნის დაგროვებაზე, არამედ ამუშავებენ და აანალიზებენ ინფორმაციას, ნათლად აყალიბებენ მიზნებსა და ამოცანებს. ასევე, ცხრილავენ გაურკვეველ, არაადეკვატურ, არარეალისტურ და არათანმიმდევრულ საკითხებს [პაული და ელდერი, 2007].

საუნივერსიტეტო დონეზე კრიტიკული აზროვნების უნარი გულისხმობს ისეთი უნარ-ჩვევების გამოყენების უნარს, როგორებიცაა: შერჩევა, შეფასება, ანალიზი, ვარაუდებისა და დასკვნების გაკეთება [ტაპერი, 2004]. ამავე მოსაზრებას მხარს უჭერს ლ. ტსუი, რომელიც მიიჩნევს, რომ სტუდენტის კრიტიკული აზროვნება მუდგანდება მის შესაძლებლობაში, ამოიცნოს და გამიჯნოს პრობლემა და ვარაუდები, მნიშვნელოვანი კავშირ-ურთიერთობები, გამოთქვას სწორი ვარაუდები, შეაფასოს მტკიცებულებები (მონაცემები, ფაქტები) ან წყაროები და გამოიტანოს დასკვნები [ტსუი, 2002].

ზოგადად, საუნივერსიტეტო განათლების ერთ-ერთი უმთავრესი მისია, დარგობრივ კომპეტენციების ჩამოყალიბებასთან ერთად, სტუდენტის კრიტიკული აზროვნების განვითარება უნდა იყოს. აკადემიური წერა კი ერთ-ერთი იმ დისციპლინათაგანია, რომელიც კარგ შესაძლებლობას იძლევა ამ უნარის გასავითარებლად, რადგან, მისი შინაარსიდან გამომდინარე, სტუდენტისაგან მოითხოვს მრავალ აქტივობას, რომლებიც განსხვავებული შინაარსისა და ჟანრის ტექსტებისა და ინფორმაციის დამუშავებისა და მათზე რეფლექსიისათვისაა საჭირო.

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი ნაშრომი ეძღვნება კრიტიკული აზროვნებისა და აკადემიური წერის ინტეგრაციის საკითხს. მაგალითად, დაუდი (2012) აღნიშნავს, რომ „აკადემიური წერა იძლევა შესაძლებლობას, რომ სტუდენტს განუვითარდეს კრიტიკული აზროვნება, რადგან ის მოითხოვს კონკრეტული მოსაზრებების გაზიარებას კონკრეტული აუდიტორიისათვის [დაუდი, 2012: 21-22].

დრაიბრუგი (2019) გამოყოფს კრიტიკული აზროვნების ოთხ ძირითად კომპონენტს, კერძოდ: გაგება, ანალიზი, შეფასება და შექმნა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება წერის პროცესს (გვ. 82). კრიტიკული აზროვნებისა და აკადემიური წერის კავშირთან დაკავშირებით საინტერესოა დასბენდერის (2011) მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც, სტუდენტს ამ კურსის შესწავლის ფარგლებში უფართოვდება თვალსაწიერი. იგი მხოლოდ პირადი პერსპექტივიდან აღარ აფასებს მოვლენებსა და საგნებს, არამედ უფრო ზოგად, უნივერსალურ შეხედულებით ოპერირებს. აქვე დავამატებთ, რომ სტუდენტებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ პროფესიული

კომპეტენციების ზრდასთან ერთად სწავლების უფრო მაღალ საფეხურზე მათი არგუმენტაცია და მსჯელობა უფრო მეტად ეფუძნება პროფესიულ ინფორმაციასა და შინაარსს.

პოლი და ედერი (2007) განიხილავენ კრიტიკული აზროვნებისა და აკადემიური წერის კავშირის შედეგებს. ავტორები გამოყოფენ რამდენიმე ძირითად შედეგს: 1. მოსწავლეებს შეუძლიათ ჩამოაყალიბონ, შეიმუშაონ და აჩვენონ რა არის ცნება. 2. სტუდენტები წარმოადგენენ შემდეგ განსხვავებებს: თეორიებს, პრინციპებს, განმარტებებს, კანონებსა და აქსიომებს შორის. 3. სტუდენტები განსაზღვრავენ საკვანძო სიტყვებისა და ფრაზების გამოყენების არეები. 4. სტუდენტებს შეუძლიათ ზუსტად განმარტონ მათ მიერ გამოყენებული ძირითადი სიტყვებისა და ფრაზების შედეგები. 5. სტუდენტები გამიჯნავენ მათი მიზნისათვის შეუსაბამო ცნებებსა და იდეებს. 6. სტუდენტები გააზრებულად იყენებენ ცნებებს. 7. სტუდენტები აანალიზებენ სხვადასხვა კონცეფციას.

ნაშრომში თეორიულ ჩარჩოდ აღებულია ზემოთ ხსენებული მიდგომები და მოცემულია თითოეული შედეგის მისაღწევი ამოცანები და აქტივობები. თუმცა, გარდა ჩამოთვლილი შედეგებისა, ასევე, ვამატებთ შემდეგ შედეგებს: 1. საკუთარი პოზიციის დასაბუთებულად წარმოჩენა; 2. საკუთარი პოზიციისა და სხვათა მოსაზრებების მკაფიოდ გამიჯვნა, მსგავსებებისა და განსხვავებების გამოვლენა; 3. არგუმენტირების, კრიტიკული შეფასების, სათანადო წერილობითი მასალის დამუშავებისა და ანალიზის შედეგად ლოგიკური დასკვნის (შეჯამების) ჩამოყალიბების უნარი; 4. შესწავლილ მასალასა და გამოტანილ დასკვნებზე დაყრდნობით პრობლემის გადაჭრის/გადაწყვეტილების მიღების უნარი. 5. მიღებულ დასკვნებსა და შედეგებზე დაყრდნობით სამომავლო პერსპექტივების დასახვის უნარი. ნაშრომში, ასევე, წარმოდგენილია და გაანალიზებულია ამ დამატებითი შედეგების მისაღწევი გზები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, წერილობითი ნაშრომის შექმნის დროს სტუდენტმა გაითვალისწინოს შემდეგი მოთხოვნები: ნაშრომში აუცილებელია მნიშვნელოვანი იდეების არა მხოლოდ წარმოდგენა, არამედ შეფასებაც, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა. ავტორი არა მხოლოდ უნდა დაეთანხმოს ამა თუ იმ იდეას, არამედ უნდა მოიყვანოს სათანადო არგუმენტები და ახსნა-განმარტებები. გარდა ამისა, ავტორმა უნდა გადმოსცეს, თუ რა რჩება განსახილველ ინფორმაციაში გაურკვეველი და რატომ. ასევე, მნიშვნელოვანია, სტუდენტმა გამოიყენოს სათანადო სტრატეგიები თავისი დამოკიდებულებისა და იდეების გადმოცემის დროს. ასევე, უნდა გამოიყენოს ადეკვატური ენა და ჟანრი. აუცილებელია ნაშრომი იყოს სტრუქტურულად გამართული. არგუმენტად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა ტექსტი, მაგალითად, ესე, მოთხრობა, რომლებიც მხარს უჭერს და აძლიერებს ავტორის იდეებს. დაბოლოს, აუცილებელია საკუთარი პოზიციის და ორიგინალური იდეების განვრცობა და წარმოჩენა [დასბენდერი, 2011].

კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის ჩამოთვლილი დებულებებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადეკვატური არგუმენტებისა და ახსნა-განმარტებების მოყვანა და სხვების მოსაზრებების ობიექტური და კრიტიკული შეფასება და ამა თუ იმ პოზიციის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენა. აკადემიური წერის სწავლების პროცესში სწორედ ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს უნდა მიაქციოს მასწავლებელმა ყურადღება და დაწეროს შესაბამისი აქტივობები. ნაშრომში განხილულია და წარმოდგენილია სწორედ ამ ტიპის აქტივობები.

სამეცნიერო ლიტერატურაში, ასევე, აღნიშნულია, რომ კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის არსებობს კონკრეტული გზები და სტრატეგიები. დ. ტერის მიაჩნია, მაღალი სააზროვნო დონის შეკითხვების სწორად დასმა, ავთენტური კვლევები და მუშაობა პატარა ჯგუფებში ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას [ტერი, 2012]. ამავე თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ვან გელდერის მოსაზრება, რომლის თანახმადაც, სტუდენტებს იმგვარი დავალებები უნდა შევთავაზოთ, რომ შეძლონ პრობლემის შესახებ ჰიპოთეზის გამოთქმა, მსჯელობა, განზოგადება, მათზე დაყრდნობით მოსაზრებების ჩამოყალიბება და პრობლემების გადაჭრა [გელდერი, 2005].

ნაშრომის წინამდებარე ქვეთავში განხილულია კითხვარების შედეგები. გამოვლინდა, რომ **სტუდენტებისთვის პრობლემად რჩება კრიტიკულ აზროვნებასა და წერასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები: ობიექტური კრიტიკული აზრის ჩამოყალიბების უნარის ნაკლებობა, წყაროების სანდოობის დადგენა, ძირითადი დებულების/საკვლევი შეკითხვების ჩამოყალიბება, განზოგადება, მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამიჯვნა და ძირითად საკითხზე კონცენტრირება, წინასწარი ვარაუდების გამოთქმა და ლოგიკური თანმიმდევრული დასკვნების გამოტანა და ჩამოყალიბება. შეკითხვაზე რას ნიშნავს კრიტიკული აზროვნება, რესპონდენტთა უმეტესობამ გასცა ბუნდოვანი და გაურკვეველი პასუხი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ საჭიროა უფრო მეტი მუშაობა, რათა სტუდენტებმა კარგად გაიაზრონ კრიტიკული აზროვნების არსი და მნიშვნელობა როგორც აკადემიური წერის პროცესში, ისე ნებისმიერი ტიპის მსჯელობის აგებისას. შემდეგი შეკითხვა შეეხებოდა წერილობითი ტექსტის ჯგუფურად შექმნის შესაძლებლობას, რაც, სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტივობაა კრიტიკული აზროვნების განსავითარებლად. სტუდენტების პასუხებმა გვიჩვენა, რომ რესპონდენტთა უმეტესობისთვის ჯგუფური მუშაობა მისაღები ფორმაა, თუმცა კრიტიკული აზროვნების განვითარებასთან კავშირი ნაკლებად იყო ხაზგასმული.**

მესამე შეკითხვა მრავლობითი არჩევანის შესაძლებლობას იძლეოდა და სტუდენტებს შეთავაზებული ჩამონათვალიდან უნდა აერჩიათ წერის პროცესში ყველაზე რთულად შესასრულებელი აქტივობა. გამოიკვეთა შემდეგი ზოგადი ტენდენცია: სტუდენტებისთვის



ყველაზე რთული ამოცანა გამოდგა ობიექტური, ძლიერი არგუმენტების მოძიება და მოყვანა, ობიექტური კრიტიკული აზრის ჩამოყალიბება, წყაროების სანდოობის დადგენა და წინასწარი ვარაუდების გამოთქმა.

მეოთხე შეკითხვა შეეხებოდა წერის მოსამზადებელ ეტაპს და სტუდენტებს უნდა ესაუბრათ იმაზე, თუ რა იყო მათთვის ყველაზე რთული წერის მოსამზადებელ ეტაპზე კვლევის ჩატარების პროცესში. როგორც პასუხების ანალიზმა გვიჩვენა, სტუდენტებს შედარებით გაუჭირდათ რელევანტური პასუხების გაცემა, რაც იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად აქვთ მათ გააზრებული წერის მოსამზადებელი ეტაპისა და კვლევის ჩატარების ფორმა და შესაბამისი აქტივობები, მათი მნიშვნელობა და არსი.

პრობლემური აღმოჩნდა, ასევე, შემდეგი შეკითხვა: რა ტიპის თეორიულ ლიტერატურასა და ემპირიულ წყაროებს იყენებთ წერილობითი ტექსტის შექმნისას? სტუდენტთა პასუხები იყო შედარებით ზოგადი; როგორც აღმოჩნდა, ზოგიერთი მათგანი იყენებს არასანდო წყაროებს, მათ შორის ისეთებსაც, რომელთა შესახებაც მათ ლექციაზე უკვე ჰქონდათ შესაბამისი ინფორმაცია მიღებული.

ნაშრომის შემდეგ ნაწილში შემოთავაზებულია აქტივობები, რომლებიც დაეხმარება მასწავლებლებს აღნიშნული პრობლემების მოგვარებასა და სტუდენტებთან მუშაობის პროცესში.

#### **კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის განკუთვნილი აქტივობები:**

**კრიტიკული არგუმენტის ჩამოყალიბება:** პირველ ეტაპზე სტუდენტები უნდა ვამუშაოთ ტექსტში არგუმენტების მოძიებასა და ანალიზზე. სააზროვნო შეკითხვების დასმა და მათზე პასუხების მოძებნა აკადემიურ ტექსტებში, სუსტი და ძლიერი არგუმენტების გამოვლენა და მათ მახასიათებლებზე მუშაობა, სუსტი არგუმენტის ძლიერ არგუმენტად ქცევის ხერხები.

ობიექტური და სუბიექტური არგუმენტი და მათი ანალიზი. შეთავაზებული თეზისების/ძირითადი დებულებებისა და არგუმენტების დაკავშირება. არგუმენტების შექმნა მოცემული თეზისის მიხედვით და მსჯელობის გამართვა არგუმენტებზე დაყრდნობით. საბოლოო ტექსტის შექმნა.

#### **ტექსტისა და მონაცემების ანალიზი:**

სხვადასხვა ტიპის ტექსტების მომზადება, პარალელების დაძებნა მონაცემებს, პერსპექტივებს შორის. ტექსტის ანალიზი კრიტიკული ანალიტიკური მიდგომით. ტექსტის ძირითადი იდეის გამოვლენა და ანალიზი. მისი ფორმულირება წერილობით. ტექსტის ანალიზი 5W და H (ე.წ. „ჟურნალისტის შეკითხვების) შეკითხვების მიხედვით. ტექსტის ლოგიკური თანმიმდევრულობის შეფასება. ტექსტის ძირითადი დეტალების გამოვლენა და ანალიზი. სტუდენტის პოზიციისა და მიდგომის გამოხატვა ობიექტური მსჯელობისა და სუბიექტური

დამოკიდებულების გააზრების აუცილებლობა. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ პირადი პოზიციაც უნდა ჩამოყალიბდეს მხოლოდ წყაროების შესწავლის, ფაქტების გაანალიზებისა და გარკვეულ არსებულ ცოდნაზე დაფუძნებით, სათანადო ობიექტური არგუმენტების მოშველიებით. მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბება და წარმოჩენა. იმ შემთხვევაში, თუ პოზიცია არ არის გამყარებული სათანადო არგუმენტებით, დამოკიდებულება იქნება მიკერძოებული, მკვეთრად სუბიექტური და მისი გაზომვის ობიექტური საშუალებები არ იქნება წარმოდგენილი. გარდა ამისა, აუცილებელია სტუდენტმა შეძლოს პარალელების მოძიება და ტექსტის/მტკიცებულების/მოყვანილი არგუმენტების ძლიერ და სუსტ მხარეებზე მსჯელობა და ანალიზი. დაბოლოს, აუცილებელია სტუდენტების შეფასებების წერილობითი ფორმით ჩამოყალიბება.

#### **სხვადასხვა მეთოდის გამოყენება აკადემიური წერის სწავლების პროცესში:**

თანამშრომლობითი წერა; პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული წერა; რეცენზირება;

#### **სხვადასხვა ტიპის ტექსტზე მუშაობა:**

რეცენზია, არგუმენტირებული ესე, რეფერატი, ტექსტის ანალიზი, დასკვნის შექმნა, შეფასებითი და ანალიტიკური ტექსტის შექმნა.

#### **კვლევის ჩატარება:**

სანდო თეორიული ლიტერატურის მოძიება, გასაანალიზებელი წყაროების მოძიება, კატეგორიზება, ძირითადი და მხარდაჭერი იდეების მოძიება, ინფორმაციის შეფასება, საკვლევ შეკითხვასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვება, წყაროების სანდოობის იდენტიფიცირება, ვარაუდების გამოთქმა, ობიექტური და კრიტიკული შეფასება, განსხვავებული მონაცემების შეპირისპირება/შედარება, დასკვნების გამოტანა, მონაცემებზე კულტურული, სოციალური, ისტორიული გავლენების ანალიზი, საკუთარი პოზიციის გამოხატვა.

#### **მოსამზადებელი სამუშაოები:**

წინასწარი ზოგადი დისკუსია, წინასწარი ვარაუდების ჩამოყალიბება, განსხვავებული იდეებისა და მოსაზრებების წახალისება, გონებრივი იერიშისა და გონებრივი რუკების გამოყენება, სამუშაო ჯგუფებად დაყოფა და ჯგუფებში საკითხი წინასწარი მუშაობა იდეების გაზიარების მიზნით. განსახილველ საკითხზე კონკრეტული დისკუსიის წარმართვა.

#### **წერის შემდგომი აქტივობები:**

თვითშეფასება, ერთმანეთის შეფასება, შეცდომების აღმოჩენა და მათ გამოსწორებაზე მუშაობა, ნაწერების განხილვა.

აქვე გთავაზობთ კითხვებს, რომლებიც დაეხმარება მასწავლებლებს კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებაში საკლასო აქტივობების დროს: როგორია თქვენი

დამოკიდებულება ინფორმაციის/მოვლენის/ფაქტის /საკითხის/პრობლემის მიმართ და რას ეყრდნობა თქვენი პოზიცია? რა ძირითად წყაროებს იყენებს ავტორი? ინფორმაციის რომელი ნაწილი არის ყველაზე მნიშვნელოვანი და რატომ ფიქრობთ ასე? რა ფაქტორები ახდენს გავლენას ინფორმაციის/მოვლენის/ფაქტის/საკითხის/ პრობლემაზე და რას ეყრდნობა თქვენი მოსაზრება? რამდენად მნიშვნელოვანია ინფორმაციის/მოვლენის/ფაქტის/საკითხის/ პრობლემა ისტორიული, სოციალური და კულტურული და ეკონომიკური თვალსაზრისით? იძლევა თუ არა ინფორმაციის/მოვლენის/ფაქტის/საკითხის/ პრობლემა განზოგადების საშუალებას თუ ერთი ლოკალური და ვიწრო პრობლემაა? რა არის ინფორმაციის/ მოვლენის/ფაქტის/საკითხის/ პრობლემის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები და რატომ ფიქრობთ ასე? რა ტიპის კულტურულ-ეკონომიკურ, ისტორიულ და სოციალური ინფორმაციაა მოცემული წარმოდგენილ ტექსტში/წყაროებში? რა შედეგები ჰქონდა ან შეიძლება ჰქონდეს ინფორმაციის/მოვლენის /ფაქტს/-საკითხს/ პრობლემას? რა ტიპის გავლენა ჰქონდა ან შეიძლება ჰქონდეს ინფორმაციის/მოვლენას /ფაქტს/საკითხს/პრობლემას საზოგადოებაზე, რეგიონზე, ქვეყანაზე, მსოფლიოზე და რას ეყრდნობა თქვენი მოსაზრება? რა იყო წინაპირობები აქვს ინფორმაციას/მოვლენას/ფაქტს/საკითხს/პრობლემას და რა გაძლევთ ამის თქმის საშუალებას? რა დასკვნების გამოტანა შეიძლება და რა გამოცდილების მიღება შეიძლება აღნიშნული ინფორმაციის/მოვლენის/ფაქტის/საკითხის/პრობლემის გაანალიზების შედეგად? ღირს თუ არა ინფორმაციის/მოვლენის/ფაქტის/საკითხის/პრობლემის სხვებისთვის გაზიარება? რის თქმის საშუალებას გვაძლევს ინფორმაციის/მოვლენის/ფაქტის/საკითხის/ პრობლემის ანალიზი?

აღნიშნული მიდგომებისა და მეთოდების გამოყენება კურსის მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპზე უნდა გააქტიურდეს. მასწავლებელმა წინასწარ უნდა შეიმუშაოს და დაგეგმოს, თუ რა ტიპის აქტივობას გამოიყენებს აკადემიური წერის სწავლების პროცესში კრიტიკული აზროვნების განვითარების მიზნით. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ კრიტიკული აზროვნების განმავითარებელი აქტივობები უნდა ერწყმოდეს აკადემიური წერით გათვალისწინებულ ყველა დავალებასა და აქტივობას თემატიკის მიხედვით. როდესაც სტუდენტი წერს ვრცელ ესეს, მან უნდა მოიძიოს თეორიული და ემპირიული მასალა. ამ პროცესში სტუდენტმა უნდა აითვისოს წყაროებზე მუშაობის ტექნიკები, წყაროების სანდოობისა და მათი მიზანთან რელევანტურობისა და შესაბამისობის დადგენის კრიტერიუმები. გარდა ამისა, სტუდენტმა უნდა შეძლოს დიდი მოცულობის მასალის დამუშავება, მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამოჯვნა, სხვათა მოსაზრებებისა და მოძიებული ინფორმაციის პერიფრაზირება და საკუთარ ტექსტში ინტეგრირება აკადემიური ნორმების

გათვალისწინებით. გარდა ამისა, სტუდენტმა უნდა შეძლოს მოძიებული მასალის შეფასება და საკუთარი პოზიციის წარმოჩენა და არგუმენტირება.

რაც შეეხება კრიტიკული აზროვნების მიდგომების ინტეგრირებას საბაკალავრო დონეზე სამეცნიერო კვლევითი ნაშრომის შექმნის პროცესში, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია სტუდენტმა იცოდეს სამეცნიერო ნაშრომის თემის სწორად შერჩევა, რამდენადაა შესაძლებელი აღნიშნულ საკითხზე კვლევის ჩატარება, სიახლის წარმოჩენა იმისათვის, რომ კვლევითი ნაშრომი არ დაემსგავსოს რეფერატს და არ ჰქონდეს საინფორმაციო ხასიათი. გარდა ამისა, სამეცნიერო ნაშრომის შექმნის დროს სტუდენტებს უნდა ვასწავლოთ, რომ მათ არა მხოლოდ უნდა შეაგროვონ ინფორმაცია და სხვადასხვა მეცნიერთა მოსაზრებები, არამედ უნდა წარმოაჩინონ თავიანთი დამოკიდებულებაც, შეფასებაც და, შესაბამისად, გვიჩვენონ, გარკვეული სიახლე.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

Gelder T. - Teaching critical thinking: Some lessons from cognitive science. *College Teaching*, 53, 41-46. 2005.

DasBender, G. - Critical Thinking in College Writing: From the Personal to the Academic Writing Spaces: Readings on Writing, Volume 2, 2017.

Daud Nor Shidrah Binti Mat - Developing critical thinking skills in tertiary academic writing through the use of an instructional rubric for peer evaluation. 2012.

Drybrough Andrew Gordon - Conceptualisations of critical thinking in academic writing at a master's level, PhD Thesis. 2019.

Indah R. - Critical Thinking, Writing Performance and Topic Familiarity of Indonesian EFL Learners. *Journal of Language Teaching and Research* 8(2):229, 2017.

Karakoc, M., - The significance of critical thinking ability in terms of education. *International Journal of Humanities and Social Science*, 6(7): 81-84, 2016.

Paul R. and Elder L. - Critical Thinking: Competency Standards Essential to the Cultivation of Intellectual Skills, Part 4, <https://files.eric.ed.gov/fulltext/EJ998804.pdf>

Rohmani N. Indah - Critical Thinking, Writing Performance and Topic Familiarity of Indonesian EFL Learners. *Journal of Language Teaching and Research*, Vol. 8, No. 2, pp. 229-236, March 2017 DOI: <http://dx.doi.org/10.17507/jltr.0802.04>.

Tapper, J. - Student perceptions of how critical thinking is embedded in a degree program. *Higher Education Research and Development*, 23/2: 199-222. 2004.

Terry D. - Assessing Critical-Thinking Skills Using Articles From the Popular Press Author(s). *Journal of College Science Teaching*, Vol. 42. pp. 66-70 Published by: National Science Teachers Association. 2012

Tsui, L. - Fostering critical thinking through effective pedagogy. *The Journal of Higher Education*, 73/6: 740-763. 2002

**Ketevan Gochitashvili, Giuli Shabashvili**

### **Importance and development of Critical Thinking in BA Academic Writing Course**

#### **Abstract**

Critical thinking is a complex phenomenon, that helps the learner to separate relevant information from irrelevant and unnecessary information, to evaluate and explain events and facts, to formulate a clear argument objectively, to deliver the right message to the target audience, and to find ways to solve the problem. Critical thinking is directly related to the teaching of academic writing and is a transferable skill that helps students both to complete other university courses successfully and to build a further professional career. The aim of the paper is to identify the challenges and problems faced by both instructors and students at the university level in Georgia in terms of developing critical thinking skills while teaching/learning an academic writing course. Moreover, the paper presents specific activities to solve the given problems. The paper offers teachers the basic strategies and techniques that can be used to achieve the goals set out in the curriculum. The following research methods are applied: questionnaires and classroom observation.

The following factors can be named as limitations of the research: relatively small number of students; The study was conducted for only one semester.

The analysis of the questionnaires revealed the following issues related to critical thinking and writing for the students: lack of ability to formulate an objective critical opinion, reliability of sources, formulation of main research questions and hypotheses, generalization, separation of main and secondary information, focus on key issues and formulation of logical coherent conclusions.

The paper suggests specific activities and questions for the development of critical thinking that are needed to process a text or information.

The use of these approaches and methods should be implemented at different levels of the course. The teacher in advance should design and plan activities that will be used during the class. Critical thinking development activities should be combined with all the assignments and activities covering all the topics of the course. In the process of searching the proper materials, the student should master the techniques of working on sources, the criteria for determining the reliability and relevance of sources. In addition, the student should be able to process a significant amount of materials, merge main and

secondary information, paraphrase the information, and integrate it into their own text in accordance with academic standards. As a result, the student should be able to evaluate the material retrieved and present and argue their own position.

**Key Words:** Critical thinking, academic writing, research, teaching methods, teaching strategies

რეცენზენტი: პროფესორი მ. მიქაძე

მეთოდოლოგია Methodic of Teaching

## ქართული ფონეტიკის სწავლების პრობლემები უმაღლეს სასწავლებლებში

გაბრიელ თაგაური

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია  
პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტი  
e-mail: gabrieltagauri@gmail.com

*ფონეტიკის სასწავლო კურსის დაგეგმვისას საყურადღებო და მნიშვნელოვანი დეტალებია მისაღები მხედველობაში. მოგეხსენებათ, რომ სკოლაში მცირე დოზით, მაგრამ მაინც, ისწავლება ქართული ენის მორფოლოგია და სინტაქსი და, ამდენად, აბიტურიენტთათვის ეს საგნები, გარკვეულწილად, ნაცნობია. მაგრამ, ამავდროულად ვიტყვი „ფონეტიკაზე“. აღნიშნული სამეცნიერო დისციპლინა სრულიად ახალ ნაყოფს წარმოადგენს ფილოლოგიის კონტიგენტის პირველკურსელი სტუდენტებისათვის, რაც დიდი პასუხისმგებლობისა და სერიოზული სირთულის წინაშე აყენებს ლექტორებს. ამრიგად, ფონეტიკის სალექციო კურსის შედგენისას პროფესიული სიფრთხილით უნდა შევარჩიოთ საკითხები, რომელთაც არა დაუფლებითი და ათვისებითი, არამედ შემფასებლობითი და კოგნიტური კუთხით მივაწვდით ახალი ცოდნის მაძიებელ სტუდენტებს.*

*ვიმედოვნებთ, რომ ჩვენ მიერ შემუშავებული მოდელი პირველკურსელ სტუდენტს მისცემს ფიქრის, რაციონალური აზროვნების, ამორჩევისა და საკუთარი პოზიციის, თუნდაც, ახალი თეორიის/თვალსაზრისის დაფიქსირება-ჩამოყალიბების შესაძლებლობას და გამოუმუშავებს მას მეცნიერულ უნარებს.*

**საკვანძო სიტყვები:** ფონეტიკის სწავლება, რაციონალური აზროვნება

### შესავალი

სანამ, უშუალოდ, ფონეტიკის საკითხებზე გადავიდოდეთ, სტუდენტებს უნდა ავუხსნათ ის, რომ ენაში მიმდინარე მავნე და არაჯანსაღი პროცესები, რომლებიც, ძირითადად,

სახელმწიფოს საზღვრებს გარედანაა ინსპირირებული და პროვოცირებული, პირველრიგში, ასახვას, სწორედაც რომ, ფონემატურ სტრუქტურაზე ჰპოვებს. მსოფლიოში სულ 14 ანბანია, მაგრამ ენათა რაოდენობა კი რამდენიმე ათასს აღწევს. მიუხედავად იმისა, რომ უმეტეს ენებს თავიანთი საკუთარი დამწერლობა (გრაფიკული სისტემა) არ გააჩნიათ, ისინი მაინც იმუშავებენ და იყალიბებენ ყველასაგან განსხვავებულ „ბგერათ იდენტობას“ (ფონემატურ სისტემას). ასე მაგალითად, დასაშვებია, რომ დამწერლობის (ანბანის) მქონე ენებშიც კი არსებობდეს ისეთი ფონემა/ბგერა, ან ბგერები, რომლებიც გრაფიკულად არ გამოისახებოდნენ, მაგრამ მათ ყოველდღიურ მეტყველებაში იყენებდეს საზოგადოება. დედამიწაზე დღემდე მუშაობს უმწერლობო ენებიც. ... ცხადია, ყველა ენაში არის იდენტური ბგერები, რომლებიც კონკრეტული ენის ბუნებიდან გამომდინარე გამოითქმიან, მაგრამ, ამავე დროს, თითოეულ ენაში მოიპოვება ისეთი ფონემებიც, რომლის წარმოთქმაც მხოლოდ იმ ენაზე მეტყველ ადამიანს შეუძლია (ან სპეციალურად უნდა ისწავლო, თუმცა ხელოვნურობის ეფექტი მაინც ექნება! - გ.თ.). ამდენად, ფონემატური სტრუქტურა ერის/ეროვნების მაიდენტიფიცირებელი კოდის მატარებელ მონაცემდაც მოგვევლინება.

საქართველოს ერთიანობის მოწინააღმდეგე მტერი ყოველთვის ცდილობდა და, სამწუხაროდ, დღესაც ცდილობს, ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობის დარღვევასა და ერთი ხალხის გახლეჩას ენობრივი დივერსიების მეშვეობით. ეს პოლიტიკა მე-19 საუკუნიდან მოყოლებული დღემდე წარმატებით ხორციელდება კავკასიის მთელს რეგიონში. ამიტომ, საქართველოში, როგორც გეოპოლიტიკურად ურთულეს ქვეყანაში, სანამ რაიმე ენობრივი (ლინგვისტური) საკითხი გადაწყდებოდეს, მანამ უცილობელად და ყოველმიზეზგარეშე ისტორიული ფონია გასათვალისწინებელი და მხედველობაში უთუოდ მისაღები. დასანანია, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მცირე სახელმწიფოების მძიმე ხვედრია, რომ ასეთ პატარა ერებს არ გააჩნიათ „თავისუფალი მეცნიერების“ ქონის ფუფუნება.

**ძირითადი ნაწილი** ფონეტიკაში ბგერები (ფონემები, და არა - გრაფემები) არტიკულაციისა (საწარმოთქმო ადგილი) და რაგვარობის (მჟღერობა-სიყრუე/სიმკვეთრე, ხშულობა-ლიაობა/ნაპრალოვნობა) მიხედვით განიყოფებიან. ცნობილია, რომ სხვადასხვა მეცნიერი ბგერათა განდასების, გნებავთ, დისტრიბუციის (განაწილება) სხვადასხვა სქემას გვთავაზობდა, ე.ი. მკვლევარი ინდივიდუალური არგუმენტაციის საფუძველზე ერთ კონკრეტულ ფონემას შესაბამის საარტიკულაციო ადგილს აკუთვნებდა და ლოგიკურ დახასიათებასაც უძებნიდა ე.წ. მატრიცაში. მაშასადამე, თეორიებით საკმაოდ დატვირთული გახლავთ არაერთგზის აღნიშნული სამეცნიერო დარგი, რომელშიც დაკარგვის დიდი საშიშროება უდგას სტუდენტს, თუ მას დროული და საჭირო მითითებები არ მივეცით. საჭიროა, პირველ ლექციაზე ლექტორმა მსმენელ



აუდიტორიას მოახსენოს და განუმარტოს შემდეგი: ფონეტიკა შეისწავლის ადამიანთა მიერ წარმოთქმულ ბგერებს, რომელთაც ფონემები ეწოდებათ. თითოეული ბგერის წარმოქმნაში კონკრეტული ბიოლოგიური ორგანო მონაწილეობს. ამ დავალების შესასრულებლად ისინი გამოდიან ბუნებრივი, მოშვებული (ნეიტრალური, ინდიფერენტული) მდგომარეობიდან, იკავებენ განსხვავებულ მდგომს პირის აპარატში და მხოლოდ ამის შემდეგ გვრთავენ ბგერის წარმოთქმის (პერცეფციის) ნებას. აქ უნდა ვესაუბროთ ბგერის წარმოთქმის სამ ეტაპსა და ხშულობა-ღიაობა-ნაპრალოვნობაზე იმგვარად, რომ გავაგებინოთ ამ ტერმინთა არსი. აი, მაგალითად, გავამიჯნინოთ ერთმანეთისაგან ტერმინები: შემართვა/ექსკურსია - იმპლოზია, დაყოვნება/მწვერვალი - ოკლუზია, დამართვა/რეკურსია - ექსპლოზია და ბოლოს დავძინოთ: მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერმინები იდენტურ ფონეტიკურ პროცესებს ასახავენ, {იმპლოზია, ოკლუზია, ექსპლოზია} მხოლოდ ხშულ თანხმოვნებს ახასიათებთ, რამდენადაც მათი წარმოთქმის დროს, დახშული პირის აპარატი იხსენბა რა სწრაფად, იქმნება სკდომის (explosion = აფეთქება) ეფექტი. შემდეგ ასე განვავარდნოთ ჩვენი ლექცია: ჩვენს მიერ გამოთქმული, აბსოლუტურად ყველა ბგერა, იმის მიხედვით, თუ როგორ სმენით აღქმას იწვევს ჩვენში, სპეციფიკური ფონემატური თავისთავადობით ხასიათდება (რაგვარობა). აქ უნდა ვესაუბროთ მჟღერობა-სიყრუე/სიმკვეთრე-ფშვინვიერობაზე იმგვარად, რომ გავაგებინოთ ამ ტერმინთა არსი. მაგალითად, მივაქცევინოთ ყურადღება, რომ თანხმოვნები ორი ნიშნით იყოფიან: მჟღერობითა და სიყრუით. გვეჩვენა შემთხვევა, რომ ფონეტიკის კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს არ სცოდნია აღნიშნული. ამავე თემის საზღვრებში, აუცილებელია ვამცნოთ: ქართულში, უკლებლივ ყველა ხმოვანი (V, ვოკალი) ღია, და ამდენად, ყველაზე რეზონატორულ (მჟღერ, ხმიერ) ბგერას წარმოადგენს. ამრიგად, ხმოვნებთან მიმართებაში არ გამოიყენება ისეთი ტერმინები, როგორებიცაა: ხშული, ნაპრალოვანი (ნაპრალოვანი=ნახევრადხშული), ფშვინვიერი, ყრუ, მკვეთრი (მკვეთრი=“ყრუს“ ნაირსახეობა). აქ კი, ე.წ. ხმოვანთა სამკუთხედის გამოყენებით, გამოწვლილვით უნდა შევასწავლოთ პირველკურსელ სტუდენტს თითოეული ხმოვანი და აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში ვესაუბროთ ისეთ ფონეტიკურ მოვლენებზე, რასაც [ასიმილაცია, დისიმილაცია, დავიწროება, ჰაპლოლოგია, კონტამინაცია...] ჰქვია. როდესაც ყველა ამ ეტაპს გავივლით, უკვე მიზანშეწონილად ჩაითვლება კონსონანტთა სამეულების, წყვილებისა, თუ ცალკე მდგომი ბგერების (ცალეულების) საკითხებზე გადასვლა. აქ არა კრებსითად და ზოგადად უნდა შევხებით საკითხში შემავალ თემებს, არამედ, უმჯობესია, პირველკურსელს სათითაოდ მივაწოდოთ თითოეული მეცნიერის ჰიპოთეზა და ამას ერთი ლექციის ნაცვლად რამდენიმე ლექცია დავუთმოდ. ბუნებრივია, თემატიკის მიმდინარება დღის წესრიგში დააყენებს ისეთი ცნებების შემოტანის აუცილებლობას, როგორებიცაა: მეტათეზისი, სუბსტიტუცია და მსგ.

აუცილებელია, აქვე ავუხსნათ ბგერათშეერთების 3 წესი: I. საზიარო არტიკულაცია; II. არტიკულაციის უმოკლესი გზა, ე.წ. „დიფთონგიზაცია“; III. არტიკულაციის ერთჟამიერობა/თანაჟამიერობა - თანხმოვანთა ჰარმონიული კომპლექსები და „დეცესიურობა“, როგორც დამატებითი მახასიათებელი ჰარმონიულობისათვის გ. ახვლედიანის აზრით.

მოცემულობას ართულებს შემდეგი გარემოება, კერძოდ, თუ როგორ დაფუკავშიროთ ერთმანეთს ეს ორი მონაცემი: „არტიკულაცია“ და „რაგვარობა“. დავუშვათ, რომ აუდიტორიის წინაშე გავაჟღერეთ ასეთი ფრაზა: „ლიაობა/ნაპრალოვნობა იწვევს მჟღერობას, სხვაგვარად, თუ თანხმოვანს წარმოთქმამდე ჰაერი ეპარება, ის, უთუოდ, მჟღერია (სონორია).“ ერთი შეხედვით, ძალიან გამართულ და ჭკვიანურ წინადადებას ჰგავს, მაგრამ თუ საკითხს ჩავუღრმავდებით, მივხვდებით, რომ ეს თეორია მცდარია, რადგანაც [ბ, დ, ძ, ჯ, გ] სრულად ხშული თანხმოვნებიც მჟღერები არიან სპირანტ კონსონანტთა [ზ, ჟ, მ, ნ, რ, ლ] პარალელურად. სონორობა მჟღერობას ნიშნავს, ხოლო მჟღერობა კი თავისთავად ხმის მონაწილეობას გულისხმობს ამა თუ იმ ფონემის წარმოთქმისას. ახლა ასეთი წინადადება ვუთხარით ამავე სტუდენტებს: ის თანხმოვნები, რომელთა პერცეფციის დროსაც სახმო სიმები, ე.წ. იოგები ჩართულია, მჟღერებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ლოგიკურად მოაზროვნე სტუდენტი აუცილებლად დაგვისვამს ასეთ კითხვას: კი მაგრამ, რაღაც დოზით ხომ ყველა ბგერის წარმოთქმაში თამაშობს როლს იოგები, ვინაიდან მათ გარეშე (არარსებობისას) ხომ ვერცერთ ბგერას ვერ წარმოვთქვამდით? ჩვენი აზრით, საუკეთესო ახსნა მიიღებს ამგვარ სახეს: **ზოგჯერ ლიაობა/ნაპრალოვნობა განაპირობებს მჟღერობასაც**, მაგრამ არა ყველა შემთხვევაში. ის კი შეიძლება ვიფიქროთ, რომ თუ კონსონანტის (თანხმოვნის) წარმოთქმისას გვესმის რაიმე ხმოვანი ხმა, ის მჟღერია. ამიტომაც ასპირატები [ფ, თ, ც, ჩ, ქ], სისინა [ს] და შიშინა [შ] ყრუ თანხმოვნებს წარმოადგენენ. აქვე განვმარტავთ ჩვენ მიერ აქ გამოყენებულ ტერმინსაც - „ხმოვანი ხმა“: ჩურჩულიც ხმის ერთგვარი სახეობაა, რასაც დაადასტურებს ქართულ მეტყველებაში ხშირად ხმარებული შესიტყვება/სინტაგმა: ხმადაბლა ლაპარაკი (ე.ი. ჩურჩული) და ხმამაღლა ლაპარაკი. მაგ. /ასე ხმადაბლა ნუ ლაპარაკობ, ცოტა ხმამაღლა, ხმას აუწიე!

ამრიგად, ლექტორი ვალდებულია ისე აუხსნას მსმენელ აუდიტორიას ესა თუ ის საკვანძო ლინგვისტური მოვლენა, რომ მისმა სტუდენტებმა შეძლონ მიწოდებულ, ნასწავლ საკითხთა ერთმანეთისაგან გამიჯვნა მსგავსება-განსხვავებების ნიშნით, და შემდგომ ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება და რეალიზაცია. კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვანოთ: {გქკ} სამეულს ზოგი მეცნიერი უკანაენისმიერ (დორსალურ / გუტურალურ) ბგერებად მიიჩნევს, ხოლო მკვლევართა ნაწილი მათ ველარულ (რბილ სასისმიერ) ბგერათა ჯგუფს განაკუთვნებს, რამდენადაც ხსენებულ თანხმოვანთა წარმოთქმისას ენის ზურგი ზედა რბილ სასას ეხება. არსებობს აზრი, რომ ესენი ყელისმიერი ბგერებია, რადგანაც ისინი ყელის მიდამოში წარმოითქმიან. ასევე, [ყ] ზოგისათვის

ლარინგალურია (ხორხისმიერი), ზოგისათვის კი ფარინგალური (ხახისმიერი) თანხმობანია. საქმე ისაა, რომ დასმული ამოცანის გადაჭრის ქვაკუთხედად გვევლინება ის ფაქტორი, თუ რომელ ორგანოში წარმოიქმნება ბგერა, ან რომელი ორგანოს მეშვეობით გამოითქმის ის. აღნიშნულ საკითხს კი მეცნიერები ინდივიდუალური საზომით უყურებდნენ და აფასებდნენ. აქედან გამომდინარე, ფრიად მნიშვნელოვან და გასათვალისწინებელ ღონისძიებად, გნებავთ, ინიციატივად გვესახება ის, რომ ლექტორმა საგამოცდო ბილეთში მეტი კონკრეტიზაცია შემატოს საკითხს, რაც საგამოცდო საკითხის ამგვარ ფორმირებას გულისხმობს: **კონკრეტული ბგერის, ან ბგერათა ჯგუფის დახასიათება (რომელიმე ერთი მეცნიერის მიხედვით - არგუმენტაცია და განკუთვნილობის კრიტერიუმები).** და, ბოლოს, ტერმინებსაც უნდა შევხვით. ყველა ტერმინს საერთაშორისო ანალოგი მოეძებნება; მეტიც, რიგი ტერმინებისათვის კი დღესაც არაა შექმნილი ქართული შესატყვისი. ამ თვალსაზრისით, არც ენათმეცნიერებაა გამონაკლისი, და, არა-თუ გამონაკლისი, დაკვირვებული თვალი მარტივად შეამჩნევს, რომ ტერმინთა არნახული სიჭრელეა. ერთ ტერმინს ზოგჯერ რამდენიმე (ორი, ან სამი) შესატყვისიც კი მიესადაგება: **ნაპრალოვანი** - სპირანტი, ფრიკატივი; **ყელხშული** - გლოტალიზებული, აბრუპტივი, ყრუ-მკვეთრი; ასევე: **ბაგისმიერი** - ლაბიალური; **ცხვირისმიერი** - ნაზალური; **კბილისმიერი** - დენტალური/პრე-ალვეოლარული; **ნუნისმიერი** - ალვეოლარული/პოსტდენტალური; **მაგარი სასისმიერი** - პალატალური/პოსტალვეოლარული; **რბილ სასისმიერი** - ველარული/ პოსტპალატალური; **უკანაენისმიერი** - დორსალური, გუტურალური; **ხახისმიერი** - ფარინგალური; **ხორხისმიერი** - ლარინგალური; **ლატერალი** - გვერდითა ნაპრალი; **ფშვინვა** - ასპირაცია და. ა.შ. მაგრამ: დეტერმინანტი - [განსაზღვრული?] დამეთანხმებით, რომ სტუდენტი ტერმინოლოგიაში კარგად უნდა ერკვეოდეს და ყველა მშობლიური და საერთაშორისო (აქ. ლათინური) ტერმინის ხარისხიანი ცოდნა მართებს. ამის გარეშე, სრულიად შესაძლებელია, სტუდენტს სხვა ავტორთან სხვა, მისთვის უცნობი, ტერმინი შეხვდეს და ვერ გაარკვიოს, რაზეა საუბარი, ანდაც ჩათვალოს, რომ ლექციაზე, ჯერ კიდევ, აუხსნელ და დაუმუშავებელ საკითხს კითხულობს, რაც ზოგიერთში პროტესტის გრძნობასაც კი აღძრავს, ან უცხო ტერმინი უსწავლელობის (განზრახ არწაკითხვის) საბაზი შეიქნება. პირადად შევსწრებივართ ფაქტებს, როდესაც მაღალკურსელი ფილოლოგი ვერ ასხვავებდა ტერმინებს - 1. სონორი (ის მჟღერი თანხმობენები, რომელთაც არ მოეპოვებათ ყრუ შესატყვისები/ალოფონები; მაგ. [ბ] არ არის სონორი, რადგან მის შესატყვის ფონემად, ასევე, ბილაბიალური და ყრუ-ფშვინვიერი [ფ] გამოდის); 2. სონანტი (ფონემა, რომელიც ზოგ შემთხვევაში ხმოვნად რეალიზდება, ზოგშიც კი - თანხმობნად, ე.ი. ხან ქმნის მარცვალს, ხან მარცვლის შექმნის უუნაროა. ჩვენ არ ვცნობთ ტერმინ „ნახევარხმოვანს“, რადგან მთელს მსოფლიოში, როგორც წესი, ბგერები ხმოვნებად და თანხმობნებად განიყოფებიან/ჯგუფდებიან, ანუ ბგერა ან

ხმოვანია, ან თანხმოვანი. მას შემდეგ, რაც ქართულ მეცნიერებაში გამოჩნდა გამყრელიძე-მაჭავარიანის ახალი ნაშრომი „სონანტოა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“, რომლის მიხედვითაც [მ, ნ, რ, ლ] სონანტებია, სონანტობა გაიგივებული იქნა სონორობასთანაც (მჟღერობასთან), და, შესაბამისად, ამან ამ ორი განსხვავებული ტერმინის აღრევა გამოიწვია. ზოგადად, კავკასიურ ენებში თანხმოვნებისათვის სონანტობა დამახასიათებელია, მაგრამ ქართულ ენაში სონანტებად ოდენ უმარცვლო „უ“ და „ი“ გვევლინებიან); 3. სპირანტი (ნაპრალოვანი). **ამრიგად, საჭიროდ ვრაცხთ, რომ მინიმუმ ორი ლექცია მაინც დაეთმოს ტერმინოლოგიაში სტუდენტის განსწავლას.**

გასულ საუკუნეში თსუ-ს ბაზაზე ნაყოფიერად მუშაობდა „ახალი ქართული ენის“ კათედრა, რომლის ეგიდითაც არაერთი საფუძვლიანი სამეცნიერო ნაშრომი გამოქვეყნდა. ამ ნაშრომებში თავს იყრიდა იმ დროის თანამედროვე და მოწინავე მეცნიერთა მაღალმეცნიერულ დონეზე დასაბუთებული ახალი ჰიპოთეზები. ასევე, 1945 წლიდან ენათმეცნიერების ინსტიტუტი აქტიურად გამოსცემდა „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ (იკე) ტომეულებს, სადაც სრული სიზუსტითა და ლოგიკური მსვლელობის დაცვით იბერიულ-კავკასიური ენებისათვის დამახასიათებელი უამრავი ახალ-ახალი ლინგვისტური საკითხი შუქდებოდა. ვფიქრობთ, რომ თუ პარალელურად ამ წიგნებითაც ვასწავლით ფილოლოგიის / ჰუმ. მეცნიერებების პროგრამის სტუდენტებს, არ იქნება ურიგო, რამდენადაც ამ წიგნებიდან ისინი საკითხის დასმის, საკითხის გადაჭრისა და ახალი თვალსაზრისის (თეორიის) ჩამოყალიბების წესებსა და პრინციპებს ისწავლიან.

საჭიროა, სტუდენტებს დარგის/მიმართულების პრობლემურ ნიუანსებზე გავუმახვილოთ ყურადღება და, საერთოდაც მიგვაჩნია, რომ ქართული ენის სწავლება, სწორედაც რომ, ენის სისტემატიზაციისაკენ უნდა იყოს მიმართული, რათა კურსდამთავრებულმა ფილოლოგებმა (ბაკალავრებმა, მაგისტრებმა, დოქტორებმა) თავიანთი კვლევებით აღნიშნული სამეცნიერო დისციპლინის განვითარებას შეუწყონ ხელი. ჩვენი აზრით, როგორც ფონეტიკაში, ასევე მორფოლოგია-სინტაქსში, ტერმინთა არა ცვლა, ან შემცირება, არამედ არსებულ დეფინიციათა მცირედი კორექტირებაა საჭირო.

სამწუხაროდ, ამ გადასახედიდან ქართულ (პროფესიულ! - გ.თ.) ენათმეცნიერებას მომავალი არ აქვს და ამ ეტაპზე, პრობლემის სირთულისა და მასშტაბურობის გათვალისწინებით, **სიტუაციის გამოსწორება, რაც ქვეყანაში აღნიშნული დარგისადმი მზრუნველობის გამოჩენასა და მის გადარჩენას გულისხმობს, უკვე სახელმწიფოს პრეროგატივაა.**

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენ მიერ შემუშავებული მოდელი პირველკურსელ სტუდენტს მისცემს ფიქრის, რაციონალური აზროვნების, ამორჩევისა და საკუთარი პოზიციის, თუნდაც, ახალი თვალსაზრისის დაფიქსირება-ჩამოყალიბების შესაძლებლობას და გამოუმუშავებს მას მეცნიერულ უნარებს.

ცხადია, აქ ნათქვამით ვერ ამოიწურება საკითხი, ამიტომაც დარგის ღვაწლმოსილ, თუ დამწყებ ახალგაზრდა სპეციალისტებს **კიდევ ბევრი ფიქრი გვმართებს** ნაშრომში გაშუქებულ პრობლემატიკაზე, რათა ერთობლივი ძალებით მთავარი აქტორები გავხდეთ ქართული ენათმეცნიერების შემდგომი მზარდი და უცილობელი განვითარებისა.

#### ფონეტიკის (სრული) სალექციო კურსი:

1. საგნის სპეციფიკა (რას შეისწავლის და რაში გამოგვადგება მისი ცოდნა?) – **1 ლექცია**
2. საწარმოთქმო ორგანოების მონაწილეობა ბგერათა წარმოქმნაში (გრაფემა და ფონემა; პირის აპარატი; ღიაობა-ხშულობა-ნაპრალოვნობა; ბგერის წარმოქმნის /პერცეფციის/ 3 ეტაპი) – **1 ლექცია**
3. ხმოვანთა დახასიათება (ხმოვანთა სამკუთხედის მიხედვით) – **2 ლექცია**
4. თანხმოვანთა დახასიათება (სახმო სიმების მოჭიმულობა-მოშვებულობა; მყდრობა-სიყრუე/ფშვინვიერობა-სიმკვეთრე/, სამეულები, წყვილეულები, ცალეულები, აფრიკატები, თანხმოვანთა განაწილება ე.წ. „მატრიცაში“ - მეცნიერთა თვალსაზრისები, ბგერათმეერთების გზები, ბგერათკომპლექსების სახეები: ჰარმონიული კომპლექსები, არტიკულაციის 3 წესი+აქცესიურობა/დეცესიურობა) - **2 ლექცია**
5. ფონეტიკური პროცესები/მოვლენები (ასიმილაცია, დისიმილაცია, ჰაპლოლოგია, კონტა-მინაცია, სუბსტიტუცია, მეტათეზისი და ა.შ.: მათი გამომწვევი მიზეზები და მიმდინარეობა) – **2 ლექცია**
6. დარგობრივი ტერმინოლოგია (ქართული და საერთაშორისო ტერმინები - დეფინიცია და გამიჯვნა) – **2 ლექცია**
7. უცხო ენიდან ბგერების გადმოღების წესები (სატრანსლიტერაციო სქემა, სუბსტრატი, სუპერსტრატი, ადსტრატი, ფონემატური მდგომარეობა დიგლოსიისა ან მულტილინგვიზმის შემთხვევაში, ენობრივი იზოგლოსები) – **2 ლექცია**
8. ენობრივი პოლიტიკა კავკასიაში (ზოგადი მასალა) – **2 ლექცია**
9. დამოუკიდებელი სამუშაო (შიდა სააუდიტორიო „საკონტროლო წერის“ ორგანიზება; სტუდენტის მიერ ფონეტიკური რთული ამოცანებისა და სადაო საკითხების დამოუკიდებლად გადაჭრა და საკუთარი გადაწყვეტილების არგუმენტირება გავლილი მასალის საფუძველზე) – **1 ლექცია**

**ჯამში: 15 ლექცია**

#### ლიტერატურა:

1. ახვლედიანი გ. (რედაქციით) – „ენათმეცნიერების შესავლის საკითხები“, თბ. 1972
2. გამყრელიძე თ. , მაჭავარიანი გ. – „სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“, თბ. 1965
3. გამყრელიძე თ. , კიკნაძე ზ. , შადური ი. , შენგელაია ნ. – „თეორიული ენათმეცნიერების კურსი“, თბ. 2003

4. თოფურია ვ. – „ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში: ბგერით მოვლენათა თანამიმდევრობა“, ტფ. 1930
5. თოფურია ვ. – „შრომები“, ტ. 3. თბ. 1979
6. კვაჭაძე ლ. – „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი“, თბ. 2010
7. მიქაძე მ. – „ქართული ენა“ (ენის ისტორიის, ფონეტიკის, პალეოგრაფიის, გრაფიკის, ორთოგრაფია-ორთოეპიის, ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის საკითხები), სალექციო კურსი, ქუთაისი. 2015
8. მიქაძე მ. – „ქართული ენის სწავლების მეთოდის დაწესებით საფეხურზე“, ქუთ. 2018
9. ონიანი ალ. – „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა: (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია)“, თბ. 2003
10. უთურგაძე თ. – „ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა“, თბ. 1976
11. ფუტყარაძე ტ. – „ქართული სამწიგნობრო ენის ფონეტიკა“, თბ. 2014
12. შანიძე ა. – „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“, თბ. 1973
13. ჩიქობავა არნ. – „ქართული ენის ზოგადი დახასიათება“, თბ. 1998
14. ჯორბენაძე ბ. – „ენა და კულტურა“, თბ. 1997

Gabriel Tagauri

### Challenges for teaching Georgian language Phonetics in high schools

#### Abstract

Significant and important details should be taken into account when planning a Phonetics training course. As you know, the Morphology and Syntax of the Georgian language are taught in small doses at school, and thus, these subjects are somewhat familiar to the entrants. But we can not say the same about "Phonetics". This scientific discipline is a completely new fruit for first-year students of the Philology contingent, which puts lecturers in front of great responsibilities and serious difficulties. Thus, when working out a Phonetics lecture course, we must carefully select the issues that we will provide to students seeking new knowledge, not in terms of learning and mastery, but in terms of **assessment and cognition**. We hope that the model we have developed will give the freshman the opportunity to think rationally, to choose and to formulate his own position, even to identify/develop a new theory/point of view, and to create his scientific skills.

რეცენზენტი: პროფესორი მ. მიქაძე

მეთოდოლოგია Methodic of Teaching

## სიმღერების როლი სწავლებაში

თეონა თედორაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: [tedoradze.t@gmail.com](mailto:tedoradze.t@gmail.com)

თანამედროვე ინგლისური ენის სწავლების მიზანს კომუნიკაცია და შესასწავლი ენის ქვეყნის კულტურის გაცნობა წარმოადგენს. ენის დაუფლებისათვის მნიშვნელოვანია ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის კარგად შესწავლა. ლექსიკის სწავლება ერთ-ერთ რთულ საკითხს წარმოადგენს. სწავლების დროს მარტივი არ არის ლექსიკის შერჩევა. ლექსიკის წარდგენა სხვადასხვა ფორმით შეიძლება, მნიშვნელოვანია ასევე სიტყვების კონტექსტში მიწოდება. მეთოდოლოგიაში ლექსიკის სწავლების უამრავი ტექნიკა და ხერხი არსებობს, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ტექნიკა კი არის ლექსიკის სწავლება მუსიკის და სიმღერების საშუალებით, რადგან სიმღერების ღირებულება სტუდენტების მოტივაციისათვის და მათი ჩართულობის გაზრდისათვის ძალზედ დიდია. მუსიკა დადებით ზეგავლენას ახდენს წარმოთქმაზე, აქცენტზე, განწყობასა და მოტივაციაზე, სიმღერები მნიშვნელოვანი რესურსია, რათა განავითაროს სტუდენტების მოსმენის, საუბრის, კითხვის და წერის უნარები. ამიტომ მნიშვნელოვანია სიმღერების, როგორც სწავლების ინსტრუმენტის გამოყენება. სწორედ ამიტომ მუსიკა დიდ როლს თამაშობს მეორე ენის სწავლების დროს.

**საკვანძო სიტყვები:** კომუნიკაცია, ლექსიკის სწავლება, მოტივაცია

თანამედროვე ინგლისური ენის სწავლების მიზანს კომუნიკაცია და შესასწავლი ენის ქვეყნის კულტურის გაცნობა წარმოადგენს. ენის სწავლების მთავარი მიზანია კომუნიკაციური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, რაც ოთხ მთავარ უნარ-ჩვევას გულისხმობს: მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა და წერა. ენის დაუფლება ნიშნავს ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის, გრამატიკულ-

სტრუქტურული სისტემის, ფონეტიკურ-ფონოლოგიური სისტემის და ორთოგრაფიული სისტემის გაცნობას. დ. ვილკინსი ნაშრომში ენის სწავლების შესახებ [Wilkins 1972, 28] წერდა, რომ „გრამატიკის გარეშე ძალიან მცირე რამ შეგვიძლია გადმოვცეთ, ხოლო ლექსიკის გარეშე არაფრის გადმოცემა არ შეგვიძლია“ კ.ურუ [Ur 1996, 66] კი ლექსიკას განმარტავს, როგორც სიტყვებს, რომლებსაც ვასწავლით უცხო ენის სწავლების დროს, თუმც ალნიშნავს, რომ სიტყვა არ შეესაბამება ფრაზული ლექსიკის აღწერას. ჯ.სკრივენერი [Scrivener 2005, 227] ალნიშნავს, რომ ლექსიკა ჩვეულებრივ ერთ სიტყვას აღნიშნავს (dog, green) ან მჭიდროდ დაკავშირებულ ორ ან სამ სიტყვიან კომბინაციებს (stock market, compact disc). მასთან ლექსიკა განიხილება, როგორც ცალკეული სიტყვები და კომბინაციები. მ. მაკარტი [McCarthy 1990] ალნიშნავს, რომ არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად კარგად ეუფლება სტუდენტი გრამატიკას, ან რამდენად წარმატებულად ეუფლება ბგერებს, სიტყვების გარეშე ფართო მნიშვნელობის გამოხატვა შეუძლებელია. ის ხაზს უსვამს ლექსიკის მნიშვნელობას და წერს, რომ სათანადო ლექსიკური ცოდნის გარეშე შეუძლებელია აზრის გამოხატვა. ლექსიკის სწავლება ერთ-ერთი ყველაზე რთული საკითხია. მარტივი არ არის ლექსიკის შერჩევა. ლექსიკაზე მუშაობა არ გულისხმობს ცალკეული სიტყვების სწავლებას. სტუდენტს უნდა ესმოდეს სიტყვის მნიშვნელობა, უნდა შეეძლოს მისი სწორად წარმოთქმა, დაწერა და სწორი გამოყენება. ლექსიკის წარდგენა სხვადასხვა ფორმით შეიძლება და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სიტყვების კონტექსტში მიწოდებას. ასევე მნიშვნელოვანია სწორად შერჩეული სავარჯიშოები. სიტყვების შესწავლას დიდი დრო ეთმობა, თუმც აზრთა სხვადასხვაობაა, თუ როგორ და რა მეთოდით უნდა ისწავლებოდეს სიტყვები. არსებობს ობიექტური (ლექსიკის სირთულე) და სუბიექტური (შემსწავლელზე დამოკიდებული) მიზეზები. შესაძლებელია სიტყვების კლასიფიკაცია. მეტყველების ნაწილები, სიტყვათწარმოება, პარადიგმები, ეტიმოლოგია, სიტყვათა ოჯახი, სემანტიკური ველები და სტილისტური ვარიანტები. უცხო ენის შესწავლა მოიცავს ენის ბგერათა სისტემის, გრამატიკის და ლექსიკის შესწავლას, ხოლო, როგორც ბ. ლაუფერი [Laufer 1997] ალნიშნავს, ლექსიკის შესწავლა სწავლების მთავარ ბირთვს წარმოადგენს და როცა ლექსიკის გადამწყვეტ როლზე ვსაუბრობთ, ენის გამოყენება შესაბამისია და მნიშვნელოვანი. ლექსიკის სწავლება მხოლოდ მაღალი სიხშირით გამოყენებული ლექსიკის სწავლებას არ გულისხმობს. ლექსიკის სწავლების ძირითად მიდგომად მიიჩნევა შემთხვევითი ანუ არაპირდაპირი მიდგომა (როცა ლექსიკის შესწავლა ხდება კითხვის ან მოსმენის დროს) და ექსპლიციტური ანუ პირდაპირი ინსტრუქციით სწავლება, რაც გულისხმობს პროცესს, როდესაც ადგენენ იმ სიტყვებს, რომელთა შესწავლაც სჭირდება სტუდენტს; ამასთანავე, ხდება მათი წარდგენა, დამუშავება, ცოდნის და დამოუკიდებელი სტრატეგიის განვითარება, სიტყვების გამოცნობა კონტექსტში და ლექსიკონის გამოყენება.



მეთოდოლოგიაში ლექსიკის სწავლების უამრავი ტექნიკა და ხერხი არსებობს, რაც მოიცავს: მექანიკურ გამეორებას, დამხმარე ვიზუალური თვალსაჩინო მასალის გამოყენებას, თამაშებს, ლექსიკის შესწავლას კონკრეტულ კულტურულ კონტექსტში, ლექსიკის შესწავლას შემოქმედებითი აქტივობებით, ეტიმოლოგიურ მიდგომას, სიტყვათწარმოებას, მნემონიკურ ხერხებს, როგორცაა სემანტიკურ ველთა ცნებების გამოყენება, მუსიკის მეშვეობით შესწავლას, ფიზიკურ აქტივობებს, როგორცაა პიროვნების შესაძლებლობათა გააქტიურება ანუ სრული ფიზიკური უკუგება, მონათესავე სიტყვების და ნასესხები სიტყვების შესწავლას, კალკით სიტყვების შესწავლას, ანალოგიებს, თამაშებს და სინონიმებს. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ტექნიკა კი არის ლექსიკის სწავლება მუსიკის და სიმღერების საშუალებით, რადგან სიმღერების ღირებულება სტუდენტების მოტივაციისათვის და მათი ჩართულობის გაზრდისათვის ძალზედ დიდია. როგორც თ.მერფი [Murphy 1992] აღნიშნავს, „ჩვეულებრივი ფაქტია ის რომ გვავიწყდება ყველაფერი, რასაც მეორე ენაზე ვსწავლობთ, გარდა რამდენიმე სიმღერისა, რომლებსაც ამ ენაზე ვსწავლობთ, რადგან სხვადასხვა მიზეზების გამო სიმღერები მეხსიერებაში რჩება და ჩვენი ნაწილი ხდება.“ ს.მედინა [მედინა 1990,5] სტატიაში „მუსიკის ზეგავლენა მეორე ენის ლექსიკის ათვისებაში“ წერს მუსიკალური საშუალებების უპირატესობაზე, და რომ ლექსიკის იმავე რაოდენობით ათვისებაა შესაძლებელი სიმღერებით, რაც მოთხრობის მოსმენით. საინტერესოა, როგორ უნდა შეუწყოს ხელი ინგლისურმა სიმღერებმა ენის შესწავლის პროცესს. ამერიკელი ფსიქოლოგის ჰ. გარდნერის (Gardner H, 1985) თანახმად, რვა ერთმანეთისგან განსხვავებული ინტელექტის სახე და მისი შესაბამისი სწავლის სტილი არსებობს. ინტელექტის ეს სახეებია: ლინგვისტური, მათემატიკურ-ლოგიკური, ვიზუალურ-სივრცითი, სხეულებრივ-კინესთეტიკური, მუსიკალური, ინტერპერსონალური, ინტრაპერსონალური და ნატურალისტური. თითოეულ ადამიანს აღნიშნული ინტელექტის რამდენიმე სახეობა გააჩნია და მნიშვნელოვანია, რომ სწავლების დროს მასწავლებელი აცნობიერებდეს სტუდენტის სხვადასხვა ხარისხით მიდრეკილებას განსხვავებული ინტელექტისადმი. მუსიკალური ინტელექტის მქონე ადამიანებს აქვთ ბგერის სიმაღლის, ტონის და რიტმის შეგრძნების კარგი უნარი. მათ უადვილდებათ მუსიკის საშუალებით სწავლა, აზრის და გრძნობების გამოხატვა. შესაბამისად, სიმღერები მნიშვნელოვანი რესურსია, რათა განავითაროს სტუდენტების მოსმენის, საუბრის, კითხვის და წერის უნარები. ახალგაზრდების დიდი ნაწილი მუსიკას იყენებს, როგორც მოტივაციას, რათა აკონტროლონ განწყობა და დაძლიონ ისეთი ემოციური მდგომარეობა, როგორცაა მარტოობა ან გადაჭრან სხვადასხვა სახის პრობლემები (Roberts et al., 2001,400). ჩვეულებრივ, ისინი მუსიკას უკავშირებენ ტექსტს, რადგან სიმღერების დიდი ნაწილი ეხება სიყვარულს, სიხარულს, ტკივილს, ბედნიერებას და სწორედ ამიტომ შეიძლება სიმღერების გამოყენება, როგორც

სწავლების ინსტრუმენტი, რადგან ადამიანები სიმღერის ტექსტს უფრო სწრაფად იმახსოვრებენ, ვიდრე ცალკე არსებულ სიტყვებს. იმდენად, რამდენადაც მელოდია უფრო ადვილად დასამახსოვრებელია მაშინაც კი, როცა მნიშვნელობა არ არის გასაგები, ამიტომ, მუსიკა დადებით როლს თამაშობს მეორე ენის სწავლების დროს. სიმღერების დახმარებით უცხო ენის ყველა ასპექტის სწავლება არის შესაძლებელი, რადგან პრაქტიკულად ნებისმიერი გრამატიკული საკითხის პოვნა შეიძლება სიმღერის ტექსტში და ისინი ფართო ლექსიკას იძლევა, რომელთა გამოყენებაც შეიძლება ოთხივე კომუნიკაციური უნარის პრაქტიკისათვის. შესაბამისად, მუსიკის ძალა ინგლისური ენის სწავლების დროს უზარმაზარია. დღესდღეობით ტარდება მრავალი ექსპერიმენტი და ხელმისაწვდომია საუკეთესო მასალები. ჩვეულებრივი საუბრისგან განსხვავებით მუსიკა შეიცავს ტონალობას, მელოდიას, რიტმს, რაც ეხმარება სტუდენტებს ლექსიკური თუ გრამატიკული სტრუქტურების დამახსოვრებაში. სიმღერების გამოყენებით შეიძლება ვასწავლოთ: ინდივიდუალური ბგერები, მახვილი და რითმის ნიმუშები, ინტონაცია, ლექსიკა, გრამატიკული სტრუქტურები და სასაუბრო ენა. არის უამრავი სიტყვა, რომლებიც სტუდენტებს რთულად დასამახსოვრებლად ეჩვენებათ. სირთულეს განაპირობებს სხვადასხვა ფაქტორი: რთული წარმოთქმა, მართლწერა, ზომა და აზრობრივი დატვირთვა, გრამატიკა და მნიშვნელობა. სიმღერის ტექსტებში კი სიტყვები ჩვეულებრივ კონტექსტში არის მოცემული და ახალი სიტყვების ჟღერადობა ადვილად დასამახსოვრებელია მელოდიასთან ერთად, რაც სიმღერის რამდენჯერმე მოსმენის შემდეგ ადვილად მკვიდრდება მეხსიერებაში. ჯ.სტანსელი [Stansell 2000] წერს, რომ მუსიკა ისეთივე დადებით ზეგავლენას ახდენს ენის აქცენტზე, როგორც ადამიანის ხასიათზე, განწყობაზე და მოტივაციაზე, და რომ სიტყვათა წყვილი - სიტყვა და რითმი ეხმარება სტუდენტს სიმღერის დამახსოვრებაში და აუმჯობესებს მეხსიერებას. პირველი მიზეზი, თუ რატომ არის ენის სწავლება ეფექტური სიმღერებით, არის ფსიქოლოგიური იმპლიკაცია. ფსიქოლინგვისტურმა კვლევებმა აჩვენა, რომ სიმღერებს შეუძლიათ ენის ათვისების გააქტიურება, რადგან სიმღერების მეშვეობით ხდება ეფექტური შესწავლის სტიმულირება. სწავლების და სწავლის დროს ასევე მნიშვნელოვანია მოტივაცია, რასაც მნიშვნელოვანი დამატებითი როლი მიუძღვის ენის დაუფლების პროცესში, რადგან, როგორც წესი, მოტივირებული სტუდენტები უფრო აქტიურად არიან ჩართულები, გამოხატავენ ინტერესს, რაც ხელს უწყობს ეფექტურ სწავლას. სიმღერები იპყრობს სტუდენტების ყურადღებას მაშინაც კი, როდესაც მათ არ ესმით ყველა სიტყვის მნიშვნელობა, თუმცა მაინც მოსწონთ და აფასებენ სიმღერას.

როგორც წესი, სიმღერის წარდგენა სამ ეტაპად ხდება. პირველი ეტაპი მოიცავს მოსმენამდე აქტივობებს, რასაც მოსდევს მოსმენის პროცესში შესრულებული აქტივობები, და ბოლოს-მოსმენის შემდგომი აქტივობები. პირველი ეტაპის მიზანია სტუდენტი შეამზადოს თემატური,

ლინგვისტური, საგანმანათლებლო და ფსიქოლოგიური მოქმედებისათვის. მეორე ეტაპის დროს კი, რომელიც მთავარი ეტაპია, სტუდენტები ასრულებენ აქტივობებს და დავალებებს, რომლებიც უშუალოდ სიმღერას უკავშირდება. მესამე ეტაპი მოიცავს მოსმენის შემდეგ შესასრულებელ აქტივობებს.

თანამედროვე პოპ სიმღერები, გარდა ყოველდღიური ლექსიკისა ამასთანავე მდიდარია სიტყვების მეტაფორული გამოყენებითაც, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს ისწავლონ სიტყვების მეტაფორული მნიშვნელობა. სიმღერები ასევე ბევრ არაფორმალურ სიტყვებს, შემოკლებულ ფორმებს და ფრაზებს შეიცავს და სწორედ აქედან გამომდინარე, მასწავლებლის მიერ სიმღერა დიდი ყურადღებით უნდა იქნას შერჩეული. სასურველია მასში იყოს თხრობა, უნდა იყოს პოპულარული, იძლეოდეს საინტერესო საუბრის თემას, შეიცავდეს სასარგებლო გრამატიკულ კონსტრუქციებს და, რა თქმა უნდა, მდიდარ ლექსიკას. ინტერნეტ რესურსებში თუ სხვადასხვა სახელმძღვანელოებში, რომლებიც ბავშვებისთვისაა განკუთვნილი, უამრავი სიმღერაა, ისეთები, როგორებიცაა ‘How are you Anna’, ‘At the Zoo’, ‘Colours’, ‘Where Are You’, ‘Catch the Ball’, რომელთა მეშვეობითაც ბავშვები ძალიან ბევრ ახალ სიტყვას სწავლობენ, ასევე უამრავი სიმღერაა, რომელთა საშუალებით სტუდენტებს შეუძლიათ აითვისონ ახალი სიტყვები თუ ფრაზები და გაიმდიდრონ ლექსიკა. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ელვის პრესლის სიმღერები. სიყვარულთან დაკავშირებულ საინტერესო ლექსიკას იძლევა სიმღერა “Always On My Mind“, რომლის სათაურიც Always On My Mind იდენტურია და ნიშნავს- *‘მე გამუდმებით შენზე ვფიქრობ’* ეს სიმღერა წარსული მარტივი დროისა და უარყოფითი წინადადებების გამოყენების საინტერესო მაგალითებს იძლევა:

***“Always On My Mind “***

Maybe I didn't treat you

Quite as good as I should have

Maybe I didn't love you

Quite as often as I could have

Little things I should have said and done

I just never took the time

You were always on my mind

You were always on my mind.

სიმღერა „California Dreamin“, ამინდთან და წელიწადის დროებთან დაკავშირებულ კარგ ლექსიკას იძლევა. ასევე, სიმღერაში ვხვდებით პირობითი წინადადებების მაგალითებს:

***California Dreamin***

All the leaves are brown and the sky is grey  
 I've been for a walk on a winter's day  
 I'd be safe and warm if I was in L.A  
 California Dreamin' on such a winter's day.

საინტერესოა მარვინ გაის სიმღერა „I Heard It Through the Grapevine“. ამ სიმღერის სათაური იდიომაა. ასევე სიმღერაში გვხვდება სხვა იდიომებიც - make me blue, It took me by surprise, და ა.შ

***I Heard It Through the Grapevine***

I bet you're wonderin' how I knew  
 But your plans to make me blue  
 With some other guy you knew before  
 Between the two of us guys  
 You know I loved you more  
 It took me by surprise I must say  
 When I found out yesterday

ამგვარად, სიმღერების ღირებულება სტუდენტების მოტივაციისათვის და მათი ჩართულობის გაზრდისათვის ძალზედ დიდია. მუსიკა დადებით ზეგავლენას ახდენს წარმოქმნაზე, აქცენტზე, განწყობასა და მოტივაციაზე. სიმღერები მნიშვნელოვანი რესურსია, რათა განავითაროს სტუდენტების მოსმენის, საუბრის, კითხვის და წერის უნარები. ამიტომ მნიშვნელოვანია სიმღერების, როგორც სწავლების ინსტრუმენტის გამოყენება რადგან სიმღერები დიდ როლს თამაშობს მეორე ენის სწავლა/ სწავლების დროს.

ლიტერატურა:

- 1.Laufer,B 1997. The Lexical Plight in Second Language Teaching, Cambridge: Cambridge University Press
- 2.Murphey, Tim, 1992. Music and Song. Oxford: Oxford University Press.
3. McCarthy. Michael, 1990. Vocabulary. Oxford: Oxford University Press.
- 4.Roberts, RDonald, F and Christenson, P.G (2001) Popular music in childhood and adolescence. Medina, Suzanne. 1990. The Effects of Music upon Second Language Vocabulary Acquisition. Available at accessed October 12, 2014.
- 5 . Scrivener, Jim 2005, Learning Yeaching. Oxford: Macmillan publishers

6. Stansell, Jon Weatherford. 'The Use of Music for Learning Languages: A Review of the Literature' MSTE 14 Sept 2005. University of Illinois at Urbana-Champaign

7. Ur, P., 1996. A Course in Language Teaching: Practice and Theory. Cambridge: Cambridge University Press

**Teona Tedoradze**

### **How Songs Help to Teach**

#### **Abstract**

Nowadays the aim of teaching English is communication as well as being acquainted with the culture of the country. In order to master the language it is important to study the lexical-semantic system. Teaching vocabulary is one of the most difficult issues. It is also complicated to choose the vocabulary while teaching. Vocabulary can be presented in different ways; one of the significant methods is presenting vocabulary through the context. Teachers use a great number of additional and supplementary tools and methods, including games, dances, puzzles and songs. There are many techniques of teaching vocabulary in the methodology and one of the most important techniques is teaching vocabulary using music and songs inasmuch as the value of songs in increasing the students' motivation and involvement is great. Music has a very positive impact on pronunciation, accent, mood and motivation. Songs are an important source to develop students' listening, speaking, reading and writing skills. That is why it is so important to use songs as a teaching tool. They play a major role in the process of teaching a second language.

**Key words:** communication, to study the lexical-semantic system, motivation

რეცენზენტი: პროფესორი ნ. ზვიადაძე

მეთოდოლოგია Methodic of Teaching

## On-line Studies of ESL at Pandemic

**Ekaterine Topuria**

*Akaki Tsereteli State University*

*e-mail: [etopuria@yahoo.com](mailto:etopuria@yahoo.com)*

*The article under the headline On-line Studies of ESL at Pandemic, concerns the modern theory of connectivism by George Siemens in the pandemic for teaching and learning English as a second language. As the changing world and learning circumstances show the era for fundamental knowledge has come to an end. The informal way for getting information on the issue rather than the knowledge appears to be more important. In the era of information not the existing knowledge matters as the ways for getting the information on the certain topic even then when you know nothing of the issue. The on-line world and technologies give a wonderful possibility for gaining the info from those who already are aware of the matter via the chat or comment on blogs or online articles. The need of informal ways of teaching and getting the information have become serious outcome for mastering the English in an authentic atmosphere and get the very recent information on the topic. Thus, to pass asynchronous way the subject enables the student not only to get the grade but the information with less effort on the issue and make his own English internet community.*

**Key Words:** on-line learning/teaching, remote learning/teaching, distance learning/teaching, resource sites, quality insurance

The teaching and studying process via the internet because of pandemic is being a matter of discourse for a long time. The question whether the internet teaching appears to be a remote teaching/learning process or the on-line one has been a matter of concern .

The aim of the article is to see the challenges of the theory of connectivism for the ESL on-line classes.

Behaviorism, cognitivism, and constructivism are the three broad learning theories most often utilized in the creation of instructional environments. These theories, however, were developed in a time when learning was not impacted through technology. Over the last twenty years, technology has reorganized how we live, how we communicate, and how we learn. Learning needs and theories that describe learning principles and

processes, should be reflective of underlying social environments. Vaill emphasizes that “learning must be a way of being – an ongoing set of attitudes and actions by individuals and groups that they employ to try to keep abreast of the surprising, novel, messy, obtrusive, recurring events...” Siemens, G. (2004)

While central tenet of most learning theories is that learning occurs inside a person. Even social constructivist views, which hold that learning is a socially enacted process, promotes the principality of the individual (and her/his physical presence – i.e. brainbased) in learning. These theories do not address learning that occurs outside of people (i.e. learning that is stored and manipulated by technology). They also fail to describe how learning happens within organizations.

Though the technology is altering (rewiring) our brains and the old theories for learning and teaching. The technological tools newly define and shape our thinking.

Some questions to explore in relation to existing learning theories and the impact of technology and new sciences on learning needs a new approach and new theoretical background. The aim of the article is to find grounding approach and the needed theory to :a)make theories that allow technologies perform many of the cognitive operations previously performed by learners (e.g. information storage and retrieval).b)to continue to stay current in a rapidly evolving information ecology? c) to do learning theories address moments where performance is needed in the absence of complete understanding d) to see the impact of networks and complexity theories on learning.

The world has been tightened after the invention of the internet. It has become small and weak .In the era of internet the internet links have become big bridges that allow short connections between information for people of different social and national backgrounds.

Our small world networks are generally populated with people whose interests and knowledge are similar to ours. Finding a new job, as an example, often occurs through weak ties. This principle has great merit in the notion of serendipity, innovation, and creativity.

Connections between disparate ideas and fields can create new innovations not only in technology but on the theoretical bias. The aim of the article is to highlight the issues of one of the newest theories is connectivism. It is the integration of principles explored by chaos, network, and complexity and self-organization theories. Learning is a process that occurs within nebulous environments of shifting core elements – not entirely under the control of the individual.

Connectivism is driven by the understanding that decisions are based on rapidly altering foundations. New information is continually being acquired. The ability to draw distinctions between important and unimportant information is vital. Principles of connectivism are as follows:

- 1.Learning and knowledge rests in diversity of opinions.
2. Learning is a process of connecting specialized nodes or information sources.
- 3.Learning may reside in non-human appliances.
4. to know more is more critical than what is currently known

The starting point of connectivism is the individual. Personal knowledge is comprised of a network, which feeds into organizations and institutions, which in turn feed back into the network, and then continue to

provide learning to individual. This cycle of knowledge development (personal to network to organization) allows learners to remain current in their field through the connections they have formed.

John Seely Brown presents an interesting notion that the internet leverages the small efforts of many with the large efforts of few. The central premise is that connections created with unusual nodes supports and intensifies existing large effort activities.

Brown provides the example of a Maricopa County Community College system project that links senior citizens with elementary school students in a mentor program. The children “listen to these “grandparents” better than they do to their own parents, the mentoring really helps the teachers...the small efforts of the many-the seniors –complement the large efforts of the few – the teachers.” learning, knowledge and understanding through the extension of a personal network is the epitome of connectivism.

The practical value of the article is to use the theory of connectivism in the ESL classes for teaching different language skills. In this case the writing skill for the formal letter writing appears to be one of the example for implementing the theory of connectivism into the practice. One of the examples of the theory of connectivism is the so called remote learning.

To sum it up, we can declare that common background for the implementation of teaching with the theory of connectivism is the internet based . The best learning outcomes are s follows:

1. Working out on the e-program
2. the teacher’s /st’s readiness or the distance learning
3. the accessibility of the technical appliances
4. the synchronic as well as the asynchrony teaching
5. the short term implementation of the program

#### Reference:

- Barabási, A. L., (2002) *Linked: The New Science of Networks*, Cambridge, MA, Perseus Publishing.
- Buell, C. (undated). *Cognitivism*. Retrieved December 10, 2004 from <http://web.cocc.edu/cbuell/theories/cognitivism.htm>.
- Brown, J. S., (2002). *Growing Up Digital: How the Web Changes Work, Education, and the Ways People Learn*. United States Distance Learning Association. Retrieved on December 10, 2004, from [http://www.usdla.org/html/journal/FEB02\\_Issue/article01.html](http://www.usdla.org/html/journal/FEB02_Issue/article01.html)
- Driscoll, M. (2000). *Psychology of Learning for Instruction*. Needham Heights, MA, Allyn & Bacon.
- Gleick, J., (1987). *Chaos: The Making of a New Science*. New York, NY, Penguin Books.
- Siemens, G. (2004). *Connectivism: A learning theory for the digital age*. Retrieved from <http://www.elearnspace.org/Articles/connectivism.htm>



## ეკატერინე თოფურია

ინლისურის როგორც მეორე უცხოური ენის სწავლებისათვის პანდემიის პირობებში  
რეზიუმე

სტატია სახელწოდებით „ინლისურის როგორც მეორე უცხოური ენის სწავლებისათვის პანდემიის პირობებში“ ეძღვნება ჯორჯ სიმენსის კონექტივიზმის თეორიას. სტატია ასახავს კონექტივიზმის უახლესი თეორიის როლს თანამედროვე სწავლების სისტემაში ონლაინ პლატფორმების გამოყენებით. ენის შემსწავლელის და ინტერნეტ ქსელის უკუკავშირის საფუძველზე დაგროვილი და აკუმულირებული ცოდნის საფუძველზე ადამიანების უკეთ დაკავშირებასა და ინფორმაციის დაგროვების ახალი შესაძლებლობების შექმნას.

ნიღაბზე დამოკიდებულ საზოგადოებაში ასოციალურია უნიღბოდ კომუნიკაცია პირდაპირი და ირიბი მნიშვნელობით მით უფრო თუ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით არასაკმარის ცოდნას ვფლობთ. სწორედ აღნიშნულმა საკითხმა გამოიწვია კონექტივიზმის თეორიისადმი ჩემი ინტერესი, რაც მრავალმხრივ შეიძლება გამოვიყენოთ ლინგვისტიკასა თუ ზოგადად კომუნიკაციაში. მით უფრო, რომ სტუდენტების უმრავლესობა ონლაინ სწავლების რეჟიმში წიგნს სრულიად დაშორდა.

სტატიის თეორიული მნიშვნელობა ეყრდნობა გამოკითხვის ფილოსოფიურ მოდელს. მისთვის ამოსავალი ფიგურა ადამიანია და მისი ინდივიდუალური ბუნება. თუ როგორ შეძლებს ის დააკავშიროს მისთვის ახალი ინფორმაცია უკვე დაგროვილ ცოდნას და მოძებნოს თანამოაზრეები ინტერნეტ ქსელში და ამასთან გამოკითხვა ინგლისურ ენაზე აწარმოოს ინგლისური სოციუმის წარმომადგენლებთან.

ინგლისური ენის როგორც მეორე უცხოური ენის სწავლებისას გამოცდილება გვიჩვენებს რომ სტუდენტები სრულიად არასაკმარის და მოძველებულ ცოდნას ფლობენ კონკრეტულ თემატიკასთან დაკავშირებით და ეყრდნობიან ბიჰევიორიზმის, კოგნიტივიზმისა და კონსტრუქტივიზმის თეორიებს, რაც სრულიად არასაკმარისია თანამედროვე ცვალებად და ინფორმაციით დატვირთულ სამყაროში.

კონექტივიზმის თეორია პირდაპირი გამოკითხვის გარეშე ჩატში მოცემული ან კომენტარებში დაგროვილი ინფორმაციის საფუძველზე სტუდენტს აძლევს საშუალებას დააგროვოს ინფორმაცია დასმულ კითხვასთან დაკავშირებით. ეს ერთგვარი არაფორმალური ცოდნაა. უფრო ინფორმაცია და პრაქტიკულ მიზნებს ემსახურება \_გავუზიაროთ ერთმანეთს გამოცდილება და გავხდეთ ცოდნის თანაზიარი. სრულიად უცხო თემატიკა სტუდენტისათვის

უცნობი ინფორმაციით შეიძლება გახდეს საფუძველი ინტერპრეტაციის საფუძველზე ახალი ინფორმაციის დაგროვების ერთი მხრივ და მეორეს მხრივ თანამომავლების შემოკრებისათვის.

სტატიის პრაქტიკული ღირებულება ეძღვნება იმ ძირითადი აზრის იმპლიმენტაციას, რომ მთავარია ცოდნის არხების გამრავლება და მრავალფეროვნება ვიდრე ამ არხებში ფაქტობრივად თავმოყრილი შიგთავსის დასწავლა.

მაშასადამე, წარმოდგენილი სტატია განიხილავს კონექტივიზმს როგორც არაფორმალური განათლების მნიშვნელოვან ნაწილს. ამტკიცებს რომ სწავლა უწყვეტი პროცესია, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება და სწავლა და სამსახურებრივი აქტივობები აღარ არის იზოლირებული ერთმანეთისაგან;

ტექნოლოგიები ცვლიან ჩვენ ტვინს. ინსტრუმენტები, რომლებსაც ვიყენებთ, განსაზღვრავენ და განაპირობებენ ჩვენს აზროვნებას; და მაშასადამე ჩვენ აღარ გვჭირდება პერსონალური გამოცდილება და ცოდნის შეძენა საჭირო აქტივობების განსახორციელებლად. ჩვენ ვიღებთ ჩვენს კომპეტენტურობას კავშირების დამყარებით ინტერნეტ სივრცეში. ამით ერთი მხრივ მოვიპოვებთ ინფორმაციას და მეორეს მხრივ ვიძენთ თანამომავლებს, რაც საუკეთესო საშუალებაა ავთენტური ინგლისური ენის დაუფლებისათვის.

რეცენზენტი: პროფესორი მ. დარიბაშვილი

მეთოდოლოგია Methodic of Teaching

## ქართულის, როგორც უცხო ენის სახელმძღვანელოების შემოწმებისთვის ქართულის სახელმძღვანელოების წერა

ნანა შავთვალაძე

საქართველოს უნივერსიტეტი

[nana\\_shavtvaladze@yahoo.com](mailto:nana_shavtvaladze@yahoo.com)

ქართულის, როგორც უცხო ენისადმი ინტერესი ამ საუკუნიდან განსაკუთრებით აღინიშნება. რა თქმა უნდა, ადრეც იყო ინტერესი ამ განსაკუთრებული ენის შესწავლისა. ამიტომაც იყო ქართული ენის შესასწავლი სახელმძღვანელოები გამოცემული. სულ ორიოდ დეკადაა, რაც ქართულ ენაზე საუბრით ბევრი უცხოელი დაინტერესდა. ეს მიდგომა მაინც განსხვავდება ქართულის, როგორც მეორე ენის შესასწავლი ფორმატისგან.

ამ ბოლო პერიოდში რამდენიმე სახელმძღვანელო დაიბეჭდა. უდიდესი შრომაა სახელმძღვანელოს შექმნა, თან ქართული ენისა. უცხო ენის შესასწავლი სახელმძღვანელოები მრავალია, უკვე გამოცდილი და შედეგზე ორიენტირებული. ინტერნეტსაშუალებებით ყველა სიახლისა და ახალი მიდგომების აღმოჩენა, მსოფლიო რიტმისთვის ფეხის აწყობა, აღარაა პრობლემა. სხვადასხვა ენის შესასწავლი მასალის გაცნობისას ბევრ ავტორს გაუჩნდა სურვილი, ირწმუნა საკუთარი თავისა, რომ შეექმნა „ქართულის, როგორც უცხო ენის“ სახელმძღვანელო. ყველა ავტორს განსხვავებული მიდგომა აქვს. დღეს უკვე არჩევანიც და ასპარეზიც დიდია. უცხო ენის შესასწავლი მიდგომები, სწავლების გზა, გამოყენებული მეთოდები, სტრატეგიები, ხერხები, შესაძლებელია, რაღაც კუთხით გამოყენებული იყოს, მაგრამ აუცილებელი გასათვალისწინებელია ქართული ენის სტრუქტურა და მეთოდური ბადა. სხვა შემთხვევაში, შედეგი მიუღწეველი იქნება.

ავტორები აქამდე დონის დასადგენად მხოლოდ 2006 წელს მარკა ოძელის ხელმძღვანელობით გამოცემულ „ქართული ენის ფლობის დონების აღწერილობას“ იყენებდნენ.

ძლიერ სასიხარულოა, რომ 2020 წლის 30 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება №394 ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამტკიცების შესახებ. დანართი 4. ქართული ენის ფლობის დონების ზოგადი აღწერილობაა.

ეს ოფიციალური დოკუმენტი დიდ იმედს იძლევა; ის ახლა უკვე ქართული ენის შეფასებისას ინდიკატორებისა და მტკიცებულებების საყრდენია; მისი საშუალებით შესაძლებელია მასალების, სახელმძღვანელოების, სწავლის შედეგების შესაბამისობის დადგენა ენის ფლობის დონებთან.

მთავარია, სახელმძღვანელოს კონკრეტული მიზნის განსაზღვრა; სწავლების გზის ასახვა; ლოგიკურად დალაგება; თითოეული საკითხის სტრუქტურულად გაწერა; მეთოდური ბმის უზრუნველყოფა; მარტივიდან რთულისკენ სტრატეგიის დაცვა, ლექსიკის მიზნობრივად დალაგება და ა.შ.

ქართული ენის შემსწავლელს არჩევანი დიდი აქვს, შეუძლია ინტერნეტსივრცეში ატვირთული უფასო სახელმძღვანელოებით სწავლა და სხვადასხვა ავტორის მიერ დაბეჭდილი წიგნებითაც. ასევე, ბევრი ქართული ენისა და ლიტერატურის ფილოლოგი თუ არაფილოლოგი, სხვადასხვა უცხო ენის მასწავლებელი ასწავლის ქართულს, როგორც უცხო ენას. მათთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია სახელმძღვანელოს შერჩევა, რომ სწავლების პროცესი მიზნობრივი იყოს და მათ გზადაგზა არ მოუწიოთ დროის დახარჯვა კონკრეტული მასალის მომზადებისთვის. როგორ უნდა შეარჩიონ სასწავლო პროგრამა, სახელმძღვანელო ან როგორ უნდა მიხვდნენ რომელი წიგნი გამოადგებათ? ეს რთული პროცესია, მაგრამ შედეგზე გასასვლელად გადამწყვეტი.

სახელმძღვანელოს შეფასებისას უნდა აღვწეროთ წიგნი, საკუთარ თავთან შევჯერდეთ და გამოვყოთ კრიტერიუმები; შეფასებისთვის უმნიშვნელოვანესია ფოკუსირებადი კითხვები; ახლა უკვე შესაძლებელია ჩვენი ხედვის მტკიცებულებით დადასტურება.

**საკვანძო სიტყვები:** სახელმძღვანელო ქართულის შემსწავლელთათვის, ქართული - მეორე ენა

ქართულის, როგორც უცხო ენისადმი ინტერესი ამ საუკუნიდან განსაკუთრებით აღინიშნება. რა თქმა უნდა, ადრეც იყო ინტერესი ამ განსაკუთრებული ენის შესწავლისა. ამიტომაც იყო ქართული ენის შესასწავლი სახელმძღვანელოები გამოცემული. სულ ორიოდე დეკადაა, რაც ქართულ ენაზე საუბრით ბევრი უცხოელი დაინტერესდა. ეს მიდგომა განსხვავდება ქართულის, როგორც მეორე ენის შესასწავლი ფორმატისგან.

ამ ბოლო პერიოდში რამდენიმე სახელმძღვანელო დაიბეჭდა. უდიდესი შრომა სახელმძღვანელოს შექმნა, თან ქართული ენისა. უცხო ენის შესასწავლი სახელმძღვანელოები მრავალია, უკვე გამოცდილი და შედეგზე ორიენტირებული. ინტერნეტსაშუალებებით ყველა სიახლისა და ახალი მიდგომების აღმოჩენა, მსოფლიო რიტმისთვის ფეხის აწყობა, აღარაა პრობლემა. სხვადასხვა ენის შესასწავლი მასალის გაცნობისას ბევრ ავტორს გაუჩნდა სურვილი, ირწმუნა საკუთარი თავისა, რომ შეექმნა „ქართულის, როგორც უცხო ენის“ სახელმძღვანელო. ყველა ავტორს განსხვავებული მიდგომა აქვს. დღეს უკვე არჩევანიც და ასპარეზიც დიდია. უცხო ენის შესასწავლი მიდგომები, სწავლების გზა, გამოყენებული მეთოდები, სტრატეგიები, ხერხები, შესაძლებელია, რაღაც კუთხით გამოყენებული იყოს, მაგრამ აუცილებელია გათვალისწინებული იყოს ქართული ენის სტრუქტურა, გათვალისწინებული იყოს მეთოდური ბადა. სხვა შემთხვევაში, შედეგი მიუღწეველი იქნება.

ავტორები აქამდე დონის დასადგენად მხოლოდ 2006 წელს მარია ოძელის ხელმძღვანელობით გამოცემულ „ქართული ენის ფლობის დონეების აღწერილობას“ იყენებდნენ.

ძლიერ სასიხარულოა, რომ 2020 წლის 30 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება №394 ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამტკიცების შესახებ. დანართი 4. ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა: „ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა მოიცავს იმ კრიტერიუმთა ერთობლიობას, რომლითაც განისაზღვრება ქართული ენის ფლობა მოსმენის, კითხვის, მეტყველებისა და წერის შესაბამისი დონის მიხედვით. დოკუმენტი შესრულებულია ენათა სწავლის, სწავლებისა და შეფასების

რეკომენდაციათა საერთო ევროპული ჩარჩოს ექვსდონიანი სისტემის – A1, A2, B1, B2, C1, C 2 –საფუძველზე. დოკუმენტის მიზანია, ქართული ენის სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი, უნიფიცირებული სისტემის დანერგვა. ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა სავალდებულოა ქართული ენის სწავლის, სწავლებისა და შეფასების კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა შემთხვევაში“.

ეს ოფიციალური დოკუმენტი დიდ იმედს იძლევა; ის ახლა უკვე ქართული ენის შეფასებისას ინდიკატორებისა და მტკიცებულებების საყრდენია; მისი საშუალებით შესაძლებელია მასალების, სახელმძღვანელოების, სწავლის შედეგების შესაბამისობის დადგენა ენის ფლობის დონეებთან.

მთავარია, სახელმძღვანელოს კონკრეტული მიზნის განსაზღვრა; სწავლების გზის ასახვა; ლოგიკურად დალაგება; თითოეული საკითხის სტრუქტურულად გაწერა; მეთოდური ბმის უზრუნველყოფა; მარტივიდან რთულისკენ სტრატეგიის დაცვა, ლექსიკის მიზნობრივად დალაგება და ა.შ.

ქართული ენის შემსწავლელს არჩევანი დიდი აქვს, შეუძლია ინტერნეტსივრცეში ატვირთული უფასო სახელმძღვანელოებით სწავლა და სხვადასხვა ავტორის მიერ დაბეჭდილი წიგნებითაც. ასევე, ბევრი ქართული ენისა და ლიტერატურის ფილოლოგი თუ არაფილოლოგი, სხვადასხვა უცხო ენის მასწავლებელი ასწავლის ქართულს, როგორც უცხო ენას. მათთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია სახელმძღვანელოს შერჩევა, რომ სწავლების პროცესი მიზნობრივი იყოს და მათ გზადაგზა არ მოუწიოთ დროის დახარჯვა კონკრეტული მასალის მომზადებისთვის. როგორ უნდა შეარჩიონ სასწავლო პროგრამა, სახელმძღვანელო ან როგორ უნდა მიხვდნენ რომელი წიგნი გამოადგებათ? ეს რთული პროცესია, მაგრამ შედეგზე გასასვლელად გადამწყვეტი.

სახელმძღვანელოს შეფასებისას უნდა აღვწეროთ წიგნი, საკუთარ თავთან შევჯერდეთ და გამოვყოთ კრიტერიუმები; შეფასებისთვის უმნიშვნელოვანესია ფოკუსირებადი კითხვები; ახლა უკვე შესაძლებელია ჩვენი ხედვის მტკიცებულებით დადასტურება. მთავარი კრიტერიუმებია: მიზანი; შესაბამისობა; მეთოდოლოგია; სტრუქტურა და ორგანიზება; გამოკითხვა და ინტერვიუები. მაგალითად,

აღწერილობა/კრიტერიუმები	შეფასების კითხვები	ინდიკატორი/მტკიცებულებები
მიზანი	• შესაბამისია ენობრივი ფლობის დონებთან?	საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 ივნისი;
	• რის მიღწევას ისახავს სახელმძღვანელო მიზნად?	დადგენილება # 394/დანართი
	• რამდენად არის გამოვლენილი მისი სწავლის შედეგები?	ქართული ენის ფლობის დონების ზოგადი აღწერილობა

აღწერილობაში მნიშვნელოვანია გამოვლინდეს მიზნის გარდა შესაბამისობა სახელმძღვანელოს პროგრამასთან, სილაბუსთან, სასწავლო გეგმასთან, შეფასების კრიტერიუმებთან, მეთოდურ ჩარჩოსთან. სახელმძღვანელოები შედგება ტექსტისგან, გრამატიკული მასალისგან, ლექსიკისგან, სხვადასხვა სავარჯიშოსგან, მათ შორის მოსასმენისგან.

შესაბამისობის დასადგენად სასურველი იქნება შემდეგი ფოკუსირებადი კითხვების დასმა:

**შესაბამისობა:**

- როგორია პროგრამის შესაბამისობა?
- სასწავლო მასალა ენობრივად გამართულია?

- სილაბუსთან შესაბამისობა?
- რომელ სასწავლო გეგმაზეა დაყრდნობილი სასწავლო მასალა?
- რომელ სასწავლო გეგმაზეა დაყრდნობილი სახელმძღვანელო?
- სილაბუსი ადეკვატურია თუ საჭიროა საკითხების დამატება? (გრამატიკა/ლექსიკა/ აქტივობები).

მეთოდოლოგია ისეთი მიდგომაა, რომ საჭიროა, ჯერ ფართო ხედვით დადგენა და შემდეგ მასალის თითოეული საკითხის მიხედვით. სასურველი იქნება შემდეგი ფოკუსირებადი კითხვების დასმა და ამ სახით შემოწმება:

#### **მეთოდოლოგია - ზოგადად:**

- რა მეთოდოლოგიას ემყარება სახელმძღვანელო?
- პედაგოგიური მიდგომა მკაცრია?
- ენობრივად შინაარსის გადმოცემის საშუალებები რთულია?
- რამდენად შესაბამისია შინაარსი?
- რამდენად ავთენტური, აქტუალური და მისადაგებულია საკითხები?
- დაცულია ზოგადად თანამიმდევრობა?
- გამოყენებულია სტრატეგია - მარტივიდან რთულისკენ?
- არის გათვალისწინებული ინდივიდუალური და ჯგუფური დავალებები?
- ტექსტები/აქტივობები/დავალებები იძლევა ტექსტების მრავალმხრივად დამუშავების შესაძლებლობას?

• უწყობს ხელს ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის უნარების თანამიმდევრულად განვითარებას?

#### **მეთოდოლოგია - სახელმძღვანელო/მოსწავლის წიგნი/ტექსტი**

- ტექსტების (მათ შორის, სავარჯიშოებისა და დავალებების პირობების) ენობრივი აგებულება ხელს უწყობს სააზროვნო პროცესების წარმართვას?
- გამოყოფილია სათაურები, ქვესათაურები; გამოკვეთილია ტექსტის საკვანძო ცნებები, ძირითადი იდეები/საკითხები?
- ტექსტის აზრობრივად შეკრული მონაკვეთები დაყოფილია აბზაცებად; თვალსაჩინოა აბზაცებს/ტექსტის ცალკეულ ნაწილებს შორის არსებული ქრონოლოგიური, მიზეზშედეგობრივი და სხვა ლოგიკური კავშირები?
- განსაზღვრულია უცხო სიტყვათა რაოდენობა?
- გამოყენებულია საჭირო და შესაბამისი სიტყვები?
- დასმულია სირთულის შესაბამისი დონე? მოცულობა?

- მისადაგებულია თემის მოცულობა?
- ზუსტია მოცემულ ტექსტში სიტყვის რაოდენობის შესაბამისობა დონესთან?
- ესადაგება ენობრივი ფლობის მოდელს მოცემული გრამატიკული ჩარჩოს დონე?
- გრამატიკული საკითხები მოწოდებულია მარტივად, თანდართული პრაქტიკული

სავარჯიშოებითა და აქტივობებით?

- უწყობს ხელს ენობრივი ცოდნის ფუნქციურად გამოყენების უნარების გამომუშავებას?
- როგორ არის წარმოდგენილი თითოეული სიახლე? სწავლების რომელი გზით?

ინდუქცია/დედუქცია?

- როგორია გააქტიურების ხარისხის მაჩვენებელი?
- როგორ ხდება გრამატიკული ცოდნის გამოყენება სავარჯიშოებში? კომუნიკაციაში?
- ექვემდებარება ტექსტის სტილი და სინტაქსური სტრუქტურა დონეს?
- ახლავს ტექსტს წინა მოსამზადებელი და შემდგომ დასამუშავებელი ტექსტის გაგებაზე

ორიენტირებული სამუშაოები?

- არის კავშირი ტექსტში მოცემულ მასალასა და შემდეგ დამუშავებულ სავარჯიშოებში?
- დაცულია სპირალური პროგრესით უკუგება?

#### **მეთოდოლოგია - სასწავლო მასალა/გრამატიკა**

- ესადაგება ენობრივი ფლობის მოდელს მოცემული გრამატიკული ჩარჩოს დონე?
- გრამატიკული საკითხები მოწოდებულია მარტივად, თანდართული პრაქტიკული

სავარჯიშოებითა და აქტივობებით?

- უწყობს ხელს ენობრივი ცოდნის ფუნქციურად გამოყენების უნარების გამომუშავებას?
- როგორ არის წარმოდგენილი თითოეული სიახლე? სწავლების რომელი გზით?

ინდუქცია/დედუქცია?

- როგორია გააქტიურების ხარისხის მაჩვენებელი?
- როგორ ხდება გრამატიკული ცოდნის გამოყენება სავარჯიშოებში? კომუნიკაციაში?
- განსაზღვრულია შესაბამის დონეზე გრამატიკული კომპეტენცია: გრამატიკის,

ლექსიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, სემანტიკისა და მორფოლოგიისა?

#### **მეთოდოლოგია - სასწავლო მასალა/მოსასმენი**

- ესადაგება მოცემული მოსასმენი ენობრივი ფლობის დონეს?
- როგორია მოსასმენის ხანგრძლივობა?
- დაცულია პაუზები?
- როგორია მასალის ავთენტურობის ხარისხი?
- გამოყენებულია სოციოლინგვისტური კომპეტენციის საშუალებები?



• განსაზღვრულია სტრატეგიული კომპეტენცია: ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადავლახოთ პრობლემები, როდესაც კომუნიკაციის სირთულეებს ვაწყდებით?

• როგორ, რა სახის სავარჯიშოებით მუშავდება მოსასმენი?

• გაგების დონეები (იდეის გაგება; ამბის შესახებ ზოგადი ინფორმაცია; დეტალების აღნიშვნა; კონკრეტული) დაცულია?

#### **მეთოდოლოგია - სასწავლო მასალა/შეფასება**

• ტექსტის შედგენილობა ამოწმებს მიღებულ ცოდნას?

• გათვლილია მახსოვრობაზე?

• ამოწმებს გრამატიკულსა და ლექსიკურ ცოდნას?

• ამოწმებს სიტყვის რეპროდუცირებას?

მნიშვნელობის გაგებას?

• იყენებს სინონიმებსა და ანტონიმებს?

• ტექსტის მიხედვით შეუძლია სიტყვის, ფრაზეოლოგიური ერთეულის გაგება?

• შეუძლია ლექსიკური და გრამატიკული ერთეულების გამოყენება პრაქტიკაში?

• მოცემულია ტექსტის გაგების სავარჯიშოები?

• ევალუატივ სტუდენტებს სხვადასხვა გრამატიკული შეცდომის გასწორება კონტექსტის მიხედვით?

• ევალუატივ შემსწავლელს გრამატიკული კონკრეტული საკითხისადმი ცოდნის გამოვლენა?

• შეუძლია გრამატიკული და ლექსიკური ერთეულის ანალიზი კონტექსტის მიხედვით?

• გამოყენებულია დახურული კითხვები - ჭეშმარიტი და მცდარი პასუხებისთვის?

• ღია კითხვებით დასტურდება ნასწავლი მასალის შემოწმება?

• გამოყენებულია წერის კომპონენტი?

თუკი განსაზღვრული იქნება შესაბამისობა სასწავლო მიზანსა და შედეგს შორის, დამუშავებული მეთოდური ზოგადი და კონკრეტული ჩარჩო, მნიშვნელოვანია, სტრუქტურისა და ორგანიზების შემოწმება, რაც ფაქტობრივად, ხელს უწყობს და დიდწილად განაპირობებს სასწავლო მასალით, სახელმძღვანელოებით სწავლების შედეგზე გასვლას.

#### **სტრუქტურა და ორგანიზება**

• სახელმძღვანელო როგორ არის აგებული? ორგანიზებული?

• გამოყოფილია თავები? აბზაცები?

• დაცულია ვიზუალური განლაგება?

- გათვალისწინებულია მეთოდური ხედვა სახელმძღვანელოს აგებისა?
- ნათლად არის განსაზღვრული თითოეული საქმიანობის, ერთეულის მიზანი?
- ნათელია სტრუქტურული ერთეულები(თავი, პარაგრაფი, თემატური ბლოკი, შეჯამება და ა.შ.)?
- გასაგებია გამოყოფილია პირობითი ნიშნები, რომლებიც ხელს უწყობენ შინაარსისა და სტრუქტურის წარმოჩენასა და უკეთ აღქმას, გააზრებას?
- ნათელია თუ არა თითოეული ერთეულის თანამიმდევრობა?
- ორგანიზებულია, აშკარაა დასაწყისიდან დასრულებამდე განვითარების ხაზი - მარტივიდან რთულსკენ?

ქართულის, როგორც უცხო ენის სახელმძღვანელოები აგებულია სხვადასხვა პრინციპით; თუ რომელია უპირატესი, განსაზღვრება ზემოჩამოთვლილი შემოწმების საფუძველზე. რა თქმა უნდა, თუ ავტორი მუდმივად მუშაობს და ყოველი გამოცემისთვის აახლებს მიდგომებს, ითვალისწინებს სტუდენტთა შეხედულებებს, შენიშვნებს, რჩევებს, იმ სახელმძღვანელოს გაუმართლა და დამკვიდრდა საგანმანათლებლო სივრცეში. მოგეხსენებათ, წიგნებსაც თავიანთი ბედი აქვთ, როგორც ჩვენ, ადამიანებს.

#### ლიტერატურა:

1. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 ივნისი; დადგენილება # 394/დანართი 4 - ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა, თბილისი, 2020
2. **ოძელი, მ.**, - ქართული ენის ფლობის დონეების აღწერილობა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ევროპის საბჭოს ერთობრივი პროექტი. თბილისი, 2016
3. <https://eqe.ge/ka/page/static/665/profesiuli-standartebi>

**Nana Shavtvaladze**

#### **Evaluating Georgian, as a Foreign Language Writing textbooks for the Georgian Language**

#### **Abstract**

The interest towards studying Georgian, as a foreign language, has been highly established in our century. This interest was stated much earlier as well, which became a reason of publishing the Georgian Language learning materials. It needs to be indicated, that many foreign people have showed interest in

speaking Georgian language during past two decades. Teaching Georgian as a foreign language is much more different than teaching Georgian as a second language.

Several textbooks have been published past several years. It needs a huge work to create a textbook, especially for the Georgian language. There are many books to study foreign languages, which are tested and result oriented. Nowadays we clearly see that there`s no problem to find new materials and attitudes by using internet sources. Having got introduced to other languages` learning materials, many authors desired, with a belief in themselves, to create textbooks for teaching “Georgian, as a Foreign Language”. Every author has a different attitude, which leads us to a diversity of choices and competitions. Even if there are many resources, paths of learning, methods and strategies shared among people, should be admitted that the structure of the language and methodological approaches must be considered, otherwise, the result won`t be achieved.

In order to declare the level of mastering the language, the authors have been using a book “Description of the levels of Georgian language” published by Marika Odzeli in 2006. It`s highly appreciated that the parliament passed a resolution №394 to affirm the terms of Georgian Literature Language. Appendix 4 generally describes the levels of Georgian Language.

This official document is very encouraging; It is a support for the indicators and proofs of the Georgian language evaluation. It gives an opportunity to declare the compliance of the materials, textbooks, results in accordance with the language.

Main goal of the textbooks must be determined; the way of teaching must be represented; the textbooks must follow the logic; every single assessment must be structured; methodological linkage must be provided; a lead from simple to more complex, must be preserved; lexicology must be put in order with the goal.

Georgian language learner has a great choice, one can study with free textbooks uploaded on the Internet, as well as with books printed by different authors. Also, many philologists of Georgian language and literature or non-philologists, teachers of different foreign languages, teach Georgian as a foreign language. It is also very important for them to choose a textbook so that the teaching process is targeted and they do not have to spend time preparing specific materials along the way. The questions is how to choose a curriculum, textbook or how to figure out which book will be useful? It's a difficult process, but crucial for the outcome.

When evaluating a textbook, we should describe the book, we should agree with ourselves, and we should set out the criterias; Focused questions are crucial for evaluation; It is now possible to prove our vision with the evidence.

რეცენზენტი: პროფესორი ო.გუსევა

მეთოდოლოგია Methodic of Teaching

## კრიტიკული აზროვნების სწავლება ენის შესწავლის პროცესში

მეგი შალიკიანი-სხირელი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: [megishalikiani@yahoo.com](mailto:megishalikiani@yahoo.com)

ინგლისური ენის სწავლებისას მასწავლებლების ძირითადი ყურადღება ოთხი ენობრივი უნარ-ჩვევის: კითხვა, წერა, მოსმენა და საუბრის განვითარებაზეა მიმართული. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეებისათვის ეს უმნიშვნელოვანესი უნარ-ჩვევებია, აუცილებელია მათი 21-ე საუკუნის უნარებით - კრიტიკულ აზროვნება, კრეატიულობა, თანამშრომლობა და კომუნიკაცია - აღჭურვა. ეს ყველაფერი შესაძლებელია შეუფერხებლად განვითარდეს ინგლისური ენის გაკვეთილზე. კრიტიკული აზროვნების დანერგვა შესაძლებელია ეფექტური შეკითხვებით. მოსწავლეებს ხშირად უჭირთ შეკითხვის ნიუანსების გაგება და ვერ ახერხებენ მართებული პასუხის გაცემას. სიტყვები: ახსენით, განიხილეთ, შეიმუშავეთ, კომენტარი გააკეთეთ და აღწერეთ, არის მხოლოდ ნაწილი იმ მითითებებისა, რომლებიც პასუხებს სხვადასხვა კუთხით მოითხოვენ. აუცილებელია დაისვას როგორც ფაქტობრივი, ისე ექსტრაპოლაციური და აღწერითი, შეკითხვები, რომლებიც ემყარება ქვედა რიგის სააზროვნო უნარების - დამახსოვრება, გაგება, გამოყენება და უმაღლესი რიგის სააზროვნო უნარების - ანალიზი, შეფასება, შექმნა - განვითარებას. სამართლიანად უნდა ითქვას, რომ კრიტიკული აზროვნება მნიშვნელოვანია რამდენიმე თვალსაზრისით. უპირველესად ის ეხმარება მოსწავლეებს დააკვირდნენ ობიექტს (ფაქტს, პიროვნებას, მონაცემებს) სხვადასხვა თვალსაზრისით, მაგალითად, მხატვარი, რომელიც სხვადასხვა კუთხიდან აკეთებს მოდელის ესკიზებს, აკვირდება ყველა დეტალს, აღმოაჩენს ახალ ნივთებს ყოველ ახალ კუთხეში. ეს მათ აიძულებს გავიდნენ კომფორტის ზონიდან და ექვემდებარებოდნენ თავიანთი წინასწარი წარმოდგენა ობიექტის შესახებ (თუნდაც ის მცდარი

წარმოდგენები, რაც დაფუძნებულია მათ წინარე ცოდნაზე) და გახდნენ უკეთ ინფორმირებულები. კრიტიკული აზროვნება ასევე გავლენას ახდენს მოსწავლეების პიროვნულ უნარებზე. კრიტიკული აზროვნებით და საკითხის სხვადასხვა კუთხით დანახვის შემდეგ, მოსწავლეები ხდებიან უფრო გონებაგახსნილი და ემპათიურები, კომუნიკაბელურები, უფრო მეტად თანამშრომლობენ თანატოლებთან და იღებენ და განიხილავენ მათ იდეებს. თუ მოსწავლეებზე, როგორც ინდივიდუალურ ადამიანებზე ვიფიქრებთ, შესაძლებელია ითქვას, რომ კრიტიკული აზროვნება ეხმარება მათ განავითარონ თავიანთი შემოქმედებითი მხარე, რაც საშუალებას მისცემს მათი აზროვნების პროცესს უფრო თავისუფლად წარიმართოს და მეტი შესაძლებლობები შეისწავლოს. ეს მათ უკეთეს გადაწყვეტილების მიმღებ პირებად აქცევს, რაც დაეხმარება მათ დაზოგონ დრო ამ გადაწყვეტილებების მისაღებად.

### საკვანძო სიტყვები: კითხვა, წერა, მოსმენა, საუბარი

კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების მნიშვნელობა და ღირებულება ამჟამად განიხილება, როგორც სოციალური უნარების გაუმჯობესება, გაძლიერებული კომუნიკაცია და დასაქმების შესაძლებლობების განვითარება. ერთის მხრივ, გადამწყვეტი საკითხია მოსწავლეების შესაძლებლობების სტიმულირება და გაძლიერება და სხვადასხვა დისციპლინებსა და მრავალფეროვან სოციალურ-კულტურულ და საგანმანათლებლო კონტექსტებში კრიტიკული აზროვნების უნარების პოპულარიზაცია. მეორეს მხრივ, მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა, შეაფასონ საკუთარი მრწამსი და მეთოდები, რათა გაზარდონ მოსწავლეების კრიტიკული აზროვნების უნარები.

კრიტიკული აზროვნება სხვადასხვაგვარად განიმარტება და განისაზღვრება. ათწლეულების წინ, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 40-იან წლებში კრიტიკულ აზროვნებასა და განათლებასთან დაკავშირებულ სემინარულ კვლევაში ედვარდ გლეიზერმა (1941) განსაზღვრა კრიტიკული აზროვნება როგორც ”უნარი იფიქრო კრიტიკულად” [გვ 409]. კრიტიკული აზროვნების კომპონენტებზე დაყრდნობით, გლეიზერმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია, როგორც გამოცდილების დიაპაზონი, ასევე მათი დამოკიდებულება პრობლემების და საგნების გააზრებულად განხილვის, ლოგიკური გამოკვლევისა და მსჯელობის მეთოდების ცოდნასთან.

განსაკუთრებით საინტერესოა ტარა დელეჩეს განმარტება: ”კრიტიკული აზროვნება ნიშნავს ლოგიკურ და კარგად გააზრებულ მსჯელობას. ეს არის აზროვნების გზა, რომელშიც თქვენ მარტივად არ მიიღებთ ყველა არგუმენტს და დასკვნას, რასაც თავს მოგახვევენ, არამედ გაქვთ საკუთარი დამოკიდებულება ამგვარ არგუმენტებსა და დასკვნებთან მიმართებაში. ეს

მოითხოვს სურვილს დაინახო, თუ რა მტკიცებულებებაა კონკრეტული არგუმენტის ან დასკვნის დასადასტურებლად” [Tara DeLecce, 2018].

კრიტიკული აზროვნების უნარებისა და სწავლების პრაქტიკის საკითხებს მრავალი მკვლევარი განიხილავს. ენისი (2011), წამყვანი სპეციალისტი კრიტიკული აზროვნების დარგში, შეიმუშავა საკუთარი „მიდგომა“ (ფოკუსირება, მიზეზები, დასკვნა, სიტუაცია, სიცხადე და მიმოხილვა), რომელიც ხაზს უსვამს არგუმენტის გაგებას და შეფასებას. მან ასევე წარმოშვა კრიტიკული აზროვნების სუპერ-გამარტივებული კონცეფცია, რომელშიც ჩამოთვლილია კრიტიკული მოაზროვნის ატრიბუტები. ენისის თანახმად, კრიტიკულად მოაზროვნე გონებაგახსნილია და ცდილობს კარგად იყოს ინფორმირებული; კარგად განსჯის წყაროების სანდოობას; განსაზღვრავს დასკვნებს, მიზეზებსა და დაშვებებს; განიხილავს არგუმენტის ხარისხს; შეუძლია კარგად განავითაროს და დაიცვას გონივრული პოზიცია; სვამს შესაბამის დამაზუსტებელ კითხვებს; აყალიბებს სარწმუნო ჰიპოთეზებს; კარგად გეგმავს ექსპერიმენტებს; განსაზღვრავს ტერმინებს კონტექსტის შესაბამისი მეთოდით; გამოაქვს დასკვნები გარანტირებულად, მაგრამ სიფრთხილით; აერთიანებს ამ სიაში არსებულ ყველა საკითხს და თავად გადაწყვეტს, რა დაიჯეროს ან რა გააკეთოს.

კროკერმა და ბოუდენმა (2010) შემოგვთავაზეს შინაარსზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენება, როგორც კრიტიკული აზროვნების ენის შესწავლასთან შერწყმის ნომინალურ-ფუნქციური მიდგომა. მათივე აზრით, ნომინალურ-ფუნქციური მიდგომა და კრიტიკული აზროვნების საგანი იზიარებს სწავლის მსგავს შედეგებს. მათი კვლევის თანახმად, „თვითკორექცია, იდეების გარკვევა, განსხვავება, მიზეზების დასახელება, შესაბამისი კითხვების ფორმულირება, კავშირების დამყარება და შედარება“ სწავლის შედეგების მაგალითებია, რომლებიც შეგიძლიათ მოიძებნოს ნებისმიერ დისციპლინაში (გვ. 3). კროკერსა და ბოუდენს (2010) მიაჩნდათ, რომ ერთადერთი განსხვავება იმაშია, რომ კრიტიკული აზროვნების შემთხვევაში მოსწავლეებში მოსალოდნელია შემეცნებითი უნარების გაუმჯობესება, ხოლო ნომინალურ-ფუნქციური მიდგომა მიზნად ისახავს „ამ კოგნიტური უნარების გამოხატვის ან გამოსახვის“ შესაძლებლობის გაუმჯობესებას მოსწავლეებში (გვ. 3) ამრიგად, შინაარსზე დაფუძნებული პროგრამის საშუალებით ორი დისციპლინის კომბინირება აძლიერებს ენის გაკვეთილზე კრიტიკულ აზროვნებას. ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა მოხდეს კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარება წინასწარ დაგეგმილ ნომინალურ-ფუნქციური სწავლის შედეგების მიღწევასთან ერთად.

ენის სწავლების პროცესში გამოვლინდა კრიტიკულ აზროვნებასა და ენის სწავლების სხვა მნიშვნელოვან ელემენტებს შორის კავშირის უამრავი მაგალითი. ეს მაგალითები ხელს უწყობს

კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებას უამრავი აქტივობის მეშვეობით, რომლებიც ხორციელდება ენის კლასის საკომუნიკაციო გარემოში. ეს მოიცავს აქტივობების ისეთ ტიპებს, როგორცაა კამათი „მომხრე / წინააღმდეგ“; ლექსიკური ერთეულის კონირებულ (ასოციაციურ ან ნაგულისხმევ) და აღნიშნულ (ლექსიკონური) მნიშვნელობების კონტექსტში შედარება; ალტერნატივების განხილვა; ინფორმაციის ორგანიზებისა და წარმოდგენის გზების შემუშავება; ქვეტექსტური მნიშვნელობის დასკვნა; იდეების დაკავშირება; იდეების ორგანიზება ლოგიკური თანმიმდევრობით; ასახვა; კითხვის დროს შაბლონების თანმიმდევრობის ამოცნობა, მსგავსება და კონტრასტები, „გამოიცანით და იწინასწარმეტყველეთ“, შედეგების პროგნოზირება, წყაროს ვალიდობის შეფასება, აღმოჩენის პროცესის გამოყენება, მათ შორის: ყურადღების მიქცევა, მოდელის პოვნა, ჯვარედინი შემოწმება, საკუთარი იდეების უარყოფა ან დადასტურება, შეჯამება და დასკვნა; ესეების დაწერა და სხვა. ამ პროცესის მეშვეობით სტუდენტები აკონტროლებენ საკუთარ სწავლებას. ისინი აქტიურად არიან დაკავებულები იმით, რასაც სწავლობენ და არ არიან მხოლოდ პასიური მოსწავლეები.

ინსტრუქციები მასწავლებლებისთვის:

- დაიწყეთ ადრე: მნიშვნელოვანია აქტივობების ბავშვთა ასაკისთვის მორგება, მაგრამ შესაძლებელია მათ ვასწავლოთ როგორ გამოიყენონ საკუთარი ტვინი, რაც შეიძლება ადრე ასაკში;
- არ უპასუხოთ მათ შეკითხვებს დაუყოვნებლივ: თუ მასწავლებლის მთავარი მიზანია დააფიქროს მოსწავლეები, მაშინ მათ დრო უნდა დაუთმოთ რომ თავად იპოვონ პასუხები. სხვაგვარად, დაავალეთ მათ წყვილებში ან ჯგუფებში მუშაობა და პასუხების ერთად პოვნა. ეს არ არის მხოლოდ თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობა. შეიძლება გაგიკვირდეთ, რამდენად კრეატიულები არიან თქვენი მოსწავლეები;
- დასვით და წაახალისეთ ღია კითხვები: თქვენ ხელს შეუწყობთ კრიტიკულ აზროვნებას კითხვების დასმით და ასევე იქნებით მათ მიერ კოპირებული მოდელი. ყოველთვის მიეცით მათ საშუალება, დაგისვან კითხვები;
- დაეხმარეთ მოსწავლეებს შეიმუშაონ საკუთარი იდეები: არ უნდა ველოდოთ, რომ მათ კრიტიკული აზროვნების უნარები ჩამოუყალიბდებათ ერთი გაკვეთილის განმავლობაში, ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე. დაეხმარეთ მათ თავიანთი დავალებების შესრულებაში, „ხარაჩოს“ ტექნიკა / სტრატეგიის მეშვეობით, ამით ისინი არამარტო შეასრულებენ დავალებას, არამედ უჩნდებათ მიღწევის გრძნობა, რაც შესანიშნავი მოტივატორია მუშაობის გასაგრძელებლად;
- წაახალისეთ მოსწავლეები იფიქრონ ახლებურად: შემოქმედებითობა არის შესაძლებლობა იფიქრონ ახლებურად და დაინახონ ასოციაციები და ურთიერთობები, რომლებიც აქამდე არ

დაუნახავთ. ამგვარად მოსწავლეები ბუნებრივად გახდებიან უკეთესი მოაზროვნეები და უფრო კრეატიული ადამიანები;

- წახალისეთ გაგება და პატივისცემა: კრიტიკული აზროვნების გამოყენების ერთ-ერთი შედეგია ინტელექტუალური ემპათიის განვითარება, რაც არის სხვის ადგილას საკუთარი თავის წარმოდგენის და მათი აზრებისა და გრძნობების გააზრების უნარი. ამით სტუდენტები, სავარაუდოდ, გახდებიან სამართლიანი და ეთიკური მოაზროვნეები. ამ კონტექსტში, პატივისცემის ცნება შეიძლება უფრო ბუნებრივად განვითარდეს, მაგრამ ის ყოველთვის უნდა იყოს გამყარებული ნებისმიერ სასწავლო გარემოში;

- საქმე მხოლოდ მეცნიერებასა და ფაქტებს არ ეხება: კრიტიკული აზროვნება არა მხოლოდ ინტელექტუალურ ემპათიას განავითარებს მოსწავლეებში, არამედ ასევე დაეხმარება გააცნობიერონ საკუთარი ცოდნა და სხვადასხვა იდეების მუდმივად გადაჭრის საჭიროება.

### ლიტერატურა

1. Crocker, J. L., & Bowden, M. R. - Thinking in English: A content-based approach. Tokyo, 2011.
2. Ennis, R. H. - A super streamlined conception of critical thinking. Retrieved 2015, October 15.
3. Glaser, E. M. - An experiment in the development of critical thinking. New York, Bureau of Publications, Teachers College, Columbia University, 1941
4. Tara DeLecce - What is Critical Thinking? – Definition, Skills & Meaning. 2018. Available at: <https://study.com/academy/lesson/what-is-critical-thinking-definition-skills-meaning.html>
5. Willingham, D. T. - Critical thinking. Why is it so hard to teach? American Educator, 2015.

**Megi Shalikiani-Skhireli**

### **Teaching critical thinking in the language learning process**

#### Abstract

When teaching English, the main focus of teachers is on the development of four language skills: reading, writing, listening and speaking. While these are important skills for students, it is essential to equip them with 21st century skills - critical thinking, creativity, collaboration and communication. All of this can be smoothly developed at the English lesson. Critical thinking can be introduced with effective questioning. Students often have difficulty understanding the nuances of the question and are unable to answer correctly. Words: explain, discuss, develop, comment and describe are just some of the guidelines



that require answers from different angles. It is necessary to ask both factual and extrapolative and descriptive questions based on the development, analysis, evaluation, creation and development of Lower Order Thinking Skills (LOTS) - remembering, understanding, using and higher Order thinking Skills (HOTS. It must be fair to say that critical thinking is important in several ways. Primarily it helps students to observe an object (fact, person, data) from different angles, like, an artist making sketches of a model from different angles, observing every detail, discovering new items in each new angle. This forces them to step out of their comfort zone and question their preconceived notions about the object (even those misconceptions based on their prior knowledge) and become better informed ones. Critical thinking also affects students' personal skills. By thinking critically and looking at the issue from different angles, students become more open-minded and empathetic, sociable, more collaborative with peers, and they accept and discuss their ideas. If we think of students as individuals, it can be said that critical thinking helps them develop their creative side, allowing their thinking process to run more freely and explore more opportunities. This makes them better decision makers, which will help them save time in making these decisions.

**Key words:** reading, writing, listening and speaking

რეცენზენტი: პროფესორი მ. ღარიბაშვილი

ეთნოგრაფია Ethnographic

## დროში და სივრცეში დაკარგული ერთი სამეურნეო დღესასწაული

რამაზ ხაჭაპურიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: [ramazi1964@gmail.com](mailto:ramazi1964@gmail.com)

*კულტურის ისტორიის საკითხების კვლევისას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება უძველესი რწმენა-წარმოდგენების შესწავლას. ამგვარ საკითხთა რიგს განეკუთნება ხალხური აგრარული კალენდრის დღეობა-დღესასწაულები.*

*სამეურნეო საქმიანობაში ხელის მომართვა წარმოადგენდა ადამიანთა მატერიალური კეთილდღეობის, ქვეყნად ხვავისა და ბარაქის მთავარ წყაროს. ჭირნახულის დასაცავად ხალხი სხვადასხვა საშუალებებს მიმართავდა, მათ შორის შელოცვებსაც. მათი განხილვა ცხადყოფს, რომ ჩვენი წინაპარი ბოროტებასთან ბრძოლის ერთ-ერთ გზად ავსულთა დათრგუნვას მიიჩნევდა, რადგან მათი რწმენით, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში წარუმატებლობა ბნელი ძალებით არის გამოწვეული.*

*მხოლოდ ეკლესია აგრძელებს ტრადიციას და აკურთხებს მინდვრად გასატან თესლს თეოდორე ტირონის ხსენების დღეს, სამწუხაროდ ეს მხოლოდ რიტუალია, რომელსაც განადგურებული სოფლის მეურნეობა ვეღარ იყენებს პრაქტიკაში.*

**საკვანძო სიტყვები:** ხალხური აგრარული კალენდარი, დღეობა-დღესასწაულები, შელოცვები

*კულტურის ისტორიის საკითხების კვლევისას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება უძველესი რწმენა-წარმოდგენების შესწავლას. ამგვარ საკითხთა რიგს განეკუთნება ხალხური აგრარული კალენდრის დღეობა-დღესასწაულები.*

სამეურნეო საქმიანობაში ხელის მომართვა წარმოადგენდა ადამიანთა მატერიალური კეთილდღეობის, ქვეყნად ხვავისა და ბარაქის მთავარ წყაროს. ჭირნახულის დასაცავად ხალხი სხვადასხვა საშუალებებს მიმართავდა, მათ შორის შელოცვებსაც. მათი განხილვა ცხადყოფს, რომ ჩვენი წინაპარი ბოროტებასთან ბრძოლის ერთ-ერთ გზად ავსულთა დათრგუნვას მიიჩნევდა, რადგან მათი რწმენით, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში წარუმატებლობა ბნელი ძალებით არის გამოწვეული.

საანალიზოდ ავიღეთ ერთ-ერთი სამეურნეო დღესასწაული – **თედორობა** და მასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენები, რომელიც 1993-2006 წლებში აწესი ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში საველე ექსპედიციებისას ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალების მიხედვით ჯერ კიდევ გვხვდებოდა საქართველოს სოფლებში:

ქართულ მითოლოგიაში **თედორე აგრარული ღვთაებაა**; თავდაპირველად თავყანს სცემდნენ, როგორც მიწათმოქმედების მფარველს, მოგვიანებით კი, როგორც ცხენების მფარველსაც. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ღვთაების ხალხური კულტი თანამოსახელე ქრისტიანული წმინდანის (წმინდა თეოდორე ტირონი) სახელს შეერწყა (მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის 1970: 45).

თეოდორე ხალხის რწმენით ითვლება „დიდ მშრომელ-მიწათმოქმედად“ და მოიხსენიება, როგორც **„დიდი ბატონი“**. თეოდორეს ეძღვნება საგაზაფხულო კალენდარული დღესასწაული „თედორობა“, რომელიც დიდმარხვის პირველი კვირის შაბათს ემთხვევა .

ამ დღესთან დაკავშირებით ტაძრებში ღვთისმსახურება ტარდება. აღესრულება დიდმოწამე თეოდორე ტირონის სავედრებელი კანონი და წანდილისა და თესლთა კურთხევა (კურთხევანი 2000;22).

წმინდა თეოდორე ტირონი მე-4 საუკუნის დასაწყისში ქრისტესთვის მოწამეობრივად აღესრულა.

წმინდანის მიცვალებიდან 50 წლის შემდეგ მეფემ იულიანე განდგომილმა გადაწყვიტა, ფარულად შეეხილწა ქრისტიანები. მან კონსტანტინეპოლის გამგებელს უბრძანა, დიდმარხვის პირველი კვირიაკის ყოველ დღეს ბაზარში გასაყიდი სანოვაცისთვის ნაკერპავი სისხლი ესხურებინა.

წმინდა თეოდორე ტირონი გამოეცხადა მთავარეპისკოპოსს და გააფრთხილა, არ ეყიდათ ბაზარში სანოვაცე და ეჭამათ მხოლოდ კოლიო - თავლთან ერთად მოხარშული ხორბალი .

ამ მოვლენის აღსანიშნავად ეკლესია ყოველწლიურად დიდმარხვის პირველი შვიდეულის შაბათს წმინდა თეოდორეს ხსენებას დღესასწაულობს და მის პატივსაცემად მორწმუნეთათვის **კოლიოს** (ასე უწოდებენ აღმოსავლეთ საქართველოში მოხარშულ და თავლში

შეკაზმულ ხორბალს) იგივე **კორკოტს** (დასავლეთ საქართველოში მოხარშულ ხორბალს ნიგოზში კმაზენ) აკურთხებს, აქვე ხდება სათესლე მარცვალთა კურთხევაც (წმიდანთა ცხოვრება 2001;78) .

**ტროპარი:** “დიდ არიან სარწმუნოებისა საკვირველებანი, რამეთუ ალსა მას შინა ცეცხლისასა, ვითარცა წყალსა განსვენებისასა, წმიდა მოწამე თეოდორე იხარებდა, რამეთუ ცეცხლსა შინა შეიცხო, ვითარცა პური ტკბილი და შეწირულ იქმნა წინაშე სამებისა. მისითა მეოხებითა, ქრისტე ღმერთო, აცხოვნე სულნი ჩვენნი”,

**კონდაკი:** “სარწმუნოება ქრისტესი, ვითარცა ჯაჭვი შეიმოსე, ჰოი, მრავალმოღვაწეო თეოდორე, შინაგან გულსა შენსა, და წინააღმდგომნი ძალნი დააკუეთენ, და დასცენ ბომონნი, და ვითარცა უძლეველი მხედარი, გვირგვინითა შეიმკუე საუკუნითგან მალლით გარდამო” (ლოცვანი 1998:38).

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, **ლეჩხუმში** – შავი ორშაბათიდან შაბათამდე **თედორობა ანუ თმობის კვირა, რაჭაში** კი თედორობის კვირაა. თედორე, მთხრობელთა აღნიშვნით დიდი მუშა, მიწის მუშა იყო, ამ დღეს სავახშმოდ აცხოვდნენ ტაბლა-განატეხებს.

**ლეჩხუმური** ვარიანტით, გობს, რომელზედაც ეწყო ეს ტაბლები და ღვინიანი ჭიქა, მიაკრავდნენ სანთელს. ოჯახის უფროსი ქალი მარჯვენა კერასთან დაჩოქილი, სამჯერ შემოატრიალებდა წაღმა გობს და ოჯახსა და ნათეს-ნამუშევარს, მოსავალს შეავედრებდა ღმერთს (ნადარაია 1985: 4).

**რაჭული** ვარიანტით კი ყველა განატეხი ღვინოსთან ერთად უფროს კაცს ვენახში მიქონდა და დაილოცებოდა: `ღმერთო, მიეცი კაი ძალა, კაი ღონე ჩვენს ხარებს, ბევრი პური გააღეწინე ამ კალოზე" (*თოფჩიშვილი* 2010: 126-128).

ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მასალების მიხედვით რელიგიური დღესასწაულის – **"თედორობის"** წინა საღამოს ოჯახის უფროსი მწარე კვახს მრგვალად ამოჭრიდა, ჩაყრიდა შიგ ნაცარს, სიმინდს, ლობიოს, ერთ ცალ ნიგვზის კაკალს, გავიდოდა ყანაში, დაიწყებდა თესვას, მას უკან მიჰყვებოდა დიასახლისი, რომელიც ხის გობზე დაალაგებდა ცხრა თავ საჭმელს, ღვინოს, ანთებდნენ სანთლებს და სამჯერ დაილოცებოდნენ: **"ღმერთო, მოგვეცი კარგი მოსავალი, ვენახის მსხმოიარობა, ჰაერის კეთილშეზავება"**.

ან კიდევ, დიდ ხუთშაბათს დილით ადრე უბრად ყანას ნაჭით, ან სახნისით ხელში შემოუვლიდნენ და ამბობდნენ:

**"ჯვარი აქეთ, ჯვარი აქეთ, შენი სვი და შენი ჭამე,**

**ჩვენ ყანას ჯვარი დასწერე, ჰაუ, ჰაუ, ტურა ქალო"**.

ამ შელოცვას გაიმეორებდნენ სამჯერ (ქდსკი ფონდი E, 1997)

მსგავს რიტუალს ასრულებდნენ სვანეთშიც, აქ კალოს ნაჯახით ან სხვა რამე რკინეულით სამჯერ შემოუვლიდნენ და ამბობდნენ: **“ღმერთო კალოს ბარაქა მიეცი, ვისაც ჩემს კალოზე ცუდი თვალი და გული ქონდეს, შენ გაახმე, ამოაგდე, მისი ძე და მომავალი, ჩემ კალოს ჯვარი დასწერე”** (წერედანი 2006: 131)

ასეთი ხასიათის შელოცვები და რიტუალები დასტურდებოდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რაც ვრცლად არის ასახული გამოქვეყნებულ ფოლკლორულ და ეთნოგრაფიულ მასალებში.

საყურადღებოა, რომ თედორობისადმი შესასრულებელ წეს-ჩვეულებათა ერთი წყება ცხენისადმი იყო მიძღვნილი; სრულდებოდა ცხენის ლოცვა, ცხვებოდა მისი გამოსახლების რიტუალური კვერები, რომლებსაც ჭიხვინ-ხვიხვინითა და ტლინკაობით იღებდნენ კბილებით და ისე შეექცეოდნენ და ა. შ. ცხენთან დაკავშირებული ეს რიტუალები იმდენად ნიშანდობლივი იყო თედორობისათვის, რომ ამ ფაქტმა ასახვა პოვა კ. გამსახურდიას “მთვარის მოტაცებაში” თედორობის ლოცვისა და ლუკაიას გაცხენების მისტერიის ცოცხალი, შთამბეჭდავი სურათის სახით: “ლუკაიამ იმავე საღამოს თერდობის ლოცვა გამართა. გააკეთებინა პურის ცომისაგან პაწია ქანდაკებანი: ცხენისა, უნაგირისა, სადავისა, მოსართავისა და მათრახისა. რაც ყოველივე ხონჩაზე დაელაგებინა, შემდეგ ღვინო გადაასხა, ხონჩა კერის აღმოსავლეთით დადგა, მგიდეებზე თაფლის სანთლები მიამაგრა და აანთო, ჩაბალახით პირი შეიბურა, ხელები წაიკარწახა, დაოთხდა, რამდენჯერმე ჭიხვინითა და ხვიხვინით გარს შემოუარა ხონჩას, პირით იღებდა ცხენის მოდელს, კარისაკენ მიდიოდა და წიხლებს უშენდა კარს და ნაბუქოდონოსორ მეფესავით ოთხზე შემდგარი ტლინკებს ისროდა და ხონჩიდან ღვინოს სვამდა... კაროლინას არაერთხელ ენახა ეს საოცარი გაცხენება ლუკაიასი, მაგრამ მას ყველაზე მეტად ის უკვირდა, განსწავლული აფხაზი ენათმეცნიერი ასეთის დიდის ყურადღებით რომ შესცქეროდა ამ ბნელი საუკუნეებიდან გადმოცდენილ გაუგონარ მისტერიას ადამიანის გაცხენებისას” ( გამსახურდია 1973: 241).

სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით, თედორობა არა მხოლოდ ცხენისადმი ან თუნდაც ზოგადად მესაქონლეობისადმი მიძღვნილი დღეობაა, არამედ იგი ატარებს ფართო აგრარულ ხასიათს. ამ დღეს შესასრულებელ ტრადიციულ წეს-ჩვეულებათა წყება (მათ შორის: თესლის გაღება, ანუ საწესო თესვა და თესლის სალოცავი, რიტუალურ პურებზე მუშა-საქონლის, სამიწათმოქმედო იარაღებისა და პურეულის თავთვებისა თუ ყურძნის მტევნის გამოსახვა, საწესო პურებიანი გობის საფუარზე დადგმა, საცხვებლთან და კალოზე შესასრულებელი რიტუალები, მიცვალებულთა მოხსენიება, მათთვის ბაცუკების გამოცხობა, წანდილის მოხარშვა და სხვ.) გამიზნული იყო არა მხოლოდ საქონლის გამრავლებისათვის, არამედ ემსახურებოდა

აგრარულ ყოფას საერთოდ და, კერძოდ, სამიწათმოქმედო კულტურათა ბარაქიანობა-უხვმოსავლიანობისა და ოჯახის კეთილდღეობის უზრუნველყოფასაც.

მიუხედავად საანალიზო დღესასწაულის ასეთი ღრმა ფესვებისა და ჯერ კიდევ რაღაც 20 წლის წინ საქართველოს კუთხეებში სიცოცხლისუნარიანობისა, დღეს ტექნოლოგიების ხანაში, როგორც 2014-2019 წლებში ჩვენ მიერ ორგანიზებულმა სტუდენტურმა საველე ექსპედიციებმა გამოავლინა, დაცლილ სოფლებში მეურნეობის მოშლის გამო აღნიშნული სამეურნეო დღესასწაული აღარ გვხვდება თითქმის არცთუ კუთხეში სადაც ჩვენ ვიყავით (იმერეთი, სამეგრელო, ლეჩხუმი, სვანეთი, რაჭა) და ფაქტობრივად ჩვენს თვალწინ დაიკარგა. ასაკოვნებს მხოლოდ ახსოვთ, მაგრამ ახალგაზრდები, რომელთა რიცხვი სოფლებში ძალზე მცირეა, არათუ არ მიმართავენ დღესასწაულთან დაკავშირებულ რიტუალს, არც იციან მისი არსებობის შესახებ.

მხოლოდ ეკლესია აგრძელებს ტრადიციას და აკურთხებს მინდვრად გასატან თესლს თეოდორე ტირონის ხსენების დღეს, სამწუხაროდ ეს მხოლოდ რიტუალია, რომელსაც განადგურებული სოფლის მეურნეობა ვეღარ იყენებს პრაქტიკაში.

#### ლიტერატურა:

1. გამსახურდია: 1973; გამსახურდია, კონსტანტინე. (1973). „მთვარის მოტაცება“, *თხზულებათა ათტომეული*; ტ. I, მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა
2. თოფჩიშვილი: 2010; თოფჩიშვილი, როლანდ. (2010). *საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია*, თბილისი. გამომცემლობა „უნივერსალი“
3. კურთხევანი: 2000; *კურთხევანი. (2000)*. თბილისი, საპატრიარქოს გამომცემლობა
4. ლოცვანი: 1998; *ლოცვანი*, რუსთავი, „რუსთავის ეპარქიის გამოცემა“
5. *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის*; 1970 (ტ.12-13)
6. ნადარაია: 1998; ნადარაია, მია. (1998). „თედორობა“, *კრებული „ლეჩხუმი“*, თბილისი. მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა
7. ნიჟარაძე 1962; *ნიჟარაძე, ბესარიონ. (1962). ისტორიულ ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე*, თბილისი, მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა
8. საველე ექსპედიცია: 2016-2018; აწსუ ეთნოგრაფიული საველე ექსპედიციის 2016-2018 წლების მასალები
9. ქდსკი, ფონდი, 1993-2006; *აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი; დიალექტოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ფონდის მასალები, 1993-2006*

10. წერედანი: 2006; წერედანი, ნინო. (2006). სვანურ ხალხურ დღეობათა საწელიწადო კალენდარი, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
11. წმიდანთა ცხოვრება: 2001; “თეოდორე ტირონი“, წმიდანთა ცხოვრება, ტ. 1, თბილისი. საპატრიარქოს გამომცემლობა

**Ramaz Khachapuridze**

**One agricultural holiday lost in time and space**

**Abstract**

In the study of cultural history issues, some importance is attached to the study of ancient beliefs. Among such issues are the days-holidays of the folk agrarian calendar.

Handicrafts in agriculture were the main source of material prosperity for the people, the prosperity of the country and the barracks. People used various means to protect Chirnakhuli, including spells. Their discussion shows that one of the ways in which our ancestors fought evil was to suppress the Avsuls, because they believed that failure in agriculture was caused by dark forces.

Only the church continues the tradition and blesses the seeds to be sown in the field on the day of commemoration of Theodore Tyrone, unfortunately this is just a ritual that devastated agriculture can no longer use in practice.

რეცენზენტი: პროფესორი ვ. განკვევიძი

ჟურნალისტიკა Journalistic

## კორესპონდენცია და ინფორმაციული შენიშვნა (შეპირისპირებითი დახასიათება)

ნათია ჯიქია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
e-mail: [natajikia17@gmail.com](mailto:natajikia17@gmail.com)

ინფორმაციული კორესპონდენცია განსხვავდება შენიშვნისაგან საგნის უფრო დეტალური და ფართო ასახვით. ასეთ საგნად ჩვეულებისამებრ გამოდის რომელიღაც ერთეული მოვლენა, მოქმედება, ამბავი. ასეთი ჟანრის პუბლიკაცია შეიცავს საგნის არა მხოლოდ ფაქტოლოგიურ აღწერას, არამედ რამდენიმე ელემენტს შეფასებისა, პროგნოზისა, დანიშნულებისა და ა. შ. ამასთან ერთად ავტორი ინფორმაციული კორესპონდენციის არ ისახავს მიზნად ასახული საგნის ურთიერთკავშირის გამოვლენას, მის შინაარსში წვდომას. მისთვის მთავარია შეატყობინოს გასაშუქებელი მოვლენის ზედაპირზე მდებარე პარამეტრები.

**საკვანძო სიტყვები:** კორესპონდენცია, ინფორმაციული შენიშვნა

კორესპონდენცია ინფორმაციულ ჟანრებს მიეკუთვნება. „ინფორმაციული ჟანრები ხასიათდება ინფორმაციის მოპოვების ოპერატიულობით, დამუშავების სისწრაფით, ასევე სიზუსტითა და გადმოცემის მკაფიოობით“ [მარინა ვეკუა, 2013: 323].

ეს ჟანრი გულისხმობს ერთი ფაქტის ან ფაქტების ჯგუფის კონკრეტულ აღწერას, ანალიზს, შეფასებას. ფაქტი უნდა იყოს ტიპური, ცხოვრებისეული და საზოგადოებრივად საინტერესო და მნიშვნელოვანი. ინფორმაციულ შენიშვნაში, თუკი ფაქტი თავად მეტყველებს თავის თავზე და თავად ეწევა აგიტაციას, კორესპონდენციაში ფაქტის უფრო მეტი კონსტანტირება და არგუმენტირებულობა მოითხოვება.

ინფორმაციული შენიშვნისაგან განსხვავებით, იგი ითხოვს ფაქტის ლიტერატურულ აღწერას, ერთგვარ ენობრივ სილადეს. თუკი ინფორმაციულ შენიშვნაში მთავარია ფაქტი და მოვლენა, იგივე აქტუალურობით წარმოჩინდება ის კორესპონდენციაში. თუკი ინფორმაცი-



ულ შენიშვნაში გვეძლევა ფაქტის დეპეშური სტილით შეტყობინება, მოკლედ და ლაკონურად გადმოცემა, კორესპონდენციაში გვხვდება ანალიზი - უფრო ვრცელი და მეტყველი, კომენტარში კი უნდა ჩანდეს ტენდენცია. თუკი ფაქტი ინფორმაციულ შენიშვნაში, როგორც ზემოთ აღნიშნა, დეპეშური სტილით გადმოიცემა და ავტორისეული მასში მართო ფაქტია, კორესპონდენციაში მოითხოვება ავტორისეული ანალიზი და ფაქტის კონსტანტირება.

იგი ერთ-ერთი პუბლიცისტური ჟანრია, მასში მოცემულია ფაქტის ან ფაქტების ჯგუფის, მოვლენის კონკრეტული აღწერა, მათი ანალიზი, შეფასება.

„კარგად დაწერილი ამბავი ნათლად გადმოსცემს სათქმელს, იპყრობს მკითხველის, მაყურებლის ან მსმენლის ყურადღებას საინტერესო მასალით, ციტატებით, კონკრეტული შემთხვევებითა და მაგალითების მოყვანით.“[მ. მენჩერი, 2013:140]

ინფორმაციულ შენიშვნაში, ისევე როგორც კორესპონდენციაში, მთავარია ფაქტი, თუმცა აქ სხვაობა არამართო ფაქტების რაოდენობასა და ტევადობაშია, არამედ ფაქტის გადმოცემის მანერაში. კორესპონდენციაში ფაქტის არამართო ფიქსაცია ხდება, არამედ მისი ახსნა, შეფასება, ანალიზი. ინფორმაციულ შენიშვნაში მთავარია ფიქსაცია, კორესპონდენციაში - ახსნა-განმარტება, ხოლო სტატიაში მთავრია პრობლემაზე მუშაობა ფაქტების დახმარებით.

კორესპონდენციაში კონკრეტული ფაქტების მიხედვით ხდება ზოგადი მოსაზრების გამოტანა.

კორესპონდენციის მეორე თავისებურება ოპერატიულობაა. კორესპონდენტმა საზოგადოებრივად საინტერესო ფაქტები უნდა ასახოს და გააშუქოს დროულად, ფაქტების მიმდინარეობისთანავე. შესაძლოა, საგაზეთო მუშაობის პრაქტიკაში ასეთ მოთხოვნას ჰქონდეს ადგილი: გაზეთი ამა თუ იმ ფაქტს ჯერ ინფორმაციული შენიშვნით გამოეხმაუროს, ხოლო შემდეგ ამავე ფაქტზე კორესპონდენცია ან სხვა სახის მასალა დაბეჭდოს. გამოხატვის ხერხებისა და საშუალებების მიხედვით, ამ ჟანრს თვალსაჩინოდ შუალედური ადგილი უჭირავს ნარკვევსა და ინფორმაციულ შენიშვნას შორის. მაგალითად, არცთუ ისე დეპეშური სტილი გვაქვს კორესპონდენციაში, ისევე, როგორც ეს ხდება ინფორმაციულ შენიშვნაში და არც თუ ისე სიუხვეა მხატვრული საშუალებებისა, როგორც ნარკვევში.

ზოგი კორესპონდენცია შესავლით იწყება, ზოგი პირდაპირ, პირველივე სტრიქონებიდან მოგვაწვდის ფაქტს, ზოგან დიალოგია, ზოგან აღწერაა, ზოგან ადამიანის ხასიათის შტრიხები მოჩანს, ზოგან პორტრეტის კონტურებია დახატული, ხანაც ბუნების აღწერაა მოცემული. კორესპონდენციის სახეებად დაყოფა მიუღებელია, რადგან ფაქტის ან მოვლენის აღნიშვნა (ინფორმირება და შესაბამისად - ინფორმაციული კორესპონდენცია), პოზიტიური და კრიტიკული განხილვა (კრიტიკული კორესპონდენცია), ანალიზი

(ანალიტიკური) განზოგადება ყველა კორესპონდენციის საერთო ნიშან-თვისებაა. ინფორმაციული კორესპონდენცია თავისი არსით ახლოსაა რეპორტაჟთან, თუმცა ასეთი ის მაინც არ გახლავთ მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით. საქმე იმაში გახლავთ, რომ კორესპონდენციის ავტორი, როგორც წესი, არ იმყოფება მოვლენის ადგილას. გარდა ამისა, ის არ ისახავს მიზნად ამოცანას, რომ მოგვცეს დეტალური ემოციონალური ასახვა საგნისა (ხშირად ეს შეუძლებელია გააკეთო, თუ არ აღმოჩნდი მოვლენის ადგილას). გარდა ამისა, რეპორტაჟი უფრო შეეფერება, შეესაბამება მოვლენის, ფაქტის აღწერას (ხშირად უჩვეულო მოვლენის აღწერას) კორესპონდენცია ხომ ხშირად აღწერს ჩვეულებრივ მოვლენას და არა მარტო მათ, არამედ რაღაც ლოკალურ სიტუაციებს, პროცესებს. კორესპონდენტისათვის მთავარია გადმოსცეს მოვლენის არსი, რეპორტიორისათვის კი- გადმოსცეს არსი ამბისა ექსპრესიულად, ემოციურად, აშკარად, რათა კითხვისას რეპორტაჟის მკითხველებს მოვლენის თვითმხილველის განცდა დაეუფლოთ [ *Тертычный А.А, 2000:*]

კორესპონდენცია და ინფორმაციული შენიშვნა ერთ სიბრტყეზე განლაგებული ინფორმაციული ჟანრებია, მათ ბევრი რამ აქვთ საერთო და განმასხვავებელი. მართალია, კორესპონდენცია საბჭოური ჟანრების გამოძახილი უფროა, ვიდრე, მაგალითად ამერიკული ფიჩე, მაგრამ ყველა ჟანრს თავისი სტილი, სპეციფიკა და თავისებურება გააჩნია. ჟანრი - ძველია თუ ახალი, თითოეული მათგანი ერთმნიშვნელოვნად საინტერესოა.

#### ლიტერატურა:

1. მარინა ვეკუა, ჟილ რუე, „ჟურნალისტიკა“, გთსუ, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2013, ავტორთა ჯგუფი.
2. მელვინ მენჩერი, „მელვინ მენჩერის ახალი ამბების გაშუქება და წერა“, კოლუმბიის უნივერსიტეტი, ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“, გამომცემლობა „დიოგენე“, 2013.
3. *Тертычный А.А. ЖАНРЫ ПЕРИОДИЧЕСКОЙ ПЕЧАТИ, Учебное пособие* М.: Аспект Пресс, 2000, [evartist.narod.ru](http://evartist.narod.ru)

**Natia Jikia****Correspondence and Informative notes****Abstract**

An informative correspondence differs from a note with detailed and wide reflection of the object. This object usually is represented by a unit event, action, story. A publication of this kind of genre contains not only factual description, but several elements of evaluation, forecast, destination and, etc. In addition to it, the author of informative correspondence does not intend to reveal the interrelationship of depicted object accessing to content. The main thing for him is to inform some surface parameters of the event to be covered.

**Key words:** Correspondence, Informative notes

## შინაარსი

**ენათმეცნიერება Linguistic**

**ციური ახვლედიანი, გიორგი ყუფარაძე, ქეთევან გაბუნია**

პიროვნების მახასიათებელი ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური ასპექტები  
თანამედროვე ფრანგული და ინგლისური ენების იდიომატურ გამონათქვამებში.....9

**რუსუდან გვილავა**

რიტმი ცხოვრებაში, რიტმი ენაში.....17

**გურანდა გობიანი, მირანდა გობიანი**

არგუმენტირება, როგორც დისკურსული პრაქტიკა  
(დიდაქტიკური და ლინგვისტური კონცეპტები).....24

**თამარ მახარობლიძე**

არქეოლინგვისტიკა.....34

**მანანა მიქაძე**

ქართული ენა ენობრივი კომპეტენციები ემიგრანტებში.....42

**ნინო ოყრეშიძე**

რეალური და მხატვრული დროის ურთიერთმიმართება.....46

**ნინო სარაჯიშვილი, გიორგი ყუფარაძე**

ემოციის გადმოცემის ლინგვისტური საშუალებები ტექსტში  
(მოთხრობების „A Friend on the Line“ და „The Blanket“- ის მასალაზე).....50

**რამაზ სვანიძე**

სატელევიზიო ტექსტის სახეობის კონტრასტული ანალიზის შესახებ.....57

**ნუნუ ჩარკვიანი, ირმა რუსაძე, სოფიო ყიფიანი**

მიჩემებითობის გამოხატვა სხვადასხვა სისტემის ენებში (ზმნის ქცევა ანუ ვერსია -  
მორფოლოგიური კატეგორია თუ მიმართულება).....61

**ნინო ჭრიკიშვილი**

მეტყველების ნაწილების კლასიფიკაციის ისტორიიდან (ნებრიხადან სამეფო  
აკადემიის უახლეს გრამატიკამდე).....67

**ლიტერატურათმცოდნეობა Literature****ნინო ბუაძე**

მხატვრული დროისა და სივრცის ურთიერთმიმართება  
ნატალი საროტის „ოქროს ნაყოფში“.....75

**ლელა ებრალიძე**

კლასიკური ალუზიები ედგარ პოს პოეზიაში.....85

**თინათინი მოსეშვილი**

გივი მარგველაშვილის *კანტაქტი, ქალაქის მწერლის*  
*კითხვითი-ცხოვრებისეული გამოცდილებებიდან* როგორც მეტაფიქციური რომანი....90

**ეკა ორაგველიძე**

ადამიანი - „უფლის მევალე“ .....103

**ნანა ფრუიძე**

აკაკი წერეთლის უცნობი წერილი 1906 წლის რეპრესიების შესახებ.....115

**ნინო ჯოხაძე**

იუმორი, როგორც წინააღმდეგობის ეფექტური ფორმა

ფრანსისკო ფრანკოს ესპანეთში.....123

**ისტორია History****ელენე ჭირაქაძე**

ესპანელ ქალთა ანტიფაშისტური მოძრაობა XX საუკუნის 40-იან წლებში.....133

**პედაგოგია Pedagogic****ნინო სოხაძე**

მოზარდი და საზოგადოება.....143

**სწავლების მეთოდთა Methodic of teaching****ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი**

კრიტიკული აზროვნების განვითარების მნიშვნელობა და სტრატეგიები

საბაკალავრო საფეხურის აკადემიური წერის კურსის ფარგლებში.....147

**გაბრიელ თაგაური**

ქართული ფონეტიკის სწავლების პრობლემები უმაღლეს სასწავლებლებში.....159

**თეონა თედორაძე**

სიმღერების როლი სწავლებაში.....167

**ეკატერინე თოფურია**

ინლისურის როგორც მეორე უცხოური ენის სწავლებისათვის

პანდემიის პირობებში.....177

**ნანა შავთვალაძე**

ქართულის, როგორც უცხო ენის სახელმძღვანელოების შემოწმებისთვის

ქართულის სახელმძღვანელოების წერა.....179

**მეგი შალიკიანი-სხირელი**

კრიტიკული აზროვნების სწავლება ენის შესწავლის პროცესში.....188

**ეთნოგრაფია Ethnographic**

**რამაზ ხაჭაპურიძე**

დროში და სივრცეში დაკარგული ერთი სამეურნეო დღესასწაული.....194

**ჟურნალისტიკა Journalistic**

**ნათია ჯიქია**

კორესპონდენცია და ინფორმაციული შენიშვნა

(შეპირისპირებითი დახასიათება).....200

## Contents

### Linguistic

#### **Tsiuri Akhvlediani, Giorgi Kuparadze, Ketevan Gabunia**

Characteristic Psychological and Physiological Aspects of Personality in Idiomatic Expressions of Modern French and English.....15

#### **Rusudan Gvilava**

Rhythm in Life, Rhythm in Language .....23

#### **Guranda Gobiani, Miranda Gobiani**

Argumentation as a discourse practice (Didactic and Linguistic concepts) .....33

#### **Tamar Makharoblidze**

Archeolinguistics.....40

#### **Manana Mikadze**

Georgian and Language Competition in the Diaspora (Emigrant community) .....44

#### **Nino Okreshidze**

The interrelationships between the real and imaginative (fiction) time.....49

#### **Nino Sarajishvili, Giorgi Kuparadze**

Linguistic Means for Expressing Emotions in a Literary Text.....56

#### **Ramaz Svanidze**

Zur kontrastiven Analyse einer Fernsehtextsorte.....59

#### **Nunu Charkviani, Irma Rusadze, Sopo Kipiani**

A 'Version' in the languages of different systems.....66



**Nino Chrikishvili**

From the History of the Classification of parts of speech (From Nebrija to the latest grammar of Royal Academy) .....73

**Literature****Nino Buadze**

The relationship between Artistic Time and Space in Natalie Sarott's "Golden Friut" .....84

**Lela Ebralidze**

Classical allusions in the poetry of Edgar Allan Poe.....89

**Tinatina Moseshvili**

Givi Margvelashvili's "The Kontakt, from the Reading-Life Experiences of a City Writer" as a Metafictional Novel.....101

**Eka Oragvelidze**

Man - "Debtor of the God" .....114

**Nana Pruidze**

Akaki Tsereteli's unknown letter about repressions of year 1906.....122

**Nino Jokhadze**

Humor as an effective form of resistance in Franco' Spain.....131

## History

**Elene Chirakadze**

The Spain Women's anti-fascist movement in the XX-th century.....141

## Pedagogic

**Nino Sokhadze**

Adolescents and society.....146

## Methodic of teaching

**Ketevan Gochitashvili, Giuli Shabashvili**

Importance and development of Critical Thinking in BA Academic Writing Course .....157

**Gabriel Tagauri**

Challenges for teaching Georgian language Phonetics in high schools.....166

**Teona Tedoradze**

How Songs Help to Teach.....173

**Ekaterine Topuria**

On-line Studies of ESL at Pandemic.....174

**Nana Shavtvaladze**

Evaluating Georgian, as a Foreign Language

Writing textbooks for the Georgian Language.....186

**Megi Shalikiani-Skhireli**

Teaching critical thinking in the language learning process.....192

**Ethnographic**

**Ramaz Khachapuridze**

One agricultural holiday lost in time and space.....199

**Journalistic**

**Natia Jikia**

Correspondence and Informative notes.....203